



# ჩვენს მხედრობა


გამოდის თვეში ორჯერ პარასკევით

ფასი 1,50 ლარი

29 ნოემბერი 2013

№24 (206)

ღვთისმშობლის ღიმილი  
 ბედი ღირსეული ქალბატონისა  
 ბაირონი ქართულ სინამდვილეში  
 გაბრიელ ჯაბუშანურის აღსარება  
 ინტერვიუ ავთანდილ ვარსიმაშვილთან  
 მარჯორი უორდროპის მოგზაურობის დღიური  
 ვაჟა ხორნაულის მინიატურული პოეზია  
 გრიგოლ ვ. რობაქიძის ნოველები  
 მაკა ლდოკონენის კალამუნები  
 ძველი აკვარელის საიდუმლო  
 ნინო წიკლაურის ნოველა  
 ჰენრი მილერის პარიზი





# შინაარსი

გადი კასისა	2	მაკა ჯოხაძე ღვთისმშობლის ღიმილი (მერაბ კოსტავას საგალობლები)
მასპარეზ-ინტერვიუ	8	ავთანდილ ვარსიმაშვილი „ყველა ღვთისმშობელი კარგად იქნება“ (მოამზადა მაკა ჯაფარიძემ)
უსხოვლის თვალთ	9	ეკატერინე ტუკვაძე <b>ფანის ფანები</b> (ფანი არდანი სტუმრად თბილისში)
პროზა	10	ზურა ელიკაშვილი <b>ტრაგედია გმირით</b>
	11	მაკა ლდოკონენი <b>კალამუნები</b>
	18	გრიგოლ კ. რობაქიძე <b>ორი ნოველა</b>
	20	ნინო წიკლაური <b>ღღაბსა და ღამეებში ადამიანები ფათურობდნენ</b>
პოეზია	23	გენო კალანდია <b>საბალოგლები უფლისთვის</b>
	26	ვაჟა ხორნაული <b>პარსკვლავებს გაუხარდათ და სხვა ლექსები</b>
დაუვიწყარი სახელები	28	ემზარ კვიციანი <b>ხელოვანი დროს იმორჩილებს</b> (ელგუჯა ამაშუკელის დაბადების 85 წლისთავის გამო)
უსხოვლის სხოვანიდან	30	მერი ტიტვინიძე <b>„პატრონთა რასა“</b> (ლუიჯი პირანდელი და გოფრედო პარიზე)
წუთები და წლები	36	როსტომ ჩხეიძე <b>უჩვეულო ქვეყნის ანარქიკლი</b> (მარჯორი უორდროპის მოგზაურობის დღიური)
რეპორაჟი	39	ნინო დეკანოიძე <b>ბაირონი ქართულ სინამდვილეში</b> (ოთარ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანი ლორდ ბაირონზე)
კვლი ნათელი	42	ნათელა არველაძე <b>ბედი ღირსეული ქალბატონისა</b> (თინათინ თუმშალიშვილი)
ვერონიკ გვაგუა	44	ეკა ბუჯიაშვილი <b>მისი დრო მის ქვეყანაში</b> (ნათია ხორნაული)
ახალი რომანი	47	ნინო ვახანია <b>ერთი მართალი კაცის გადღივ</b> (ზურაბ კანდელაკის რომანი „უძრავი ქარი“)
კრიტიკა	48	ნონა კუპრეიშვილი <b>სად არის ალისა?</b> (ლია ლიქოკელის პოეტური კრებულის „დევის ცოლის სიცილის“ გამო)
ელვარა და ლოგოები	50	გაბრიელ ჯაბუშანიური <b>ბარათი ხვთისო ნიკლაურს</b>
ახალი წიგნები	53	ნინო ოთარაშვილი <b>ხელოვნების თავგადასავალი — ყველა მკითხველისათვის</b> (ე. ჰ. გომბრიხის „ხელოვნების ამბავი“)
პოეზიის მერიდიანები	55	<b>პოეტური თანავარსკვლავედი</b> (იოჰან ვოლფგანგ გოეთე, ჯორდანო ბრუნო, უილიამ შექსპირი, ჯორჯ ბაირონი)
წარული მოგონებებისათვის	57	ირინე ძუცოვა <b>ქველი აკვარელის საიდუმლო</b>
ახალი თარგმანები	64	ჰენრი მილერი <b>პარიზი</b>
საორბი	70	დავით ჭელიძე <b>ღამაზი ვაჟკაცის იუბილე... და მეგობრის გადის სიმღერა...</b> (ვაჟა ფლენტი)
მოულოდ	71	<b>მოგვითხრობს ბატონი მიქრაბ</b>



ორკვირული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62

რეკლამა: (995 93) 65 93 68

გავრცელება: (995 92) 25 94 94

ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge



www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი  
გამოვა 13 დეკემბერს

დაარსებულია  
ომეგა ჯგუფის მიერ  
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი  
ზაზა ოქუაშვილი



დაბეჭდილია სტამბაში  
**ომეგა თეკი**

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,  
თბილისი საქართველო  
ტელ: 00 995 32 53 12 77  
ფაქსი: 00 995 32 53 08 33  
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge  
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი	ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი	მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი	თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი	კარლო ფაჩულია
დიზაინერი	მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი	ნინო დეკანოიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი	თამარ ჩიხლაძე
სარეკლამო მენეჯერი	ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური	ლევან კვიციანი

**გარეკანზე:** გენო კალანდია  
ბაბუა ალუდაურის ფოტოტიუდი

მაკა ჯოხაძე

# ღვთისმშობლის ღიმილი

□

## მერაბ კოსტავას საბავშვობა

მასსოვს, წლების წინ ნავიკითხე — ადამიანის ჩანასახში პირველად გული იკვეთება, მერე — დანარჩენი ორგანოები. დავინტერესდი, ეს ვინმე რომანტიკოსის ლამაზი ტყუილი იყო თუ თავად რეალობა ასეთი ფანტასტიკური. აღმოჩნდა, რომ მედიცინა ადასტურებდა ამ საოცარ ფაქტს. უფრო მეტიც, გული ის ორგანოა, რომელიც გარდაცვალების შემდეგაც ყველაზე გვიან იხრნება. ამის მერე ალბათ არცაა გასაკვირი, ბიბლიაში ყველაზე ხშირად სწორედ გული რომაა ნახსენები. გულის იმდენნაირი მდგომარეობა შეგხვდებათ წმინდა წერილში, თვალწინ მთელი ადამიანური სამყარო გადაგმულეხათ თავისი განცდებითა და ვნებათაღელვით დაბადებულად ვიდრე სიკვდილამდე.

როდესაც გამოცემლობა „ინტელექტმა“ ცნობილი „ასი ლექსის“ პროექტში მერაბ კოსტავას პოეზიისათვის წინასიტყვაობის დაწერა შემომთავაზა, გულის ისეთი ბიძგები ვიგრძენი, ახლაც არ ვიცი, იმნამიერი შიშისა და სიხარულის ნაზავი იყო, თუ მოულოდნელ ტალღასავით მოვარდნილი 23 წლის წინანდელი გულის ხსოვნა.

90-იანი წლებია, 1990 წელი. მერაბი უკვე მთანმინდის კალთასაა მიბარებული. გამსახურდია არ იმჩნევს, თორემ ზუსტად ვიცი ფრთამოტეხილი ფრინველივით აწყდება გულს და ისეთ სასონარკვეთაშია, არც ასაფეთქებლად მიზანში ამოღებულ, გროზოსაკენ მიმავალ თვითმფრინავში მჯდარი და არც კოლხეთის დათოვლილ ტყეებში ნადიროვით რომ დასდევდნენ, მაშინ არ ყოფილა.

საერთაშორისო დანოლა იყო, ე.წ. ზესახელმწიფოებს სნაიპერებივით მიზანში ჰყავდათ ამოღებული. მამა ბუში კეთილმო-სურნესავით წუნუნებდა თუ წინასწარმეტყველივით იმუქრებოდა, კაცი ვერ გაიგებდა. სამაგიეროდ, მის მიერ ნასროლი ფორმულით იმიფრებოდა ევრო-ამერიკული მეგობრობის ხარისხი. დინების წინააღმდეგ ცურვას შეეშვას, თორემ ძვირად დაუჯდება. ელცინი გაოგნებული იყო — ქართველები მევეფრებინან, პრეზიდენტი მოგვაცილებს, მაგარი ქართველი ძიები კიდევ რუსეთის სამხედრო ძალების სარდლებთან დასუნსულვებდნენ — გამსახურდიას ფაშისტური რეჟიმი დაგვამხოვინეთო. ნამიერი აღმაფრენებისა და დამოუკიდებლობის მოპოვების პარალელურად სამყაროს კიდევ ერთ პატარა, უძველესი კულტურისა და ტრადიციების მქონე ქრისტიანულ ქვეყანაში სამოქალაქო ომის სახელით სამხედრო გადატრიალება მზადდებოდა.

გამომცემლობა „მერაბი“ კი ამ დროს ლექსების წიგნი ისტამბებოდა. „რა დროს რომანსეროაო“, თვალებს აფხაულებდნენ დემოკრატი ქალბატონები. გამსახურდიამ იცოდა, რასაც აკეთებდა. მიუხედავად მოპოვებული გამარჯვებისა, პროცესების შემხედვარე ვარაუდობდა — ვინ იცის, მტრული ძალების ნაქეზებით ქვეყანა ისე ნახდეს და დაიშალოს, ამბის მომყოლი აღარ დარჩეს ქვეყნად. ვილაცას ხომ უნდა მოეთხრო კლდესავით კაცზე, ვილაცას ხომ უნდა დაეხატა ეროვნული გმირის პორტრეტი.

ნათქვამია, ნანერში ყველაზე უკეთ ჩანს ავტორის ბუნება, თუ ვინმეს მისამართით ზუსტია ეს აზრი, სწორედ მერაბ კოს-

ტავას მისამართით. 1990 წელს გამოვიდა მისი ლექსების ერთადერთი კრებული. ისეთი ზათი და ეიფორია, მომავალი ხანძრებისა თუ მარცხების ისეთი გუგუნე იდგა ნამიერი გამარჯვების ნიაღში, იმდენი ვნება, აღმაფრენა, მრისხანება თუ სიძულვილი ბობოქრობდა, რომ შეუძლებელი იყო პოეტური სიმფონიის მოსმენა. ასე მგონია, მაშინ სწორედ ზვიად გამსახურდიამ გადაწყვიტა ბიბლიოთეკის კატალოგებში მტრედებივით შეყუყულ წიგნებთან ერთად ამ პანია კრებულსაც ნოეს კიდობანივით გადაეჩინა ქართული საგალობელი, ქართული ლექსი, ჩვენი ანბანი, ღირსება, ერთგულება, პატიოსნება და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მოყვასისათვის თავგანწირვის საოცარი ძალა, რწმენის, იმედისა და სიყვარულის უნარი.

ამას გვიან მივხვდი, წლების მერე, აი ახლა, როცა ამ სიტყვებს ვწერ და მერაბ კოსტავას პოეტური სამყარო ჩემთვის აღმოჩენის სიხარულის მომტანია. არადა, კრებული ნაკითხული მქონდა. 23 წლის წინ ეს ლექსები ხელისგულზე მედო. რასაც მაშინ ალლოთი ვგრძნობდი, ეს იყო გულისცემა, ასე გამაღებოდა რომ ფეთქავდა პანია კრებულში, მაგრამ ვისი გული არ ფეთქავდა მაშინ მოლოდინითა და გამაღლებით...

გამსახურდია ამაშიც შეუპოვარი აღმოჩნდა. სიმფონიის ლაიტმოტივისა ყველაზე უკეთ, უანგაროდ მას ესმოდა, ამიტომაც ჩქარობდა ჩვენთვის მის გაცნობას. ცაიტნოტში იყო და უნდოდა კალაპოტიდან ამოვარდნილი ეროვნული ენერჯია ლოგოსისათვის დაებრუნებინა, მუსიკის სიტყვიერ ტალღებში შეეყვანა, რადგან ეს მარტო ლექსები კი არა, ეს უცნაური ხომალდიც იყო ეროვნული მენტალობის ტვირთშიდი და მატარებელი, გაქვავებული გულების ყინულმჭრელი, „უგზობის ქვეყანაში“ რეალური გზის აღმოჩენი და ქვეყნარტების გზამკვლევი. ერთი კონკრეტული კაცის ცხოვრება, ხედვა, განცდა, ინტელექტი ქვეყნის ისტორიად ზოგადდებოდა.

თითქოს ყველამ იცოდა, ვინ იყო მერაბ კოსტავა, მაგრამ მისი პოეტური გენიის დასანახად ჯერ მხოლოდ ქრისტესმიერი ძმა იყო მზად.

პოეტები ამას არ იტყოდნენ, არ აღიარებდნენ, იქნებ ვერც ეგრძნოთ. თუ იგრძნობდნენ, ვერ დაუშვებდნენ, რადგან ჯურ-მოულებიდან სამზეოზე ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში მოციქულივით გამოშვებულს პოეტი რატომ უნდა რქმეოდა, ისედაც ამხელა მოწყალება მოელო, ამხელა მაღლი მიენიჭებინა უფალს. საკმარისი იყო ტრიბუნაზე მუშტალმართული მერაბის გამოჩენა და „მამულიშვილო!“ ამ მოწოდებაში იკრიბებოდა, ერთიანდებოდა სრულიად საქართველო, მის სიტყვას მაგიის ძალა ჰქონდა და ნამდვილ აფეთქებას იწვევდა. მერაბს უნდა ეკმარა ღვთისგან ბოძებული ეს მაღლი და საჩუქარიც.

ამიტომ კოსტავა მათთვისაც დისიდენტად რჩებოდა, რჩეული, მარტვილი, ტანჯული... ეპითეტები ამკმარისზე მეტი იყო. მათი და, ასე მგონია, განსაკუთრებით მერაბის თაობის პოეტთა გაცხადება, სიყვარულის ახსნა და სამშობლოსადმი მიძღვნილი ლექსები სწორედ ციმბირის ციხეში გამომწყვდეული კაცის ხსოვნითაც იყო ნაკარნახევი.

სახელის მოსახვეჭად ესეც კმაროდა. იგი, უჩინარი და ცხრა მთას იქით გადაკარგული, მივიწყებული, მიჩქმალული, გადაფარული თავისთავად იგულისხმებოდა, როგორც სტი-მული, თავისთავად არსებობდა, როგორც ფუნდამენტი, როგორც აისბერგი ოკეანის ფსკერზე.

პოეტებს რა ექნათ მეტი, ტროპეუსა და მეტაფორებს ამოფარებულ პოეტებს, მეტაფორა ხომ პოეტის ღია ქრილობაა... ცენზურის ბრწყალებს დახსნილი მათი პოეტური გმირობები, მათი სამწერლო ცხოვრება, ნიშა, ადგილები, სიდიდის, სიმაღლის მაუწყებელი ნუმერაციები, პირველ, მეორე, მესამეები... ტირაჟებითა და პრემიერებული სიგელ-გუჯრებით... ეს ყველაფერი უკვე განსაზღვრული იყო, ყალიბივით ჩამოსხმული, თითქმის დაკანონებული, ყოველგვარი მოულოდნელობებისა და სიურპრიზების გარეშე. ორიოდ კაცი ყოფილიყო ანდერგრაუნდში, ეს საერთო ატმოსფეროს ვერაფერს დააკლებდა.

თუ მაინცდამაინც საჭირო იყო მერაბის აღმოჩენა-გამოჩენა პოეზიის ასპარეზზე, ესეც კლასიკური მოდელით უნდა მომხდარიყო, წესით და რიგით, მისი წასვლის მერე, მისი ამქვეყნად არყოფნის მერე.

ასეც მოხდა, მერე რა რომ კარგა ხნით ადრე ისევ გამსახურდიამ დაასწრო მოვლენებს...

\*\*\*

მერაბ კოსტავა!

სასვენი ნიშნები თავად ირჩევენ პერსონებს, გმირებს. მერაბ კოსტავა გმირი იყო. ამიტომ ძახილის ნიშანს, ქვეცნობიერმა რომ ამოგადო, მთლიანად ეთანხმება ცნობიერება. ამდენი რამის გაგებისა და გადატანის მერე როგორ შეიძლება ეს სახელი და გვარი წარმოსთქვა, ანდა დანერო აღტაცების, აღფრთოვანების, დღეს უკვე მშვიდი და ღრმა სიყვარულის გარეშე.

მერაბ კოსტავა!

თითქოს ყველამ იცოდა, ვინ იყო ეს კაცი. არა მხოლოდ ცნობილი „ანტისოვეტიკი“, როგორც მოკლედ და კონკრეტულად უწოდებდნენ „სხვაგვარად მოაზროვნებს“, არამედ საერთაშორისო დონის დისიდენტი, სივრცისა და საზღვრების გარეშე დარჩენილ უკომპრომისოთა კლანშიც უდიდესი პატივით რომ სარგებლობდა. მაგრამ ამ უსაზღვრო, ღია კოსმოსშიც ღიად იკითხებოდა ეროვნული თვითმყოფადობა, ქართველი კაცის ბუნება, სახეს „ქართული პატიოსნებით“. კონტექსტიდან აბსოლუტურად ამოვარდნილი, ცხოვრების რიტმითა და სტილით არანაირად არ ეთანხმებოდა დრო-ჟამის სულისკვეთებას.

ყრმობიდანვე ბიბლიური სიბრძნით იყო ნაკვები. ფართე ერუდიციამ და ინტელექტმაც ვერ დაჩაგრა მისი გული. იგი არ ჰგავდა თანამედროვე კაცებს, მხოლოდ ტვინით რომ აგემარებენ საკუთარ მომავალს და გულს, როგორც სისხლსაქაჩავ ტუმბოს (მოტორს), ისე უყურებენ. სინამდვილეში კი გულის კანონებით ცხოვრება არ შეუძლიათ, რადგან ეს გულები რახანია ჩამქრალი ვულკანის კრატერივით გაცივებული და დანაცრული აქვთ.

გულის კანონით მოარულთა გზა იგივე გოლგოთაა, ეკლიანი გზაა, მუდმივ განსაცდელეში რომ იწრთობიან. ამიტომაც უწოდა (დაარქვა) მერაბ კოსტავას მისმა უპირველესმა მეგობარმა და სულიერმა ტყუპისცალმა ზვიად გამსახურდიამ „ძე ქარიშხლისა“.

„მამულიშვილნო!“ — ასეთი მქუხარე ინტიმით ამ სიტყვას ვერვინ ამბობდა. თითქოს ესეც ლექსი იყო, უფრო ზუსტად, ღიად პოემის დასაწყისი.

მან დაიწყო და ბოლომდე მიიყვანა ცხოვრების პოემა.

„მამულიშვილნო!“ „მეგობრებო!“ ისეთმა ჟრუნტელმა აიტანა მთელი ერი, ყველა სიტყვა და ყველა ლექსი მის ფერხით დაიყარა ბიბლიურ ბზასავით. ასეთი სიყვარული ამ ორს რომ ერგო, აკაკის და გალაკტიონის მერე არცერთ პოეტს არ ღირსებია სიცოცხლეში. ამ სიყვარულს ვეღარაფერი დაუდგებოდა წინ. თაობათა ზღვარი წაშლილი იყო. „მეგობრებო!“ „მამულიშვილნო!“ ყველას გვეკუთვნოდა, თითქოს ბავშვობიდანვე მათგარი აღზრდა მიგველო, მათ გვერდით გვესწავლოს ისტორია, ფილოსოფია, თავისუფალი აზროვნე-

ბის გემო. რა თქმა უნდა, ეს ასე არ იყო, ყველას ხომ არ ჰყავდა მამად კონსტანტინე გამსახურდია, სამშობლოსათვის თავდადებასა და მსხვერპლად გაღებას ბავშვობიდანვე რომ უნერგავდა ზვიადს და მერაბს... შვილს და შვილობილს... ქვეყანა თითო-ოროლა ამგვარი კაცების, პედაგოგების, ოჯახების იმედად იყო დარჩენილი და სწორედ მათი ღვაწლი განაპირობებდა მარადიული ღირებულებებისადმი ჩვენს სულიერ მზაობას.

გურამ რჩეულიშვილის „ალავერდობა“ ერთგვარი შემფოთებაც იყო ეროვნული ენერჯის უაზრო ხარჯვისა და გაუცნობიერებელი ლტოლვაც ამ ენერჯის შეკრებისათვის ტაძრის გუმბათზე გასული, ხელებგაშლილი ჭაბუკის სახით. ოცნა პაჭკორიას სასონარმკვეთი დიაგნოზი თაობის ბედისწერად რომ ზოგადდებოდა — „ჭაბუკი ადგილზე გარბოდა“ — გამოსავალს ეძებდა. ეს გარბენა, უკვე ვერტიკალში, ღვთისკენ მიმავალი გზის დასაწყისი იყო და შესხენება საკუთარი ხალხისათვის, რომ არსებობს გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი, დიდი ღირებულებები, ვიდრე ამ წუთისოფლის წარმავალ დღეებში ფუსფუსი და ხეტიალია.

1978 წლის 12 აგვისტოს დაწერილ ლექსში — „ძმას ქრისტესმიერს“ კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ მხოლოდ დიდი რწმენისა და დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე ადამიანებს აჯილდოებს უფალი წინასწარჭვრეტის, წინასწარგანცდის უტყუარი ალლოთი. ამ ლექსით მერაბ კოსტავამ სულიერი ძმის — ზვიად გამსახურდიას ბედისწერა და მთელი მისი მომავალი ცხოვრება იწინასწარმეტყველა.

სკეპტიკოსთათვის ძმობის თავდაპირველი ნიმუში აბელ-კაენია. სამყაროში პირველი მკვლელობის ცდუნება, ასე რომ მოინდომა ლუციფერმა და ძველთაძველი გრძნობა შური ძმობის იდენტობად აქცია.

აბელ-კაენი, როგორც გათხრების დროს აღმოჩენილი (უძველესი) არქაული მონეტა; სახიფათო დაწყვილება, სამოთხიდან ეს-ესაა განდევნილი ადამ და ევას მომავალი ბედისწერა;

აბელ-კაენი, როგორც დედის პირველი ცრემლი, როგორც სამყაროს პირველი ოჯახის ყველაზე მწარე სასჯელი.

კაენი!


იმჟამიდან აქამომდე, სამოთხის ნყლებიდან გადინებული, ვერაგულად გაპარული, ურჩობისა და ღალატის მორევს ჩათრეული მზიური ძმობის ჩამონახლეჩი, როგორც ძმათა შორის განხეთქილების ვაშლი.

„ძმას ქრისტესმიერს“ — ღვთის შთაგონებით ეს ლექსი ემ-მაკის მიერ გაჭედული მრუმე ხატის საპირწონედ რომ დადოს სასწორზე მერაბ კოსტავამ, რწმენით გასხივოსნებული ერთგული ძმობის რეალური და პოეტური დადასტურებაა. ათასგვარი სიძულვილის, შურისა და ცილისწამების ღვარცოფებს გაუძლო ამ ძმობამ.

„ვერაფერმა განაქარვოს ხსოვნა გარდასულისა,

საიქოც, სააქოც სუნთქვა არის სულისა“ — თითქოს ამ სიტყვების ძვირფასი თვლებით ქრისტესმიერი ძმების სახეა შემკული.

ზვიადი და მერაბი! — ეს ხატი ჯერაც უგუმბათო ტაძარშია შენახული. ზემოდან ზეცა დასცქერის და ღვთის იმედადაა დარჩენილი.



მერაბ კოსტავა

\* \* \*

უჩვეულოა „ქარიშხლის ძეგ“ ნოდებულის კაცის სიფაქიზე და განცდები. სამსხვერპლოდ შენირული ზვარაკი — ნიკორა იკვლება ტაძრის ეზოში და მერაბის მონანული სულისათვის ეს სურათი სამუდამო, მოუცილებელ ზმანებად რჩება.

**მე იმ თვალბემა გამხდა ავად  
თვალბემა იგი სევდის გუბეა  
სასომიხდილი ვდგავარ პირშავად  
სად ღვთისმშობელი და დიდუბეა.**

საოცარია, თითქოს ნიკორას თვალის სინმინდე სიკვდილის წინარე წამებში, მაცხოვრის მზერის ათინათია, სისუფთავის, უცოდველობის, ქედნახრილი შრომისა და ერთგულების მთელი ზეცა რომ აირეკლება. ამიტომაც ვერმიშველება, ვერგამოხსნა, ეს უტყვი მონშეობა დიდუბის ეზოში სასომიხდილი კაცისა პირშავად სწორედ ღვთისმშობლის წინაშე აღიქმება.

მერაბის ლექსთა უმეტესობა პირდაპირ ფსალმუნებად, საგალობლებად იკითხება. ლოცვის სიმშვიდე, ამ სიმშვიდით მოგვრილი ძალა და ენერგია გადმოდის მკითხველში და ყოველივე ამის თანაზიარი ხდება. XX საუკუნის პოეტთა შორის ასეთი ვნებიანი დამაჯერებლობით, გამოცდილებითა და ძლევამოსილებით არავის გადმოუცია ლოცვის არსი, ის თუ რაში მდგომარეობს ლოცვის ძალა:

**ჭეშმარიტების მიჯნურთა მნდო,  
ბექთა დახშულთა ლოცვა ვარულო,  
მარადი მამის მარადო ძეო,  
რწმენავ, იმედო და სიყვარულო.**

ასე მგონია, არავის ისეთი სიმძაფრით არ განუცდია უცნობი წმინდა მამის ღრმა დაკვირვება — „რა ლოცვა მიაკლდეს სულს, შეძრწუნებული ვიდოდეს იგი“, როგორც მერაბ კოსტავას და ალბათ ამიტომაცაა მთელი მისი პოეზია ლოცვის სისასვსით გაჯერებული.

სულის კარიბჭესთან მდგარი დემონების მუდმივი მცდელობაა შეაღწიონ და სასონარკვეთით ბოლო მოუღონ ადამიანს. მერაბს სძულდა ეს შიში, თავგანწირვით ებრძოდა და ლახვარს სცემდა მის უმცირეს გამოვლინებას.

შეძრწუნებული სულის ინტონაციური გამხელებით საესეა (გადაფითრებულია) გალაკტიონის პოეზია, რომლის ლოცვათაგანაც სული ზოგჯერ მთვარეულივით გადაივლის ლუციფერის ბნელ უფსკრულებზე. გადარჩენილს და უკან მობრუნებულს თავად პარნასის ღვთაება აჯილდოებს უჩვეულო, მანამდე უცნობი ხილვებით, რიტმებით, მეტაფორებით... სიზმრად ქცეულ ცხოვრების გზაზე ბრილიანტივით მბრწყინავი მარტო „სილაში ვარდი“ და „ცის სილაჟვარდე“ რად ღირს, ანდა სამარადჟამოდ მოუცილებელი ხილვა: „მას გახელილი დარჩა თვალბემა, ო! გახელილი დარჩა თვალბემა“... როგორი ნყურვილი გკლავს იმ გრძელი პერგამენტის ტექსტში ჩაიხედო გალაკტიონის ანგელოზს რომ ეჭირა ხელში. რა საოცარი ბუნებრიობით (უშუალობით) გამოითხოვს დიდი პოეტის შიში საყვარელი ადამიანის დასაცავ ლოცვას.

შიშთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავახსენდეს მერაბის ერთი გამაოგნებელი ლექსი, არა მხოლოდ წმინდად მხატვრული სიძლიერის თვალსაზრისით, არამედ მისი სულიერი სიმადლის, ადამიანური შესაძლებლობის ფართე, ნათელი დიაპაზონის გამო. თავად უშიშარი და კეთილშობილი როგორ ხატავს, როგორ გრძნობს და განიცდის საკუთარი ბუნების სრული ანტიპოდის, კაცისმკვლელის, რეციდივისტის პორტრეტს. „განაჩენის მოლოდინში“, ასე ჰქვია ამ საოცარ ლექსს. მართლაც თავზარდამცემი პორტრეტია, რადგან ჩვენ წინაშე მონანული სული კი არ იხატება, არამედ მხოლოდ საკუთარ

თავზე და საკუთარ ბედზე კონცენტრირებული უღვთო ადამიანის შიში სასჯელის წინაშე. არცერთი წამით, არცერთი ნაკვეთითა და ნერვით არ იგრძნობა ტანჯვა და წუხილი მოკლულთა გამო. ესაა სრული შეპყრობილობა (ეგოცენტრიზმი), რომლის შესახებაც იოანე ოქროშირმა უზუსტესი გაფრთხილება დაგვიტოვა: „ემშაკი იმდენად იმაზე კი არ ზრუნავს, რომ ვცოდავდეთ, რამდენადაც იმაზე, რომ ჩვენს ცოდვებს ვერ ვხედავდეთ, არ ვინანიებდეთ მათ და ცოდვილებად ვრჩებოდეთ“.

ამ ვერდანახვამ, სულიერმა სიბრძავემ გახდა სწორედ განაჩენის მოლოდინე პატიმარი ასეთი ცივი, საცოდავი, საპყარი... ლექსში სრულყოფილად გამჟღავნდა მერაბ კოსტავას ბუნება. ის, თუ როგორ იცის, ესმის და ენანება ადამიანი. როგორ ცალცალკეა მისთვის კაცი და ცოდვა, რომელსაც ყოველთვის ბოროტი აერთიანებს.

რწმენა, იმედი და სიყვარულია, რითაც იქსოვება მერაბის როგორც ქრისტიანული სულიერი სამყარო, ისე მთელი მისი პოეზია. ასეთი მართლები და ფაქიზები მხოლოდ ვაჟკაცები არიან. მხოლოდ მათ შეუძლიათ ასე უთანაგრძნოდ დანაშაულის განცდის გარეშე დარჩენილ და შეშინებულ ტუსალს:

**თავი ჭალარით გადაიღება,  
საკნის ბედკრულო მენახევი  
შენს სასჯელს თავზე ავიღებდი,  
ოლონდ ამ ტანჯვაში არ მენახე.**

ტანჯვაცაა და ტანჯვაც. უღვთოთა ტანჯვა შემზარავია. იქნებ პარადოქსულად ჟღერს, მაგრამ — ათასჯერ უფრო შემზარავი, რადგან წუთისოფლის ამ ჯოჯოხეთური, აპოკალიფსური რიტმიდან მოწყვეტილი („სოფელი მოსწრაფებით ირღვევა...“) თითქოს სწორედ ფიქრისა და სინანულისათვის „ნაჩუქარ“ დროშიც კი ვერ ახერხებს ადამიანი საკუთარ თავს ჩაუღრმადედეს, საკუთარი ცოდვები აღმოაჩინოს და დაიტყოს.

**შემაძლებინე მალალო ღმერთო,  
მოყვასთა ჩემთა მუხლი ვუყარო,  
მომძე მკერდიდან არ მომიკვეთო,  
ტრფიალი მისი არ განმიქარო.  
მის გულისტკივილს ვგრძნობდე უსიტყვოდ,  
გავუადვილო წუთისოფელი  
აი, ყველაზე ნაღდი მუსიკა,  
აი, ქართული საგალობელი.**

ჩვენ გვახსოვს გრიგოლ რობაქიძის მიერ ქართული ცეკვის არსის გადახსნა, ფორმისა და შინაარსის საოცრად რაფინირებული, ესთეტიური დაწყვილება ესეიმი: „ქართული გენია როკით განფენილი“.

ასევე გახსნა საგალობლის არსი (ქართული გენიის კიდევ ერთი გამოხატება) მერაბ კოსტავამ ლოგოსით, სიტყვით. მერაბის ლექსის თვისებაა ილუზია, რომ მასში არაფერია დაშიფრული, ყველაფერი გამჭვირვალე და ცხადია. არადა, კითხვის პროცესშივე ვერ იცილებ იდუმალის, საკრალურისა თუ მისტიკურობის შეგრძნებას.

ქალის სილამაზით აღტაცება და მის წინაშე საოცარი მონინება, ერთგვარი უკანდახვევაც კი იგრძნობა ლექსში „სულში ჩაგვლენთოს“, რომელსაც ქვესათაურად მიძღვნა ანერია. ძალაუნებურად მთის უძველესი რიტუალი — ნაწლობა გახსენდება. პირველივე სტრიქონებიდან სრულყოფილი სილამაზისკენ ლტოლვა, მიახლების, შეხების სურვილი არც გონებით, ვიტყვოდი, არც ზნეობით, არამედ რაღაც თანდაყოლილი, სამოთხისეულ უბინობაში მყოფი მამრის ძალისხმევით კავდება თუ ჩერდება. აქ არც წმინდა გონებაა და არც ავადმყოფური მაზოხიზმით ნებისყოფის წრთვნა, არასაც ბერზინი ნატასთან მიმართებაში განიცდის („ჩაკლული სული“). ეს არც გალაკტიონის „რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები“-ა

და არც მხოლოდ ოცნების სიყვარული... მერაბ კოსტავასთან ამ თვალხილული, შენს გვერდით მყოფი სრულყოფილების ჰარმონიითა და სინმინდით მონუსხვავა, აღფრთოვანებაა, განიარაღება... ჩვეულებრივი ვენება, ხორციელი ურთიერთობა აქ ყველაფრის დამინება და ამონურვა იქნებოდა.

ე.წ. თავისუფლებით დარეტიანებული და აღვირახსნილი სამყაროსათვის ეს კრძალვა და თავშეკავება, რა თქმა უნდა, სრულიად გაუგებარია. ბოტიჩელისეულ ქალის მშვენიერებას კი მერაბ კოსტავა ასე მიმართავს:

**შენს ხატზე ვილოცებ, თუკი ეგ მშვენება არის აჟღერება შენი სულისა.**

უაღრესად მნიშვნელოვანი სიტყვებია, იმდენად არა გრძობის, რამდენადაც კოსტავასეული იდეალის გამოხატულებისა. უფრო მეტიც, ქართველი ქალის იდეალია დახატული, როცა პირდაპირ ამბობს პოეტი:

**მრუდე განვირიდე ფიქრების ნაკადი მაგ ქართულ ქალობის ხელყოფას ვშიშობდი...**

რამხელა სიყვარული და ნოსტალგიაა! ძალაუნებურად ნიკოლოზ ბარათაშვილის „ჰოი დედანო, მარად ნეტარნო...“ გახსენდება. ან იგივე გალაკტიონის სიტყვები „სავსე ქართული პატიოსნებით“, რომელიც ამ კონტექსტში ქალსაც და თავყვანისმცემელ მამაკაცსაც ერთნაირად ეუთვნის.

ხომ ნატრობდა ილია, ხომ ზრუნავდა ბაზალეთის ტბის ძირას ოქროს აკვანში ჩაკრულ ჩვილ იმედზე, ჩვენს მომავალზე... გალაკტიონიც ამ იმედებით იყო სავსე, მერე რა, რომ სამშობლოში სამშობლო ენატრებოდა („სხვა ხალხის ისმის აქ ყრიაშული“...). წითელი დროშების ფრიალში ორუელის მადრიდული ხილვებისა არ იყოს, გალაკტიონიც ამ ზიზზიბში, რევოლუციური ქარტახილებიდან, სისხლისღვრიდან და რეპრესირებული გულებიდან გამოვლილ გაუცხოებულ სამშობლოშიც ხედავდა ჭაბუკს, თითქმის ბავშვს — სავსეს ქართული პატიოსნებით. ეს ჭაბუკი, რა თქმა უნდა, მერაბ კოსტავა იყო. ისევე, როგორც ნამითაც არ მეპარება ეჭვი, რომ გალაკტიონის რუსთაველიც ახსოვდა ბავშვი. რა თქმა უნდა, არც ისაა შემთხვევითი, რომ მერაბ კოსტავას ყველაზე საყვარელი პოეტი სწორედ გალაკტიონია. ნაბოკოვის ფროსტზე დაწერილი წერილისა არ იყოს, იგი არა მხოლოდ აღიარებდა პოეტა მეფეს, არამედ ესმოდა კიდევ მისი:

**სიტყვებს აზრებად ისე ასხამდი, უგულველჰყოფდი ლოგიკის ნორმებს.**

ნამდვილ პოეტებს კი აღიარებაზე მეტად, სწორედ გაგების წყურვილი კლავთ.

\*\*\*

გურამიშვილისეული ღალადისი და ერთგვარი ხობისშესხმა „დიდება მოთმინებასა შენსა უფალო იესო“ გახსენდება, როდესაც მერაბ კოსტავას „ღვთისმშობლისადმი“ საგალობელს კითხულობ. მიუხედავად იმისა, რომ ინტონაციური მსგავსების ნამცვრევიც კი არსად ჩანს ლექსში.

**ვნებანი ველარ წარვხოცე, ავმან საავდროდ ვიავე, ნიჭი, ზეგარდმო ნაბოძი, გავფანტე, გავანიავე.**

რატომღაც მგონია, რომ ამ ზეგარდმო ბოძებულ ნიჭებში მერაბ კოსტავა მუსიკალურ და პოეტურ ტალანტს გულისხმობდა. მაგრამ ის, რაც მან წლების განმავლობაში აკეთა, როგორც იღვანა და იტანჯა სამშობლოს სიყვარულისათვის, ციმბირში წლო-

ბით გადასახლებულმა სასო რომ არ წარიკვეთა და ქართველი კაცის, ზოგადად, ქართველი ერის შემეცნებაში ჩატოვა გაუტეხელი, ძლიერი, ღირსებით სავსე ვაჟკაცის სახე განა ნიჭის გაფლანგვა იყო?! განა დაინერებოდა ეს დიდებული ლექსები მისი ურთულესი გამოცდილებისა და ბიოგრაფიის გარეშე?!

მერაბის ლექსები, მისივე სულის, გონების, ცხოვრების ზუსტი ანარეკლებია, მისი სიფაქიზის, სიძლიერის, უბინობის, ძალისა და ღირსების ჰიმნია. უბრალოდ, როგორც ხდება ხოლმე, ჟამთა სიკვამ დროთა ქარტახილებმა, იგი „ქარიშხლის ძედა“ აქცია, გმირად აღიარა და დროებით შეინახა მისი პოეტური გენია, როგორც ნიჟარები მალავენ და ინახავენ დროებით შებურული მარგალიტის ციმციმს.

მერაბის ლექსის ინტონაციას ფაქტობრივად ორი რამ გამოარჩევს თუ განსაზღვრავს (ან იქნებ წარმართავს), ქართულ პოეზიაში — ესაა **რწმენა უფლისა და დარდი ურწმუნოთა გამო**. ეს უკანასკნელი მთელ თაობებს რომ უკარგავს „უგზობის ქვეყანაში“ ტაძრისაკენ მიმავალ გზას.

გალაკტიონის არქივის ოკეანისეულ ხილრმეში დალექილია ამ დარდის საოცარი კრისტალები: „მოუნათლავი ბავშვები სკოლისკენ მიიქარაინ“.

საბედისწერო დაუცველობის რა სევდიანი ინტონაციითაა ეს სიტყვები დაწერილი. თითქმის იგივე შემოფოთება რომ ახლავს „ქუჩაში, მტვერში ნაქცვა ბავშვი...“ ქალაქის ჯოჯოხეთური რიტმი და ნევროზი წარმოშობს ამ არცთუ ისე უსაფუძვლო განგაშს. სოფლის ორლობები ნაქცეული ბავშვის გამო მსგავსი შემოფოთება ხომ წარმოუდგენელია... ნეტავ, რომელი აივნიდან ან სარკმლიდან გასცქეროდა დიდი პოეტი ქუჩაში გაჩქარებით მიმავალ მოუნათლავ ბავშვებს.

„თ ე თ რ ი ქ ა ლ ნ უ ლ ი“ — სიტყვებით დაწერილი სიმფონია, რომლის პარტიტურის ნაკითხვისას ნებისმიერი ორკესტრანტი ბედნიერია, რომ მისი ხელისშეხებითა თუ სულისჩაბერვით ინსტრუმენტმა ულამაზესი მუსიკა სამყაროს უნდა მიმოაფინოს. ეს არის მსუსხავი ექსტაზის რაფსოდია, მაესტრო კოსტავას მუსიკა. აქ თითოეული სიტყვა „უფლის საცერშია“ გაცრილი და ამიტომაც გახსენდება გალაკტიონის მონოდედა: „სული გვექონდეს უსპეტაკეს თოვლისა“. ესაა სხვადასხვა გრძობის ნოტების „ქალწულებივით ხიდიდან ფენა“.

**მწველია, მწველი ქალწულის თავზე ფიფქი, რადგანაც მეძვირფასება როგორც ქალდეველს უღრუბლო ცაზე უკვდავ ვარსკვლავთა ააღმასება.**

.....  
**მწვავდი ნესტანურ მზერით ჯიქურით მონათებდი, როგორც ქალღმერთი, ვარდობის თოვლით გადაფოქული ქალწული აღმას ფიფქივით თეთრი. ანაზდად პირი იბრუნა ბნელმა ზეცამ სივრცეებს მოხსნა სარქველი და უჩინარი მლოცველის ხელმა ერთად დაანთო ყველა სანთელი. ის ღამე ჰგავდა თეთრ ლიტურლიას, აჩახჩახებდა ყინვა კანდელებს და უკიდებდა ძილს ლეთარგიულს თეთრი პეპლების კორიანტელებს.**

ვის უთქვამს მერაბამდე ფიფქზე ასეთი რამ:

**ფანტელი — დვრიტა თეთრი სიჩუმის, სიჩუმე — კარი მარადისობის.**

არის ლექსები, რომელთა ნამლექავი ენერგია ერთი შეხედვით სისასტიკის გამომხატველია... მოულოდნელობას ერთბაშად აცხრობს საყვარელი ქალის ხატება:

ველარ ვიოკებ შეშლილ სუნთქვას დაწყველილ ალებს, მივდივარ შენგან, ბალდახინით შევიბურები, საბუდრებიდან ამოვითხრი ყაჩაღის თვალებს, შენ შემოგნირავ, რათა დასძლენ შენი ყურებით.

.....  
ქარონის ნავით გადავირბენ პირველ ქაოსებს, ეთერის ჭავლებს ავაკვნესებ ცეცხლის ხოფებით, საიქიოშიც მე ვიგლოვებ სააქაოზე, რადგან ძვირფასო, აქ, მინაზე შენ იმყოფები.

უცნაური განცდა გიპყრობს ამ ლექსის კითხვისას, საოცარი ინტერესი — ვის ეკუთვნის ეს სიტყვები, სულის დამთუთქავი გამომშვიდობება, ვინაა ადრესატი, ვინ არის იგი, ვისაც ასე გულსმომწველად ვერ ელევინა: შვილი? ცოლი? სატრფო? დედა? ცა? მინა? ან იქნებ ყველა ერთად, სამშობლოს რომ ნიშნავს.

მერაბ კოსტავას მთელ ცხოვრებასა და შემოქმედებას საოცრად მოუხდებოდა ეპიგრაფად მისივე სიტყვები: „დავაპრობოთ ლეტოს, დავინყებინ წყეულ მდინარეს“.

ეს მდინარეა, ნიაღვრებად რომ მიუშვებს ხსოვნას. აქ უკვე აღარ ისმის შეკითხვები, აღარც ინტერესია, არც ეჭვები. აშკარაა, რომ ეს სტრიქონები ზვიადისა და მერაბის მთელი ცხოვრებისა და შემოქმედების კუთვნილებაა, მათი რწმენის გამარჯვებაა.

„ლ ე ქ ს ი“ — მერაბ კოსტავას ერთ-ერთი შედეგის სათაურია, რომელმაც შესაძლოა ტიცციანის „ლექსი-მეწყერიც“ გაგახსენოთ.

**დაე, ერთ სუნთქვად, ერთ დაკვრად  
გადიჭდოს ჩვენი ჭიდილი,  
სიკვდილი შენი ნურვინ სთქვას,  
სჯობს ისევ ჩემი სიკვდილი.**

ორივე პოეტმა აბსოლუტურად განსხვავებულად, მაგრამ ერთნაირი ენერგიითა და ძალისხმევით გამოხატა ზოგადად პოეზიის ძალა და მნიშვნელობა სამყაროსათვის. ამ ლექსის გადაამკიდე სულ გინდა დაიძახო:

მოჯარდით, მოჯარდით, სასონარკვეთილო ქართველებო. ჩვენი სიცოცხლე ცხოვრებიდან გამოტანჯული ლექსია, ტანჯვისავე დამთრგუნველი. სიკვდილის, მონყენის, გამოფიტვის, გავერანების დამთრგუნველი. იმედისა და სიყვარულის ისევე ამყვავილებელი, როგორც ეს წყალსა და მზეს შეუძლია.

სიტყვების ლექსად მომთინიერებელ ამ სტრიქონებში უკვე მოჩანს შავი ჩოხის კალთის ფრიალი. ცხენზე ამხედრებული მერაბი შავლეგოა, ლექსი კი ზღაპრული რამია, ცხენია, ულაყია. ამ ლექსში ბარათაშვილის მერნის გახელებაც ისმის და „ლურჯა ცხენების“ ფლოქვების თქარა-თქურიც. მე რომ რეჟისორი ვიყო, ამ ტექსტის მუსიკალურ ფონზე XX საუკუნის ლეგენდას გადავიღებდი...

მერაბის ლექსის, ზოგადად მისი ადამიანური, კაცური ენერგიის რესურსსაც და მის მუსიკალურ სუბსტანციასაც ამ ლექსში ვხედავ. ესაა წყარო, საბადო, ოაზისი უდაბნოში. ამ საყოველთაო ვაკუუმში, დღევანდელი პოეზიის ჩამომჭკნარ, ასიმეტრიულ ბალებში მერაბის პოეზია აღმოსაჩენი სულის-მოთქმა და უანგბადია. იმდენად მძლავრი ჭავლები და ნაკადები მოედინება მისგან, იმდენად ფუცხუნა, სუფთა და კრიალა ჰაერი, რომ ამღვრეულ, ბინძურ სამყაროში დიდია შანსი მისი ლექსის სინმინდით მოინამლო კიდევ.

როგორც გამოჩენილი მეცნიერი, ქირურგი და მღვდელმთავარი, წმინდა ლუკა (ვოინო-იასენეცკი) ამბობს: სული მატერიალიზდება და ხშირ შემთხვევაში ისეთ გამომსახველობას (იერს) იძენს, როგორიცაა თავად სული — კეთილი თუ ბოროტი, მშვიდი თუ ავი, მტაცებელი თუ მიმტევებელი...

მერაბ კოსტავას კეთილი სული იშვიათი სისადავითა და სილამაზით ამოზიდავს ჰორიზონტზე მაცხოვრის ძვირფას ხასებს:

ბალო ლომისფერფაფრიანო, მკათათვისფერი თმისაო, სერაფიმ საგალობელო, უფსკრულო სინათლისაო... ამსოფლად მოვლინებულო შენ ბინადარო ცისაო, ხელთუმტკიცესო ბეჭედო მაღალი განზრახვისაო.

თუ ასე არ გიყვარს და ასეთი ახლობლობა არ გაკავშირებს, წარმოუდგენელია ხოტბის ამგვარი შესხმა, თითქოს წმინდა მამათა შეფასება და ბეჭედია დასმული. საოცარია მშობლიური, ხალხური ინტონაციით სამყაროსათვის ღმერთის ასე გამჟღავნება და გაცნობა.

\*\*\*

ცალკე თემაა სტიქიები მერაბ კოსტავას შემოქმედებაში. წყალი, ქარი, ცეცხლი... თავდაპირველი სახითა და ენერგიით წარმოჩინდებიან. ოკეანე წარღვნად ამხედრებას აპირებს და ადამიანებს თითქოს წინასწარ უხატავს წყლის სტიქიას, როგორც ცოდვათა სასჯელს, როგორც ნებლოზის მოდუნების შედეგს. წარღვნის მუსიკალური ტალღებითა და მუქარებით ღელავს მერაბ კოსტავას ლექსი „ეტიუდი ცე-მოლი“.

ავტორი ამ შედეგში დაჭიმული ისარია. ეს არის პროცესის ჩვენება, თუ როგორი ქარიშხლიანი, ოკეანისეული ვნებები დულს ადამიანში და რა ძალმოსილება სჭირდება მას დემონების დასამარცხებლად. არა მხოლოდ ეს ლექსი, არამედ ზოგადად მერაბ კოსტავას პოეზია შეიძლება ჩაითვალოს ერთგვარ ქრესტომათიულ ნიმუშად იმისა, თუ როგორ უნდა საკუთარ თავთან ომის მოგება.

პოემა „შიმშილობა“ კი ამ მხრივ საერთოდ ცალკე კვლევის საგანია არა მხოლოდ ფილოლოგთა, არამედ სხვადასხვა მეცნიერებების წარმომადგენელთა მხრივაც.

„სიკვდილთან პაემანი“ შიმშილობის მერვე თვესაა დაწერილი. ჰამსუნის მერე შიმშილის, როგორც სტიქიის, როგორც მისტერიის ასეთი სკრუპულოზური აღწერა არ მახსენდება. ორივეს თანაუგრძნობ, ორივე პროცესის თანამონაწილე ხდები.

მერაბ კოსტავას ამ უნიკალურ, ავტობიოგრაფიულ თავგადასავალში ადამიანური ბედისწერისა და შესაძლებლობების ისეთი ზღვრული განზომილებებია ნაჩვენები, სუნთქვა გეკვრის. თვალნათლივ ხედავ სერაფიმ როუზივით როგორ აკონტროლებს და დაჰყურებს მერაბის სული მისსავე სხეულს. მან იცის რატომ შიმშილობს, რატომ ეთამაშება მატადორივით სისხლიან კორიდას თავისუფლების სახელით. ჯერ რვა დღე შიმშილობისა და ახლა რვა თვე!!! გააზრებაც კი წარმოუდგენელია. როგორც საზვერეებს, ისე მისდევ მერაბის დაკვირვებებს და აღმოჩენებს. გაოგნებული ხარ იმ ღვთაებრივი პატრუქით, რომლის ნიაღმიც რახანია აორთქლდა, გამოშრა ყოველგვარი სანვაი, მაგრამ მაინც ანათებს სული, ანათებს კი არა, კამკამებს, როგორც ღვთაებრივი სასწაული. ეს ლექსი თვითხილული მაგალითია სულის უპირატესობისა, სულის გაძლებისა და მხნეობისა, როცა მიზანი სიცოცხლეზე მეტია.

მერაბ კოსტავას ცხოვრებისეული და სულიერი ბიოგრაფიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი, საინტერესო ფაქტია გადასახლებაში მის მიერ რუსულად დანერგილი ლექსები.

ციხის შიდაგანაწესის და პოლიტიპატიმრის მიმართ საგანგებოდ გამძაფრებული ადმინისტრაციული კონტროლის გამო პატიმარს ეკრძალებოდა სხვა ენაზე (გარდა რუსულისა) ერთი სიტყვის დანერაც კი.

მერაბ კოსტავამ ენობრივი ბარიერით შექმნილი წინააღმდეგობაც კი სათავისოდ გამოიყენა. პოეტური ტალანტისა და შეუპოვარი ხასიათის წყალობით შექმნა არაჩვეულებრივი ლექსი (Родная речь), რომელიც როგორც ქართულის, ისე ზოგადად, სამყაროში არსებული ყველა მშობლიური ენის ქებათა-ქებას წარმოადგენს.



რუსულად დაწერილ ლექსებშიც მთლიანად გამჟღავნდა მერაბის მდიდარი სულიერი სამყარო, მაგრამ რაც ყველაზე განსაცვიფრებელია, ეს მოხდა უცხო ენის ისეთი ღრმად ორგანული ცოდნითა და ლექსიკის ისეთი ზუსტით, გემოვნებრივად შერჩევით, რომ მათი გაცნობისას არ შეიძლება სასიამოვნოდ გაოცებული არ დარჩეს მკითხველი.

გამომცემლობა „ინტელექტის“ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ „100 ლექსის“ პროექტით საზოგადოება მერაბ კოსტავას რუსულ ენაზე შექმნილ პოეზიას პირველად გაეცნობა.

რა კატასტროფული სიჩქარით დაიწყო რღვევა ქრისტეს-მიერი ძმების ნასვლის მერე. როგორ თვალხელშეუა, მიზანმიმართულად წარმართა პროცესები, ერთი შეხედვით ქაოტური და უმართავი. როგორ შეგნებულად მოხდა ყველაფრის დამცრობა, გაუგებელყოფა, განეიტრალება, აბუჩად აგდება... მერაბ კოსტავას „შიმშილობის“ ფონზე ზუსტად იკითხება ნებელობის მოდუნება, ნებისყოფის დაცემა და ჩვენი სულიერი კარდიოგრამა.

ცალკე თემაა და ცალკე სამყაროა მერაბ კოსტავას აპოკალიფსური ლექსები.

**ეს რა ხვაშიადი ჩაითქვეს ერებმა,  
უსისხლოდ გამართეს კაცთა სასაკლაო,  
ბოროტს მიეყიდნენ და მეცნიერება  
თავად დედამიწის ხდება მესაფლავე.  
გონება ეფლობა სიბილნის სკორეში,  
ირყვება ბაღის ჯერაც უმნიფარო,  
ისე გადაეშენენ სოლომის მორევი,  
ურცხვი ეროსიც კი თვალზე ხელს იფარებს.  
ოდესღაც ჰყვაროდა რწმენის მისტერია,  
ჰყვაროდა ბუნებაც ციერთა ნასახი  
იცოდნენ ფუტკარი მეფის მწერია,  
რომ თავად ქრისტე არის ვენახი.**

მერაბს ენატრება ის დრო, როცა მოყვასს უყვარს მოყვასი, უიტმენისა არ იყოს, „როცა ვხედავ, როგორ უყვარს ქალაქს ქალაქი, როცა ვხედავ, რომ ქვეყანას უყვარს ქვეყანა“.

ბიბლიური რემინისცენციები დროსა და სივრცეში არ ქარწყლდება, რადგან სამწუხაროდ ადამიანი იგივეა მარად და მარად. რადგან ინტელექტუალურ ფერიცვალებას თან არ სდევს სულიერი ფერიცვალება. რადგან ტექნიკური პროგრესი, ე.წ. მეცნიერული პროგრესი სულაც არ გულისხმობს სულიერ პროგრესს. პირიქით გაამპარტავებული და თვითკმარობის ილუზიით შეპყრობილი ადამიანი რეალობის გრძობას კარგავს და მას ეჩვენება, რომ სამყარო მის მიერ კონტროლირებადია.

მერაბი განუწყვეტლივ იკვლევს კაცთა მოდგმის წარმომავლობას. მის პოეზიაში ცოცხლდება აბრაამი, ვინც სამყარო ახალი ხედვით, ცოდნით, სიმბალით გაამდიდრა, გააკეთილმობილა, ვინც

**ახარა ნერგი თვითშეზღუდვით შეუზღუდველთა,  
დაჰგმო, დათრგუნა როს გოდოლი ბაბილონისა.**

მერაბი აბრაამს „იმ ეპოქის პირველ კაცს“ ეძახის... მის მონუმენტურ პოეზიაში არა მხოლოდ ბიბლიური ძეგლებია აღმართული (ნოე, აბრაამი, სარა, ფარაონები...), არამედ ქართველ წმინდანთა დასიც. მერაბს თავისი ხატუნების კანონები აქვს. ამ კანონითაა შესრულებული ივერიის მნათობის, ქეთევან დედოფლის პოეტური ხატი. ეს მისეული ნათებაა, მისეული სურნელი და გამოსხივება.

რა გულისდამთუთქველი, ამავე დროს რა მანუგემებელი სიტყვებით დასტირის მერაბი თავის დაღუპულ ვაჟიშვილს ირაკლის. ჯოჯოხეთში მყოფი, ციმბირულ გულაგში შეიტიკობს შვილის გარდაცვალების ამბავს:

**ო, როგორ ვდარდობ, როგორ ვინაღვლი,  
ან მომხდარს რომ ვერ გადაველობე,  
კიდევ კარგი, რომ ჩემთვის ირაკლი,  
გარდაცვლილები არ არსებობენ.  
და არ კვდებიან და არც ქრებიან,  
გარდიქმნიან ღმრთივ საოცრებად,  
რადგან ისინი მუდამ რჩებიან  
ჩემთვის ცოცხლებზე უფრო ცოცხლებად.**

აი, მთელი საქართველოს შვილმკვდარ მშობელთა დამწვარი სულების კოსტავასეული უებარი მალამო.

მერაბ კოსტავას ვრცელი ლექსები, განსაკუთრებით კი პოემები მონუმენტურ ფერწერასაც მოგვაგონებს და კედლის მხატვრობასაც თავისი უნიკალური ფრესკებით. მერაბის ბიბლიური ხსოვნის უდაბნოში ქვიშა ცხელია და მწველი, ხოლო აღმართული ძეგლები — ხსოვნის წყურვილით გალიცილიცებული, ნოტიო და მფეთქავი.

დაბურული ტყის სინოტივეშია შეყუყუული მამა დავითი („ღირს მამა დავითს“), რომელიც ტაძრული სიმყუდროვითა და სიგრილით სუნთქავს.

მამა დავითთან ერთად ეს საგალობელი ღვთის მოციქულებს, ცამეტ ასურელ მამასაც ეკუთვნის. ჩვენთვის ზვიადი და მერაბიც ღვთის გამოგზავნილი მოციქულებივით იყვნენ.

ლექსი „ღირს მამა დავითს“ ქართული პოეზიისათვის ისეთსავე ძვირფას ღირშესანიშნაობას წარმოადგენს, როგორც მთანმინდა თბილისისათვის. ბევრი იცნობდა, ბევრს უყვარდა მერაბი, მაგრამ მხოლოდ მიძღვნის ადრესატმა — მამა დავითმა და უფალმა იცოდნენ, რომ ქართველი ხალხის ეს უანგარო, თავდადებული რაინდი არა მხოლოდ ეროვნულ ლიდერად, ეროვნულ გმირად უნდა მიეღო წმინდა მთას, არამედ როგორც ნამდვილი შემოქმედი და პოეტი, ისეთი პოეტი, რომლის გვერდით ყოფნას და სიცოცხლეს ყველა კულტურული ერი ინატრებდა. იგი იყო სისავისის, სისუფთავის, თავდადებისა და თავმდაბლობის ნიმუში. მერაბს თითქოს საკუთარი სტრიქონებივე მიაცილებდნენ ბოლო გზაზე:

**სიმდაბლე თავად დიდების გზით მიემართება.**

რა ბედნიერებაა, რომ ქართული პოეზია ასურელ მამათა საოცარ ღვანლს ვალში არ დარჩა... მერაბ კოსტავამ მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად მეოცე საუკუნის მინურულს ასეთი დიდებული ჰიმნი ალაგვინა.

**მოხვედით დასი ათცამეტი მწირთა ასურთა,  
როს შორეული მყინვარწვერის ელავდა ქიმი,  
უკვდავებასთან დადებული აღთქმა ასრულდა,  
და თბილისს ცაზე აღებუქდა ღვთისმშობლის ღიმი.**

\*\*\*

მეოცე საუკუნის მინურულს ღვთისმშობლის ღიმილი ორჯერ აღიბეჭდა თბილისის ცაზე, მამადავითის შემოგარენში.

პირველად, როცა მერაბის ნეშტი მიიბარა წმინდა მთამ და მეორედ, როცა სიჩუმის მისტერიაში ქრისტესმიერი ძმის, ზვიად გამსახურდიას ნანამები სხეული დაიკრძალა მის გვერდით.

მჯერა თუ მეოცნებება, ამიერიდან, ყოველ გაზაფხულზე ვარდობისთვის, მაისობისას მთანმინდისაკენ მიმავალ პატარებსა თუ შეყვარებულ გოგო-ბიჭებს ყელზე წითელბაფთაშებმული უცოდველი ბატკანივით წინ წარუძღვება მერაბის ლექსის სტრიქონები:

**კაეშანი გადამიგდე, დარდი განუკურნელი  
დამიმკვიდრე სულში ქრისტე და აღდგომის სურნელი,  
ნუში, მთები და ველები, შუქთა ფენა მთიების,  
თეთრი, თეთრი ყვავილები, თეთრი ეკლესიები.**



ავთანდილ ვარსიმაშვილი

# „ყველაფერი კარგად იქნება“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— როდესაც იმედს კარგავ, ესაა ყველაზე უკიდურესი გაჭირვება.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— არ არსებობს ჩემთვის სხვა ქვეყანა, მხოლოდ საქართველოში.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— როცა გიყვარს და უყვარხარ, როცა ხედავ რომ ისინი ვინც შენ გიყვარს ბედნიერები არიან.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— ჰამლეტი, მიშკინი.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— იესო ქრისტე.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— ვან გოგი.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— ბახი, მოცარტი, შუბერტი, მაღერი.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?

— ღირსების შეგრძნებას.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— სიტბოს მოცემის, მხარდაჭერის, გვერდში დგომის.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— სიყვარული.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— შემოქმედება.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდით ყოფილიყავით?

— ავთო ვარსიმაშვილი.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— საქმის ბოლომდე მიყვანა.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— თანადგომას.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— ჰიპერბოლური პასუხისმგებლობა.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— როცა მხოლოდ მათ სახეებს ხედავ ვინც გიყვარს და უყვარხარ.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— ახლობლების დაკარგვა.

— როგორი გინდოდით ყოფილიყავით?

— ნაკლებად მგრძობიარე, ასე უფრო ადვილი იქნებოდა ცხოვრება.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— ლურჯი.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— იასამანი.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— თუთიყუში.

— თქვენი საყვარელი მწერლები?

— შექსპირი, დოსტოვესკი, ბულგაკოვი.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— გალაკტიონი, პუშკინი, მაიაკოვსკი, ბროდსკი.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— კარმენი.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— ჩემი მსახიობები.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— მერი შერვაშიძე, ანნა კერნი, ლილია ბრიკი, ზინაიდა რაიხი და ა.შ. ყველა ის ქალი ვინც გენიოსების მუზა იყო.

— საყვარელი სახელები?

— გიორგი, მარიამი.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— უპასუხისმგებლობას.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზლი დაიმსახურა?

— ძალიან ბევრია, ძირითადად პოლიტიკოსები.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები ალტაცებისა?

— არც ერთი.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— არც ერთი.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— პოლიგლოტობა.

— როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

— რომ არც ერთ ახლობლებზე სადარდებელი არ გამყვეს.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— დაძაბული.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— ყველა, რომელიც ჩადენილი იქნა ემოციებიდან გამომდინარე და არ იყო წინასწარ გააზრებული და დაგეგმილი.

— თქვენი დევიზი?

— ყველაფერი კარგად იქნება.

— თუკი ოდესმე შეხვდებით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— ვისურვებდი ეთქვა რატომ გვართმევს იმას რასაც თვითონ გვაძლევს?



სამშაბათს, 3 დეკემბერს  
 ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“  
 დარბაზში გაიმართება  
 განხილვა

ვაჟა შუბითიძის  
 მონოგრაფიისა

„ნიკო ნიკოლაძე —  
 კაცი-სახელმწიფო“

მომხსენებელი  
 ნინო ვახანია

დასაწყისი 14 საათზე  
 ჩუბინაშვილის 41

ეკატერინე ტუკვაძე

# ფანის ფანები

„თბილისი ლამით, სიბნელეში, ლამპიონების შუქზე გავიცანი. გავიცანი მისი ხალხით. შევედი თეატრის ჩაბნელებულ სცენაზე და დავინახე სინათლეები, შუქი, ადამიანები, რომლებიც მესაუბრებოდნენ...“ ფრანგული კინოს ცოცხალი ლეგენდის, **ფანი არდანის** დღიურში ეს სიტყვები ალბათ უკვე სათუთ მოგონებად ჩაინერა. მან ეს სიტყვები მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე გამართული მასტერკლასისას წარმოთქვა. ფანი არდანის თბილისური შთაბეჭდილებებით ერთ-ერთი დამწყები მსახიობი დაინტერესდა — სახელოვანი მსახიობი საქართველოს დედაქალაქს ხომ საკუთარი სურვილით ეწვია. მისი მასპინძლები საქართველოში ეროვნული კინოცენტრი, ფრანგული ინსტიტუტი და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო იყვნენ. ვიზიტის მიზანი ფანი არდანის მესამე ფილმის — „აკვიატებული რითმები“ — მსოფლიო პრემიერა გახლდათ.

თბილისში ჩამოსული ვარსკვლავი თავდაპირველად მედიას შეხვდა. პრესკონფერენცია სასტუმრო „პოლიდეი ინსი“ გაიმართა. თავისი ასაკისათვის უჩვეულოდ მოხდენილმა, ელეგანტურმა და თბილმა ქალბატონმა საქართველოსთან დამოკიდებულებაზე ბავშვური გულწრფელობით ისაუბრა, შემდეგ კი ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხა.



ეკატერინე ტუკვაძე, ნანა ჯანელიძე, ფანი არდანი

„მეუბნებიან, რომ საქართველოში ვარ, მაგრამ ამას ჯერ ვერ ვაცნობიერებ. თბილისში ლამით ჩამოვფრინდი და პირველი შეხვედრა სწორედ თქვენთან მაქვს. კარგია, რომ თქვენით ვინყებ. თქვენ შორის შეიძლება კინომცოდნეებიც არიან, მაგრამ ფაქტია, საფრანგეთი გიყვართ, რადგან ჩემ სანახავად მოხვედით“, — მომხიბლავი ღიმილით მიმართა ფანი არდანმა ჟურნალისტებს.

როგორც ლეგენდარულმა მსახიობმა აღნიშნა, მას საქართველოს გაცნობის დიდი სურვილი ყოველთვის ჰქონდა. ამიტომ გადამწყვიტა, მისი რიგით მესამე სარეჟისორო ნამუშევარი პირველად სწორედ ქართველ მსახიობებს შეეფასებინა.

„პირველი შეგრძნება, რაც საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ გამიჩნდა, უდიდესი სიხარული იყო. ამ ქვეყანაზე მუდამ განსაკუთრებული და რომანტიკული წარმოდგენა მქონდა. ჩემს წარმოსახვაში ის მსოფლიოში გამორჩეული ადგილი იყო. საქართველოდან **მიხეილ კალატოვის, ოთარ იოსელიანს, თენგიზ აბულაძეს** ვიცნობ. ქართული ხელოვნების შესახებ ბევრი რამ მსმენია, მაგრამ ამაზე საუბარი შორს წავიყვანს“, — აღნიშნა ფანი არდანმა.

ფრანგმა სტუმარმა ისიც გულწრფელად გავიანდო, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ტურისტული აღმოჩენა არასდროს უყვარდა. ის ხალხით უნდა გაიცნო, რადგან ცოცხალი ადამიანები უფრო მნიშვნელოვანნი არიან, ვიდრე ისტორიული ძეგლები. ხატოვანი და ორიგინალური იყო მისი პასუხიც კინოს რაობაზე.

„კინო ერთგვარი ბოთლია, რომელსაც რეჟისორი ზღვაში გადაადგებს და სად გამოირიყავს, არავინ იცის. ჩემი ფილმი საქართველოში გამოირიყა და ბედნიერი ვარ, რომ ქართველი მსახიობები ჩემს რიგით მესამე სარეჟისორო ნამუშევარს იხილავს. მასზე მუშაობას ერთი წელი დაეუთმე. ის მოგვითხრობს, თუ როგორ წყდება ორ ადამიანს შორის ურთიერთობა, მაგრამ სიყვარული არ მთავრდება. ეს ფილმი ჯერ ფრანგებსაც არ უნახავთ“, — გაგვიმხილა ფანი არდანმა.

ჟურნალისტები იმითიც დაინტერესდნენ, თუ როგორ უთავსებს ერთმანეთს ფანი არდანის მსახიობისა და რეჟისორის პროფესიებს. როგორც ფრანგმა ვარსკვლავმა აღნიშნა, ის მზარეულივით იქცევა, რომელსაც ერთდროულად რამდენიმე ქვაბი უდგას ცეცხლზე და ერთად ამზადებს საჭმელს. მსახიობის ამპლუაში ყოფნის დროს იგი ყველას სამყაროში შესვლას ცდილობს, რეჟისორის გადასაღებ მოედანზე დგომისას კი, პირიქით, ცდილობს, სხვებმა დაიდონ ბინა მის სამყაროში. თუმცა ორივე ამპლუას უდიდესი მამოძრავებელი ძალა აქვს.

მოკრძალებული აღმოჩნდა ფანი არდანი მისთვის საყვარელ რეჟისორებზე საუბრის დროსაც. როგორც მსახიობი გამოგვიტყდა, მას ჯილდოები და პრიზები არასდროს ჰყვარებია. შესაბამისად, არც ის გამორჩეული კინორეჟისორები და თეატრის რეჟისორები დაუსახელებია, რომლებთანაც უმუშავია.

„არ მინდა, რომელიმე რეჟისორი დავასახელო. პრიზები და ჯილდოები არ მიყვარს და რომელიმე რეჟისორი რომ გამოვიყო, უკვე ერთგვარი ჯილდო იქნება. ამ რეჟისორებთან მუშაობა დიდ სიამოვნებას მანიჭებდა, დიდ ენერჯიას გავცემდი და ასევე დიდ ენერჯიას ვიღებდი. იმ ფილმებს, რომლებშიც გადამიღეს, წარმატება არ ჰქონია, თუმცა მე დიდი სიამოვნება და ბედნიერება მომიტანა. ეს შეკითხვა სიცოცხლის ბოლო წუთებში, ჩემს სასთუმალთან უნდა დამისვიათ და მაშინ გიპასუხებთ, რომელი რეჟისორი იყო ჩემთვის გამორჩეული“, — აღნიშნა ფანი არდანმა.

შეხვედრაზე მყოფებმა ფანი არდანის ბიოგრაფიის ის ეპიზოდები გაიხსენეს, როცა მან 17 წლისამ უნივერსიტეტში პოლიტიკური მიმართულებით ჩააბარა და დაინტერესდნენ, აპირებს თუ არა პოლიტიკურ თემაზე ფილმის გადაღებას. როგორც მსახიობმა აღნიშნა, იგი პოლიტიკურად ანგაჟირებული არასდროს ყოფილა. გვითხრა, რომ კინოში არა პოლიტიკური, არამედ სულიერი აღზრდისათვის დადის. მისი მოსაზრებით, მუსიკოსებსა და დრამატურგებს უფრო დიდი გავლენის მოხდენა შეუძლიათ საზოგადოებაზე, ვიდრე პოლიტიკურ დოქტრინებს.

პრესკონფერენციის დასასრულს მსახიობი არ დაგვზარდა და ჟურნალისტებთან რამდენიმე სამახსოვრო ფოტო გადაიღო. **თიკო ციცივიძემ, ქეთევან მღებრიშვილმა** და **გია გოგატიშვილმა** ფოტოალბომები ერთიმორეზე უკეთესი კადრებით გაგვიმდიდრეს. „ფანის ფანები ვართო“, — ერთხმად შევნიშნეთ კიდევ დარბაზში. მე კი ცნობილ ადამიანებთან შეხვედრის ჩემეულ ტრადიციას არ ვუღალატე და სტუმარს ჩვენი სამშობლოს ღვინის ტურიზმის შესახებ გამოცემული წიგნი ვუსახსოვრე. **თიკო ციცივიძის** ფოტოობიექტივმა სამუდამოდ აღბეჭდა ფანი არდანის ალტაცებული სახე, როცა ის ჩემს საჩუქარს ინტერესით ათვალიერებს.

„ამ წიგნს პარიზში წავიღებ“, — მითარგმნა თარჯიმანმა ჩემთვის ესოდენ მნიშვნელოვანი მისი სიტყვები.

ჟურნალისტებთან შეხვედრიდან ფანი არდანმა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გადაინაცვლა, სადაც გაცილებით ძვირფასი საჩუქრები უკვე მინისტრ გურამ ოდიშარიასგან მიიღო. აქ მას ფრანგულ ენაზე ნათარგმნი „ვეფხისტყაოსანი“ და ეროვნული ორნამენტებით შემკული, მინანქრით შესრულებული გულსაბნევი უსახსოვრესი ფანი არდანმა სამკაულით გულისპირი მაშინვე დაიმშვენა. გურამ ოდიშარიას ხუმრობამ კი არ დააყოვნა:

„ძალიან მშურს ამ სამკაულის ავტორისა, რადგანაც მისი ნაწარმოები ძალიან პოპულარული გახდება“.

უკომენტაროდ არც ფრანგულენოვანი „ვეფხისტყაოსანი“ დარჩენილა.

— საქართველოში კიდევ ჩამოვალ და იმ შთაბეჭდილებებს გაგიზიარებთ, რომელსაც ჩემზე ეს წიგნი დატოვებს, — აღნიშნა ფანი არდანმა.

— ჩვენ კი ფანის არდანს კარგი სცენარის დაწერას დავპირდით, რათა ქართველებმა და ფრანგებმა ერთობლივი ფილმი გადავიღოთ, — განაცხადა გურამ ოდიშარიამ.

ამის შემდეგ ფრანგ ხელოვანს უკვე მარჯანიშვილის თეატრმა უმასპინძლა, სადაც მან სტუდენტებისა და მსახიობების შეკითხვებს უპასუხა. — რას ურჩევს ფანი არდანი დამწყებ მსახიობებს? როგორ გადადგა მან ნაბიჯი მსახიობობიდან რეჟისურაში? რას იტყვის პოლიტიკისა და ხელოვნების კავშირზე? რა ჩაინერება თბილისის შესახებ ფანი არდანის დღიურში? — მაყურებლით გაჭედილ დარბაზში სასაუბრო თემა უამრავი იყო. კინოვარსკვლავი ყველა შეკითხვას დაუზარელად, ღიმილითა და, იგრძნობოდა, მთელი გულით პასუხობდა. განსაკუთრებით მშობლიური ქვეყნის დედაქალაქზე წარმოთქმული სიტყვები დამამახსოვრდა:

„პარიზის ქუჩებში ფეხით ხშირად დავდივარ. მარჯვენა სანაპიროზე დიდხანს ვცხოვრობდი. ერთხელაც მდინარე გადავკვეთე და მარცხენაზე გადავსახლდი. ბევრ ქალაქს ვიცნობ, მაგრამ პარიზს ვერასდროს მივატოვებ. იქ ცხოვრებისას მივხვდი, რომ ამ ქალაქში ძალიან ბედნიერი ან ძალიან უბედური იქნები, მაგრამ მაინც გადარჩები და იცოცხლებ“, — აღნიშნა მსახიობმა.

და კიდევ, ალბათ დარბაზში მყოფი არცერთი ადამიანი დაუტოვებია გულგრილი იმ ფრაზას, რომელიც ფანი არდანმა საკუთარ თავზე საუბრისას წარმოთქვა და რითიც საკუთარი ცხოვრების კრედიტს გამოხატა: „ჩემს ცხოვრებაში იყო დიდი ბედნიერება. ამის გამო შემიძლია ავიტანო დიდი უბედურება“.

ფეხზე მდგარი მაყურებელი ემოციას დიდხანს გამოხატავდა.

„ფანი არდანი გადასარევი მსახიობი რომ იყო, ყველამ ვიცოდით, მაგრამ ამავდროულად, უბრალო და ალალი ადამიანიც ყოფილა. საოცარი სიტბო და სიყვარული მოდის მისგან“, — აღტაცებას ვერ ფარავდა მსახიობი ეკა ჩხეიძე.

საინტერესო და შინაარსიანი დღე კინოთეატრ „რუსთაველში“ ფანი არდანის ფილმის პრემიერამ დააგვირგვინა. სხვისა არ ვიცი, მაგრამ ფილმის დასრულების შემდეგ ისეთი განცდა დამრჩა, თითქოს ფანი არდანი იმ დღეს კი არ გავიცანი, არამედ მთელი ცხოვრება ვიცნობდი, თითქოს ამ წლებში ისიც საქართველოში, ჩვენ გვერდით დააბიჯებდა, სამშობლოში კი სამუდამოდ ოქტომბრის იმ ღამეს უნდა გაგვეცილებინა. ალბათ მასთან გამოთხოვებაც ამიტომაც გამიძინებდა და მის გვერდით ბოლო ფოტოსურათიც უკვე შემოდგომის ღამის თბილისში, წვიმით ოდნავ დანაშულ რუსთაველის გამზირზე გადავიღე. მან ხომ საქართველოს გაცნობა სწორედ ღამის თბილისის მოციმციმე ღამპიონებით დაიწყო და მისი თბილისური დღიურის ფურცლებსაც ალბათ ჯერაც იმ წვიმიანი ღამის სურნელი ასდის...



ზურა ელიკაშვილი

# ტრაგედია გმირით

ის საზღვარგარეთ წავიდა იმიტომ, რომ საზღვარაქეთ, ოჯახში, მშვიდობა და სიმყუდროვე ყოფილიყო.

ის მოხუც სენიორს თუ სენიორას უვლიდა — მისი მშობლები უპატრონოდ არ ყოფილიყვნენ...

ის სხვის შვილებს გულში იხუტებდა, რომ მის შვილებს კომპარები არ დასიზმრებოდათ...

ის ქუჩასა და ბაზარში პურსა თუ ტანსაცმელს ჰყიდდა, მის ოჯახს არ მოშვივებდა და შესცივებოდა...

სხვის შვილებს ცრემლებს უმშრალებდა, ეფერებოდა, რომ მის შვილებს ცრემლი არ დასდენოდათ...

სხვის სამზარეულოს ამშვენებდა, რომ მის სამზარეულოშიც სასიამოვნო სურნელი ყოფილიყო...

სხვის თეთრეულს რეცხდა, რომ მისი შვილები სუფთად ყოფილიყვნენ...

სხვის შვილებს ასწავლიდა, რომ მისი შვილები უსწავლელნი არ დარჩენილიყვნენ...

სხვის შვილებს პარკში ხელჩაკიდებული ასეირნებდა, სალამოს ზღაპრებს უყვებოდა, თავისას „სკაიპით“ ეფერებოდა...

ღამეებს თეთრად ათენებდა, რომ მის შვილებს უშფოთველი ძილი ჰქონოდათ...

უამრავ დამცირებას იტანდა, რომ მისიანებს ამყაყდ ევლოთ...

ის სხვის მიცვალებულს აპატიოსნებდა, რომ მისი ღირსეულად გაეცილებინათ...

სამშობლოს ნოსტალგია უსერავდა სულსა და გულს, ა არ იცოდა, რომ მისიანები სამშობლოდან გაქცევაზე ოცნებობდნენ...

მის სახესა და ხელებს ნაოჭები ემატებოდა, რომ მის მშობლებს ნაკლები ნაოჭები ჰქონოდათ...

მოხუც სენიორას წამლებს ასმევდა, რომ თავისი მოხუცი მშობლებისთვის ტკივილი შეემსუბუქებინა...

ის რესტორნებსა და კაფეებში სხვას ემსახურებოდა... მის გამოგზავნილ ევრო-დოლარებს სიმწრისა და ტკივილის სუნი ჰქონდა, თუმცა ეს სულაც არ უშლიდა ხელს მის ქმარს, იმ ფულით რესტორნებსა და მეძავებში ეგრიოდა... (ასეთებიც ხდება თურმე...)

ის იძულებით თუ ნებით უცხო თესლის სარეცელსაც ათბობდა... (ასეთებიც ხდება თურმე...) რომ....

ამ აუნონავ ტრაგედიას გმირი ჰყავს... ქართველი დედა... რომელსაც ალარც მახვილი უჭირავს ხელში, ალარც ფიალა... P.S.

ბოლო გამოთვლებით მსოფლიოში ყველაზე ბედნიერად შვედი ქალები გრძნობენ თავს... ქალის ბედნიერება კი, მოგესხენებათ, მამაკაცის გარეშე არ არსებობს. შვედმა მამაკაცებმა უნდა თქვან: კაცებიც ჩვენ ვართ და ქულებიც ჩვენ გვხურებიაო...

ჩვენ?... ჩვენ, კაცებმა, ფეხზე ადგომით, განსხვავებული სასამისით შევსვით ქვეყნად უსათნოესი, უღამაზესი, ყველაზე მომთმენი ქართველი მანდილოსნის სადღგრძელო...

მაკა ლდოკონენი

# კალამუნები

ჩემი რვეული

დიდი ხნის წინანდელ ამბავს ჰგავს ჩემი სტუდენტობა, თუმცა იმ დროს ორი ათეული წელიც არ მაშორებს. თითქოს სხვას გადახდა, მე კი ცვლილებებით გაბრუნებული, განზე ვიდექი, ვაკვირდებოდი და ველოდი.

გამიმართლდა მოლოდინი თუ მოლოდინად დარჩა? იქნებ, ცხოვრება ახალ ქარგაზე რომ გამოიხაზა, წარსული ძველი ტანსაცმელივით მოვიშორე და უცნობ კონტურებს იმედით გავყევი, იმ იმედით, ფრთხილად თუ გავჭრიდი, შეცდომებს თავიდან ავიცილებდი. მხოლოდ მე არა — ცარცუნეცა, დავითი, არაბუშკა, ცანცრიკა, კანკა, ანდაზისტი, ტუტი... მთელი ჩვენი ქალაქი... ყველა ქალაქი!

\*\*\*

მიტირებები, სამოქალაქო დაპირისპირებები და ომები ყოველდღიური ყოფის განუყოფელ ნაწილად ქცეულიყო. ქალაქში ტრანსპორტი კანტიკუნტად დადიოდა, ერთმანეთთან დაკავშირება გართულდა, სახლის ტელეფონები გაუმართავად მუშაობდა, ქუჩაში კი სატელეფონო ჯიხურები გაქრა, აუდიტორიებში შუქი და გათბობა გაითიშა. მეტ დროს უნივერსიტეტის ეზოში ან კორპუსიდან კორპუსამდე ხეტიალსა და მეგობრების მონახულებაში ვატარებდით. გოგონებმა ერთმანეთისთვის წერილების წერა წამოვიწყეთ: ღამე დაღწერდით, დღე გავცვლიდით, მერე უნივერსიტეტის ეზოში ან აუდიტორიაში წავიკითხავდით. უფრო ხშირად კი სანთლის შუქზე გასათარებელი საღამოს გასაყვანად გადავინახავდით. ეს დროსა და სივრცეში განვლილი ჩათვივით იყო.

ყველაზე მეტი წერილი არაბუშკასგან შემომრჩა. არაბუშკას სინამდვილეში ლეილა ერქვა. სკოლიდან ვმეგობრობდით. მე ჟურნალისტიკაზე ჩავაბარე, იმან აღმოსავლეთმცოდნეობაზე. ბიჭებმა ზეპირად იცოდნენ ჩემი დღის განრიგი, ლექცია გაცდებოდა თუარა, შეთქმულებივით დავადგებოდიტ გზას პირველი ან მეორე კორპუსიდან მეხუთესკენ.

გზაში პათოსით სავსე სიტყვებით გამოვდიოდით: ვოცნებობდით, როდის გაიტანდნენ ქართული სპორტსმენები ოლიმპიადაზე საკუთარ დროშას და სსრკ ნაცვლად ქვეყნის აღმნიშვნელ დაფაზე საქართველოს დაანერდნენ. ღამის ვიფიცებდით, რომ საქართველოს ისტორიის სამარცხვინო სახელმძღვანელოდან, ოთხწლიან სასწავლო პროგრამაზე გათვლილი ერთი პატარა წიგნიდან, აღარასდროს ისწავლიდნენ ჩვენი შვილები. ვამბობდით, რომ ქართული ლიტერატურის წიგნზე მშობლიური ლიტერატურის დაწერა თუ გვსურდა, არავისთვის არ უნდა გვეკითხა.

მიზნები და ოცნებები სწრაფად იცვლებოდა: ბიჭები ომში წასვლაზე ფიქრობდნენ, მიდიოდნენ კიდეც, ზოგიერთი სამხედრო სამსახურიდან თავის დაძვრენას ცდილობდა. თანდათან საზღვარგარეთ მუშაობის ან სწავლის გაგრძელების სურვილმა იჩინა თავი. გოგონებიდან მხოლოდ ძალზე გაბედულები თუ აპყვებოდნენ ბიჭებს ამ წამოწყებაში. ოჯახებიც იქმნებოდა, თუმცა, ჭკუათმყოფელისთვის რომ გეკითხა, სულაც არ იყო ამის დრო. შვილის გაჩენა ხომ გმირობის ტოლფასი გახდა.

ჩვენ ბევრი რამ არ გვესმოდა მაშინ, იმ ყოფით წინადადებებსაც არ ვუღრმავდებოდით, რომლებიც ჩვენს ყოველდღეობას

პოლიტიკურად კი არ აფასებდა, უბრალოდ აღწერდა.

ოცნებებში სტუდენტობა საუკეთესო ხანად წარმომედგინა — ფერწერული ხელოვნების ნიმუშისთვის ვხატავდი და ვაფერადებდი მომავალს. ახლა, სტუდენტობის ამსახველ კადრებს მეხსიერების თვალს რომ გადავავლებ, იმ ნეგატივს ვამსგავსებ, პოზიტივად გადაქცევა რომ არ დასცალდა — გაუმჟღავნებელი დარჩა მოგონებებში.



„ჩემი“ უნივერსიტეტი მერე გახდა, იქ მუშაობა რომ დავიწყე, სხვადასხვა პროექტში ჩავერთე. თითქოს უძლები შვილივით დაეუბრუნდი და, თუ უძლები შვილის გზა საკუთარი თავის ძიებაში გავლოლი გზის ტოლფასია, უნივერსიტეტში ხელახლა მოსვლა მეც დამეხმარა, ის დღეები და ადამიანები დამეუბრუნებინა, ჩემს განუყოფელ ნაწილს რომ შეადგენდნენ წარსულში.

აქ, კორპუსებსა თუ მის შემოგარენში, ბევრი ძველი დგას, მრავალი სახელი და გვარია ამოტვიფრული და დღესაც არაერთი ცნობილი პიროვნება დააბიჯებს ამ შენობებში. თუმცა მუდამ ვიქნებით ისეთებიც, უნივერსიტეტს მხოლოდ რამდენიმე სასწავლო წლით რომ დაეუკავშირებთ ცხოვრებას, ჩვენი თავგადასვლები კი დაუნერელი რვეულებივით გადაგვეშლება თვალწინ ყოველთვის, აქ რომ გავივლით.

## ჩემი რვეული არაბული დავითარია

ჩემი ქალაქი ქარავანს მაგონებს, დრო ძალღვივით რომ უყევს და ვერ აფრთხობს. ხშირად ვფიქრობ, ჩვენს დაყოფილ-დანაწილებულ დროს სინამდვილეში ვინ რწყავს, რა საზომით ზომავს? იქნებ, დღე-ღამის მონაცვლეობა ძილ-ღვიძილს სულაც არ გულისხმობს, არც თვეების დანიშნულებაა წელიწადის შეკვრა-გამართვა და წლებსაც ტყუილად ვიმატებთ?

ერთი დანამდვილებით ვიცი, დრო ყველას საკუთარ ამბავს უწერს, უმზადებს და სწორედ ისტორიაა ის ავი ძალღვივ, ჩემს ქალაქს რომ ჩასაფრებია და მოსვენებას არ აძლევს — სამყაროს ორომტრიალში ჩაბმულს თავის წილ ოღრო-ჩოღროებზეც თავდაუზოგავად დაატარებს.

ქარავანი — ზოგჯერ საპალნედატივოტიული, ამაყად მიინეგს წინ. ნაპატივებ აქლემებს ჯორკიდებულები თუ ჩაუდგნენ კვალში, გზა ინელება — აქლემი და ჯორი თანაბარი ნაბიჯით ხომ ვერ ივლიან?! სარფიანი დღეებიც გამოერევა: ივაჭრებს, ტვირთისგან გათავისუფლებს, ოაზისში იკლავს წყურვილს და უდარდელად გასცქერის წარსულს. ზოგჯერ ხელმოცარული პილიგრიმი აედევნება, მეგზურობას დაიჩემებს და თავგზას აურევს.

არის დღეები... ჭრელი დღეები...

სანამ აქ მოხვდებოდა, ჩემმა გენმა ბევრი იმოგზაურა. დედას და მამას დავთრებში ყველაფერი წვრილად აქვთ აღწერილი. ამ დავთრებით მუდამ ვამაყობდი: მაშინ... მერე... და ახლაც, აქლემის წიხლი რომ მომხვდა, ჩემს ქარავანს დამაშორა და გადამხვენა.

ქალაქი, სადაც ახლა ვცხოვრობ, ქარავანს არ ჰგავს. ეს ქალაქი ტბასავითაა — დღისით ლურჯი ცა, მზე, ღამით კი ვარსკვლავები და მთვარე ირეკლება მის ზედაპირზე. მიუხე-





არ მადარდებს! მე ვიცი, რომ გენიოსი ვარ! მე ვიცი, რომ ნლებს შემდეგ, როდესაც მე შევცვლი ამ მათხოვარ ქვეყანას, ყველას უკან ჩავიხვე! კაროჩე, მე არ ვარ ამათი მეგობარი, შიგადაშიგ ვიჩითები ამ სასტავში. მე ნავლობით გატანის მომხრე ვარ, უზრდელიც ვარ და ვამაყობ ამით.

— კანკა, ამაღამ რას აკეთებ? — ვეკითხები ამიტომ ტუტეზე ჩამოკიდებულ ლურჯთვალა და ნითელთმიან ქალს, — ჰეჰეჰე! — შევცინი კიდეც.

ტუტეს ერთგული შაკალისგან პანლური მხვდება. არ ვიმჩნევ. ნესტოებში ჩამოსულ ცინგლებს ღრმად ვისუნთქავ.

— თქვე მათხოვრებო, კიდე კარგი, პატიაშვილმა ჩაგრიცხათ, თორემ აქ რა უნდა თქვენისთანა უნიგურებს! აქ, ამ ეზოში დააბიჯებდა იცით ვინ?

ალიყური მხვდება ტუტეს მეორე შაკალისგან, ანდაზისტიც მოსულა. ნარკამანი დავითაც მოყლამუნობს. კალამუნები გაკვირვებულები მიყურებენ. ნუუუ, ამათ არ ეხება ახლა რაც ვთქვი და ბევრსაც, თავისით გაქარეს, მაგრამ მე ზოგადად ვამბობ რა, არ მადარდებს!..

მე თქვენ დაგიქრავებთ! — ვეუბნები და მივღვივარ.

მე გავიჩითები ამაღამ კალამუნების წერილებში, მე ისტორიის ნაწილად ვიქცევი.

მე ბედნიერი ვარ, იმიტომ რომ ახლა მთავარი თავის გატანაა და მე ვიცი, როგორ გავიტანო თავი (მაგარია ქართული ენა, არა?!)


### რვეულიდან ამოხეული ბოლო გვერდი ვარ

მე არ მევასება ის ტიპები, ჩემზე რომ ჰკითხავენ, რამ მოკლაო და, უპასუხებენ გულითო, ცოტა ხანში უცნაურად დამანჭავენ სახეს და ჩუმად დაამატებენ, კაიფში გაიპარაო!

არაკაცური ნათქვამია, მაგრამ, ეგ სულ სხვა საქმეა. მთავარი სიმართლეა, ბიჭებო და გოგონებო, თუმცა, მაგას აქ რომ ამოხვალთ მერე გაშიფრავთ, მანამდე კი ბევრი დროა!

მე მაგრად გამიმართლა, იმიტომ, რომ ჩემი ცხოვრების ბოლო დღემდე უფრო მეტ კარვ ადამიანს გადავეყარე, ვიდრე ახვარს: ბაბო რომ არ მყოლოდა, ტუტეს ვერ გავიცნობდი. ტუტეს კიდე პირველ ადგილზე ვასახელებ, იმიტომ, რომ ეგეთი ერთგული მეგობარი არ მყოლია და ეგ ახლაც მაგრად მპატრონობს. ტუტეს მოჰყვა ცარცუნეცა, ანდაზისტი, კალამუნები, კანკა თავისთავად, რა ხალხი, ტოოო... არც ცანცრიკა იყო ცუდი ტიპი, ერთი ნაკლი ჰქონდა, მაგრობას ცდილობდა და არ გამოსდოდა. მე ყველა მომწონდა, ოღონდ სულით კომკავშირელი არ ყოფილიყო.

ბაბო დეიდას სოლოლაკზე ყველა ქალბატონოთი მიმართავდა, მართო მე შემეძლო ბაბო დამეძახა და ამავე დროს მაგრად გამემწარებინა. ბებია რომ გარდამეცვალა, აღარავინ დამრჩა, ბაბომ ჩამიბარა და ჩემთვის დატოვებულ ქონებაზე აპეკუნობაც აიღო. ქონება კიდე დიდი მერგო. არ დავინყებ ახლა წარმომავლობაზე ბაზარს, უბრალოდ მაგარი ოჯახის შვილი ვიყავი. თუმცა, ხომ გაგიგიათ, ერთი რუსული ანდაზაა, ოჯახი მახინჯის გარეშე არ არსებობსო და ჩემ ოჯახში მაგ პონტში მე გავიჩითე.



მხატვარი ჯემალ ზენაიშვილი

ბაბო და ბებიჩემი მაგარი დაქალები და თან კარის მეზობლები იყვნენ. სოლოლაკში კიდე კარის მეზობლობა მაგარი ვეშჩია. ბებიჩემის ქელებიდან რომ დავბრუნდით, მე და ბაბომ თვალზე მომდგარი არისტოკრატიული ცრემლებით კუზნეცოვას სერვიზი გავშალეთ და ჩაი პრიკუსკით მივირთვით. ჰოდა, ჩვენს სიმშვიდესაც მად დაესვა წერტილი:

მეთერთმეტე კლასი ტანჯვით დამამთავრებინა, მერე მეხვეწა, საბუთები უმაღლესში შეიტანეო. ვეუბნებოდი, ვერ გავქარავ, ამხელა ქონება მაქვს, აგერ, იმდენი ნივთია, მთელ ჩემს შთამომავლობას აცხოვრებს-მეთი. აპპაპაპააა, ეგ არ გამაგონოო, იტყოდა და ეგრევე ფერს დაკარგავდა. ყოველ საღამოს ვკამათობდით და ბოლოს, როგორც იქნა, დამითანხმა, საბუთები ქიმიურზე შემეტანა. მერე ჩემი შვილი მოგხედავსო, დამამედა. ბევრი ვიცინე, მე და ქიმიური?! მაგრამ ამდენი „აპპაპაპააა, ეგ არ გამაგონოს“ მოსმენის თავი აღარ მქონდა.

პირველივე გამოცდაზე ამოვისუნთქე — ჩავიჭერი! ისეთი სიზმარი მქონდა ნანახი, უნდა გაგმართლებოდა, გული დანყდა ბაბოს, თუმცა სიზმარი მაინც აუხდა: ბათუმში მეგობრებთან ერთად ვისვენებდი, როცა მთელ საქართველოს მოედო ახალი ამბავი, ვინც წელს აბარებდა, ყველა სტუდენტი გახდა, მათ შორის ჩაჭრილებიცო.

თბილისში დავბრუნდი თუ არა, ბაბომ მითხრა, მოწესრიგდი და სიონში წავიდეთო. ფეხით ჩავიარეთ ლესელიძის ქუჩა. გზაში მომიყვა, დავითი იმიტომ დაგარქვეს, რომ რვა თებერვალს გაჩნდი, რვა თებერვალი კიდე მეფე დავით აღმაშენებლის ხსენების დღეაო. გარდა ამისა, უნივერსიტეტიც რვა თებერვალს დაარსდა, ამის გამო კი დიდი პასუხისმგებლობა გაკისრია და მონიწნებაც გმართებსო. ეს სიტყვები სხვისგან და სხვა დროს რომ მომესმინა, ჩავბჭირდებოდი, მაგრამ იმ დღეს... რა გითხრათ, იმ დღეს ღირსეულ ადამიანად ვგრძნობდი თავს, ეგეთ პონტში კიდე იშვიათად ვიჩითებოდი.

სიონში სანთლები დავანთეთ. სანამ ბაბო ლოცვებს კითხულობდა, მე პირობა დავდე შანსი ხელიდან არ გამეშვა და შევცვლილიყავი.

შევიცვალე?

არა! — პასუხი მოკლე და კონკრეტულია. უნებისყოფო აღმოვჩნდი. სიტუაციაც ხელს მიწყობდა: ლექციები ხშირად ცდებოდა, ქალაქში კიდე ბლომად მოსაწვევი დაიყარა. უფულობას არ ვუჩიოდი, მშრალ ხიდზე საკუთარი კანალი მქონდა გაჭრილი, ძველებური ლილები, მედლები, ორდენები, მონეტები ჩამქონდა. ეგეთი წვრილმანებისგან ალებული თანხა სავსებით მყოფნიდა, სანამ მოთხოვნილება არ გამეზარდა და წამალზე არ შევჯექი. მერე სერიოზული ნივთების გაყიდვა დავინწყე და სანყალ ბაბოსაც შევიწინარავდი, რომ არ გამეხსნო.

თუმცა წამალსა და წამალს შორის გამონათებებიც მქონდა: ტუტეს სასტავში ყოფნა, უნივერსიტეტის ეზოში კალამუნებთან მასხარაობა და კორპუსიდან კორპუსამდე ხეტიალი, აჩკარიკა ცანცრიკას გამოხტომებზე ლადაობა და მისი გაპანლურება, მელიქიშვილზე კაფე „გირჩაში“ ჯდომა და

კაკლუჭებით პირის ჩატკბარუნება. ასეთ ნუთებში მეგობრებისგან სიყვარულს ვგრძნობდი, მათ თვალებში თანაგრძობას ვხედავდი და სანამ რამეს მეტყვოდნენ, ყველას ვაფრთხილებდი, ოღონდ ახლა არ მისაყვედუროთ და ამ სისულელეს მალე ბოლოს მოვუღებ-მეთქი.

მართლა, დავით, იცოდე, მართლა ბოლოს მოუღებ, — მთხოვდნენ კალამუნები. მე მათ ვულიმოდი და გამოგონილი არაბული სიტყვებით ვუწყებდი ლაპარაკს, თავს ველარ იკავებდნენ და სიცილი უტყდებოდათ. უბედნიერესი ვიყავი, როდესაც ვინმეს გავაცინებდი. ამას ისინიც გრძნობდნენ და მეფერებოდნენ. ტუტე მხარზე ხელს მადებდა და ეს ისეთი შეხება იყო, რომელიც მე, წესით, ბაბუისგან, ბიძისგან და მამაჩემისგან უნდა მეგრძნო, მაგრამ მსგავსი არაფერი მახსოვდა.

მარტო ტუტეს შეეძლო ამოცნო, როდის მენწყებოდა ლომკა და გავერიდებინე კალამუნების და კანკას თვალისგან, შეეძლო ეთხოვებინა თავისი ბაიკი და ფეხზე ეკიდა თუ დავუმტვრევდი, შეეძლო მოეთმინა და ბოლომდე ესმინა ჩემი უთავბოლო ლაყბობისთვის კაიფის დროს. ტუტე ცხოვრობდა ომისა და გაჭირვების მიუხედავად და ცდილობდა ჩემთვისაც მაგალითი ეჩვენებინა. მე ტუტესაც ვპირდებოდი, ოღონდ ქართული, კაცური სიტყვებით, რომ ბოლოს მოვუღებდი ამ სისულელეს. ტუტეს სჯეროდა ჩემი და მეც მეგონა, რომ ოდესმე დადგებოდა ისეთი დღე, წამალზე უარს რომ ვიტყვოდი.

ბაბოსთან ერთად სიონში დანთებული სანთლებიც არ მავინყდებოდა. სიონში დადებული პირობა ვერ შევასრულე, მაგრამ უნივერსიტეტის წინაშე მონინება არ დამიკარგავს და მისი კედლებისთვის შეურაცხყოფა არ მიმიყენებია. ჩემისთანა ხელიდან წასულები მაშინ აუდიტორიებშიც კადრულობდნენ რალაცეებს. ეგეთებთან მაგრად ვჩხუბობდი: აქ ადრე სამლოცველო იყო, ტოოო, და აქ ვაჟა გარდაიცვალა, და აქ ილია და ჯავახიშვილი დადიოდნენ, და, და, და! ტუტე მეუბნებოდა, რომ აზრი არ ჰქონდა მაგაზე ლაპარაკს, ჩემი უბადრუკი ბრძოლის ველიდან მიმართე და ასეთ ნუთებში ვხვდებოდი, რომ არც ჩემთან საუბარს ჰქონდა აზრი, იმიტომ, რომ მეც წყალწალბული ვიყავი. მახინჯი მარტო ჩემს ოჯახში კი არ ვიჩითებოდი, ტუტეს სასტავში, უნივერსიტეტში, უბანში და ქალაქშიც — მე ყველგან მახინჯი ვიყავი!

ასეთ ფიქრებს ტუტესთან არ ვამხელდი, მეშინოდა, მაგასაც არ ჩაექნია ხელი. ყოველთვის მქონდა იმედი, რომ გადამარჩენდა. იმედი მქონდა, რომ ტუტეს დახმარებით შევეშვებოდი ძველ ცხოვრებას.

შევეშვი?

ვერა! — ეს პასუხიც მოკლე და კონკრეტულია. დრო არ მეყო, ნებისყოფაზე რომ არაფერი ვთქვა. დღე უეცრად გაქრა — გაქრა ერთი თესლი კამსამოლას გამო. არ დაიჯეროთ, ბიჭებო და გოგონებო, რომ კომკავშირელი მანდატებთან და სამკერდე ნიშნებთან ერთად გადაშენდა. კომკავშირელი სარეველა ბალახია: ოთხმოცდაათიანებშიც იყვნენ ჩვენს შორის, მერეც და ახლაც ბლომად არიან. იშვიათი ხალხია, პარტიული წესდების გარეშე ცხოვრება არ შეუძლიათ, ყველაფერზე არიან წამსვლელები, ოღონდ თავიანთი გაინაღდონ და თან საკუთარი უპირატესობა გვაგრძნობინონ ჩვენ, სამყაროს ჭიალუებს და მატლებს (გვიმრებს, შვიტებს და ლიკოპოდიუმებს, ანდაზისტი ხომ ასე იტყვოდა!).

დღეს თქვენ შორისაც ბევრია ეგეთი წარმატებული. ერთ-ერთი მათგანი პირადად მე დავაფინანსე. ჰო, ეგრე გამოვიდა, ფირმაში მაგისი გამგზავრება და სწავლა ჩემების სახსოვარი, წამალში გადაცვლილი კუზნეცოვას სერვიზით გადავიხადე. მაგ ინექციამ მომიღო ბოლო. რა და როგორ მოხდა, მერე გავარჩიოთ, ყველა აქ რომ შევიკრიბებით, მანამაღე უბრალოდ გვეროდეთ, რომ დავითა არ გაპარულა!

## ჩემი რვეული შენსას სჯოვს

აუდიტორიებში და უნივერსიტეტის წინ სურათებს ვიღებდი და ბებიებს ვუგზავნიდი. რა ბედნიერი ვიყავი! ვინ იფიქრებდა, სტუდენტი ასე იოლად თუ გავხდებოდი! სკოლაში სამიანზე მაღალი ნიშანი არ მიმიღია. გაახარებს ღმერთი, ვინც ეს მოიფიქრა და ყველა ჩაგვრიცხა! კიდევ კარგი, საბუთები ჟურნალისტიკაზე შევიტანე! ალაღბედზე გავედი გამოცდებზე, მამამ მირჩია, თავი გამოცადე, მერე დაჯექი და ერთი წელი მოემზადეო.

და რა?

— კატუშ, სტუდენტი ხა-არ, დოჩკა! — დედაჩემი მირეკავს გაგრაში.

უუუ! ეს რა იყოოო! ჰაჰაჰა!

ოთხმოცდაცხრაში, ჩვენს ეზოში სამმა დავამთავრეთ სკოლა: მე, დავითამ და არაბუშკამ. ნუუუ... არაბუშკა რომ სტუდენტი გახდებოდა, ყველამ იცოდა. მე და დავითა? ორი წყალწალბული? ვინ იფიქრებდააა!

პირველ სექტემბერს, დილით, სამივე ერთად დავიძარით უნივერსიტეტისკენ. მე და დავითა პირველ კორპუსთან, გაჩერებაზე ჩამოვედით. გაჩისტულ-გაზმანულები ვიყავით, ტანში სულ ჟრუნტული მივლიოდა, ბევრს ვიცინოდით, ძალიან მაგარი დღე იყო! დავითა იძახდა, ახალ ცხოვრებას ვიწყებო. მეც ვეუბნებოდი, მაგარი ფოტოგრაფი უნდა გავხდე, ცხელ წერტილებში ვიარო და რეპორტაჟები მოვამზადო-მეთქი. იმან კიდევ საკაიფო „ზენიტს“ გაჩუქებ და ყველაფერს, რაც ფირების გასამყლანებლად დაგჭირდება, დღესვე ამოდი და წაიღეო.

ეგ ბიჭი ნაღდი ბაჯალლო იყო. სკოლაში ავარდნილის ერთის სახელი ჰქონდა, მაგრამ მაინც ყველას უყვარდა. დავითას წინაპრებს და მშობლებს უბანში ბევრი იცნობდა, ამიტომ ობლად რომ დარჩა, ყველა ეფერებოდა და ანებივრებდა. თვითონ სულ გაიძახოდა, მახინჯი ვარ, მახინჯი, არადა, მაგარი აბაიაშკა იყო. პროსტა ჩემს გემოვნებაში არ იჯდა, თორემ ცარცუნეცასთვის რომ გეკითხათ, კანკას მასტი დავითაო, გეტყვოდათ. არა რააა, სად შემეძლო დედა ტერეზობა. დავითამ ჯერ ძველობისკენ დაიწყო გადახრა, მოსანეგს დაეჩვია, მერე წამალზე შეჯდა და წავიდააა! მაგის გარდაცვალებას მე ვერ შევესწარი, თბილისში აღარ ვცხოვრობდი. ერთმანეთს რომ შეხვდით, ორივეს მაგრად გაგვიკვირდა, მაგრამ არაფერი გვითქვამს, წინ ბევრი დრო გვქონდა და სალაპარაკოდ ყოველთვის მოვიცლიდით. უბრალოდ დავსხედით და სურათები დავათვალიერეთ...

რა მიწოდდა ცხოვრებისგან? მშობლები „ჩაიცვი-დაიხურე ქალს“ მეძახდნენ. ვალიარებ, არ ვიყავი სწავლისთვის გაჩენილი. მერე რა? ახალი ვარდნილობა, თმის ექსტრავაგანტური ფერი, გამომწვევი მაკიაჟი, ფირმა ზმანები — ეგ იყო ჩემი კრედი. დარწმუნებული ვიყავი, მთელი უნივერსიტეტი მიცნობდა, ყველა მაფიქსირებდა, ნაცრისფერ მასაში გამომარჩევდნენ. თმა წითლად მქონდა შეღებილი, მწვანე-ყვითელ-იისფერი ძაფებით ნაქსოვი უგრძელესი კაშნეთი, უზარმაზარი მზის სათვალთ, მოხარშული ჯინსებით და კაზაჩოკებით დავდიოდი.

ტუტე და მაგის სასტავი ბაიკებზე პირველად რომ ვნახე, ჭკუიდან ავინიე. ტუტეზე გავითიშე! იმ დღეს გოგოებთან ერთად კაფე „გიორგის“ მოვჯექი, ვილაცამ „ამარეტო“ მოიტანა, გადავკარით და მეთოხე ჭიქაზე დავიფიცე, ამ კვირაში ტუტეს ბაიკზე გავიჩითები-მეთქი. გოგოებმა დამცინეს. არაბუშკამ მითხრა, ტუტე სულ სხვა ტიპიაო. მიყვარდა ეგ გოგო, თორემ სხვას რომ იგივე ეთქვა, არ ვიცი რას ვუზამდი, ჰაჰაჰა!

სწავლა ახალი დაწყებული იყო და დავითა ჯერ კარგად არ იცნობდა ტუტეს სასტავს, მაგრამ ინფორმაცია მომანო-

და, გოჩა აბულაძის ლექციაზე ადიან, ნაღდად ვიცო. ეგრევე ჯავახიშვილის სხდომათა დარბაზში გავიჩითე, გოჩას ლექციებზე დასწრება ყველას შეეძლო. იმ დღეს აპოკალიფსზე საუბრობდა, იოანეს გამოცხადებას განმარტავდა. მე ბევრი არაფერი მესმოდა და თან ტუტეზე ვიყავი ჩასაფრებული. აბულაძის საუბრიდან მარტო ის დავასკვენი, რომ მეორედ მოსვლა ახლოვდებოდა. ლექცია დასრულდა თუ არა, კარებთან დავდექი, ტუტე რომ გამისწორდა, გოგოებს გადავძახე: მაინც მალე ვკვდები და უნდა დავიმხო თავზე-მეთქი! ნამოდი, ერთად ვქნათ ეგ საქმეო, — ტუტემ მითხრა დააა! აუუ! მულაიკი „სიზმარა“ გახსოვთ? იქ სიზმარას დანახვაზე პრინცესა ამბობს: „გული მიმდის, თვალეებში მიბნელებდა, ფეხები მეკეცებოდა!“ აი, ზუსტად ეგ დამემართა. ყველაფერს გეფიცებით, არ მახსოვს როგორ ჩავედი უნის ეზოში, როგორ მოვუჯექი ტუტეს ბაიკზე და კუს ტბაზე აღმოვჩნდი.

მაგარი დღეები დაიწყო, რა ვიცოდი ჩემი ცხოვრების საუკეთესო ხანა თუ იდგა: ერთად დავდიოდით ბაიკებით მე, ტუტე, ცარცუნეცა, ანდაზისტი და მაკრუშა. არაბუშკას ეშინოდა და იშვიათად მოგვეყვებოდა, ვატყობდი, არც ანდაზისტთან ერთად ჯდომა სიამოვნებდა დიდად და რამდენჯერმე ტუტე დავუთმე, ჰაჰაჰა! ტუტე ხომ ჩემი საკუთრება იყო პირდაპირ! მიყვარდა? არა, ზუსტად ვიცი, რომ არ მიყვარდა. არც იმას აბოლებდა ჩემზე, უბრალოდ ვუსწორებდით ერთმანეთს, კარგად ვერთობოდით. მე ჩემი მდგომარეობა მომწონდა: ნაცრისფერი მასისგან ისევე გამოვიჩრდი, ყველა მაფიქსირებდა, ბევრი მიცნობდა ან მცნობდა. სხვა რა მინდოდა?!

იმასაც ვგრძნობდი, არაბუშკას ტუტე რომ ევასებოდა, კარგად ვხვდებოდი, მე რომ მაგათ სასტავში არ გამოვჩენილიყავი, ტუტეც შეიყვარებდა არაბუშკას. საბოლოოდ ვაპირებდი კიდეც სხვაზე გადართვას, ღირსეული კანდიდატი თუ გამოჩნდებოდა, მაგრამ უცნაურად დატრიალდა ყველაფერი. ერთ დღეს სახლში დავბრუნდი, ჩემები მოსკოველ ნათესავებს ელაპარაკებოდნენ, ბილეთების საქმეს აგვარებდნენ. ჩავთვალე, ახლობლებს ეხმარებთან-მეთქი, ბევრი გარბოდა მაშინ თბილისიდან.

დედა, ახალი ჯინსი მჭირდება და ებრაელებში გადავალ-მეთქი და, არა, დოჩკა, ჯინსს „ცუმში“ ან „გუმში“ იყიდი ორსამ კვირაშიო.

მომდევნო დღეები სიზმარში გავატარე: მექანიკურად დავდიოდი, საბუთების საქმეებს ვაგვარებდი, ტუტე დამყვებოდა, მაგრამ არაფერს ამბობდა. მალე არაბუშკამ დატოვა ქალაქი, ვტიროდი, თვალეებში ვერ ვუყურებდი. უნდა მეთქვა მაშინ ტუტესთვის, არ გაუშვა ეგ გოგო, არ დათმო, მაგრამ ვერ მოვახერხე, თითქოს დამეზარა, თითქოს ყველა ფერი გახუნდა, თითქოს მე „მე“ აღარ ვიყავი, თითქოს გამოვიფიტე, თითქოს გავბრუნდი.

ნოემბრის დასაწყისში თოვლი მოვიდა, აცივდა, შუქს იშვიათად რთავდნენ, ქალაქი ჩაბნელებდა, რამდენიმე დღეში გაზიც გაითიშა, ლექციებზე აღარ დავდიოდით, ოთახში საათობით მარტო ვიჯექი, ათასში ერთხელ დავითა შემოვივლიდა, ფერი არ ედო, უაზროდ ლაპარაკობდა, ტუტეც აღარ ჩანდა. თანდათან მივხვდი, რომ ტყუილად ვდარდობდი, ვინაიდან სწორედ აქედან გაღწევა იყო ჩემთვის საუკეთესო გამოსავალი, ჩემნაირი ქალის ადგილი აქ აღარ იყო, უნდა წავსულიყავი, მე სხვა ცხოვრება მელიოდა, სხვა ადამიანებს უნდა გავეცანი!

გამოვცოცხლდი, ენთუზიაზმით შევეუდექი ბარგის ჩალაგებას, ჩემები გაკვირვებულები შემომცქეროდნენ. ერთი სული მქონდა, როდის მოვშორდებოდი თბილისს, თუმცა იოლად ვერ გავალნიეთ. ბილეთებზე მოთხოვნილება გაზრდილიყო და საბოლოოდ მატარებლითაც ძლივს გავემგზავრეთ. მხოლოდ დავითას და მაკრუშას დავემშვიდობე. ტუ-

ტესტან, ანდაზისტთან, ცანცრიკასთან და ცარცუნეცასთან დაკავშირება არ მომინდა. მხოლოდ წინ ვიხედებოდი, დარდისა და სინანულისთვის დროის ხარჯვა უაზრობად მივიჩნე. მჯეროდა, რომ ზუსტად იქ მივიდიოდი, სადაც ჩემი ადგილი იყო, რომ დიდი წარმატება მელოდა და მოსკოვში ჩემგან უძლიერესი ჟურნალისტი დადგებოდა.

საქმეს მატარებელშივე შევეუდექი: დავითას ნაჩუქარი აპარატი ამოვიღე და სურათების გადაღება დავიწყე. ასეთ ცხელ მასალას კიდეც სად ჩავიგდებდი ხელში?!

ყველაფერს ვაფიქსირებდი: გაპარტახებულ და ჩაბნელებულ სადგურებს, სოფლებს, დაბებს, ქალაქებს, ნახევრად ჩამოხეულ საბჭოეთის დროინდელ პლაკატებს, ძეგლებს, გაუხედეურებულ, თავგზააჩუქულ ადამიანებს. სარკინიგზო ხაზზე სრული განუკითხაობა სუფევდა და ამას მაშინ არავინ აშუქებდა. გამცილებლებისგან და მგზავრებისგან რა არ მოვისმინე: თურმე, მატარებლებს გზადაგზა შეიარაღებული ბანდები ესხმოდა თავს, მგზავრებს ანიოკებდნენ, ძარცვავდნენ, ქალებს ყურებიდან საყურეებს ახევენდნენ, გოგონებს აუპატიურებდნენ და, როგორც გავარკვიე, მსგავსი საფრთხისგან არც ჩვენ ვიყავით დაზღვეულები, არ ვიცოდით წინ რა გველოდა. თავი სამინელებათა ფილმში მეგონა. უძლიერეს ფოტორეპორტაჟს ვაცხობდი!

მეორე დღეს, შუადღეზე, ერთ დალესტნურ დაბაში გავჩერდი. ფანჯრიდან გავიხედე, ჩემები კუპეში არ იყვნენ და ერთ სოფელს ტიპს გავეკეკლუცე, ფოტოც გადავუღე. თვალის დახამხამებაში ჩემთან გაჩნდა, სამი ძმაცაცი ახლდა, რომ გავიღვიძე, ყელზე ფოტოაპარატი მეკიდა, ქვასავით მაგარ სანოლზე ვინეჭი, ცხვრის სუნი მცემდა და ცხვრის ბლავილი მესმოდა!

არა, რააა! გახსენება არ მინდა.

ჩემები? ჩემებს ჯერ საპირფარეოში გასული ვეგონე. მერე იფიქრეს, ფოტოებს იღებო... ცოტა ხანში აფორიაქდნენ, გამცილებელს მიაკითხეს და ვაგონში დამიწყეს ძებნა, მალე მთელი მატარებელი ფეხზე დააყენეს... დღემდე დამეძებენ.

რამდენიმე წელიწადში დავითას შევხვდი. არაფერი მომიყოლია, თუმცა ისედაც ყველაფერი იცის. ჩემი ტკივილი იქ დავტოვე, სადაც მომაცენეს, მხოლოდ საუკეთესო კადრები გამოვიყოლე. შავ-თეთრებია, მაგრამ ჩემი ცხოვრების ყველაზე ფერად და დაუფინყარ დღეებს მახსენებს — ჩემი უნივერსიტეტის დროინდელ დღეებს.

## ჩემი რეალური უჯრედებიანი

მთავარი ციფრებია. ყველა ჩემსავით რომ თვლიდეს და ითვლიდეს, ეს ქვეყანა საათოვით იქნებოდა აწყობილი, მაგრამ ადამიანებს, როგორც წესი, წესრიგი არ უყვართ.

ტუტე მეუბნებოდა, მოკიდე იმ გოგოს ხელი, არ გაუშვაო. დავუჯერე და მაკრუშა ცოლად შევირთე. ქვეყანა ინგრეოდა, ომი იყო, მაგრამ შევირთე. ახლა რომ ვუკვირდები, ბევრი ბიჭი უნდა მოქცეულიყო ჩემსავით და აღარ დარჩებოდა ჩვენი თაობის ამდენი გოგო დაუოჯახებელი. კაცებიც უფრო თავდაჯერებულები იქნებოდნენ.

აფექტური, პარადოქსებით სავსე სტუდენტობა გვქონდა. მე და მაკრუშამ პირველი ბავშვი დავკარგეთ, გვეგონა თავზე ჩამოგვეგდებოდა ცხოვრება, მაგრამ გამოიღარა. მეორე გვეყოლა, მაკრუშა მეცხრე თვეში იყო დიპლომები რომ ავიღეთ. არაფერი არ გვქონდა: არც გათბობა, არც შუქი, არც სარეცხი მანქანა, არც პამპერსები და ხელოვნური კვება ბავშვისთვის. ვსწავლობდით, ვმუშაობდით და წინ მივიწევდით. დღემდე ასე ვართ. მე ვითვლი და მაკრუშა მყვება, ის გათვლის და მე ვენდობოდი.



ჩემი პროგნოზით, ტუტეს ლეილა უნდა შეერთო ცოლად — არც ხელიდან გაეშვა, და არც ქალაქიდან. მაგრამ ტუტემ არ დამიჯერა და დღემდე მარტოა. კანკას დავითასთვის უნდა მიეხედა — ბიჭსაც გადაარჩინდა და ქონებასაც. სად არის ახლა ან ერთი, ან მეორე, კაცმა არ იცის!

კარგად გათვალა ცანცრიკამ. ეგ ჩალიჩა რომ იყო, თავიდანვე ეტყობოდა, მერე რა, რომ სულ ცხვირმოუხოცავი დადიოდა და ვაპანდურებდით. თავისი სიტყვა მაინც თქვა ცხოვრებაში. ეგ არის, რომ არ დაღვინდა, თუმცა ჯერ დრო აქვს.

ძალიან ბევრი გათვალეს კამსამოლა ტიპებმა და ეგენი ჩემს სათვალავში არ არიან, არც ანდაზისტთან და არც ტუტესთან აქვთ ადგილი. ეჭვი მაქვს, ხოტბა და ქება არც კალამუნების დავთრებში ექნებათ შესხმული.

ჩვენ ისევ ერთად ვართ, გვყავს ბაიკები და ბაიკები ჩვენთვის ტატუებს, ბინძურ ტყავის ტანსაცმელს და სექსუალურ თანამგზავრ ქალებს არ ნიშნავს, ბაიკები ჩვენთვის ბიზნესი, სპორტი და ჯანსაღი ცხოვრების წესია.

კიდევ რა?

ჩვენ მოგვწონს, როდესაც კაცი კაცს გავს, ქალი ქალს და არ გვეშინია ამის ხმამაღლა თქმის. ისიც მოგვწონს, ადამიანს თავი საკუთარი ერის ღირსეულ წარმომადგენლად როცა მიაჩნია და გლობალური სამყაროს მიკროელემენტად ყოფნას არ ამჯობინებს. არ გვეთაკილება საკუთარი ტრადიციების დაცვა და რელიგიური მრწამსის დაფიქსირება. ჩვენ ის სამოცდაათიანელები ვართ, ოთხმოცდაათიანელებში რომ გამოვიბრძმედეთ.

ჩვენი სტუდენტობა კალამუნების დავთრებშია აღწერილი. ერთ დღეს ჩემს ცოლს ვთხოვ ნამაკითხოს, ვიცი, ბევრ სიახლეს აღმოვაჩენ, თუმცა ჯერ ამისთვის მზად არ ვარ.

მაკრუშამ და არაბუშკამ ვირტუალურ სივრცეში ერთმანეთი მოძებნეს და ისევ განაახლეს მიმონერა. ასე რომ, კალამუნები ისევ კალამუნობენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი კუთვნილი ისტორია გრძელდება.

მე კი ბევრი წერა არ შემიძლია. მე რაც უნდა დავწერო, მაინც ანგარიში გამომდის.

**ჩემი რვეული ზღაპრების გულად**

ბიჭებმა ანდაზისტი დამარქვეს. მიყვარს ზღაპრების, იგავების, ანდაზების და აფორიზმების საუბარში ჩართვა. განა ამაში ცუდია რამე? არ იფიქროთ ბიჭები დამცინიან ამის გამო. არა, ჩვენ შორის ეგეთები არ მოსულა!

მე რაიონში გაზრდილი კაცი ვარ. თექვსმეტი წლისა უპატრონოდ დავრჩი და ბიძამ მიშვილა. ბიცოლაჩემი მაფრთხილებდა, წიგნებს ტვინს თუ არ დაასხამ, თერჯოლის გადასახვევს ვერ გაცდებიო. ოთხმოცდაცხრაში პირველად ჩამოვედი თბილისში, უნივერსიტეტში, ქიმიურზე გამოცდები ჩავაბარე, მაგრამ უმალლეს შეფასებამდე ორი ქულა დამაკლდა. ჩემი სინდისის წინაშე მართალი ვიყავი, მონდომება არ დამიკლია, ამიტომაც შემენია ღმერთი, დედ-მამის ლოცვა და მაინც ჩავირიცხე.

იმაშიც გამიმართლა, რომ ბინა ტუტეს და ცარცუნეცას მეზობლად დავიქირავე, უნივერსიტეტშიც მაგათ ჯგუფში აღმოვჩნდი. საღამოობით სახლის ქვეშ, ავტოფარეხში, ბაიკებს აწყობდნენ, რამდენჯერმე დავეხმარე, ავტოსაქმეში ბადალი არ მყავდა. რამდენიმე თვეში ჩემი წავაროტებიანი „იჟიც“ ჩამოვიყვანე და დაიწყო გნიასი: ქალაქში ტრანსპორტი კანტიკუნტად დადიოდა, ჩვენი იყო ბურთი და მოედანი. თავი კაცად ვიგრძენი! მაშინ დავრწმუნდი, იმ წელს რომ არ ჩამებარებინა, უსათუოდ ამიხდებოდა ბიცოლაჩემის მუქარა და ვინ იცის, ახლა სად ვიქნებოდი.

ტუტე და მისი მეგობრები ნაღდი თბილისელი ბიჭები იყვნენ, მაგრამ ზემოდან არ მიყურებდნენ. მაგათ არ მოსწონდათ კაცი თავის ვინაობას რომ მალავდა, თავისი სოფლის სახელის გამჟღავნება რომ ეთაკილებოდა. გოგოებიც კარგები ჰყავდათ: კანკა ჯიგარი და ამჟოლი იყო, მაკრუშა ჩვენი ძმის შეყვარებული გახდა და დასავით ვექცეოდით, არაბუშკა ცოტა არ იყოს ქედმაღლობდა, ბაიკზე ჩემთან დაჯდომა ეთაკილებოდა. მე მგონი, მაგას მართლა ტუტე მოსწონდა, თუმცა, შეიძლება ვცდები — დიაგნოზების დასმაში ცარცუნეცა იყო მაგარი.

ყოველთვის მიკვირდა, დავითას ზედმეტი სახელი რომ არ ჰქონდა. ეგეთ ტიპებს, როგორც წესი, საკუთარი სახელეებით არ იცნობენ ხოლმე. დავითა ეკლესიას ისე არ გაუვლიდა, რომ არ შესულიყო და აღმაშენებლის ხატთან სანთელი არ დაენთო. გვეუბნებოდა, რვა თებერვალი უმაგრესი დღეა და არ დაივინყოთ!

თავიდან დავითა ტუტეს ნათესავი მეგონა — ერთმანეთს ჰგავდნენ, გარდა ამისა, ტუტე დავითაზე ზრუნავდა და გამუდმებით უკან დასდევდა. დავითა ტუტესავით თბილი და გულიანი ადამიანი იყო. „გიჩაბი“ გვერდით დამისვამდა ხოლმე, ხელს გადამხვევდა და პატარა ბავშვივით მთხოვდა, ო პენრის ახალი მოთხრობა მომიყევიო. ზოგჯერ რალაც სიტუაციას დამიხატავდა და შემეკითხებოდა, ამ ამბავს რა ანდაზა მოუხდებოდაო.

ერთხელ ბიჭები ჰემინგუეის დამკვიდრებულ ტერმინზე — „დაკარგულ თაობაზე“ ვსაუბრობდით, ჩვენს ყოფას, ჩვენი „ბრძოლის ველს“ და ფსიქოლოგიურ პერიპეტიებს ვაანალიზებდით. მე დავაბრუნე: ჩვენ გადაშენების პირას მდგარი მცენარეები — შვიტები, გვიმრები და ლიკოპოდიუმები ვართ, ვცდილობთ შეგუებულობა გამოვიმუშავოთ ახალ გარემოში, მაგრამ მხოლოდ გვიმრებს უნერიათ გადარჩენა-მეთქი. დავითა იმ უძველესი მცენარეებით მოიხიბლა და დადგანს იზეპირებდა მათ სახელებს. გამომძახებდა ხოლმე: ანდაზისტ, როგორ არის გვიმრები და რა? ჰო, ჰო, გვიმრები და შვიტები! გვიმრები, შვიტები და ლიკო-რა? ლიკოპოდიუმები, ჰო! მე შვიტა ვარ ანდაზისტო, და გავქაჩავ, როგორ ფიქრობ?!

ახლა, რვა თებერვალს, ბიჭები ეკლესიაში რომ შევალთ და დავითასთვის სანთლებს დავანთებთ, რატომღაც ლოცვის ნაცვლად გულში ვიმეორებ: შვიტები, გვიმრები, ლიკოპოდიუმები, შვიტები, გვიმრები, ლიკოპოდიუმები... გული მწყდება დავითას გამო, ყველა შვიტაზე და ლიკოპოდიუმზე მწყდება გული.

ოთხმოცდაცამეტში ბევრი რამ შეიცვალა — ჩვენი თაობისთვის არავის ეცალა და ლექციები ხშირად ცდებოდა. დასახული მიზნებისკენ მიმავალ გზაზე წარმოქმნილ წინააღმდეგობებს ბევრმა ვერ გაუძლო. ახალგაზრდები არჩეულ პროფესიაზე იძულებით თუ საკუთარი სურვილით ხშირად ვამბობდით უარს. იმის კეთება დავინყეთ, რაც უფრო პრიორიტეტული აღმოჩნდა, რაც ცხოვრებაში თავს გაგვატანიებდა.

ჩვენ ბაიკებს დავუბრუნდით, სერიოზულად ჩავუჯექით მათი აწყობა-გაყიდვის საქმეს, შეკვეთებსაც ვიღებდით. მალე ქართულ ბაზარზე უცხოური ბაიკები გამოჩნდა, ვყიდულობდით, ვანყობდით, კონცეპტუალურ მოდელებს ვქმნიდით. დროთა განმავლობაში სერიოზული კომპანია ჩამოვყალიბეთ და საზღვარგარეთაც გავითავით სახელი. ჩვენი წარმატება ტუტეს დამსახურება იყო, ოპტიმისტი კაცი გამოდგა. ცარცუნეცას დამსახურებაც იყო, აზრიანი თავი აღმოაჩნდა. მოკლედ რომ ვთქვა, გაგვიმართლა — ჩვენმა მატარებელმა სახიფათო რელსებზე მშვიდობით გაიარა, ჩვენმა სანთელ-საკმეველმა გზა არ დაკარგა.

### ჩემი რვეული?

იქნებ სულაც არ ვარსებობ და მეგობრებმა შექმნეს მითი ჩემს შესახებ... იქნებ სტუდენტობა სიზმარი იყო... იქნებ, დაკარგულ ადამიანებს ტყუილად მივტირი და მე გამოვიგონე მათი ამბები?!

დრო ისე სწრაფად ცვლიდა დეკორაციებს, შესაბამისი გრემისა და კოსტიუმის მორგებას ვერ ვასწრებდი. ჩემი ცხოვრების ალბომი კონტრასტული ფოტოებით აივსო, თვალის ერთი გადავლებით მისი დათვალიერება წარმოუდგენელი გახდა.

ტუტე იმიტომ დამარქვეს, რომ სიმყავე და ცუდი ხასიათი ჩემთვის უცხო ცნებებია. სინამდვილეში ჩემში უამრავი ქიმიური რეაქცია მიმდინარეობს, თუმცა მეგობრები მხოლოდ ტუტეს იღებენ. ყველას ოპტიმისტი ვგონივარ და ბოლო დროს ვცდილობ ადამიანებს იმედები აღარ გაუფრუო. წარსულში ისედაც საკმარისი შეცდომები დავუშვი: დავითას ვერ მივხედე, ოთხმოცდაცამეტის ზამთარში ყურადღება მოვაკე-ლი და დავკარგე. არაბუშკას უძირო და მეოცნებე თვალებს მზერა მოვარიდე და საბოლოოდ დავემშვიდობე. კანკაც იოლად დავთმე, ვიდექი სადგურის ბნელ კუთხეში და მშვიდად ვუყურებდი, როგორ ავიდა ვაგონში, კუპეში ფანჯარასთან მოკალათდა და დავითას ფოტოაპარატი მაგიდაზე დადო.

ბაბუა ხშირად მიმეორებს: შენ რომ უნდა შეირთო, ის გოგო აწი აღარ დაიბადება, ისლა დაგრჩენია, თვალები გაახი-ლო და მოძებნო. უცნაურია, მაგრამ მაკრუშას სტილის ქალს დავეძებ. ვერ ვიტყვი, რომ მაკრუშა ძალიან ლამაზი, ექსტრავაგანტური ან უზომოდ განათლებულია. უბრალოდ, სამაგალითო ოჯახი შექმნა და ეს მხიბლავს მასში. როგორც ვატყობ, ჩვენს ასაკში სტაბილურობას განსაკუთრებულად აფასებს ადამიანი.

ცარცუნეცა, რაც თავი მახსოვს, ჩვენი ავტოფარების კე-დელზე ცარცით ხაზავს და თვლის ყველაფერს: ბაიკის კონ-სტრუქციებს, ქვეყნის ისტორიას, ჩვენს მომავალს: არაბუშ-კა+ტუტე; ცარცუნეცა+მაკრუშა; კანკაც+დავითა; ზოგჯერ მგონია, ამ წარწერებმა დამაპროგრამა, დამაშინა ან პირი-ქით, პროტესტის გრძნობა გამიჩინა.

ერთი დანამდვილებით ვიცი: ჩემი სტიქია ქუჩის მტვე-რია. ახლა, მართალია ოცდამეერთე საუკუნეა, მაგრამ მე და ჩემი მეგობრები მუზარადებით დავექრივართ ქალაქში. რო-დესაც ქრომირებულ მაყურებელში მზე ირეკლება და მოსახვევ-ში ორმოცდახუთ გრადუსიან კუთხეზე გადანოლილი ბაი-კით ვენერები, ვგრძნობ, რომ ვცხოვრობ! ვგრძნობ, რომ ჩე-მი საჯდომი იქ დევს, სადაც მისი ადგილია.

პირველი ბაიკი ოთხმოცდაივმეტი მიყიდეს. ლიტერატორე-ბის ოჯახში ვიზრდებოდი და ყველა გააკვირვა ჩემების გა-დანყვეტილებამ. უბრალოდ, კარგად ვსწავლობდი და უარი ვერ მითხრეს. რას წარმოიდგენდნენ, ტექნოკრატი თუ ვიყა-ვი და მათ ჰუმანიტურულ გეგმებს საფრთხე ემუქრებოდა.

სკოლა რომ დავამთავრე, ჩვენს ქვეყანაში ეროვნული მოძრაობა დაიწყო. დანყობილი ქვეყანა აიჩინა თუ არეულის დანყოფილება გადნევიტეს, ჯერაც ვერ გამიგია. გამოცდების წინ

ჩემებს გამოვუცხადე, ქიმიურზე ვაბარებ-მეთქი. ბენჯე გა-დარჩნენ ინფარქტს. ჩავირიცხე. თუმცა ოთხმოცდაცხრაში უმაღლესში მონყობა დიდ ვაჟკაცობად არ ითვლებოდა.

პირველი ორი წელი ასე თუ ისე ვსწავლობდით, მაგრამ მეტ დროს მაინც უნივერსიტეტის ეზოში ვატარებდით, კა-ლამუნებს წინ და უკან დავყვებოდი, გოჩა აბულაძის ლექ-ცებს ვესწრებოდი. რიჟა კანკას მად გადავეყარე, კარებში იდგა და მგონი იძახდა: მეორედ მოსვლა ახლოვდება და რო-მელ წყალში გადავვარდეთ. დახმარება შევთავაზე. ეგრევე წამოხვეა. უკომპლექსო გოგო იყო, ყველაფერში აცყვებოდა.

ერთხელ, ჩემს სახლთან ახლოს ბაიკი გადაგვიყრავდა და კანკა ჩემებთან ავიყვანე. ქალები აფორიაქდნენ: მაგ ბაიკს დაგინვათ, გოგოს რამე რომ მოსვლიდა, რას ფიქრობდით. ზედმინენით მიხედეს, ნაკანრები დაუმუშავეს, დამამშვი-დებლები აყლაპეს. ბებიაჩემმა „დეტსკი კრემი“ გადასცა: ფსიქოთერაპევტ კაშპიროვსკის ტელესეანსებზე ტელევიზო-რის წინ მედო და ყველაფერს არჩენსო. რა დრო იდგა, ხალხი ჭკუიდან შეშალეს, მეცნიერ-მუშაკი ბებიაც კი გადამირიეს!

კანკას ძალიან მოეწონა ჩემები. ჩაიხე დარჩა, თუმცა წიგ-ნებზე რომ ჩამოვარდა საუბარი, დიდი გამჭრიახობა ვერ გა-მოიჩინა, მოკლედ რომ ვთქვა, დედაჩემის, ბაბუაჩემის და ჩე-მი დის ტესტები ვერ გაიარა. მაგის მაგივრად მე ვინერვიუ-ლე. ბოდიშიც მოვუხადე. არ მადარდებსო, — გამომიცხადა.

მართლა არ ადარდებდა!

სახლში რომ დავბრუნდი, ჩემმა მანაკმა დამ ნამკბინა: ას-ტრიდ ლინდგრენით თუ დაანყებინებ, სიბერეში „აივენჰოს“ გაქაჩავსო. დედაჩემმა მომიჭრა: სამენო გოგო არ არისო. სა-ლამოს, ტელევიზორის ყურების დროს, ბაბუამ მხრებზე ხე-ლი მომიტათუნა და ჩუმად ჩამჭრუჩულა: გიყვარს ბაბუ? ძი-ლი მერეოდა და არ მახსოვს რა ვუპასუხე. უბრალოდ, მას მე-რე კანკაზე არაფერი უკითხავთ. შემატყვევს, გული რომ ამიცრუვდა და დამშვიდდნენ.

რამდენიმე დღის წინ მე და ანდაზისტი ცარცუნეცასთან ავედი. კალამუნები სკაიპით საუბრობდნენ და ჩვენც ჩა-ვერთეთ, არაბუშკას ოჯახი გავიცანით. უცნაური იყო, თით-ქოს ოთხმოცდაათიანებში დავბრუნდი და ლეილას ისევ ვერ გავუსწორე თვალი.

იმ დღეს გვიანობამდე დავრჩით ცარცუნეცასთან — ვსა-უბრობდით, ვისხენებდით. თურმე მაკრუშა ჩვენზე წიგნს წერს, ქმარმა გაყიდა, წიგნი ასე იწყება: წინ ტუტეა, ჩვენ უკან მივყვებითო...

მაკრუშა ვითომ გაიბუტა და თვალი ჩამიკრა. ყველა კარგ ხასიათზე დავდექით, თითქოს ფილმში გვიპირებდნენ გადა-ლებას. ვიგრძენით, რომ სწორედ ახლა დამდგარიყო საუკეთეს-სო დრო იქ დასაბრუნებლად, სადაც ერთმანეთს შევხვდით.

დარწმუნებული ვარ, საინტერესო მოგზაურობა გველის. მაკრუშას ტყუილად კი არ მივანიჭე კალამუნის ნოდება, ვი-ცი, გაქაჩავს! დროა, გაიხსენოთ ჩვენი თაობა, ყველამ შე-იტყოს გადარჩენილი გვიმრებისა და დაკარგული შვიტებისა თუ ლიკოპოდიუმების შესახებ!

ყველა მოგონებას ხომ თავისი ადგილი, დრო და მულამი აქვს.

**საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში** (ხელ-მძღვანელი **გიორგი უშიკიშვილი**) გაიმართა **ლალი ხვედელია-ნის** პოეზიის საღამო. ის გახსნეს ბავშვებმა, რომლებმაც წაი-კითხეს პოეტის საყმაწვილო ლექსები.

მაყურებელი ეკრანის საშუალებით გაეცნო კადრებს, როცა ლალი ტელევიზიაში მოღვაწეობდა 18 წელი (იგი გახლდათ 90-იანი წლების ტელედიქტორი, შემდეგ კი რედაქტორი სხვადასხ-ვა რედაქციებში) ეკრანიდან მაყურებელმა მოისმინა აგრეთვე მისი შესრულებით შოპენის ფანტაზია-ექსპრომტი.

პოეზიის გარდა სცენაზე წარმოდგენილი იყო მისი დიზაინე-რული ნამუშევრები.

სიტყვით გამოვიდნენ და თავიანთი ლექსები წაიკითხეს პო-ეტებმა: **მერაბ მეტრეველმა, მანანა დანგაძემ, ლია ნაროშ-ვილიმა, ნანა ცინცაძემ**. პოეტმა **შოთა ტოგონიძემ** ლალისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა.

ავტორთან ერთად ლექსებს კითხულობდნენ: პოეტი **თემურ ჩალაბაშვილი** და მსახიობი **ავთო მიქაძე**.

საღამო გაიმართა **ციცი ერისთავის** ორგანიზებით.

გრიგოლ კ. რობაქიძე

# ორი ნოველა

ოპოზა და ჯადოქარი

დილა ნისლიანი გათენდა. მთელი ღამე წვიმდა. ქარიც უბერავდა. დილამ კი მთელი პატარა ქალაქი ზღაპრული, ფაფუკი ღრუბლით შემოსა და თვით ყველაზე „მშოვნელი“, პრაგმატული ტვინებიც კი ბუნების სადა სილამაზესა და უბრალო იდუმალეობაზე ჩააფიქრა.

ჯადოქარი ერთსართულიანი სახლიდან აივანზე გამოვიდა. მაგიდაზე კონიაკის გუშინდელი ბოთლი იდგა. დაორთქლილიყო. ჯადოქარმა ჭიქა ბოლომდე გაავსო და ნელა დალია. მერე სიგარა ამოიღო ჯიბიდან. ცეცხლი არ აღმოაჩნდა, ფეხაკრეფით შებრუნდა შინ — ცოლ-შვილს და სტუმრებსაც ჯერ ტკბილად ეძინათ. ასანთი გამოიტანა, სიგარა გააჩაღა და დარჩენილი კონიაკიც დაისხა. სახლი შემალღებულზე იდგა და პატარა ეზო პირდაპირ ვინრო შარაზე გადაიოდა. ჯადოქარი საქანელა-სავარძელზე გადაწვა და, ის იყო, სასმელის პირთან მიტანა და აპირა, რომ შარაზე მორაგებების ოცდათხუთმეტ-ორმოცკაციანი გუნდი გამოჩნდა; ჯადოქარმა საათს დახედა და გაიფიქრა, რომ დღეს ადრე მოუვიდათ სავარჯიშოდ გამოსვლა — რვას თხუთმეტი წუთი აკლდა. ყველასათვის შეუმჩნეველი ღიმილით გააცვილა ეს მოძუნძულე, მოჩხუბარი, მაგრამ კეთილი გოლიათები, კონიაკს ბოლო მოუღო და გაახსენდა, რატომ იყო ცუდ გუნებაზე — ტულაღეტი უნდა შესულიყო...

ამდენი ნელია ჯადოქრობდა და ყოველ დილას ნერვები ეშლებოდა ცენტრალური მაგისტრატურის იდიოტურ კანონზე — თვით მესამე ხარისხის მაგისტრებსაც კი აკრძალული ჰქონდათ ადამიანის ბუნებრივი, ფიზიოლოგიურ პროცესებსა და ფუნქციებში ჩარევა; ეგ კიდევ არაფერი, თვით ჯადოქრებსაც კი ეკრძალებოდათ საკუთარი კომფორტისთვის მსგავსი ზრუნვა...

თურქული ტულაღეტი ეზოში იდგა. ბუნებრივია, დასაჯდომი არ ჰქონდა... შეხვიდოდი, ფეხებს გაჩაჩხავდი, ჩაიცუცქებოდი, უკანალს ერთი ციცქნა ნახვრეტს დაუმინებდი და მიდიხი...

ჯადოქარი სიგარის ფულით და გულში ცენტრალური მაგისტრატურის გინებით ეზოში ჩავიდა და ხის ერთი ციცქნა, მინგრეულ-მონგრეული შენობის დაბრეცილი კარი შეაღო: წვრილი წვიმის და მწმინდავი ბურუსის წყალობით მყრალი სუნიც ნაკლებად იგრძნობოდა და აბეზარი ბუზებიც მობუზულეები ისხდნენ კედლებზე. ჯადოქარმა ყვითელი მზეებით და ნახევარმთვარეებით მოქარგული ლურჯი სატინის შარვალი შეისხნა და საქმეს შეუდგა.

სიგარა თითქმის ჩამწვარიყო, ჯადოქარმა იქვე, ბეტონის იატაკს დაასრისა და ნამწვს ქალაღების ურნაში გადაუძახა...

მაგრამ ბეტონის იატაკზე კიდევ საკმაოდ დიდხანს ინვოდა თამბაქოს ფურცლების ნარჩენები. მოყავისფრო-ნაცრისფერი პატარა ობობა ძალიან შეაწუხა ბოლმა და ისიც ობობური ბუზულუნით ტულაღეტის კარის ღრიჭოში გაძვრა.

როცა ჯადოქარი მისი ინტელექტის შეურაცხმყოფელი, პრიმიტიული კონსტრუქციიდან ბოლოს და ბოლოს გამოვიდა და მომლოდინე დღის სასიამოვნო პერსპექტივებზე ფიქრით ხელის დასაბანად გაემართა, სახლში უკვე დანყებულყოფი დილის ძილთან გამოსათხოვარი ფუსფუსი...

\*\*\*

ნისლი უკან, ცაში აფრენილიყო და — იმავე საღამოს ჯადოქარი წვეტიანი ქუდით თავზე, ცანცარა ჭაღარა წვერით ნიკაპზე ცოლ-შვილისა და კმაყოფილი სტუმრების გარემოცვაში საღამოს კონიაკს და ყვავს შეექცოდა ეზოში; ღიმილით ათვალთვინებდა ჯადოქარი ღობის სარეზს შორის გაჭიმულ ვეებერთელა ქსელს, ჩამავალი მზის სხივებში ცისარტყელას ყველა ფერი რომ ბზინავდა... ქსელის შუაგულში მონაცრისფრო-ყავისფერი

ობობა ქანაობდა; ის ისეთივე კმაყოფილი იყო სუფთა ჰაერითა და საღამოს დაჭერილი არატულაღეტური, გემრიელი ბუზით, როგორც ჯადოქრის სტუმრები კონიაკით და ხვალისთვის შეპირებული გემრიელი სადილით.

ბებერი ჯადოქარი კი ყურადღების განსახიერება გახლდათ — ავსებდა სასმისებს, ჰყვებოდა საინტერესო ამბებს, ბავშვებს ეფერებოდა და ხანდახან წაულიღინებდა კიდევ. იგი სიამოვნებით ელოდა ხვალინდელ დღეს, როცა ჩვეულებრივი უმი ხორცი არომატულ ფრიკასედ უნდა ექცია.

...მაგრამ ხანდახან, ასე საათში ოცი, ოცდაათი წამით ახსენდებოდა დილის ტულაღეტი და ამ ნახევარი წუთის განმავლობაში, დარწმუნებული ბრძანდებოდათ, ცენტრალური მაგისტრატურის წევრების მშობლები არცთუ სასიამოვნო დროს ატარებდნენ მის გულში.



## პაკუშის გარეთ

...მხოლოდ „მედიუმ-ტელეპატ-ნათელმხილველებისთვის“ ხილულ აპკში, „აორა-ფლუიდ-კიდევ-რალაცებს“ რომ ეძახიან იმდენი რამე აღრეულიყო, რომ ცოტაც და — ვერ გაუძლებდა და გარეთ გასროლილი ენერჯის ეს ტალღაც შეუერთდებოდა საერთო კოსმიურ უსასრულობას.

— რა საინტერესოა, — ხმა მის მარჯვენა მხართან დახრილ ოფიცინტ გოგონას ეკუთვნოდა და, თუმცა არ იყო მოულოდნელი, მაინც არღვევდა ვაკუუმს, რომელიც ის-ის იყო, პატარა ნიგნაკის ფურცელზე უნდა შეკუმშულიყო. მოფრანტო გარეგნობის, ყელზე ბენდენაშებულმა კაცმა უკმაყოფილოდ ახედა ქალიშვილს (ვითომ? — მაინც რა ენა გაქვს და რა პირობითობები?! და შევმელნიან მოფლომასტერო კალამს სარქველი დახურა.

— ბავშვობაში ვისოცკის თუ უსმენდი? — ჰკითხა ქალიშვილმა... გო... ქალ... ეე, ოფიცინტს, რატომღაც სინანულით გაიფიქრა: „რა დროს ქალიშვილებია! ან რომელი ბავშვობა? და უნდა ეხლა ამას ვისოცკი?! და, პასუხს აღარ დაელოდა, ისე დაამატა, — „Я не люблю, когда чужой мои читает письма, заглядывая мне через плечо!“

მოქალაქილოს ღანვები სულ ოდნავ, ძლივს შესამჩნევად შეუვარდისფრდა და ჩაილაპარაკა:

— რომ არ ჩამეხედა და არაფერი მეთქვა, თქვენ რვეულს არ გასწევდით... და, რომ არ გაგენიათ, მე ლუდი თქვენგან შორს უნდა დამედგა...

ფლომასტერიანმა გაოცებით დაიხედა წინ — მის მარცხენა ხელს მართლაც მექანიკურად გაენია ნიგნაკი და იქ ახლა ქაფ-ქუდიანი კათხა იდგა; აღარაფერი უთქვამს, კათხის კიდევ ერთხილად დაყარა მარილი და სიამოვნებით მოსვა.

— დიდი ხანია მელოდები? — გაუღმა მერე გოგონას და „მელოდების“ მაგივრად „კითხულობ“ იგულისხმა. ის ილიის ქვეშ სინამორჩილი გვერდით მაგიდას აპრიალებდა ტილოთი; ახლად შეამჩნია მრგვალ სახეზე დაყრილი წვრილი ჭორფლი, კოხტა, პაჭუა ცხვირი და გაბუტული ტურები; თვალებში არ უყურებდა — წამისწინა უხეშობის გამო უხერხულად გრძნობდა თავს... — არა,

— გაიცინა გოგომ, — ვერ შეამჩნიეთ, ლუდი რომ მოვიტანე... კაცმა კმაყოფილებით, შემრიგებლურად დაუწინა თავი და სიგარეტს მოუკიდა, პატარა ბარში ექვსი თუ შვიდი მაგიდა იყო, ერთი საფეხურიტ შემალღებულ კუთხეში ძველი, ზოგან სალუბავამეგრალი „ბეკერი“ იდგა, საღამოობით მას მოხუცი, მელოტი პიანისტი აცოცხლებდა და ახლა როგორღაც მიტოვებული, დამარტოვებული ჩანდა... რალაც მოპლასტმასო მასალის ნაცრისფერ კედლებზე

უგემოვნო ნახატები ეკიდა, თავისთავად ნახატები შეიძლება არც იყო უგემოვნო — ნაზი ცისფერი და მომწვანო-მოიისფრო ზეთის ტონები აშკარად ერთსა და იმავე ავტორს ეკუთვნოდა, მაგრამ აქაურობას როგორღაც არ უხდებოდა; გვერდით ოთახში მოწყობილი ბარიდან გულის გამანერვილებლად ჩხარუნობდა რომელიღაც თანამედროვე, მოდური მელიოდა. მოფრანტომ წიგნი გადაშალა და შეესებულ ორ თუ სამ გვერდს გადაავლო თვალი. „რემარკს ჰგავს“ — გაიფიქრა უკმაყოფილოდ და ისევ დახურა; სხვაგან რომ ყოფილიყო, სიამოვნებით მოისვრიდა დაწერილს, მაგრამ აქ და ახლა... რატომღაც ყველაფერი აღიზიანებდა, ნახატები, მარტოხელა ინსტრუმენტი, ეს მოჭკვიანო არსება... „გუშინდელი არყის ბრაღია!“ — დაასკვნა და კათხა გამოცალა; ეს მეორე კათხა იყო დილიდან; თავში გუგუნე კი მოსვენებას არ აძლევდა.

ჰაჭუამ ბოლო მაგიდაც გააპრიალა და თეძოების რხევით გაემართა ბარისაკენ, გზად მის კათხას თვალი შეავლო და — რამეს ხომ არ ინებებთო, ჰკითხა; მისი მაგიდის გარდა, ყველა ცარიელი იყო.

— არა, ჯერ არა... ოღონდ იქნებ მუსიკა გამოცვალო?

მალე ბარიდან რადიოს წვალეების ხმები მოისმა — ჯერ ვიღაც „დიჯეი“ ტელეფონით ელაყებებოდა წანაზე-ბუღბუღიან, „უსაქმურ“ „თინეიჯერს“, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ჭორფლიანის უხილავმა ხელმა ეს საშინელება მალევე შეცვალა სხვა არხით — „მოგზაურები მთვარეზე“... სინატრა იყო. ჭილოფის ფარდის იქიდან ახლა უკვე ლამის საყვარელი ცხვირი გამოჩნდა: — იყოს?

რემარკთან მსგავსებით უკმაყოფილომ ისეთი შვება იგრძნო, რომ მზად იყო, მისი ქალიშვილობაც კი ერნმუნა; თავი დაუქნია და ხელით ანიშნა, მოდიო.

ჭორფლები ბარის სულელურ განათებაზე მხიარულად ათამაშდნენ და სახეგაბრწყინებული გოგონა მაგიდას მიუახლოვდა.

— გადავიფიქრე, კონიაკს დაველევე, — გაუღიმა კაცმა; „Подобное надо лечить подобным“ — ეს კიდევ ბულგაკოვია, — ამ აზრმა მოსალოდნელი გამოჯანმრთელების მოლოდინში სასიამოვნოდ მოთენთა, — ოღონდ შენც თუ დამეწვევი!

— ჩემთვის რომ არ შეიძლება? — არც ისე გადაჭრით თქვა გოგომ და თვალები ეშმაკურად აუციმციმდა.

კაცმა აქაური წესები კარგად იცოდა... იცოდა ფასებიც: 100 გრ „თბილისური“ — 3 ლ; ამდენივე „სარაჯიშვილი“ — 5; „ნაპოლეონი“ კი... გონებაში ჯიბეში დარჩენილი ფული გადათვალა.

— სალამომდე ჯერ საკმაო დროა, — გოგოს თვალებში შეხედა: მოთაფლისფრო-მომწვანო ორი სარკის მიღმა უამრავი რამ ირეოდა — ცოტა მიამიტობა, ცოტა უხამსობა, ცოტა მარტოობა და ბევრი, ბევრი ის რაღაც, რასაც სიტყვების უკმარისობით უბრალოდ ადამიანობას ვეძახით, — მოდი თითო „სარაჯიშვილი“ დავლიოთ, იცოდენ უარს არ მივიღებ... — და აქ არმსტრონგმა ქვეყნის თუ ცხოვრების მშვენიერებაზე დაიწყო სიმღერა; ნახატებზე იისფერ-ცისფერ-მომწვანო წყალი სასიამოვნოდ ალივლივდა, „ბეკერი“ რატომღაც ახდილად დარჩენილი სახურავის ქვემოდან ზანგივით კრეჭდა მოყვითალო კბილებს; კაცმა მობილური ტელეფონი ამოიღო და დახედა: აქ ჩამოსვლის წინ ხმა გამორთო და ახლალა გაახსენდა: ეკრანზე კონვერტი ეხატა, წერილი მოსვლოდა: „ველიამინოვში“ გამოვდივართ ხინკლით და ლუდით. ჩამოდი!“ 15-20 წუთის წინ მოსულიყო; ნომერს დახედა — ბრ, ლოთები! — გაიღიმა და აპარატი ჯიბეში ჩააბრუნა.



მხატვარი ცირა პაპინაშვილი

„ადამიანობამ“ კონიაკი, თურქულად მოხარშული ყავა და მრგვალად დაჭრილი ლიმონი მოიტანა, მოხერხებულად დააწყო მაგიდაზე და ჩამოჯდა; არაფერს არ აკეთებდა ზედმეტს, სხვა ქალი ან სხვა დროს, ან სულაც სხვაგან ორჯერ, ან მეტჯერ ათხოვნიებდა სტუმარს; მაგრამ აქ კიდევ უფრო სხვა იყო რაღაც... — ყავა დაწესებულების ხარჯზეა, — ამაყად გასწორდა წელში და ღია ნაბლისფერი თმა მსუბუქე მოძრაობით გადაიყარა მხრებზე.

— კარგია! — გაიცინა კაცმა და ღიპიანი სირჩა ასწია, — შენ გქვია... — სულ ერთი წამით ეწყინა თავისი სახელის ასეთი მცირე მნიშვნელობა, ტუჩები ოდნავ უფრო გაიბუტნენ, მაგრამ მერე — ჩანს, ლამაზ თავში რაღაც წმინდა ქალურმა გაუელვა — უფრო განათდა მზიანი სახე: — ირმა...

— შენ გაგიმარჯოს, ირმა, ეს წუნკალი დრო ყველაზე ცუდი ყოფილიყოს შენს ცხოვრებაში...

— თქვენც გაგიმარჯოთ... — და თქველობით აღარ ვილაპარაკოთ, კარგი?

გარეთ კიდევ — ციოდა, ვილაცებ რევოლუციობდნენ, ვილაცებს იჭერდნენ, ხალხი უმუშევრად დარჩენილიყო და სალამოობით სახლიდან ცოტა ვინმე თუ გამოდიოდა მარტო უიარალოდ და უდანოდ მაინც.

— „ფილინ...“ — წყნარად წაიღუდუნა მერე ვილაცამ რადიომიმღებში. კონიაკი მალე დალიეს, თითქოს ეჩქარებოდათ სადმე.

კაცს რატომღაც გალაკტიონი გაახსენდა: ერთხელ, რომელიღაც ძალიან მოდურ თბილისელ ქალბატონთან სტუმრობისას, გენიალური თვითმკვლელის ჩანაწერებს ფურცლავდა; ეს გამოცემა პირველად ენახა. მოულოდნელად ერთ-ერთ გვერდზე საოცარმა სიტყვებმა შეაძრწუნა: „ასანთი — 10 კაპ. პაპიროსი — 60 კაპ. ჭიქა — 80 კაპ. ფული აღარ მაქვს სრულიად. აღარც იმედი... ვინმესი ან რამის“.

თავისი ვალებიც გაახსენდა და მწარედ გაეღიმა. ის პირდაპირ მზიანი სახე კონიაკს კიდევ უფრო აეაღმურებინა; ირმა რაღაცას იხსენებდა ამასწინანდელ სალამოზე, აქვე, ამ ბარში... ერთადერთი, რაც დაამახსოვრდა, იყო, რომ ქალს იასამანი ჰყვარებოდა.

...ნახევარ საათში უკმაყოფილოსახიანმა სომეხმა ტაქსისტმა, თბილისის გზებზე დანჯღრეული, მოცახცახე, აშკარად სანთლებდასველებული მანქანით „ველიამინოვთან“ მიიყვანა. — ვაა, ვინც მოვიდა!..

სალამოს ისევ შეიარა კაცმა ბარში. ბევრი ხალხი იყო. ირმა მისი ძმაკაცის მუხლებზე წამოსკუპებულებიყო. მელოტი პიანისტი ჯერ არ ჩანდა, ბებერი „ბეკერის“ ისევ თავახდილი „პირი“ კი ახლა თავისქალისას უფრო ჰგავდა. იაფფასიანი არყის სუნით გაუღენთილ სივრცეში თამბაქოს კვამლს მიღმა საცოდავად შეყუჟულიყო ჩარჩოებში მოქცეული, ფერნაცვალა ზღვა. კაცი ძმაკაცთან-ირმთან მაგიდას მიუჯდა და ისევ კონიაკი შეუკვეთა, ამჯერად „თბილისური“.

სწორედ იმ „დიჯეიან“ „თინეიჯერიანი“ არხიდან იქაურობას რაღაც „დუნ-ციქი, დუნ-ციქი“ აძიგძიგებდა.

მიამიტი შეყვარებულები ლამის თბილისის მალაზიებში საშინლად ძვირფასიან, ჰოლანდიურ, „რევოლუციურ“ ვარდებს ყიდულობდნენ; ქალაქში დეკემბრის სუსხი იდგა და ჯერ ძალიან შორს იყო იასამნის ავჯავებამდე... „...იმ ხილულ აპკში კი იმდენი რამ აღრეულიყო...“



ნინო ნიკლაური

# დღეებსა და ღამეებში აღამიანები ფატიშრობდნენ

— უმუშევარი ვარ.  
 — რომელიმე უცხო ენა თუ იცი?  
 — არა — შენუხდა გოგო.  
 რედაქტორი ჩაფიქრდა.  
 — ჩვენ ძალიან პატარა რედაქცია გვაქვს. აქ გამორიცხულია. მაინც კარგია, რომ მითხარი, მხედველობაში მექნება.  
 — შეიძლება გამოჩნდეს რამე?  
 — ჩვენთან არა, სხვაგან შესაძლებელია. ვნახოთ! რაც შეეხება თქვენს მოთხოვნებს, ვითანამშრომლოთ. ველოდებით ახალ ნაწერებს!  
 იმედი ნამოილო.  
 ორი მოთხოვნა დაუბეჭდეს. ისევ უმუშევარი იყო.  
 სასოწარკვეთილმა ფეისბუქით დაიწყო მშველელის ძებნა. ჯერ ნაცნობის მაზლი გაახსენდა. ამბობდნენ, რომ ჰქონდა კლინიკა, მაღაზია, რესტორანი და კიდევ ბევრი უნდა მიეცა ღმერთს, რადგან იყო კეთილი, ინახავდა ძმის მრავალშვილიან ოჯახს, მარტოხელა მამიდას; ხელს უმართავდა ნათესავებს, ნაცნობებს, უცნობებს... და სთხოვა დახმარება. თვრამეტი წუთის შემდეგ ნაიკითხა წერილი კაცმა და დუმილით უპასუხა.  
 მისწერა ბიბლიოთეკების და მუზეუმების დირექტორებს. მხოლოდ ერთმა დაუბრუნა პასუხი — „სამწუხაროდ, არ გვაქვს არანაირი ვაკანსია“. ყველა დუმდა.  
 „სიტყვა და საქმე“ იყიდა. სჭირდებოდათ მენეჯერები, ძიებები, გამყიდველები, პურის მცხოვრებლები, მკერავები, მძღოლები, ბუღალტრები, პროგრამისტები... უნდოდათ ოციდან ოცდათხუთმეტ წლამდე ადამიანები. ოცდათვრამეტის იყო. უსარგებლო ასაკი ჰქონდა!  
 მერე ეს ნახა — „ოფისში სამუშაოდ გამოიხემაწურეთ ოციდან სამოცდაათ წლამდე ქალები... იკითხეთ ქალბატონი ლია.“  
 დარეკა.  
 — მობრძანდით და გაგარკვევთ.  
 ძლივს იპოვნა შენობაში შესასვლელი. ქარს მიეხვეტა გამხმარი წინვები, სივარეტის ნამწვავები, პარკები, ბოთლები... მესამე სართულზე ავიდა. იქაურობა ნკრიალედა.  
 მაღალქუსლიან ფეხსაცმელს ფრთხილად აბიჯებდა ქალბატონი ლია და ფაქიზად დაჰქონდა დიდი უკანაღი. ჯინსის ქვედაკაბა გაბერილ მუხლებს უფარავდა. პიჯაკი ეცვა.  
 შეავსებინა წინასწარ ამოებჭდილი ფურცელი — ვინ იყო, რა დაამთავრა, უმუშავია თუ არა, იყო თუ არა კომუნიკაბელური... მერე სხვა ოთახში შეიყვანა, გამოართვა, დაკვირვებით ჩაიკითხა ნაწერი და ისევ ფრთხილად დაიწყო, როგორც დადიოდა:  
 — ეს არის უცხოური კომპანია „ტიელი“. გაგიგიათ მასზე რამე?  
 — არა.  
 — კომპანია ახლა მკვიდრდება ჩვენს ქვეყანაში და აქვს დიდი გეგმები. მუშაობა მიმდინარეობს საორგანიზაციო და კომერციული მიმართულებით. თავდაპირველად დაგიდებთ ექვსთვიან ხელშეკრულებას. თუ მოგეწონებთ, მერე ერთწლიანს.  
 — რა უნდა გავაკეთო?  
 — ამას ორი სიტყვით ვერ გეტყვით. ჩატარდება ხუთი ლექცია, სადაც დანერგვით აგისხნით ყველაფერს.

— ლექციები უფასოა?  
 — კი. მოგვიანებით დამირეკეთ და მეცოდინება გასაუბრების შედეგები.  
 მის შემდეგ სამოცდაათ წლამდე ჭალარა ქალი შევიდა მონინებით.  
 „წუთუ ამასაც მიიღებენ?“ გაიფიქრა მარიამმა.  
 სალამოს ქალბატონმა ლიამ ახარა — გილოცავთ! წარმატებით გაიარეთ გასაუბრება. მობრძანდით პირველ ლექციაზე.  
 ისეთი ხალხი შეიკრიბა, მიხვდა, უარი არავისთვის უთქვამთ. ჭალარაც იქ იყო და წუხდა.



— ბებერს რა მინდა თქვენთან ერთად?!  
 — ჩვენსაირებს კიდევ ბევრს აჯობებთ! — ამშვიდებდა მოკლევადიანი, ხმაგანელილი გოგო.  
 ქალბატონი ლია ისეთივე იყო:  
 — მოგესალმებით! გაგცნობით. განათლებით პედაგოგი ვარ. პროფესიით დიდი ხანია არ მიმუშავია. მეუღლესთან ერთად მქონდა მცირე ბიზნესი, მაგრამ ომის შემდეგ გავკოტრდით. ჩემს ქმარს ნერვიულობისგან ჩაქცევა დაემართა და დაინვალიდა. უიმედო მდგომარეობაში ჩავვარდი და არ ვიცი რა მეშველებოდა, ქალბატონ მაიას რომ არ შევხვედროდი. ის გახლავთ კომპანიის საქართველოს ფილიალის ხელმძღვანელი... ახლა განვიხილოთ ჩვენს ქვეყანაში არსებული შრომის ბაზარი. ჩაინერეთ, თუ შეიძლება!  
 კარნახით ჩაანერინა საჯარო სამსახურებში მომუშავე ადამიანთა ხელფასები, „ხილული“ და „უხილავი“ უმუშევრების მდგომარეობა. აქო „მრავალსართულიანი ბიზნესი“. ახსენა, როგორი უნდა იყოს სანდო კომპანია. მოჰყვა „ტიელის“ დამარსებლის ბიოგრაფია, როგორ შეუშვეს ჩაკეტულ საცავებში, საიდნაც გამოიტანა საიდუმლო რეცეპტები, რითაც ჩვენ წელთაღრიცხვამდე იმპერატორებს ნამლებს უმზადებდნენ; და დღეს როგორ აკეთებენ მათ დედამიწაზე ერთადერთ ეკოლოგიურად სუფთა ადგილას, ტიბეტში; პრეზენტაცია „მეტეხი პალასში“ ჰქონდათ და ქალბატონ მაიას ავტომობილი — „ბმვ“ აჩუქეს.  
 — თუ შეიძლება გაიმეორეთ, ჩამოვრჩი — დაიძახა ჭალარამ.  
 გაუმორა.  
 „ქალბატონ მაიას აჩუქეს ავტომობილი „ბმვ“ — დალრეცილი ასოებით ბეჯითად ჩაინერა მოხუცმა.  
 — გვაქვს მუშაობის შეფასების რვა ვარსკვლავიანი სისტემა. რვავე ვარსკვლავის მიღების შემდეგ გადის პენსიაზე. მინდა გითხრათ, თანხა არის ძალიან სოლიდური, რამდენიმე ათასი დოლარი. ნახევარი წლის წინათ პენსიონერი გახდა ჩვენი პარტნიორი პოლონეთიდან და მას შემდეგ სულ მოგზაურობს. ხან ტაიტიდან გვირეკავს, ხან რომიდან.  
 — უკაცრავად, გაგვიმეორეთ, საიდან რეკავს? — ისევ ჩამორჩა ჭალარა.  
 — ეს შეგიძლიათ არ ჩანოთ — გაიღიმა ქალბატონმა ლიამ და მაინც თქვა — ხან ტაიტიდან, ხან რომიდან... დღეისთვის საკმარისია. კითხვები ხომ არ გაქვთ?  
 — ჩვენ რა უნდა ვაკეთოთ? — იკითხა მარიამმა.  
 — მაგის შესახებ მეხუთე ლექციაზე ვისაუბრებთ.  
 — იქნებ რამდენიმე სიტყვით აგვისხნათ!  
 — რამდენიმე სიტყვით შეუძლებელია! დიდი მადლობა ყველას. ახლა რალაც უნდა მოგიყვებო. თემას არ ეხება, მაგრამ ძალიან მომწონს. გარდა იმისა, რომ ტაშით იხდიან მად-

ლობას მაყურებლები, ტაშის დაკვრა ადამიანებში იწვევს სასიამოვნო ემოციებს და თურმე ერთი ხელისგულის მეორე ხელისგულზე დარტყმით ვიზიდავთ ბარაქას! იცოდით? აბა, ყველამ ერთად შემოვკრათ ტაში. ფული მოვიზიდოთ, ფული!

ატყდა ტაშისკვრა. მარიამი იცინოდა. უცებ კარი გაიღო და ქალი შემოვარდა. ისიც ტაშს უკრავდა და მასაც პიჯაკი ეცვა.

— ეს გახლავთ ქალბატონი მაია, ჩვენი ფილიალის ხელმძღვანელი! — ტაში გაძლიერდა.

— ძალიან სასიამოვნოა! — არაბუნებრივად გაფართოებული თვალებიდან ამ წუთებისთვის შეგროვებულ სიკეთეს აფრქვევდა ქალი — მოგიყვებით ჩემს შესახებ. ექიმი ვარ. დღედაღამ ადამიანების გადასარჩენად ვშრომობდი. მაინც ვერ ვცხოვრობდი კარგად. ექიმებს ფული არა აქვთ, დამიჯერეთ! მინდოდა მეც მცმოდა კარგად, მყოლოდა მანქანა, მეველო სამოგზაუროდ. ასეთი სურვილები თქვენც გაქვთ? — გადამეტებული ინტერესით დაელოდა პასუხს.

— რა თქმა უნდა! ჩვენც გვინდა! გვინდა!

— მერე გავიარე ეპილაციის კურსი. შინ აპარატის საყიდელი ფული არ მომცეს. ძალიან ძვირი ღირდა. თუ გინდა, შენ თვითონ იყიდეო, მითხრეს. წავედი მოსკოვში და შემთხვევით მოვხვდი ამ კომპანიაში. თავიდან ვერაფერი გავიგე. ვფიქრობდი, ნეტა რა უნდა ვაკეთო-მეთქი!

— სწორედ ეგ მაინტერესებს მეც — ჩვენ რა უნდა ვაკეთოთ? — ისეც იკითხა მარიამმა.

— არაფერი! — გაუღიმა ქალმა — უნდა იყოთ გაპრანჭულები, საუკეთესო გუნებაზე, ბედნიერები!

— ჩვენც ლექციები უნდა ჩავატაროთ?

— კი. მომავალ კვირას ჩამოდიან სტუმრები მოსკოვიდან, ჩატარდება სალამო თეატრის შენობაში, სადაც უფრო ბევრს შეიტყობთ კომპანიის შესახებ. ბილეთების რაოდენობა შეზღუდულია, მაგრამ თუ გინდათ, მოგიხერხებთ. ათი ლარი ღირს. ხართ მსურველები?..

შემდეგ ლექციაზე აღარ მისულა.

\*\*\*

მეგობარმა დაურეკა — ბავშვი უნდა მომინათლოო! ფული არ გააჩნდა.

— ბანკები იძლევიან ორასლარიან კრედიტებს. უნდა უთხრა, რომ მაგდენივე შემოსავალი გაქვს. ნუ გეშინია, არ ამონებენ! — ურჩია მეზობელმა.

წავიდა. დიდი რიგი იდგა. ზოგს აძლევდნენ, ზოგს უარი ისტუმრებდნენ.

— სად მუშაობთ? — ეს კითხვაც დაუსვა დალილთვალე-ბიანმა გოგომ.

— ოფიციალურად არსად. მოთხრობებს ვაქვეყნებ სხვადასხვა ჟურნალში.

— თვეში რამდენი გაქვთ შემოსავალი?

— ორას ლარამდე — იცრუა.

— რა პროფესია ჩავენრო? ალბათ მწერალი, ხო?

— მერიდება მაგ სიტყვის დარქმევის! — შეყონდა მარიამი.

— აუცილებლად უნდა შევავსო!.. თუ მოთხრობებს წერთ, მწერალი ხართ!

— კარგი, ჩაწერეთ! — სხვა გზა არ ჰქონდა.

ასოთხმოცდაერთი ლარი აიღო. ათი ლარი იმაში გამოართვეს, ვალი რომ მისცეს, ცხრა ლარი — ბარათის საფასურად. და ვიდრე მთლიან თანხას გადაიხდიდა, ორ კვირაში ერთხელ ათ-ათი ლარი უნდა შეეტანა. მაინც კმაყოფილი იყო!

\*\*\*

ხეზე ბანრით მიბმული ძროხა იცოხნებოდა. გატიკულ ცურთან ჩაცუცქეულიყო მოხუცი. რძე ჩხრილებდა.

ყვითელი მსხალი მოსწყდა და მინას დაასკდა. ძროხა დაფრთხა.

— ჰოოოო-ჰო! — დაუყვავა ქალმა, მონველილი რძე მოარიდა და დაზნექილი ტოტები შეათვალა — ესეც ჩამოსაკრეფია!

ნითელაგურიანი დიდი სახლიდან ხმაური ისმოდა — ქეიფობდნენ!

მარიამის წინ მსუქანი რძალ-დედამთილი ისხდა.

— ჩვენი ნათლია თუ მუშაობს სადმე? — ცხიმიანი თითებით შემწვარი თევზიდან ფხების გამოჩევა არ შეუნყვეტია რძალს.

— არა, უმუშევარი ვარ — ნაღვლიანად გაიღიმა მარიამმა.

— რა გაგიჭირდა მერე?! ათასი რამეა. აი თუნდაც „გუდეგის“ ახალი ფილიალი იხსნება და მსურველების განცხადებებს იღებენ! თუ არ კადრულობ ეგეთ საქმეს? მე დიდი სიამოვნებით ვიმუშავებდი!

— აქაურობა ხომ დაბრდგოლე, ეხლა იმათ ააშენებ! — გამოაცხადა დედამთილმა.

რძალმა მშვიდად გამოაძრო შერჩენილი ფხა თევზს.

— ყველამ ვიცით, როგორ გაჩნდა ქალი ნეკისგან — ქალებს ადღევრძელებდა თამადა — ნეკი კი ერთადერთი ნაწილია ადამიანის ორგანიზმში, რომელსაც ტვინი არა აქვს!..

\*\*\*

— ხომ არ დაგეხმაროთ?

— უბრალოდ ვათვალაიერებ.

— მაინც რა გაინტერესებთ?

— სარეცხის მანქანა.

— ფასი თუ მისაღებია თქვენთვის, ეს საუკეთესოა.

— მარი, მოდი რა, მაგისთვის წამომყევი? ამარჩევი ეს ოხერი უთო! — ორი უთო ეჭირა ხელში მეგობარს, ერთი გერმანული, მეორე — იტალიური, თუმცა ორივე თურქეთში იყო დამზადებული.

\*\*\*

დღეებსა და ღამეებში ადამიანები ფათურობდნენ.

მოხუცმა ძროხა მონველა და ნახირში გაავდო. წნევა გაიზომა. ლობიოს წყალი გადაავლო, ცეცხლზე შემოდგა. აკრუტუნებულ კატას ძეხვის ნაჭერი დაუდო წინ. ქათმებს ხორბალი დაუყარა. სახლი მიაღაგ-მოხლაგა. პატარა ჯამი მსხლით აავსო და მეზობელს მიანოდა. ციალამ მოიკითხა.

— ვერა ვარ კარგად, გული მიძვრიალებს, მაგრამ მსხალი ერთიანად თუ არ ჩამოვკრიფე, ქარი ჩამოყრის და გააფუჭებს.

— მოგეხმარები!

— არა, როგორ შეგანუხებ! — შეიცხადა და შინ შევიდა.

თავი უცნაურად იგრძნო...



მხატვარი ოლესია თავაძე

შვილმა აივნის ქვეშ, მინაზე დამხობილი ნახა. მომკვდარიყო. მიმქრალ ღუმელზე თბილი, სურნელოვანი ლობიო იდგა. დიდხანს ეძება არეულ-დარეულობაში დაკარგული მობილური. სანოლზე მიყრილი ტანსაცმელის ქვეშ იპოვნა და დარეკა.

- დედა მომიკვდა, მარი!
- ეხლავე წამოვალ! „გუდვილში“ ვარ. განცხადებას ვწერ. ორ ნუთში მოვრჩები და წამოვალ!
- შევსებულ ფურცელს თავში მარიამის პატარა სურათი დაანება ხალიანმა გოგომ.
- ერთი თვის მანძილზე თუ არ შეგეხმიანეთ, აღარ დაგველოდო!
- ასაკს აქვს მნიშვნელობა?
- თქვენთვის არა!

\*\*\*

ქელეხში ქაფქაფა ხაშლამა ჩამოატარეს.

- ისევ ტელევიზიაში ხარ? — ლიმონათი დაუსხა მარიამს გვერდით მჯდომმა ნაცნობმა ექიმმა.
- არა, მორიგ შემცირებას ველარ გადავურჩი.
- უმუშევარი ხარ?
- კი.
- საავადმყოფოზე რას იტყვი?
- რა უნდა ვთქვა?!
- საკანცელარიო ნივთების სანყოფიში უნდა იყოს ადგილი ჩვენთან. ამ დღეებში დამირეკე და მოდი, აბა!

\*\*\*

მივიდა.

- ცოტა ხნით დამელოდე!
- მოსაცდელში სკამზე ჩამოჯდა.
- სადღაც წავიდა ექიმი და დაბრუნდა. მერე ისევ წავიდა. ჯდომით დაილაღა მარიამი და გაიარ-გამოიარა. მისალეში შეიჭვრიტა და ექთანს ჰკითხა:
- თუ იცით, მალე მოვა?
- პაციენტი ხართ?
- არა.
- გამოჩნდება!
- ისევ დაჯდა და კარისკენ დაიწყო ცქერა. ბოლოს გამოჩნდა. სავესე პარკები მოჰქონდა თან.
- უხ, შენ სულ დამავინყდი! — წამოიძახა — ამეებს დავანყო და ავიდეთ!
- გრძელი იყო კიბე.
- ბოდიში რა, საყიდლებზე გავედი. იმდენი საფიქრალი მაქვს, სულ ამომივარდი თავიდან.
- მეოთხე სართულზე დირექტორის კაბინეტში შევიდა. მარიამი გარეთ გაჩერდა. ცოტა ხანში დაუძახეს.
- შავ მაგიდასთან ახალგაზრდა ქალი იჯდა. მიესალმა მარიამი.
- რა პროფესიის ბრძანდებით?
- ისტორიული მაქვს დამთავრებული.
- ჩვენ მხოლოდ სამედიცინო განათლებამიღებული ადამიანები გვჭირდება!
- კი მაგრამ, მე ხომ მხოლოდ საკანცელარიო ნივთების სანყოფიში მინდა მუშაობა!
- ასეთი მოთხოვნა გვაქვს!
- კიბეზე მარტო ჩამოვიდა.

\*\*\*

გაჩერებას მიუახლოვდა ავტობუსი. დაძახული იყურებოდა მარიამი. მხოლოდ ერთი ყვითელფორმიანი კაცი ჩანდა. „მგონი გადავრჩები“, გაიფიქრა და ორმოცდაათი თეთრი ჯიბეში ჩააბრუნა. წინა კარიდან ის ამოვიდა, უკანა კარიდან თვითონ ჩავიდა და სასწაულით გაჩენილ მეორე ყვითელფორმიანს შეეჩეხა.

- თქვენი ბილეთი! — მკაცრი იყო ახალგაზრდა კაცი. ჯიბეების ქექვა დაიწყო.
- პირადობა მომეცით, თუ შეიძლება!
- არ მაქვს!
- პირადი ნომერი მითხარი!
- არ ვიცი ზეპირად.
- სახელი!
- მარიამი.
- გვარი!
- მოსაშვილი.
- დაბადების წელი, თვე, რიცხვი!
- ათას ცხრაას სამოცდაათობმეტი, პირველი აპრილი. სურათი გადაულო ყვითელფორმიანმა.
- გირჩევნია გამოაჩინო, თორემ ამ მონაცემებს ბაზაში გადავგზავნი. იქ მოძებნიან შენს პირად ნომერს და დაგაჯარიმებენ სამოცდათხუთმეტი ლარით.
- ჯარიმა ხომ ხუთი ლარია?
- ეგ იმ შემთხვევაში, მე თუ გამოგინერ ქვითარს. ქვითარის გარეშე რომ მიხვალ ბანკში, სამოცდათხუთმეტი ლარს გადაიხდი.
- გამიშვი რა!
- მარტო რომ ვიყო, გაგიშვებდი, მაგრამ ის ჩემი უფროსია — მიუთითა ავტობუსში ასულ ყვითელფორმიანზე — სახლში დარეკე და უთხარი, გიკარნახონ.
- არავინ არის შინ.
- მაშინ სამოცდათხუთმეტი ლარს გადაიხდი!
- ორმოცდაათი თეთრი ვერ გადამიხდია და მაგდენს როგორ გადავიხდი!
- არ გადაიხდი და გაგასამართლებენ!
- აქ რა ხდება? — ვალმოხდილი ჩამოვიდა ავტობუსიდან კაცი.
- პირადობა არა აქვს.
- ხოოო!
- გამიშვით! — მუდარით შეჰღიმა მარიამმა. კმაყოფილი იყო ყვითელფორმიანი.
- გამიშვით!
- პასუხს არ ჩქარობდნენ.
- გამარჯობა! თანამშრომელი ვარ! ეს გოგო ჩემი ახლობელია — გამხდარი ბიჭი ჩაერია მოულოდნელად.
- იცნობ? — ეჭვით იკითხა ყვითელფორმიანმა.
- აქ ყველა ერთმანეთს ვიცნობთ! — პირველად ხედავდა ბიჭს მარიამი.
- გეუბნებით, თანამშრომელი ვარ-მეთქი!
- მონობა გვაჩვენე!
- კარგად იცით, რომ მაგის მოთხოვნის უფლება არ გაქვთ.
- გაუშვით ტო! — კიდევ ერთი უცნობი ქომაგი გამოუჩინდა — ხუთი ლარის გამო რა დღეში ხართ, ბიჭო! — შავი სათვალე ეკეთა შავ კაცს.
- რა ადვოკატივით გამოგვეცხადე! შენ ვინა ხარ?
- ყველა ადვოკატის დედა ..! გვერდზე გამოდი, გაჩვენებ ვინცა ვარ!
- შუაში ჩადგა მარიამი. ტრიალებდა ორ ყვითელფორმიანს, „ძველ ბიჭსა“ და „თანამშრომელს“ შორის. სთხოვდა, გაჩერებულიყვნენ. არცერთი უსმენდა. ხელკავი გამოსდო შავსათვალისან და ძალით წაიყვანა. დაჰყვა კაცი. მადლობას უხდოდა მარიამი. იგინებოდა სათვალისანი. იქაურობას გაარიდა და დაემშვიდობა. „თანამშრომელიც“ გამოჩნდა.
- ვერ გავიგე, დამაჯარიმეს თუ არა — გაუცინა მარიამმა.
- არა, პირადი ნომრის გარეშე ვერ დაგაჯარიმებენ!
- სახელი, გვარი და დაბადების თარიღი ჩაიწერეს.
- პატარა ფურცელზე, ხო?
- კი.
- ნუ გეშინია! ჩემს თვალწინ დახია და გადააგდო...

**P.S.** „გუდვილიდანაც“ არ შეეხმიანნენ.



გენო კალანდია

### საგალობლები უფლისთვის

\* \* \*  
უფალო, თოვლი მოსულა ღამით,  
რა სიმშვიდეა, რა სილამაზე!  
თითქო ათასი ციმციმებს კვარი, —  
შენგან, ო, შენგან გაკვალულ გზაზე.

ისეთი მზე და გარემო სუფევს,  
ისეთი მნათი ანათებს საყდარს,  
თითქო იები მოგართევს ნუხელ  
წმინდა მამებმა სიონის კართან.

\* \* \*  
უფალო, კაცი მოგვიკვდა ნუხელ,  
დიდი წვალებით გავიდა გაღმა...  
მხარი უცვლია მწუხარე სოფელს  
და პროცესია მიჰყვება აღმართს.

მონაზვნებივით დგანან საყდართან,  
გზისპირ, ტანთხელი კვიპაროსები...  
და მესაფლავე ბედის კარნახით  
მინას ასწორებს შარვლის ტოტებით.

\* \* \*  
უფალო, ვზივარ არმაზის კართან  
უხმლო, უხამლო, სახენაშლილი...  
აქ უტირია ლევან გოთუას,  
მრავალტანჯული დიდი ბავშვივით.

ვეფხვივით ბრტყელი ბეჭები ჰქონდა,  
მკერდი უგავდა პიტალო კედელს,  
ისიც ჩემსავით იტანჯებოდა,  
როცა ფიქრობდა სამშობლოს ბედზე.

\* \* \*  
უფალო, შაშვის გალობა მიყვარს,  
მიყვარს პატარა ბუდე და ბანი,  
შავი ვარდით ბზინავს და ბრწყინავს  
დილიდან მისი მცხუნვარე ტანი.

მარწყვით, ალუბლით აივებს ჩიჩახვს,  
ფრთებს გაშლის უცხო მარაოს დარად,  
გახედავს შქერის და მაცვლის ბუჩქებს  
და გაფრინდება ბჟოლების მხარეს.

\* \* \*  
უფალო, შენი მაღალი ნებით  
მიხმე დიადი ნათელის ნიაღ,  
ამავსე შენი შაბათის შვებით,  
საყდრის ჩიტვით სუსტი და ფრია.

ამავსე კვირის უმანკო ლოცვით,  
მიშველე მარად ყარობს და შიშველს,  
ჩემსავით ერთგულს და ჩემებრ მორჩილს,  
ველარ შეხვდები ოდიშის ცისქვეშ.

\* \* \*  
უფალო, ვფიქრობ სიკვდილის დღეზე,  
ექიმი ხშირად მისინჯავს მაჯას...  
ვიგონებ ბზიფის ფიჭვისფერ კედელს  
და კარაბადინს, ვით მამის ბარჯას.

ცხოვრებამ უკვე დაკარგა აზრი,  
განელდა გულის სითბო და ცეცხლი...  
სალამო, როგორც შტრაუსის ვალსი,  
მემშვიდობება მეუღლის ცრემლით.

\* \* \*  
უფალო, ისე ლამაზად ბარდნის,  
ისე ქათქათებს ალუბლის ბალი,  
თითქო ვილაცა კარი-კარ დადის  
თოვლის კალათით და თოვლის ქალით.

ათოვს სიყვარულს და თოვლის კარავს,  
ათოვს მშობლიურ გზებს და ლელიანს,  
თითქო დილიდან ვარდებში წვანან  
დანის პრინცი და ოფელია.

\* \* \*  
უფალო, წვიმა მოვიდა მთაში,  
გააცისფერა ლებარდეს ქედი,  
მეხის განაჩენს გაექცა არჩვი  
და დაეკიდა ნეკერჩხალს რქებით.

ორბის ფრთებივით შრიალებს მინდვრად  
ღვარად მოსული ზაფხულის წყალი...  
და მე საყდარში ვდგავარ და ვწირავ  
შენი დიადი სახელით მთვრალი.

\* \* \*  
უფალო, ქალი მესტუმრა ერთი  
და ერთი ქილა მომართვა თაფლი,  
ფარშევანგით დამიდგა გვერდით  
საყდარში, სადაც საკმევლის კვამლი

ცის უსასრულო სივრცეებს ერთვის  
კიტისის, გრანელის ლექსების დარად...  
ვზივარ და ვფიქრობ, რა გითხრა მეტი,  
როგორც შემოქმედს და როგორც მამას.

\* \* \*  
უფალო, გარეთ ყინავს და ცივა,  
მე აქ, — საყდარში ლოცვებით ვთბები,  
შემომეჩვია ფიქრი და ცრემლი,  
ვით იღუმალი ფერი და ხმები.

გარეთ არავინ მიხმობს და მიცდის  
მარად ტანჯულს და სასონარკვეთილს,  
მე იქ, — საკუნში ველოდი სიკვდილს,  
მაგრამ გადავრჩი შენი წყალობით.

\* \* \*  
უფალო, ჩემი ეკვედრის სარკმელს  
ერთი ლამაზი ფრინველი ეტრფის,

ლიტერატურა არ იქმნება უფლის მონანილოობის გარეშე, მაგრამ ეს, როგორც ფაქტი, შემოქმედებითი გზის დასაწყისში არ ჩანს, იჩქმალეობა, იფარება, ინიღბება, რადგან ავტორს მიაჩნია, რომ ყველაფერი ისედაც ცხადია ან, პირიქით, ფიქრობს, რომ ტექსტის „უფალი“ თვითონ არის და არა სხვა რამ ძალა.

ყველა პოეტი, როგორც ქმნადობის სუბიექტი, სადღაც, გულისგულში, თავს ღმერთს „ღუბლიორად“ მიიჩნევს, მაგრამ ერთხელაც დგება მომენტი, როდესაც უნდა აღიაროს ჭეშმარიტება, რადგან თავის თავში გამოკეტვა არანაირად არ იძლევა ხსნის გარანტიას.

საძებარია გზა თვითშეცნობისა, რომელსაც რელიგიური და საერო მოტივების გაერთიანებისკენ მივყავართ.

საიდანლაც მოდის რწმენა, სათნოება, მისტიკა და ღვთაებრივ საწყისთან უშუალო კავშირის შეგრძნება, რომელიც პოეტნიკურად ყველა ადამიანს ახასიათებს, მითუმეტეს, პოეტს, ტრანსცენდენტების, საკუთარი თავიდან გასვლების ოსტატს.

სურვილიც რომ არ გქონდეს, დგება ჟამი. „შინაგანი ადამიანი“ ზევით იწყებს სვლას. ფართოდება სულიერი ყოფიერება. იზრდება საზღვრები. პროცესი მითუფრო მასშტაბურია, რაც უფრო ღრმად ზის კულტურულ ფასეულობათა კონტექსტში. პოეტის სულიერ სამყაროში ფორმდება ზავი მარადიულსა და პიროვნულს შორის.

„უფალო, ცაში გეძებდი დიდხანს, თურმე შიგ გულში გქონია ბინა“, — წერს გენო კალანდია და ამით აღიარებს, რომ მასში რწმენა, როგორც ეთიკური კატეგორია, რელიგიურ ცნებად იქცა. თქვენ წარმოიდგინეთ, ეს არც ძველის რღვევას მოასწავებს და არც ახლის დასაწყისს. ეს გახლავთ მიახლოება ფასეულობათა სისტემასთან, გახსნა დაფარულისა.

პოეტმა იგრძნო პირველსაწყისი და იცნო თავისი პოეტური სუვერენიტეტი. კაცმა რომ თქვას, მთლიანობაც ეს არის, პიროვნულ-შემოქმედებითი მთლიანობა.

ხოლო თუ რა არის და რა იქმნება ამ მთლიანობის შიგნით, გადაწყვეტს მკითხველი, დრო, ბედი და სიტყვა.



ფეტვივით კენკავს ალუბლის კანკელს  
ჰიმნის, გალობის პირველი მეტრი.

პორტალზე დგება, ვით ესმერალდა,  
ვით ბალერინა გედების ტბაში,  
ის არის ჩემი სენაკის სევედა  
და ჩემი ბოლო კამარა ცაში.

\* \* \*

უფალო, ძველი იგავის დარად  
დავკარგე ძველი ხიბლი და ხვითო...  
და მაინც გულში ვიხუტებ ფრთხილად  
ყველა წმინდანის ჯვარსა და ქიტონს.

ლოცვით, ოცნებით ვათენებ ღამეს,  
საკურთხეველთან მორჩილად ვდგები,  
თითქოს სამოთხის იღება კარი  
და მე ჩიტვივით გალობით ვთვრები.

\* \* \*

უფალო, ტაძრის ეზოში ვზივარ, —  
მე ძველი ბარდი და მღვდელი სოფლის,  
ჰგავს ვარდის ბალი ქალწულის სიზმარს,  
ძიძის კეთილი ხელით მოქსოვილს.

ხე და ჩიტები გალობენ ერთად  
და აღვიძებენ მძინარე სოფელს,  
აქ რომ ბელურა დაფრინავს მინდვრად,  
ჰგავს შავი ფრაკით ფრედერიკ შოპენს.

\* \* \*

უფალო, მცხეთას, ზედაზენს გავცდი,  
ვარდით, იებით ავივსე უბე,  
ვენახში იდგა ჭარმაგი კაცი  
და გაჰყურებდა სამხრეთის ღრუბელს.

ზაფხულის წვიმას ნატრობდა ალბათ,  
ვით ყველა გლეხი — ამინდის მეკვლე,  
გამოიხედა ეზოდან ქალმა,  
ბატონიშვილი მეგონა თეკლე.

\* \* \*

უფალო, მთვარე მოადგა საყდარს,  
შემოანათა მთავარი კარით,  
ასეთი შვება, ასეთი განცდა  
ჯერ არ მქონია არცერთი წამით.

გარეთ ვარდვივით შრიალებს დაფნა,  
თითქო მაცხოვრის ლულუნებს მტრედი,  
ავდგები, გავშლი ადამის ოთხთავს  
და აღსარებას თავიდან გეტყვი.

\* \* \*

უფალო, ცა ხარ, მინა ხარ ჩემი, —  
ქველის, მონარქის, წმინდანის მადლით...  
და ღვთისშვილს შენებრ სრულქმნილს და რჩეულს,  
სახედადაფნულს ციური აღით

შევეყურებ, როგორც სულიერ მამას, —  
(მძიმე ჯვარით და წამებით დაღლილს...)  
და მწუხრის სანთელს, — ვით ლერწმის კალამს,  
ცრემლში ვანებებ მაისის ღამით.

\* \* \*

უფალო, შავი შაშვების გუნდით  
მივყვები სოფლის აღისფერ ბილიკს,  
სადღაც აქ ახლოს ჩირგვია კურდღლის,  
დათვის ბუნაგი და მუხის ჩრდილი.

მიხდება ჭილის უბრალო კეპი, —  
აქეთ და იქით შროშანის ფრთებით,  
სავსე ვარ, სავსე დილიდან ჩვენი  
შავი შაშვების ზღაპრული ხმებით.

\* \* \*

უფალო, ბზიფის მარჯვენა ტოტი  
მარგალიტვივით ხსოვნაში ჩამრჩა,  
ზღვა იყო, როგორც დედოფლის ძონი,  
აბრეშუმი და ნაკეცი ფარჩა.

წმინდა კედელთან ვიდექით ორნი, —  
მე და მაცხოვრის ობოლი კრავი,  
ის მაღლა იდგა, ვით ცათასწორი  
და მიცურავდა ტაძრისკენ ნავი.

\* \* \*

უფალო, მზე რომ ამოვა დილით,  
იღვიძებს მისი ღამაზი ეზო,  
ფარვანასავით მიფრინავს ჩრდილი  
მაყვლის ბუჩქიდან ალუბლის შტოზე.

ხასხასებს, ბზინავს ფორთოხლის ბალი,  
ვით ირმის წყარო და ოქროს ქვიშა,  
თითქო ჩიტები მართავენ ალღუმს,  
სალოსად ჩემი შედგომის ნიშნად.

\* \* \*

უფალო, ვაჟას უკვდავი წიგნი  
გადავიკითხე თავიდან ისევ,  
ხმლების ნკრიალი მესმოდა შიგნი,  
მკერდიდან კბილით მიღებდნენ ისრებს.

ომს და მოსისხლეს ებრძოდა თემი,  
სიტყვას ამბობდა ცეცხლივით ცინცხალს,  
გათეთრებოდა ხევისბერს თმები  
და საფიხვნოზე მთელი დღე ცრედა.

\* \* \*

უფალო, მარტო ვიარე ტყე-ტყე,  
ყულანურხვაში ჩავედი ფეხით...  
იზაბელას და კაჭიჭის მეტრეფე  
ვენახს ფურჩინდა აფხაზი გლეხი.

მომიახლოვდა... გამეცნო რიდით,  
ადრეც ერთმანეთს ვხვდებოდით თითქო,  
გამომეღვიძა... და უმალ მივხვდი,  
ეს ყველაფერი სიზმარი იყო.

\* \* \*

უფალო, თოვლის ვარდისფერ პერანგს  
მეც ჩავიცვამდი ბალის ხის დარად,  
მონყენილი ვარ და, როგორც დეგა,  
თვალცრემლიანი დაყვურებ ქალაქს.

თავიდან მერგო ასეთი ბედი,  
მზე იდგა მინდვრად თუ ცაცხვის ჩერო...  
შენგან, ო, შენგან ჭრილობის მეტი,  
რა მიმიღია, მამულო ჩემო?!

\* \* \*

უფალო, ნუხელ, თიბათვის თორმეტს  
გამომეცხადა უეცრად იგი,  
ზეთისხილის და ალუბლის ტოტით,  
ნათლისმფრქვეველი დიადი ნიგნით.

შემხედა, მშვიდად შემახო ხელი  
მხარზე და ასეც ველოდი თითქო,  
და გადმოვიდა უეცრად ჩემში  
მისი ღვთიური სხეულის სითბო.

\* \* \*

უფალო, ადრე აცივდა წლეულს,  
ხეებს ფოთლები დაცვივდა უცებ...  
ვკითხულობ ლოცვანს... და პაპის მხედრულს  
დავცქერი, როგორც წმინდანის კურცხალს.

მამლის ყვირილი საფეთქლებს მიწვავს  
და კვლავ ჟრუნისფრად თენდება გარეთ,  
ქარია, ცივა... და, როგორც ციცა,  
საკურთხეველთან ჩერდება მთვარე.

\* \* \*

უფალო, — ცათა და ხმელთა ღმერთო,  
აქ განისვენებს მოხუცი დედა,  
მოვედი შენთან, რომ შეგავედრო,  
უფალო ცათა, — დიდება შენდა!

როგორც ძეს, როგორც ყრმასა და სალოსს,  
ისე არავინ მიყვარდა ქვეყნად,  
მოვედი შენთან, რომ შეინყალო,  
უფალო ხმელთა, — დიდება შენდა!

\* \* \*

უფალო, ცრემლი მომადგა თვალზე,  
ოდეს ვიხილე ნათება ღვთისა, —  
მაცხოვრის ხელი ვიგრძენი მხარზე  
ერთგულების და წყალობის ნიშნად.

ნათელმოსილი ვიდექი ასე,  
პოეტი, მწერი, ქადაგი, ბარდი...  
და ანათებდა ვარსკვლავი ცაზე,  
ვით გაზაფხულზე სამოთხის ვარდი.

\* \* \*

უფალო, ცაში გეძებდი დიდხანს,  
თურმე შიგ გულში გქონია ბინა,

მე გზას ვეძებდი და თავს გიხრიდი,  
ვით პაპისპაპა დიდხნის წინათ.

იების თოვლით და მზის ბლონდებით  
იღვიძებს დიდი შაბათის დილა,  
ირგვლივ ბაღია თეთრი შრომნების  
და მონასტერში მეუფე წირავს.

\* \* \*

უფალო, დავრჩი სრულიად მარტო,  
სანუთრომ ჩემგან იბრუნა პირი,  
შემიბრალებდა, ალბათ, თვით სარტრიც,  
რომ ჰქონდეს ჩემებრ ქართული ძირი.

როგორც შენ უწყი: ფრანგია სარტრი  
და, სამწუხაროდ, მკვდარია იგი...  
და მე მამშვიდებს ცრემლები სანთლის,  
საკურთხეველი და საღვთო ნიგნი.

\* \* \*

უფალო, ბერი მოადგა სენაკს,  
შვიდი წმინდანის ხსენების კვირას,  
გაშალა ნიგნი და, როგორც ძეწნას  
ჩამოეშალა თმები და წირვას

შეუდგა მათი სახელის ნიშნად,  
მათი უკვდავი ცხოვრების გამო,  
საკურთხეველთან ვიდექი მშვიდად  
და ვლოცულობდი მეც მთელი ღამე.

\* \* \*

უფალო, ვარდი მოუსხამს ჭინჭარს,  
დილიდან ურცხვად უცვლია ფერი,  
როგორც ნიშანზე განოლილ ისარს,  
ღრუბელზე უდევს კიპარისის წვერი.

ბაღში კალია გადადის ყირას,  
ცრემლში იხრჩობა მაისის ია,  
სოფელში მამლის ფრთხილას და ყვირს,  
ჩემი მამულის სიცოცხლე ჰქვია.

\* \* \*

უფალო, წმინდა გიორგის სახელს  
კრავი შესწირეს ნუხელის დებმა,  
მზე იდგა გარეთ და ვაშლის ბაღებს  
ფირუზისფერი დაჰკრავდა სევდა.

ცა იყო, როგორც ზაფხულის საგა,  
ირგვლივ ვარდი და შროშანი ენთო,  
ასე ბედქმნილი და ასე კარგი,  
ჯერ არ ვყოფილვარ არასდროს, ღმერთო!

\* \* \*

უფალო, ერთი გზა მიდის მაღლა,  
მეორე თავად ეშვება ზღვამი,  
გუგუნებს მიწა... ომია სადღაც,  
ჭიანჭველები მიდიან მარშით.

მიდიან... ტყვია-ნამალი მიაქვთ  
მინანქრებით ლამაზი მხრებით,  
დავყურებ ჩუმად სამარეს ღიას  
და ყველა ომში თავიდან ვხვდები.

\* \* \*

უფალო, გახსოვს ის ძველი ცაცხვი, —  
წმინდა ქალწულთა სავანე დიდი,  
ცა — შეფეთილი იით და ცარცით,  
მზე — განონილი სასირყვას მშვილდით.

იმ ხეს დღეს ურცხვად ეხვევა მუმლი,  
ზვავივით ავად გუგუნებს მინა,  
თენდება მთებში და ობოლივით  
საკუთარ წარსულს იგონებს რინა.

\* \* \*

უფალო, ერთი გალობა ვიცი,  
ერთი ლამაზი ცეკვა და ტაში,  
მზე რომ შეხტება ბორცვზე კვიცივით,  
რძეს ინველება ირემი მთაში

და ჩანჩქერივით იფრქვევა ცისქვეშ  
თეთრი, ქაფქაფა და ფიფქისდარი...  
პირს რომ ვიბრუნებ შავეთის მხრისკენ,  
მეც იმ გალობით გამიღეთ კარი.

\* \* \*

უფალო, თეთრი გიორგის სამწყსოს,  
მიეცი შენი ღვთიური ძალა,  
უკვდავყავ მისი ბროლი და წყარო,  
მისი ტან-წელი და ღრუბლის ფარა.

მხოლოდ შენ ძალგის აღანთო იგი  
მარადიული ცხოვრების ჟინით,  
შენი ბანიდან დახედე კარგად,  
მიეცი რწმენა და თვალისჩინი.


\* \* \*

უფალო, ორი ხუცესის საფლავს,  
დილიდან სტუმრობს ძვირფასი მრევლი, —  
ალალი იყოს იმათი სევდა,  
ალალი იყოს იმათი ცრემლი!

შვენოდათ ოქროს ჯვარი და ფრთები,  
ისედაც მდიდართ სულით და ხორციით...  
ჩამოდიოდნენ მინაზე ფეხით  
და აღიოდნენ ზეცაში ლოცვით.



ხუტა კვარაცხელია პეიზაჟი



ვაჟა ხორნაული, რაღაცით და რა-  
ღაცნაირად, გამორჩეული პოეტი,  
მაგრამ საკითხავია, რა არის ნიშანი  
და მიზეზი გამორჩეულობისა.

ნუთუ ის, რომ მინიმალისტურ  
ფორმებს არჩევს და ცდილობს ქარ-  
თულ „საძირეში“ იაპონური ჰაიკუს  
დამყნობას? ან იქნებ ის, რომ გმირუ-  
ლი ენთუზიაზმით ამუშავებს „ფშაურ“  
თემატიკას ბუნების გასულიერების  
მიმართულებით? ანდა სულაც ის,  
რომ უყვარს ეთიკური და ფილოსოფი-  
ური შეხედულებების გაპოეტურება?

რაღა თქმა უნდა, აღნიშნულ თა-  
ვისებურებებს ანგარიში უნდა გაეწი-  
ოს, მაგრამ, როგორც ჩანს, სადღაც  
უფრო შიგნით, პოეტური და პიროვ-  
ნული ხასიათის სიღრმეებშია საძიე-  
ბელი მთავარი თვისება, განმასხვავე-  
ბელი ნიშანი, დიფერენციული, სპე-  
ციფიკური ტვიფარი, რომელიც ვაჟა  
ხორნაულს ანიჭებს თვითების, თა-  
ვისთავადობის დამოუკიდებლობის,  
საცნაურობის გარკვეულ ხარისხს.

ჩვენი აზრით, ეს უნდა იყოს  
მჭკრეტელობა. მართლაც, თუ დავაკ-  
ვირდებით, მისი ყოველი ლექსი გამს-  
ჭვალულია დამკვირვებლის, თვალხ-  
მიერის, მცნობელის სილოგიზმებით,  
რომელთა მსუბუქი ფილოსოფიური  
ტონალობანი ღირსსაცნობ, საგული-  
სხმო, გადამდებ მანერად გადაიქცევა  
და გაიძულეს მასთან ერთად დაინა-  
ხო, იფიქრო, გააანალიზო, განსაჯო,  
რათა იგრძნო, რომ ბუნებასთან თა-  
ნაზიარობა, თანხედვა არის ადამია-  
ნური ცხოვრების ოქროს წესი, უმაღ-  
ლესი სიკეთე, რომელიც გულისხ-  
მობს საგანთა შეცნობას, სულიერ  
თავისუფლებას, ქვევის ზომიერება-  
ს და თანაგრძნობას, რაც სხვა არა-  
ფერია, თუ არა მოვალეობა სიცოცხ-  
ლის წინაშე.

სწორედ ეს ეგზისტენციური შეგ-  
ნება და მტკიცე სულიერი საფანელი  
აძლევს იმის ძალა და უფლებას, რომ  
ბუნებასთან დამოკიდებულებაში იყ-  
ოს თავისუფალი, უშუალო, მართალი:  
„წყაროს ხმაში არის რაღაც ჭიკჭი-  
კისებური და წყაროსებური. არის რა-  
ღაც მერცხლის თვალეებში. და აღარ  
გიკვირს, რომ შარშანდელ (თუ უფრო  
ძველ) ბუდეებს დაუბრუნდნენ წყარო  
და მერცხალი“.

ვაჟა ხორნაული

\* \* \*

სხვა განსაცდელი და სხვა ანძები  
(სადღაც ისვენებს ქარი ჩამდგარი)  
როდესაც ქალის გარეთ დარჩები  
მამინ ინყება დიდი ზამთარი.

ნურც შენ იკითხავ ასე რად არი  
(ხან ელვარებავ და ხან არილო)  
ულამაზესი თავშესაფარი  
ქალია — ქალში სითბო ყვავილობს.

ნათესავები

წყაროს ხმაში  
არის რაღაც  
ჭიკჭიკისებური  
და წყაროსებური  
არის რაღაც  
მერცხლის თვალეებში.  
და აღარ გიკვირს  
რომ შარშანდელ  
(თუ უფრო ძველ)  
ბუდეებს დაუბრუნდნენ  
წყარო და მერცხალი.

პარსკვლავებს გაუხარდებათ

მაგრამ თუ ვერ გისახსოვრ  
ულამაზესი ფრთებიო,  
ან ცხადში ვერ შეგახვედრე  
სიზმრად ნანახი ხმებიო,  
ან უცხო მწვერვალისაკენ  
ვერ აგინათე გზებიო, —  
თვალეების ნამად გექცევი,  
არასდროს შეგამრებიო,  
ვარსკვლავებს გაუხარდებათ,  
იმგვარად გაგბრწყინდებათ.

\* \* \*

სიყვარულს,  
როგორც დედამინას,  
სინათლის სამოსელი აცვია.

\* \* \*

სიყვარულის ჭრილობები —  
სამოთხის  
ბზარებივით ლამაზი.

\* \* \*

ზესკენელს და ქვესკენელს  
მოედებიან...  
ვინ არიან? პოეტებია!

\* \* \*

და ისევ სასწაული ცის ფერების,  
მიმრქმელები — ხატები მარადი,  
ღვთის გამხარებელი სიმღერები.

\* \* \*

ზოგჯერ სიჩუმე ისეთია,  
ქარი დადუმდება  
და ყვაველი დაინყებს გალობას.

\* \* \*

გულის ფიქრი (გონების მაისი) —  
ლმერთის თვალეზში მოკამკამე  
ჰაერის ფერი...

\* \* \*

პასუხმა სივრცე გაუნათა  
და კითხვის ნიშანი  
გაიშალა და სანთელს დაემსგავსა.

\* \* \*

სანაგვეს კიდევაც მოუხდება  
მეფის სკიპტრა  
თუ დედოფლის სამკაულები,  
მაგრამ ბავშვის სათამაშოები?!

\* \* \*

სახლს ზურგშექცეული  
ცხენს ისე მოახტა —  
ცოლმა იგრძნო,  
სხვა ქალისკენ მიუხაროდა.

\* \* \*

მგელი ზოოპარკში,  
არწივი გალიაში  
კაი ყმა ციხეში.

\* \* \*

ლამეები რომ გამოეცალოს,  
დრო დაემსგავსება როიალს  
შავი კლავიშების გარეშე დარჩენილს.

\* \* \*

გონებას ჩაეძინა  
და ფიქრი  
დაესიზმრა გულისა.

\* \* \*

როგორც ცამ განაპირა ვარსკვლავი,  
ბოლო სიტყვა და ბოლო სიმღერა  
არ იცის სიყვარულმა...

\* \* \*

მებაღემ ნერგი წამოაყენა,  
ლილინით შემობარა  
და ბედნიერი მგზავრებივით  
გადახედეს ხეებმა ერთმანეთს.

\* \* \*

ბატკანი ხეზე გამობმული  
ძალღი აშვებული...

\* \* \*

ბიჭმა შორიდან გაულიმა  
და სანთლის ალივით  
შეირხა გოგო...

\* \* \*

სიყვარულის სავანეებში  
დილა და საღამო  
არ არსებობს —  
ზეიმია სხვადასხვა ფერისა.

\* \* \*

ნეტავი თქვენა, ვარსკვლავებო,  
სასწაულებს უყურებთ ზეცისას  
და არა ერთმანეთის მამულებს.

\* \* \*

თავდავინყებით რომ არ უყვარდეთ  
ერთმანეთი ცასა და დედამინას —  
ცისარტყელას  
შვიდი ფერი არ ექნებოდა.

\* \* \*

აინონა-დაინონა:  
დარდი და სიხარული  
სიყვარულის საქანელაზე.

\* \* \*

უცნაურად განათდა ღამე —  
თითქოს ეზოზე გარდაცვლილი  
დედის ჩრდილმა გადაიარა.

\* \* \*

მაგრამ სიყვარულს თუ არ შესწირე,  
გვირგვინი გველია, თავბოლოშეკრული.

\* \* \*

რა მშვენიერია სამყარო,  
როდესაც ერთი  
სარკმლიდან უყურებენ  
გული და გონება.

**ბანქორნინება**

მათ ღმერთს ვერ გაუგეს  
და არა — ერთმანეთს...

\* \* \*

გონების საიდუმლო შენია,  
გულის საიდუმლო  
ღმერთს ესაუბრება...

\* \* \*

შუალამისას შვილის სამარეში  
დადუმდა საათი  
და დედას გაელვინა...

\* \* \*

როდესაც ღმერთზე საუბრობენ,  
გული და გონება  
მზის ამოსვლისას მოლულუნე  
მტრედებსა ჰგვანან...

\* \* \*

ზღვაზე ჩრდილია მთებისა,  
გზებისას ხედავ ნათების  
და ქორწინებას ხმებისას.

\* \* \*

გახსოვდეს პირველი სიყვარული,  
როგორც დედამინას პირველი ყვავილი,  
როგორც ზეცას  
პირველი ვარსკვლავი.

ემზარ კვიციანი

# ხელოვანი დროს იმორჩილებს

(ელგუჯა ამაშუკელის  
დაბადების 85 წლისთავის გამო)

ადრიან გაზაფხულზე საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო მოქანდაკის, ელგუჯა ამაშუკელის ქვრივმა, ჩვენმა ცნობილმა პოეტმა ლია სტურუამ დამირეკა, რომ ბატონ გია ჯოხთაბერიძის თაოსნობითა და მხარდაჭერით ელგუჯას ალბომი გამოვიდა და „მაგთი ჯეოსელის“ ოფისში, რუსთაველის გამზირზე პრეზენტაცია შედგებოდა.

ელგუჯა ამაშუკელთან სიყრმიდანვე (იგი რვა წლით იყო ჩემზე უფროსი) ახლო მეგობრობა მაკავშირებდა და ამ ამბავმა დიდად გამახარა. წლეულს დაბადების 85 წელი უნდა შესრულდებოდა. მასთან ურთიერთობიდან ბევრი სასიამოვნო რამის გახსენება შემიძლია.

ელგუჯა ამაშუკელის გამორჩეული ნიჭი და შესაძლებლობანი განსაკუთრებული ძალით თბილისის დაარსების ათასწუთასი წლისთავისადმი მიძღვნილი ხანგრძლივი ზეიმის დროს გამოვლინდა. ყოველ წამოშვებულ მისი განუმეორებელი ხელნერა ჩანს. მონუმენტურობითა და კლასიკური სისადავით ხიბლავს მნახველს ქვაში გამოკვეთილი მკაცრი, ტეხილი და უაღრესად დახვეწილი ხაზებით შესრულებული მეტროსადგურ „რუსთაველის“ რელიეფი (1965), რომელიც თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობაზე, ხელოვნების ასეთივე საუცხოო ქმნილება იზივით ოსტატობით ნაძვრნი რუსთაველის ბარელიეფი (1958), რომლითაც გენიალური პოეტის გამზირი იწყება.

სულ მალე მეტეხის პლატოზე დაიდგა ელგუჯა ამაშუკელის უპირველესი შედეგები, თბილისის დამაარსებლის, ვახტანგ გორგასლის უბრწყინვალესი, მართლაც მეფური ძეგლი. სრულიად ბუნებრივი იყო, რომ მის მიერვე შექმნილი ასეთივე მონუმენტური „ქართველის დედა“, რომელმაც საყოველთაო მონონება დაიმსახურა და მფარველის იერით გადმოჰყურებს დედაქალაქს თაბორის მთიდან, თბილისის ემბლემად იქცა.

ამ და სხვა დიდ ნარმატებათა გამო არავის გაკვირვებია, რომ ახალგაზრდა ელგუჯა ამაშუკელი ქართული კულტურის უთვალსაჩინოეს მოღვაწეებთან — ლადო გუდიაშვილთან, კონსტანტინე გამსახურდიასა და ირაკლი აბაშიძესთან ერთად — შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის პირველი ლაურეატი გახდა (1965).

ჯილდოებსა და რეგალიებს ოდნავადაც არ შეუცვლია მისი კეთილშობილური ბუნება, ისეთივე თავმდაბალ, მეგობრე-

ბის მოყვარულ და ყველას უანგაროდ დამხმარე პიროვნებად დარჩა, როგორც მანამდე იყო.

ახალგაზრდობიდანვე, მხატვრობისა და ქანდაკების სიყვარულს ძალდაუტანებლად უთავებდა ფეხბურთის აზარტულად თამაშს და აღარ გვიკვირდა თუ რატომ აღმერთებდა ასე მსოფლიო სახელის ვარსკვლავს მიხეილ მესხს.

იმ შორეულ ზაფხულს ღამესაც გვიანობამდე შემოვრჩით ვერის ბაღს და ჩოგბურთის მოედნისკენ დავუშვით, ფიჭვის ძირში, დიდ ლოდზე ჩამოვჯექით. ფეხბურთის ამბები რომ მოვითავეთ, მერე ასეთივე ფანატიკური გატაცებით დაიწყო ლაპარაკი ხელოვნებაზე. მისი მთავარი კერა მიქელანჯელო იყო და არასოდეს დამავინწყებდა, როგორი თაყვანისცემით ასხენებდა „მოსეს“, „პიტეს“, ვეროკოს ნამუშევრებს. ასევე უზომოდ უყვარდა ადრეული ალორძინების ხანის იტალიელი მხატვრები (უამრავი ალბომი დამითვალაიერებია მის ოჯახში). საგანგებოდ გამოარჩევდა ხოლმე ჩიმბაუეს, მაზაჩოს, გოცოლის, პინტურიკოს, უჩელოს, ბოტიჩელის (მისი ღვთაებრივი „გაზაფხულის“ რეპროდუქცია ჰოლმი ეკიდა), პიზანელის, პიერო დელა ფრანჩესკას, სხვებსა და სხვებს, შეეძლო დაუსრულებლად ესაუბრა თვითულის თავისებურებებზე.


ამ დროს შუალამის მონუმენტილ ცაზე თვითმფრინავი გამოჩნდა. იგი ზღაპრულ, ცეცხლოვან სასახლეს თუ უზარმაზარ ჩიჩილას გავდა. ელგუჯა წამოიჭრა და მიაჩერდა ალმოსავლეთისკენ ნარნარად მიმსწრაფ თვითმფრინავს, რომლის კუდთან ორი ულამაზესი, ჟოლოსფერი სინათლე ფეთქავდა. მომტრიალდა და მითხრა: ამ წუთას გავიფიქრე — ნეტა ერეკლე მეფე წამოაყენა საფლავიდან და დაანახვა — მისი თბილისის თავზე როგორ გადადიან რეაქტიული თვითმფრინავები, არ გაინტერესებს, ამნაირი სასწაულის ხილვაზე რას იტყვობა. ჩემთვის ამ უეცარ წამოძახილში ყველაზე ხელშესახებად გამოჩნდა ელგუჯა ამაშუკელის პოეტური სამყარო, მისი რომანტიკული ხასიათი, ფანტაზიის გაქანება.

აქ ერთ შემთხვევას გავიხსენებ, სხვისი გაჭირვების დროს როგორი თავის შეწუხება და თანადგომა იცოდა ელგუჯა ამაშუკელმა. მრავალი პირადი უბედურება განმიცდია და ამათგან ერთი ჩემი ტანჯვაგამოვლილი მამის გარდაცვალება იყო (1987 წლის ზაფხული). ადგილი გვქონდა საბურთალოს სასაფლაოზე (მანამდე ძმა დამელუპა). საჭირო გახდა კედელთან ქვის დამატება. გამიძნელდა იმ ფერის მასალის შოვნა. ელგუჯას ვუთხარი და დამამშვიდა, მაგაზე ნუ იჯავრებო. მაშინვე დარეკა ერთ დიდ სამქროში, დამაკავშირა უფროსთან, შევთანხმდით. მეორე დღესვე აიღეს ზომა და ადგილზე მიიტანეს საფლავისთვის საჭირო მარმარილო, გაბრო. სიმბოლური ფასი გადავიხადე. როცა საფლავის გამკეთებელმა ოსტატმა მკითხა, რა გამოგართევსო, ვუპასუხე. ვაუკვირდა, უჩუქები-ათ, ეტყობა ამ საქმეში ვილაც გავლენიანი კაცი ჩარეო.

არ მახსოვს, ელგუჯასათვის რაიმე მეთხოვოს და უარი ეთქვას. ერთხელ ნიჭიერმა მხატვარმა მანანა ბობოხიძემ მითხრა, ორმოცდაათი წელი მისრულდება, არავისი არაფერი მინდა,



ოლონდ ამ თარიღს ელგუჯა ამამუკელი (იგი მაშინ მხატვართა კავშირის თავმჯდომარე იყო) მომილოცავდეს, ვიცი, კარგად იცნობ და სიტყვა შემანიშნო. ელგუჯა მისვლისთანავე დამთანხმდა — ქალბატონი მანანა მშვენიერი პორტრეტისტია, მისი რამდენიმე ნამუშევარი გამოფენებზე მინახავს, მომწონებია და საიუბილეო მისალმებას როგორ დავამადლო. ის მილოცვა და მეგობრული, კეთილი სურვილები მალე „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა.



ქალბატონმა მანანამ და მისმა მეუღლემ, ძალიან სასიამოვნო ვაჟაკმა ალექო ფურცხვანიძემ ამის მერე მთხოვეს, ამა და ამ რიცხვში ვახშამს ვმართავთ, სიკეთე ჰქენი, ბატონი ელგუჯა და ქალბატონი ლია როგორმე ჩვენთან მოიყვანო.

ერთად მივედი მცხეთის გზაზე, მტკვრის გადაწყვერე ულამაზეს სახლში და დიდებული დრო გავატარეთ. ელგუჯა გახალისდა, გიტარა მოითხოვა და მისებურად, ვირტუოზულად დაუკრა (დედისაგან, ფრიად არტისტული ბუნების ქალბატონის ქეთევან ლამბარაშვილისგან ჰქონდა ნასწავლი). იმ არაჩვეულებრივ საღამოს საზეიმო ელფერი შემატა.

ალარაფერს ვამბობ, თუ ჩემი თხოვნით რამდენ ნიჭიერ ახალგაზრდას გაუკაფა გზა, სამხატვრო აკადემიაში გამოცდები რომ ჩაებარებინათ. ასეთი სამადლო საქმე მას ბევრისთვის გაუკეთებია.

ახლობელთა წრეში კარგად იცინან, იუმორის როგორი დახვეწილი გრძნობა ჰქონდა ელგუჯა ამამუკელს, სხვადასხვა შემთხვევათა გამო რა მოხდენილ და სხარტ სახუმარო ლექსებს წერდა. ბევრი ზეპირადაც ახსოვს ელგუჯას გულითად მეგობარს, მის არაერთ გამარჯვებათა თანამონაწილეს, გამოჩენილ არქიტექტორს ვახტანგ დავითაიას.

ქართველ მწერლებს არასოდეს დაავიწყდებათ ელგუჯა ამამუკელის ყურადღება და სიყვარული. ბევრი დაპატიჟა ფოთში მის მიერ შექმნილი საუცხოო დიდების მონუმენტის გახსნაზე (1967). ოთარ ჭილაძე, ზაურ ბოლქვაძე და მე ჯანსუღ ჩარკვიანიანა წაგვიყვანა. დროდადრო ვჩერდებოდით ნასახემსებლად. რაღაზე არ ვლაპარაკობდით. დასავლეთ საქართველოს სოფლებს რომ მივალწიეთ, ოთარმა ეზოებსა და გზაშარაზე მოთამაშე ბავშვების თვლა დაიწყო. პატარების რაოდენობამ ორასს რომ გადააჭარბა, გაღიმებული მოგვიბრუნდა, არც ისე ცუდად ყოფილა ჩვენი საქმე, ვმრავლდებითო (სამწუხაროდ, მაშინდელი მდგომარეობა დღეისათვის სანატრელია).

სანამ ის, მალალ სვეტზე შედგმული ულამაზესი კოლხი ქალის ქანდაკება დაიდგებოდა (მას მარჯვენა ხელში ჯვრის ფორმის, ჩვენი რწმენისა და მეობის გამომხატველი ხმალი უჭირავს), მანამდე მოქანდაკეს გვარიანი წინააღმდეგობა შეხვედრია. ელგუჯა თავად მომიყვა. პროექტის განხილვის დროს, ფოთის ქალაქკომის გაფართოებულ სხდომაზე რომელიღაც აქტიურ პარტიულ მუშაკს შენიშვნა გამოუთქვამს ძეგლის მიმართ — თანამედროვეობის, დღევანდელი ეპოქის სულისკვეთება რომ გამოიხატოს, ხომ არ აჯობებს, ქალს ხელში ავტომატი დავაჭერინოთო. ელგუჯას მაშინვე უპასუხნია — თუ თქვენ რჩევას გავყვით, მაშინ უმჯობესი იქნება გვერდით „მინამიოტი“ დავუდგათ, ის უფრო ძლიერი და შთამბეჭქდავი იარაღია. ამაზე ხარხარი ამტყდარა და იმ „რაციონალური წინადადების“ ავტორს ხმა ვეღარ ამოუღია.

ამჯერად არაფერს ვამბობ ელგუჯა ამამუკელის საუკეთესო ნამუშევრებზე (გორში დადგმული „გამარჯვების მემორიალი“ (ლომზე ამხედრებული მზეჭაბუკი), „ვეფხი და მოყმე“, „ფარნავაზი“, „ცოტნე დადიანი“, „იდილია“, „დედაენა“ და სხვები), მაგრამ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მას ჭარბად აქვს მომადლებული ხელოვანისათვის ეგზომ საჭირო გარდასახვის უნარი, რის მეტყველ მაგალითადაც გამოდგე-

ბოდა „ხან ასპარუხი — ბულგარეთის დამაარსებელი“ (აქვე შეგვიძლია გავიხსენოთ ჩვენი საამაყო მოქანდაკის მერაბ ბერძენიშვილის განსაცვიფრებელი ქმნილება — ლაოსის მეფის სე სვან ლონგის მონუმენტური ქანდაკება).

ელგუჯა ამამუკელს ფერთა შეგრძნების უტყუარი ნიჭი ჰქონდა და, ამდენად, არ შემოიძლია, ალტაცების გარეშე მოვიხსენიოთ მისი მეტად თავისებური მხატვრობა, სადაც თვალნათლივ ჩანს ქანდაკებისა და მუსიკის ელემენტების ერთიანობა, რაზეც ბევრჯერ დაუნერიათ (მას იშვიათი სიფაქიზის სმენა ჰქონდა). ეს სურათები რამდენადმე მაგონებს დიდი ლიტველი მხატვრისა და კომპოზიტორის, ჩურლიონისის ზღაპრულ, იდუმალ სამყაროს.

ჩემს უფროს მეგობარს, მეტწილად, ნიფლის ტყეებისა და პასტორალური გარემოს წარმოსახვა უყვარდა, აქ უფრო იყო თავის სტიქიაში, მაგრამ არც ურბანისტული ხედვების აღბეჭდვას გაუბრბოდა.

სხვადასხვა დროს ორი წერილი გამოვაქვეყნე მის მხატვრობაზე, მეორე, ესეის ტიპისა, შევატყე, უფრო მოენონა და მითხრა, ჩემი რომელიმე ნამუშევარი უნდა გისახსოვრო. მართლაც, დიდი ხანი არ გასულა და შინ მიმიაპტიჟა (დიდი ქვაბით მოტანილი უგემრიელესი ნაყინი დამახვედრა). ღვინოც არ დავიწყებია. ლია მისებურად გვიმასპინძლებოდა. 1984 წლის ზაფხული იყო, 22 ივნისი, ცხელოდა. მაშინ მითხრა ხუმრობით — მე ომის ღმერთი ვარ, მარსი, იმ დღეს დავიბადე, რა დღესაც გერმანია საბჭოთა კავშირს თავს დაესხაო. სიცოცხლე, მხიარულებაში დავლიეთ მისი და სხვა სადღეგრძელოები. ნამოსვლისას გამომიტანა შავ ჩარჩოში ჩასმული იშვიათი სილამაზის სურათი — ორი ერთმანეთს აკრული, სხვადასხვა მხარეს მაცქერალი, უცნაურად კიდურებგატოტილი ცხენი, რომლებიც ხეებადაც შეგვიძლია წარმოიდგინო. შავ ფონზე გამოყვანილ აყაყყულ ფიგურებს თითქოს ღრუბლებში გამოცრილი მთვარის მოლურჯო ნათელი ეფინება. სახეზე სიხარული რომ შემატყო, გულთბილი, სიყვარულის გამომხატველი წარწერაც იქვე გააკეთა.

ელგუჯას ულამაზესი ხელი ჰქონდა. მასავით ცოტა ვინმე გრძნობდა ქართული ასოების სინატიფეს და მრგვლოვანებას (შეგვიძლია დავასახელოთ ოთარ ჯიშკარიანის დახატული „ანბანი“) — მაშინვე მოგხიბლავდათ თიხის ყელყარყარა დოქებივით გარშემოწერილი მოყვანილობა.

ელგუჯა ამამუკელის განუმეორებელი კალიგრაფია უნებურად მახსენებს უნიჭიერესი რუსი პოეტის (მისი ლირიკა ბევრი რამით ნააგავს ოსიმ მანდელშტამის პოეზიას) ალექსანდრ კუშნერის დახვეწილ, ღრმავაროვან ლექსს „ასოები“, რომელიც მსოფლიოს რამდენიმე ანბანის, სულ ხუთის (ლათინური, ქართული, რუსული, გერმანული, ებრაული) ქება-დახასიათებას შეიცავს. ქართული, ლათინურის შემდეგ, რიგით მეორე ადგილზეა წარმოდგენილი. ალექსანდრ კუშნერი მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ყველაზე უფრო „პეტერბურგელ“ პოეტად ითვლება და ძალზე სასიამოვნო, გასახარელია, რომ მან ასე სრულყოფილად შეიგრძნო ქართული ანბანის გამორჩეული იერი — ჩვენი ასოები ხმლით გაჩეხილად ესახება, ყუნწები, სახელურები მოუჩანთ და ქართველი პოეტები (რამდენიმე კიდევაც დასახელებულია — ილია, პაოლო, ტიცინი) სათუთად აგროვებენ „მრგვალ ნამსხვრევებს“. ხსენებულ ლექსში საქართველოს ტრაგიკული, სისხლიანი ისტორიის ცოდნაც ჩანს.

თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობის მანძილზე ელგუჯა ამამუკელმა დიდი ამაგი დასდო ნიგნის გრაფიკას. ამის დასტურად ვაჟა-ფშაველას საიუბილეოდ გამოცემული ხუთტომეულის (1961) გაფორმებაც კმარა. მოქანდაკისა და მხატვრის საუკეთესო ნამუშევრებს უნდა მივაკუთვნოთ მისი მეუღლის ტუშით შესრულებული პორტრეტი, რომელიც ლია სტურუას რჩეული ლექსების წიგნს დაერთო.

მერი ტიტვინიძე

„პატრონთა რასა“

საუკუნის პროკლამაცია

„საჭირო არიან თუ არა ინტელექტუალები?!“  
„როგორია პოლიტიკა და როგორია კულტურა?!“  
„შეიძლება თუ არა მწერალმა შეცვალოს სამყარო?“

„სივრცე ელოდება მწერალს!“  
„მწერლები განიცდიან კრიზისს!“

ასეთი კითხვები გამოჩნდა იტალიურ პრესაში ქვეყნის მეტად რთულ ეტაპზე — ფაშისტური დიქტატურის დამხობისა და მეორე მსოფლიო ომის თითქმის დასრულებისთანავე, რაც აშკარად მიანიშნებდა, რომ დგებოდა ახალი ხანა, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული მდგომარეობის გარდუვალი გადახალისებისა ან სულაც სრული გარდაქმნის საკმაოდ რთული პროცესი, რასაც, თავის მხრივ, უთუოდ მოჰყვებოდა ახალი ისტორიული ვითარების შესატყვისი პირობები თუ მოთხოვნილებათა ისეთი სადავო კითხვები, რაც უეჭველად დაისაჭიროებდა პოზიციის გამოხატვასა და გარკვეულ პასუხებს; ხოლო პოზიციის გამოხატვისა და პასუხების ძიებაში იზადებოდა ურთიერთსაპირისპირო აზრები, პოზიციები, იმართებოდა ცხარე დისკუსიები, რომლებშიც მონაწილეობდნენ იმ დროის ცნობილი საზოგადო მოღვაწენი, მწერლები, ფილოსოფოსები, ისტორიკოსები, სოციოლოგები, ინტელიგენციის წარმომადგენლები. გარდა რთული პოლიტიკური და სოციალური საკითხებისა, ერთი მეტად მწვავე საკამათო საკითხი იყო იტალიური კულტურის საერთოდ და, კერძოდ, იტალიური ლიტერატურის „პროვინციული ხასიათის“, ამ „უმართებულო ბრალდებათა“ გამო წარმოქმნილი დავა, რადგან „ბრალმდებლებს“ ალბათ მხედველობაში ჰქონდათ, ან უნდა ჰქონოდათ დიქტატურის, ფაშიზმის პერიოდში წარმოქმნილი ე.წ. ვაკუუმი და არ გაუთვალისწინებიათ არც იტალიის ისტორიული წარსული, არც საუკუნეების მანძილზე შექმნილი უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობა თუ გამოცდილება, ის ტრადიციები, რისთვისაც იტალიას უპირველეს ადგილს აკუთვნებდნენ — და არა მარტო ევროპაში; სწორედ ეს იწვევდა მოაზროვნე ადამიანების აღშფოთებას, თუნდაც მხედველობიდან გამორჩენოდათ სულ უახლოეს წარსულში ის დრამატული კოლიზიები, რაც განიცადა ქვეყანამ, როცა დიქტატურის დევიზი იყო „ერთნი დავაშინოთ, მეორენი მოვისყიდოთ“, ხოლო ახლა არანაკლები გახლდათ კითხვა: „საჭიროა თუ არა ინტელექტუალები?“ იმ ქვეყანაში, სადაც მოღვაწეობდნენ მსოფლიო მნიშვნელობის გენიოსები. ამ დისკუსიებში ჩაბმული იყვნენ ამ დროის თვალსაჩინო მწერლები: ლეონარდო შაშა, ალბერტო მორავია, იტალიო კალვინო, უმბერტო ეკო, ეუჯენიო სანგუინეტი და სხვანი. ისინი აქვეყნებდნენ წერილებს ჟურნალ-გაზეთებში, აწყობდნენ საჯარო განხილვებს, მსჯელობდნენ ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე, კულტურის როლზე მოსალოდნელ ცვლილებათა ვითარებაში (ი. მონტანე-

ელგუჯა ამაშუკელი მსოფლიო ხელოვნების საფუძვლიანი მცოდნე იყო და ამავე დროს მუდამ ადევნებდა თვალს თანამედროვე ქანდაკებასა და მხატვრობას, ფორმების, მიმართულებების ნაირგვარობას, სიახლეებს, შეუმცდარად გამოარჩევდა ხოლმე ეპიგონურისგან ნამდვილს, ჭეშმარიტს, ყველაფერზე თავისი აზრი ჰქონდა. უაღრესად განათლებული, დახვეწილი გემოვნების პიროვნება გახლდათ და, როგორც შემოქმედმა, ძირითადი კრედო, მრწამსი ნათლად გამოხატა წერილების მეტად საყურადღებო ნიგნში „მეექვსე გრძნობა“, რომელიც მოსკოვშიც გამოვიდა (1981).

იგი ხელოვნებაში დაუცხრომელი ძიების მომხრე გახლდათ და წარმატებათა საწინდრად თავაულებელი, დაძაბული შრომა მიაჩნდა. ასე რომ არ ყოფილიყო, ვერ იტყოდა: „ისევე, როგორც ყრუმუნჯი გრძნობს, რა ხდება მის გარშემო, მაგრამ არ ძალუძს თავისი აზრის გამოხატვა, ასევე შრომით მიღწეული ოსტატობის გარეშე ტალანტს არ შეუძლია სრულყოფილად და დამაჯერებლად გადმოსცეს მხატვრის სულიერი მდგომარეობა“.

ელგუჯა ამაშუკელის სახლში, მცხეთის ქუჩაზე, გარდაცვალებამდე ერთ-ერთი ბოლო სტუმრობისას, მთელი ოჯახი დამხვდა. ქალიშვილს, ეკას (იგი მამის კვალს გაჰყვა, ძალზე ნიჭიერი მხატვარია და „მაგთიკომის“ გამოცემულ ალბომს მისი „ნატურმორტიც“ ამშვენებს) თავისი ოთხი წლის გოგონა ელენიკო მოეყვანა, რომელიც ბაბუას ეთამაშებოდა. ელგუჯამ რამდენიმე ფურცელი დაჭმუჭნა, დაამრგვალა და მითხრა — ერთი შეხედე, რა გააკეთოსო — სათითაოდ უგდებდა ქალაღის ბურთებს და პატარა ელენე იატაკზე დაუშვებლად ამოკრავდა ფეხს და ჰაერში, ჭერისკენ აგდებდა, თან ბრიალა, ცეცხლოვანი თვლებით ჩვენ შემოგვყურებდა, ამაცობდა, რომ ერთხელაც არ აუცდენია გორგალისთვის ფეხი. ამაზე ბევრი ვიცინეთ. ელგუჯა გახარებული იყო — ხომ ხედავ, როგორ გაჭრა ჩემმა გენმა, ამასაც ფეხბურთის ფანატკური სიყვარული გამოჰყვავა.

ჩემებურად ვისხენებ შემოქმედის სახელოვნად განვიღო გზას. ადრინდელი ნაშუქვრებიდან (მისი სახელოსნო ბევრჯერ დამითვალეირებია) განსაკუთრებულად მომწონდა ორი — ახალგაზრდა ბახუსის სახედ ჩაფიქრებული შემოდგომის სიმბოლური ქანდაკება (1976) და ცხენზე ცალი ფეხით შემდგარი ხელებგაშლილი ჯამბაზი (1978), რომლებიც, სამწუხაროდ, სხედულ ალბომში არ არის შეტანილი.

ელენე ახლა თოთხმეტი წლის ულამაზესი ქალიშვილია, ზრდილი, ნაკითხი. ბევრ რამეში ამჟღავნებს ნიჭს და ყველაფრის შეცნობის ნადილიც არ აკლია. წარმოდგენილი მაქვს, როგორი სინანულითა და ამავე დროს სიამაყითაც იგონებს თავის უსაყვარლეს ბაბუას, ვისაც მხოლოდ რამდენიმე წელიწადს დასცალდა ერთადერთი შვილიშვილი მოფერება და მასზე ზრუნვა.

„მაგთიკომის“ გამოცემულ კატალოგზე დიდი შრომაა განეული (სიცოცხლეში ელგუჯა ამაშუკელმა საამისოდ ვერ მოიცალა). წარდგინების დღეს ამ ალბომზე გულთბილად ილაპარაკეს და მადლიერება გამოხატეს ელგუჯა ამაშუკელის ნიჭის თავყვანისმცემლებმა, მისმა მეგობრებმა — თემო გოცაძემ, დიმიტრი ერისთავმა, როინ მეტრეველმა, ვახტანგ დავითაიამ, დავით ანდრიძემ და სხვებმა. ძალზე საინტერესო და ამალეღვებელი იყო თვითონ ლია სტურუას გამოსვლა, რომელმაც არაერთი, ზოგჯერ დრამატული შემთხვევაც (ვახტანგ გორგასალის უკვე გამოქმნილი ფიგურის, ფიცრის ფარდულთან ერთად, მტკვარში გადავარდნა და დაკარგვა) გაიხსენა ძვირფასი მეუღლის ცხოვრებიდან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ალბომს ჩვენი შესანიშნავი ფოტოგრაფის გაა ჩხატარაშვილის მადლიანი ხელი ატყვია. საერთოდ, მადლობის ღირსია ყველა, ვინც ამ კეთილშობილო საქმეში თავისი წვლილი შეიტანა.

გარეკანზე ელგუჯა ამაშუკელის ძალზე სასიამოვნო, მიშზიდველი ფოტოა დაკრული — ნაცრისფერ სვიტერზე, ნაცრისფერივე პალტო აცვია, ასეთივე ქუდი ახურავს და ყოველივე ჰარმონიულად ეხამება მისსავე ნაცრისფერ თვლებს, სივრცისათვის რომ მიუჰყურია. შთაბეჭდილება გრჩება — იგი მომავალს გაჰყურებს, თითქოს შთამომავლობის აზრის ამოცნობას ლამობსო. შთამომავლობა, თვით შორეული მომავალიც კი მისნაირ შემოქმედსა და ადამიანზე კარგის გარდა არაფერს იტყვის. გალაკტიონ ტაბიძის კვალდაკვალ მას თამამად შეეძლო გაემეორებინა: „მე არც წარსულის, არც მომავლის არ მეშინია!“

ჭეშმარიტი ხელოვანი ის პიროვნებაა, ვინც დროს იმორჩილებს.

ლი — „მუმიების კულტურა“, დე ფელიჩე — „ახალი ადამიანის შექმნა“, კრებული „კაპიტულაციის კულტურა“ და სხვა). იქმნებოდა ჯგუფები, რომელთა უმთავრესი მიზანი და ლამის მონოდება იყო შექმნათ დროის შესატყვისი, ინტელექტუალური, ღრმად ფსიქოლოგიური, ახალი ფორმისა და შინაარსის, ახალი რეალობის ამსახველი ნაწარმოებები. ამ დროისთვის თითქმის მოგონებებად გადაიქცა ფაშიზმისა და დიქტატურის წლები, მაგრამ აღარც ომის შემდგომი „ნეორეალიზმის“ იდეოლოგია და ესთეტიკა, დიდაქტიკა თუ მორალური დოგმები შეესატყვისებოდა თანამედროვეობას და მით უმეტეს ქვეყანაში შექმნილ და მოსალოდნელ ცვლილებებს. „ნეოკაპიტალიზმი“ თანდათან იკიდებდა ფეხს ქვეყანაში, რასაც მოჰყვებოდა ფასეულობათა მთელი სისტემის ცვლილება, დემოკრატიის ჰქონდა ფორმალური ხასიათი, ეგებ შეინიშნებოდა ნების ოპტიმიზმი, მაგრამ რეჟიმს სჭირდებოდა „სკეპტიკოსები“, აშკარა იყო რამდენიმე სახის კრიზისი — პოლიტიკური, მორალური, ფსიქოლოგიური, ინტელექტუალური, შემოქმედებითი, ინტიმურიც კი.

უკვე 50-იანი და 60-იანი წლებიდან შეიმჩნეოდა მეტად სერიოზულ ძიებებათა მცდელობა — ერთნი ცდილობდნენ ღრმად ჩასწვდომოდნენ და შეესწავლათ „ახალი ინდუსტრიული რეალობის“ არსი, მეორენი ეძებდნენ გამოხატვის ახალ ფორმებს, დროის შესატყვისი შინაარსს, რასაც თან სდევდა ექსპერიმენტები, თანამედროვეობის სულიერი სამყაროს ფსიქოლოგიის ღრმად გააზრება, შესატყვისი ლექსიკის, ჟანრის შექმნა, პოლიტიკური თუ იდეოლოგიური პოზიციის სიცხადე; მაგრამ ამ პროცესებს ჯერ მაინც ვერ მისცეს გარკვეული სახელი, ეს იყო ერთგვარი „კონტესტაცია“ (contestation — კამათი, დავა, პროტესტი...), რაც ითავსებდა რამდენიმე ჯგუფს, მემარცხენეებს, მემარჯვენეებსა თუ ცენტრისტებს, მაგრამ ყველა ერთად გამოდიოდა „ნეოკაპიტალიზმის“ პირობებში ადამიანის უგულვებელყოფის, მისი გაუსახურებისა და, საერთოდ, საყოველთაო უნიფიკაციის წინააღმდეგ.

ასეთ ძიებათა ზოგიერთი პროცესი გამოიკვეთა ე.წ. „ნეოავანგარდისტული მოძრაობის“ — „ჯგუფი 63“-ის გამოსვლებში, რომელიც გაფორმდა პალერმომი 1963 წელს და აერთიანებდა სხვადასხვა პოზიციის, შემოქმედებითი ნიჭისა თუ უნარის ადამიანებს, რომლებიც გამოდიოდნენ „ტრადიციონისტული“ კულტურის წინააღმდეგ, ებრძოდნენ უფროს და საშუალო თაობებს, რადგან მათი აზრით, კულტურის განახლება დამოკიდებული იყო არა მარტო ძველ ფორმებზე უარის თქმაზე, არამედ უნინ საჭირო და აუცილებელი იყო გარდაქმნა-გადახალისება, ექსპერიმენტები, ახალი ფორმების, ჟანრების, ახალი სიტყვიერი მასალის მოძიება, ახალი სიმბოლოებისა და ახალი შინაარსის, ფსიქოლოგიური და ინტელექტუალური სიღრმის შემოღება-დადგენა. „ჯგუფი 63“-მა მილანის ფელტრინის გამომცემლობაში გამოაქვეყნა კრებული „ახალი ლიტერატურა“, რომლის წინასიტყვაობის ავტორი, ბოლონიის უნივერსიტეტის პროფესორი ლუჩანო ანჩესი წერილში „ახალი მიმართულების მეთოდოლოგია“ წერდა: „ნეოავანგარდისტები“ ეძებდნენ და იკვლევდნენ იმას, რაც ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობი, გაუთვალისწინებელი და მოულოდნელიაო.

ხოლო ანჯელო გულელმი სტატიაში „ავანგარდი და ექსპერიმენტალიზმი“ წერდა, რომ „ნეოავანგარდიზმი“ უარყოფდა რეალიზმის ტრადიციებს, სიმბოლოებს, ჰერმეტიზმსაც და ამ დროს ნამდვილ ავანგარდისტებად აცხადებს მარინეტის თავისი „ფუტურისმი“ ა. სოფიჩისა და სხვებს. მათი მთავარი მიზანი იყო „ლინგვისტური რევოლუცია“, უპირისპირდებოდნენ ლიტერატურაში ტრადიციულ გამომსახველობით ფორმებს. „ჯგუფი 63“-ის შესახებ მწვავე პუბლიცისტური წერილი გამოაქვეყნა მწერალმა ბიჯარტიმ, რომელიც აფრთხილებდა მწერლებს, არ დაევიწყებინათ თავიანთი დანიშნულება და ეღვანათ ჭეშმარიტი ლიტერატურის, მაღალი იდეალების, პერსონაჟების, შინაარსის, ადამიანის, პიროვნე-

ბის წარმოჩენისთვის კი მათი უპირველესი მოვალეობა გახლდათ ეროვნული კულტურის ამაღლებაზე ზრუნვა, რადგან დიდი საფრთხე იყო მოსალოდნელი.

1963 წელს „ნეოავანგარდისტების ერთ-ერთმა მომხრემ ანჯელო გულელმომი გაახშირნა ე.წ. „დიდი ნულის თეორია“, რომლის თანახმად, აუცილებელი იყო არსებულ ფასეულობათა სრული უარყოფა, სინამდვილის გათავისუფლება ისტორიისგან და ყველაფრის თავიდან დაწყება.

ამ ჯგუფის ზოგიერთი წარმომადგენელი ისევე დადგა ისტორიზმისა და იდეოლოგიის სრული უარყოფის პოზიციასზე. ამკარად დასვეს საკითხი — ინარჩუნებს თუ არა ლიტერატურა თავის ფუნქციას თანამედროვე „ნეოკაპიტალიზმის“ საზოგადოებაში. „ჯგუფი 63“-ის მთავარი იდეა გახლდათ — როგორი შეიძლება ყოფილიყო იტალია, მაგრამ ეს იდეა იდეადვე დარჩა. ის მალე დაიშალა, მაგრამ წარმოიქმნა მეორე — „ჯგუფი 70“, რომლის ზოგიერთი ექსპერიმენტი საყურადღებო კი იყო ახალი რეალობის ასახვის თავისებურების თვალსაზრისით, მაგრამ ისიც მალე მოექცა ჩიხში.

მოგვიანებით, 1969 წელს, ჟურნალ „კონტემპორანო“ („IL Contemporaneo“) მონინავე სტატიაში „ლიტერატურის დასასრული თუ ინტელექტუალთა კრიზისი“, ავტორი მარო სპინელა წერდა, რომ დღევანდელ იტალიაში ლიტერატურა მასობრივი კომუნიკაციების ისეთ საშუალებებთან, როგორიცაა კინო, რადიო-ტელევიზია, ასე თუ ისე მაინც კარგავს თავის მნიშვნელობასა თუ დანიშნულებას და, რაც მთავარია, გავლენას.

ამ ეტაპზე ერთ-ერთი პირველი, ამ მოვლენას რომ გამოეხმაურა, იყო ნანი ბალესტრინი, ვინც რომანში „ილუსტრირებული ძალადობა“ საგაზეთო, საჟურნალო და საერთოდ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ტექნიკური კოლაჟის მეოხებით ამხელდა და ადანაშაულებდა მათ იმ გავლენისთვის, რასაც ეს საშუალებები ახდენდნენ მკითხველზე, მაყურებელსა თუ მსმენელზე.

ამ ეტაპზე მართლაც გასაქანი მიეცა — როგორც პოლიტოლოგი ჯორჯო გალი წერდა — „ფანტას“, ანუ ფანტაშეცხნიერებას, ფანტაშეპოლიტიკას, ფანტაფსიქოლოგიას; ალბათ „ფანტა“ უფრო ახლოსაა სინამდვილესთან, ვიდრე ჭეშმარიტი მეცნიერება, პოლიტოლოგია, სოციოლოგია და სხვა. ხოლო მოგვიანებით უკვე გაჩნდა ცნება თუ ტერმინი „ფანტარომანიც“.

შესაძლოა ყველაფერი, რაც ამ დროს ხდებოდა, იმის გამო, რომ მთელი ამ წლების მანძილზე ადამიანები გადაიქცნენ უტყვე მორჩილებად, დაშინების, მუქარისა და სხვა მრავალი მიზეზის გამო, რადგან მათი მუდმივი მდგომარეობა იყო დუმილი, სიძულვილი, ვერაგობა, ბეზღობა და არც დაებადებოდათ კითხვა: „საით მივდივართ?“ შესაძლოა ამის მიზეზი ყოფილიყო ადამიანების სულიერი ცხოვრების, შემოქმედების პოლიტიზაცია; ამიტომ იწერებოდა უმეტესწილად ტერმინები: უსამართლობაზე, ყოველდღიური ცხოვრების უღიმღამობაზე, სოციალურ ყოფაზე, რაც ნატურალისტური პროზის თემისა და იდეის განმსაზღვრელი იყო. ამ ვითარების ახსნა შეიძლებოდა იმითაც, რომ ქვეყანაში იქმნებოდა ახალი ისტორიული, ალბათ გარდამავალი ეტაპი, იცვლებოდა სახელმწიფოებრივი სტრუქტურები, პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობა, საზოგადოებრივი ურთიერთობები, ფართოდებოდა გავლენების სფერო, სიახლის მიმართ დამოკიდებულება სადავო ხდებოდა.



უკვე 60-იანი წლებიდან იტალიური კულტურის სხვადასხვა სფეროში გამოიკვეთა მნიშვნელოვანი ძიებანი, გამოჩნდა ახალი რეალობის საშიში ნიშნები, უწინარეს ყოვლისა, ეს იყო ადამიანის, როგორც ინდივიდის, პიროვნების „გაუსახურების“, მისი ნიველორების პრობლემა „ნეოკაპიტალიზმის“ პირობებში, მისი „სასაქონლო ერთეულად“ დაყვანის, მისი „განივების“ ანუ „ნივთის დონედ“ დამცრობის საშიშროება. მაგრამ ამ ძიებებში გამოიკვეთა ასევე ადამიანის სულიერი სამყაროსადმი ინტერესი, ცხადი გახდა, რომ „ნეოკაპიტალიზმი“ ვერ შესძლებდა ფასეულობათა ისეთი სისტემის შექმნას, რაც ადამიანს მისცემდა ღირსეული ცხოვრების საშუალებას. მისი სულიერი მდგომარეობის, მორალურ-ეთიკური გარემოპირობების გაუმჯობესებას. „ნეოკაპიტალიზმი“ ყველა ხერხსა და ღონეს იყენებდა ადამიანის ფსევდოფასეულობებთან შესაგუებლად.

ასეთმა ვითარებამ განაპირობა ცნობილი მწერლის ელიო ვიტორინის სტატია, რომელიც გამოქვეყნდა 1961 წელს მისივე ჟურნალში „IL Menabo“. ეს იყო პირველი განგაშის ზარი, როცა განაცხადა, რომ მწერლობამ დაიგვიანა და აქამდე ვერ გამოხატა თავისი პოზიცია საერთოდ პოლიტიკის, სოციალურ და ეკონომიკურ ცვლილებებთან დაკავშირებით, და რომ მათი პირველი ამოცანა უნდა ყოფილიყო „ახალი ინდუსტრიული მენტალიტეტის“ სიღრმისეული გააზრება, საგანგებო შესწავლა და შეფასება; სინამდვილე ის იყო, რომ ლიტერატურა საკმაოდ ჩამორჩა დროს, მაშინ, როცა ეკონომიკური ცვლილებანი სწრაფად მიდიოდა წინ; მწერლობას კი მართებდა, მეტი ყურადღებით ედევნებინა თვალი მიმდინარე პროცესებისათვის, ამავე დროს მეტი უნდა ეფიქრა შესატყვისი ფორმის, თემის, იდეის, ენისა და სხვა ასეთ პრობლემებზე. ჟურნალის უკვე მომდევნო ნომერში სტატიას გამოეხმაურნენ და თავიანთი პოზიციები გამოხატეს მწერლებმა: იტალი კალვინომ, უმბერტო ეკომ, ფრანკო ფორტინიმ და სხვებმა. განსაკუთრებით მწვავედ დასვა საკითხი უმბერტო ეკომ, როცა ყურადღება გაამახვილა ენასა და სტილზე და განაცხადა, რომ ლიტერატურამ უნდა შემოიღოს ე.წ. „უესტების ენა“, რათა შექმნას ამ სამყაროს, სინამდვილის ზედმიწევნით ზუსტი სურათი იმ სამყაროს, იმ რეალობისა, სადაც ცხოვრობენ, ის ქაოსი, ის დისჰარმონია, რაც ასე მყარად მკვიდრდება, მწერალმა კი ასეთი ვითარების შესატყვისად უნდა წეროს ასევე ქაოტურად, ძნელად გასაგები ენითა და გასაშიფრი სტილით.

ეს დისკუსიები მიმდინარეობდა ქვეყანაში ახალი, მეტად რთული მოვლენის ფონზე; მეორე მსოფლიო ომის თითქმის დამთავრებისთანავე იტალიაში დაიწყო ე.წ. „სწრაფი ეკონომიკური ბუმი“, რაც, ერთი მხრივ, ბადებდა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მოლოდინს, უკეთესი მომავლის იმედს, მეორე მხრივ, საგონებელში აგდებდა და კიდევ უფრო რთული პრობლემების წინაშე აყენებდა ადამიანს, რაკი ასეთ ვითარებას გარდუვალად მოჰყვებოდა საერთოდ შეხედულებების, პოზიციების გადახედვა, უცხო, ალბათ სახიფათო ცვლილებებთან შეგუება, ცხოვრების შეჩვეულ ნესებზე უარის თქმა, ტრადიციების უთუო მოშლა, ფასეულობათა გადაფასება, ცხოვრების ახალი სტილის მიღება-არმიღების ჭიდილი, საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და, საერთოდ, მენტალობის გარდაქმნის რთულ პროცესთან დავა; ეს ყველაფერი განაპირობებდა ადამიანის პოლიტიკური, სოციალური თუ კულტურული პოზიციის გამოხატვას, განსაზღვრავდა მის ადგილსა და მდგომარეობას, მით უმეტეს, რომ ახალი პოლიტიკური, სოციალური, საზოგადოებრივი გარემო, მმართველობის ახალი წესები და ფორმები, ისედაც საკმაო გავლენას ახდენდა ადამიანზე, რომელიც ნებით თუ უნებლიეთ მაინც განიცდიდა ცვლილებებს, გარდაიქმნებოდა დროისა და ვითარების შესატყვისად, ცხადყოფდა ახალი ტიპის ადამიანის შექმნის გარდუვალობას. ასეთ მდგომარეობას მიესადაგებოდა ცნება თუ ტერმინი „ტრავალიო“ (travaglio — ნუხილი, მღელვარება, განცდა, მძიმე შრომა), რაც უპირატესად ინტელიგენციის მდგომარეობას უფრო განსაზღვრავდა, რად-

გან ყველაზე მტკივნეულად სწორედ ეს ფენა განიცდიდა და კიდევ გამოხატავდა არსებული ვითარების მიმართ თავის აზრსა და დამოკიდებულებას, უფრო ნუხდა ისტორიული წარსულისა და ტრადიციების მოშლის მოსალოდნელი საფრთხის გამო.

ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ვითარებას სრულად ასახავდა წიგნი, რომელიც გამოქვეყნდა 1974 წელს და რომლის ავტორებიც იყვნენ ეუჯენიო სკალფარი და ჯუზეპე ტურანი, ორივე რადიკალური ყოველკვირეულის „ესპრესო“ პლედარის წარმომადგენელი. წიგნი მართლაც სენსაციური მოვლენა იყო, ნამძღვარებული ჰქონდა ორი ეპიგრაფი — ადამ სმიტის „გამოკვლევა ხალხთა ბუნებისა და სიმდიდრისთვის“ და ბარონ დომინიკო ლუის (ლუი XVIII და ლუი ფილიპის მინისტრი) სიტყვები: „სახელმწიფო არის პასუხისმგებელი ყველაფერზე, საკუთარ სისულელეზეც კი“. ავტორები წიგნს უძღვნიდნენ „მონტედისონის“ პრეზიდენტ ეუჯენიო ჩევისს, რომლის მიზანი გახლდათ ხელში ჩაეგდო იტალიის მთელი ბეჭდვითი და სამაუწყებლო საშუალებანი, თუმცა მის ხელში უკვე იყო რადიო და ტელევიზია და მთელ ქვეყანაში იცნობდნენ, როგორც ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების დაუძინებელ მტერს, ხოლო „მონტედისონი“, ყველაზე მსხვილი მონოპოლიური გაერთიანება მონტეკატინისა და ედისონისა, დაკავშირებული იყო პოლიტიკასა და ეკონომიკასთან, თავად ჩევისი წარმოდგენდა ნამდვილ განსახიერებას, სიმბოლოსა და „პატრონთა რასის“ პირველსახეს.

ზოგიერთი კრიტიკოსი წიგნს რომანსაც უწოდებდა, რომელშიც გაცხადებული იყო ის ფაქტი, რომ სახელმწიფოსა და კერძო ინტერესების შერწყმის შედეგად წარმოიქმნა ძალაუფლების, ფულისა და გავლენების აქამდე უცხო და გაუგონარი ბრძოლის ფორმები. წიგნის მთავარი „მოქმედი პირია“ სახელმწიფო მთელი თავისი სისტემით, აპარატით, მინისტრებით, პარლამენტით, მოხელეებით, არმიით, ასევე გარკვეული როლი აქვს პარტიებსაც და ე.წ. „ნუვორიუმებსაც“, მენეჯერებსა და სხვებს, იმის მიხედვით, რომელი იყო უფრო ფხიანი, ვიდრე ტრადიციონალისტები, ხოლო მათი წარმატება დამოკიდებული გახლდათ მათ კაპიტალზე, მოხერხებულებაზე, კავშირურთიერთობებსა და ინიციატივაზე. მაგრამ „ახალი რასის“ წარმომადგენლებს არც წარსული ჰქონდათ და არც საგვარეულო ქონება, მათ შესახებ ახალი ტერმინიც კი შეიქმნა „ბუროზავრი“, ანუ ბიუროკრატი+დინოზავრი („burosauro“). წიგნის მთავარი პერსონაჟი თავად ეუჯენიო ჩევისი ყოველ ღონესა და ხერხს იყენებდა მიზნის მისაღწევად. წიგნის ბოლო თავის სათაურია: „ბეჭდვითი სიტყვის დაპყრობა“, რომელშიც დაწვრილებითაა აღწერილი ის საშუალებები, რასაც იყენებდა ჩევისი მთელი სამაუწყებლო სისტემის ხელში ჩაგდებად. სწორედ ამან განაპირობა ფაქტი, რომ „ესპრესომ“ შემოიღო ახალი და მეტად მოსწრებელი ტერმინი „ქუდი“, ანუ რუბრიკა და დევიზი: „წერა მარცხნივ, ბეჭდვა მარჯვნივ!“

ამ დროს გავრცელდა ასევე ცნება „იმპენიო“ (impegno) ანუ ნებაყოფლობით ნაკისრი მოქალაქეობრივი, მორალური და პოლიტიკური მოვალეობა, პასუხისმგებლობა, და ასევე „კონტესტაცია“ (contestazione), პროტესტი, წინააღმდეგობა.

„ადამიანი-ნივთი?“

სწორედ „იმპენიომ“, პასუხისმგებლობამ განაპირობა ის ფაქტი, რომ მწერალმა და ჟურნალისტმა გოფრედო პარიზემ ერთ-ერთმა პირველმა დაარისხა განგაშის ზარი, როცა ცხადი გახდა „ნეოკაპიტალიზმისა“ და „ეკონომიკური ბუმის“ მუქარა. ის საფრთხე, რაც ამ ეტაპის პოლიტიკურ, სოციალურ, მორალურ-ეთიკურ ვითარებაში ადამიანს უქმნის „ნივთად“, „მომხარების საგნად“ გადაქცევის საშიშროებას.

„მე თვითონ დარწმუნებული ვარ, რომ ცხოვრებაში გაცილებით მეტია ჩრდილი, ვიდრე სინათლე!“ — ამ სიტყვებით გა-

მობატა მწერალმა თავისი აზრი და დამკვიდრებულება არსებულ ვითარების, მიმდინარე პროცესების მიმართ და მთელი თავისი მხატვრული თუ ჟურნალისტური შემოქმედებით უპასუხა კითხვას: „საჭირო არიან თუ არა ინტელექტუალები?“ და ქვეყნის გასაგონად განაცხადა, რომ მწერლები არ განიცდიან კრიზისს და მას უკვე კარგად ჰქონდა გააზრებული თავისი „იმპენიო“. სტატიებში „ნიგნები უნდა ვნეროთ, თუ პოლიტიკას გავეყვით?“ „რატომ არ სჭირდება იტალიელებს იდეები?“ იგი წერდა, რომ იტალიაში ისე იყო ერთმანეთში გადახლართული პოლიტიკა და კულტურა, რომ მათი განცალკევება თითქმის შეუძლებელი იქნებოდა, ხოლო იდეებზე ფიქრი ხალხს სულ არ სჭირდებოდა, რადგან ამაზე იდეოლოგიები ზრუნავდნენ; ასეთ ვითარებაში კი ადამიანს არჩევანის საშუალება მაინც არ გააჩნდა, რადგან საკუთარ ქვეყანაში ისინი სტუმრებივით გრძნობდნენ თავს, ისე, თითქოს მუდმივი საცხოვრებელი არ ჰქონდეთ, საკუთარ სახლში, ოჯახში რომ ეგრძნოთ თავი. სხვა არჩევანს ისედაც ვერ ხედავდნენ, მთავარი იყო, მორჩილებით ეცხოვრათ, არა სცოდავდნენ და არც ფიქრით შეეწუხებინათ თავი, ამაზე ისედაც იდეოლოგიები ზრუნავდნენ და მათი უფრო სჯეროდათ, დამნაშავედ კი ისევ ინტელექტუალები მიაჩნიათ. ხოლო ინტელექტუალები შორს იყურებოდნენ და იმას ვერ ხედავდნენ, რაც მათ თვალწინ ხდებოდა, დასაკვირვებელი პარიზე. მწერლის მოვალეობა კი უწინარესად ის გახლდათ, რომ ამ „განვითარებად“ ეპოქაში მთავარი ადამიანი უნდა ყოფილიყო და სწორედ მწერალს უნდა გაეგო მისი სულიერი მდგომარეობა, რადგან საფრთხე მას ელოდებოდა, ისევ მწერალს უნდა გამოეფხიზლებინა და აეფორიაქებინა „მდუმარე უმრავლესობა“, მას უნდა აეტეხა განგაში ფსევდო კულტურის მოძალებზე, რომლის წყალობითაც ყალიბდებოდა და მრავლდებოდა „ნაცრისფერი მასა“, გადამდები სენივით ვრცელდებოდა პესიმიზმი, სულერთიანობის მომაკვდინებელი განცდა, საკუთარ ნაჭუჭში გამომწყვდევის, ვითომ თვითგადარჩენის ინსტინქტი.



გოგორედო პარიზე

დამოლოს, როცა 1965 წელს გამოქვეყნდა მისი რომანი „პატრონი“ („Il Padrone“), პარიზე ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა, რადგან ამჯერად სრულიად სხვა სახით წარდგა კრიტიკისა და მკითხველის წინაშე და დაიმსახურა კიდევ იტალიის ყველაზე დიდი პრემია „ვიარჯო“. ნაწარმოების გარშემო დიდხანს გრძელდებოდა კამათი, რადგან კრიტიკოსებმა მასში დაინახეს ახალი, მეტისმეტად თამამი, მწვავე, მაგრამ დროის შესატყვისი პრობლემები და განსაკუთრებით ამ დროის „ეკონომიკური ბუმის“ შედეგები. რომანში სიახლე იყო უწინარეს ყოვლისა ის, რომ მისი პერსონაჟები იყვნენ არა ჩვეულებრივი, სისხლისა და ხორცისგან შექმნილი ადამიანები, არამედ არსებული რეალობის შესატყვისი ერთგვარი რობოტები, „ნიღბების კომედიის“ თანამედროვე სახეები; ეს იყო გროტესკული სამყაროს თვალსაჩინო სურათი, სადაც მოქმედებენ ადამიანის მსგავსი არსებანი, ტექნიკური თუ ეკონომიკური ბუმის შედეგად წარმოქმნილი მექანიკური თოჯინები, რომლებიც იმართებიან თავიანთი „პატრონის“ მიერ, უსიტყვოდ ემორჩილებიან მის ნებას, თანდათან კარგავენ ადამიანურ სახეს, უარს ამბობენ ყოველგვარ ოცნებაზე, მომავლის იმეზე, დაჰყვებიან ცხოვრების იმ წესს, რასაც ამკვიდრებენ

„ეკონომიკური ბუმის“ მორჩილი, მაგრამ მაინც ახალი ტიპის „მძლავრი“, კაპიტალისტი, მომრავლებული „ფირმების“ პატრონები, რომლებიც „ყიდულობენ“ არა მხოლოდ „მუშახელს“ — ადამიანს, არამედ მის ნებას, სულს, გონებას და ისე „მოიხმარენ“, როგორც იმ ნივთსა თუ „ნედლეულს“, რითიც აღჭურვილია ფირმა. აქედანვე იწყება ადამიანის ნივთად გადაქცევის მტკივნეული პროცესი, რაც მიმდინარეობს ცოცხლად და დამაჯერებლად უშუალოდ მკითხველის თვალწინ.

გოგორედო პარიზეს ეს რომანი „პატრონი“ ნათელი ილუსტრაციაა „ეკონომიკური ბუმის“ პროცესის შედეგებისა და სვამს კითხვას: მაშ სად არის ადამიანის ნამდვილი ადგილი, რა ფუნქციას ასრულებს, რა პერსპექტივა აქვს არა მხოლოდ ამ ეტაპზე, არამედ საერთოდ.

„ეკონომიკური ბუმი“ ერთგვარი „სატყუარა“ იყო, განსაკუთრებით პროვინციული ახალგაზრდებისათვის, რომლებიც ამ ახალი რეალობით თავბრუდახვეულნი, ცხოვრების უკეთესი პირობების, თვითდამკვიდრების შესაძლებლობით ნაქებულნი მიეშურებიან ქალაქისკენ, მაგრამ ყველაზე ადრე სწორედ ისინი განიცდიან მორალურსა და მენტალურ ცვლილებებს, სწორედ ისინი ხდებიან „მასალა“, რისგანაც იქმნება ახალი ტიპის, დროის შესატყვისი „არსება“, რომელსაც უფრო უადვილდება ფასეულობათა გადაფასება, ტრადიციაზე უარის თქმა, მამა-პაპათაგან ნაანდერძევი ადათ-წესებისა თუ ზნე-ჩვეულებათა დავინყება და ახალ რეალობასთან ნებით თუ უნებლიედ შეგუება. „ეკონომიკურ ბუმს“ მოჰყვებოდა კიდევ უფრო მეტი ცვლილება ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში; რაკი ესა თუ ის სიახლე ერთი მხრივ ბადებდა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მოლოდინს, პირდებოდა უკეთესს მომავალს, მეორე მხრივ, საგონებელში აგებდა ადამიანს, რადგან დაპირებულ კეთილდღეობას თან სდევდა მისთვის

აქამდე უცნობი პირობები — წარსულზე უარის თქმასთან ერთად — მენტალური გარდაქმნა, პოლიტიკური პოზიციის გამოხატვის ვალდებულება. ეს ყველაფერი კი იწვევდა ახალი ტიპის ადამიანის შექმნის გარდუვალობას, რაც განსაზღვრავდა მის მდგომარეობასა და ადგილს არსებულ რეალობაში.

პარიზეს რომანი „პატრონი“ პირდაპირ შეესატყვისება „ეკონომიკური ბუმის“ პირობებს და ზედმიწევნით პასუხობს ეპოქის ყველაზე რთულ კითხვებს, სწორედ რომანის მთავარი პერსონაჟია მისი მსხვერპლი, ანონიმური სახე, რომელსაც მწერალი სახელსაც არ არქმევს, რადგან იგი ქმნის ეპოქის განზოგადებულ სახეს. რომანის ეს მთავარი, მაგრამ უსახელო პერსონაჟი, ვთქვათ X, სწორედ იმ არჩევანის წინაშეა, რასაც სთავაზობს შექმნილი რეალობა. იგი დგას გზაჯვარედინზე და არ იცის, საით წავიდეს, უჭირს არჩევანის გაკეთება, უკან რჩება უღიმღამო, უპერსპექტივო ცხოვრება პროვინციაში, წინ ელოდება, მართალია, ბუნდოვანი, მაგრამ მაინც იმედის მომცემი მომავალი და ისიც ალაღებდნენ ირჩევს მეორეს. ტრადიციულ ოჯახში აღზრდილი, გულუბრყვილო, გამოუცდელი, ადვილად მიმნდობი ახალგაზრდა, რაკი ირწმუნა ახალი დროის სასწაულები, რომ ცხოვრებაში გზას გაიკვლევდა, აღმოჩნდება სწორედ ამ „სასწაულების“ ერთ-ერთ სანიშნუშო ფირმაში, რომელსაც განაგებს ასევე ახალი ტიპის პატრონი-კაპიტალისტი, ვინც ერთნაირად განაგებს როგორც იმ ნივ-



თებს, რასაც ფირმა აწარმოებს, ისე თავის „მომსახურე“ მუშახელს. მაგრამ ფირმის პატრონიც იგივე რობოტია, მექანიკური თოჯინა, როგორადაც ცდილობს გადააქციოს თავისი ხელქვეითი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მას აქვს კაპიტალი, ის არის მესაკუთრე და მისი მიზანი კიდევ უფრო შორს მიდის — იგი ამავე დროს ზრუნავს კაცობრიობაზე, რათა უზრუნველყოს ადვილად სამართავი, უკვე ნებადაკარგული და ნივთადქცეული ადამიანების მარაგი. ასე მრავლდება ანონიმურ ადამიანთა რიცხვი და სწორედ ეს ანონიმურობა ყველაზე დამთრგუნველი რომანში. მაგრამ პარიზეს სარკაზმი, ირონია თუ გროტესკი იმდენად დაუნდობელია, რომ ფირმის „პატრონს“, დოქტორ მაქსს, წარმოგვიდგენს როგორც დიდი იდეების, მომავლის სანიმუშო სამყაროს შექმნის იდეით შეპყრობილ მანიაკს, რომლის მიზანია თავისი ფირმა გადააქციოს ერთგვარ რელიგიურ თემად, რომელსაც უნდა ჰყავდეს საკუთარი ღმერთი და მრევლი. ღმერთი თავადვე იქნება, მრევლი — ხელქვეითების მთელი არმია, ანუ ის „ნედლეული“, რაც კაცობრიობის მყარ დასაყრდენად იქცევა, მათში უნდა ჩანერგოს ის თვისებები, რაც ამისთვისაა აუცილებელი — აბსოლუტური მორჩილება, ერთგულება, საქმის სიყვარული, რწმენა, ფირმის ინტერესების დაცვა და თავის განირვაც კი, და ეს ყველაფერი მას უნდა განაცდევინებდეს კმაყოფილებასა და სიხარულს, ანიჭებდეს თავისი არსებობის აზრისა და მნიშვნელობის რწმენას. სწორედ ამ პროვინციულ ახალგაზრდას, X-ს, ირჩევს იმ „ნედლ მასალად“, რისგანაც ძერწავს თავის საოცრებო „იდეალურ ნივთს“; ასე ქმნის იგი საკუთარ მინიატურულ სამყაროში მომავლის მოდელს, როდესაც სისტემა მართლ ადამიანს კი არ გადააქცევს ნივთად, ეს სამიშროება ასევე ემუქრება თვით „პროტესტის გრძნობასაც კი“.

პატრონის ექსპერიმენტი წარმატებით ხორციელდება, X, ანონიმური პერსონაჟი, თანდათან კარგავს იმ სახეს, თვისებებსა თუ ჩვევებს, რაც მისთვის ბუნებრივი იყო, მაგრამ ამასთან ერთად, ღირსების გრძნობასაც, სიცოცხლის ხალისსაც, საკუთარ თავსაც შორიდან უყურებს, თანდათან გადაიქცევა მექანიკურ სამართავ თოჯინად, რომელსაც მართავს „პატრონი“ თავის ნებაზე.

შესაძლოა პარიზე პატრონისა და მისი ხელქვეითის ურთიერთდამოკიდებულებას განიხილავს დარვინისეული ბიოლოგიური თვალსაზრისით, როცა სახეობათა ბრძოლაში იმარჯვებს „ძლიერი“, და ეს „struggle for life“ გამართლებულია კიდევ, მაგრამ ასე ხედავს თავისი დროის ვითარების ყოველ ასპექტს. მწერალს სულ ორიოდე მაგისტრალური თემა აქვს და ერთგულადაც მიჰყვება არჩეულ გზას, ამავე დროს ოსტატურად აწინააღმდეგებს იმ პრობლემებს, რაც არამართო მას უნდა აწინააღმდეგებდეს, არამედ არც სხვას მისცეს მოსვენების საშუალება. მთავარია, მისი შემოქმედების ცენტრში დგას ადამიანი, როდესაც 1972 წელს გაზეთმა „ჯორნომ“ ჩაატარა გამოკითხვა თემაზე — რა დამოკიდებულება აქვს ინტელიგენციას თავისი პოლიტიკური „იმპენიოს“ მიმართ, ხოლო „ესპრესომ“ მოანყო დისკუსია საკითხზე: „დაილაღნენ თუ არა იტალიელი მწერლები პოლიტიკით?“ მაშინ პარიზემ განაცხადა: „ხელოვანი არის — ან უნდა იყოს — შემოქმედი ისტორიის შუაგულში და არ უყურებდეს მას არც ზემოდან და არც შორიდან, ის კიდევ უნდა უსწრებდეს მომავალს“.

გამოკითხვა-ანკეტის შედეგების მიხედვით გამოაშკარავდა — მოსამართლეები, ინჟინრები, ექიმები და სხვები აცხადებდნენ, რომ პოლიტიკა აქტიურად იჭრებოდა მათ პროფესიულ საქმიანობაში და მათ შემეცნებაშიც კი აღწევდა; მწერლები კი შემფოთებულნი იმეორებდნენ, რომ ისინი განწირულნი იყვნენ მარტოობაში ცხოვრებისა და მოღვაწეობისათვის — „ჩვენ ვართ ახალი ტიპის სტოიკოსები, სტოიკოსები ჩვენდაუნებურად“.

XX საუკუნის პროზაში უკვე მტიკცედ დამკვიდრდა რომანის ისეთი ჟანრები, როგორიცაა რომანი-იგავი, რომანი-გრო-

ტესკი, რომანი-პარაბოლა, რომლებშიც ცხადად იკითხება სამყაროს განსხვავებული აღქმა, რეალობის თავისებური ხედვა და თანამედროვე ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების შესატყვისად მკვიდრდება ახალი ფორმა, ჟანრი, ლექსიკა, რასაც მოჰყვება ადამიანის შინაგანი სამყაროს მიმართ სულიერების, ფსიქოლოგიის, სიღრმისეული წვდომის, ადამიანის ძირეული არსის შეცნობის მცდელობა; ამას კი უთუოდ განაპირობებს შემოქმედისავე შინაგანი, სულიერი სამყაროს წვდომის, ინტელექტის დონე, მდიდარი ან მწირი წარმოსახვის, რეალობის აღქმის სუბიექტური თუ ობიექტური გააზრების უნარი, რასაც იგი გარდუვალად მიჰყავს ექსპერიმენტის აუცილებლობამდე. ხშირად შეიძლება შეგვხვდეს ანმყოსა და წარსულის აღრევაც, რწმენისა და ურწმუნობის შეპირისპირება, რაციოსა და ირრაციოს უცილობელი თანაარსებობაცა და დაპირისპირებაც. თანამედროვე რომანში ცხადად შეიმჩნევა ინტელექტუალური რომანის მკვეთრი ნიშნები და იკვეთება მომავლის თავისებურად გააზრებული, ასე ვთქვათ, „ფუტუროლოგიური რომანის“ შექმნის ყველა პირობა, რაკი თვითონ დრო კარნახობს მწერალს იმ კანონებს, ნორმებს, იდეებს, თემებსა და პერსონაჟებს, მითუმეტეს პერსონაჟებს, რომელთაც აქვთ საკუთარი ლოგიკა, ფანტაზია, ფილოსოფია, შესაძლოა ჰიპოთეტური, ჯერ კიდევ ბუნდოვანი ხედვით, ფორმისა და შინაარსის ძიების მცდელობით.

„მოთხრობების კრებული „ადამიანი-ნივთი?!“ ფსიქოლოგიური ჩანახატების თავისებური სერია, რომლის საშუალებითაც მიხდოდა წარმომედგინა სრული სურათი იტალიაში გაფიქვებული იდეური, სულიერი და პოლიტიკური ვაკუუმის ატმოსფერო, რაც გახდა სტუდენტური მიღწევების პირობა. ბევრი ალბათ ფიქრობს, რომ მეტისმეტად ჩავამუქე ფერები, მაგრამ ვინ არიან ეს „ბევრნი“? — იგივე ბურჟუაზია, რომელიც თვითონვეა დამნაშავე შექმნილ ვითარებაში, იგივე სამრეწველო „ტუზები“, რომელთაც იმდენად მოაზღვრავს დასავლეთის სამყაროში მოხმარების ნივთები, რომ ამ ბოლო წლებში თვით ადამიანი აღმოჩნდა მათ ქვეშ დამარხული, ერთიანად ჩაიძირა ნივთების ზღვაში; ადამიანური ცხოვრების რიტმი დათრღვა და გახდა ხელოვნური და მექანიკური; ბოლოს კი თვითონაც დაეშვა ნივთის დონემდე და იქცა ნივთად ნივთთა შორის.

ამ მოთხრობებში ვცადე დამეხატა დღევანდელი იტალიის ტიპური ადამიანის პორტრეტი, იმ ადამიანისა, რომელმაც დაკარგა ადამიანური ღირსება, ან შეიძლება ტკივილითაც აღიარებს, რომ კარგავს, ადამიანისა, რომლისთვისაც უცნობია სხვა ყოფა და მდგომარეობა, თუ არა ნივთისა...

ეს მოთხრობები იმდენადაა პესიმისტური, რამდენადაც მკითხველებში იწვევს ან უნდა გამოიწვიოს აღშფოთება, ამოიციონს და დააფიქროს იმ ფაქტმა, რომ ჩვენს დღევანდელ საზოგადოებაში მას ისეთივე ფასი აქვს, რაც ნივთს, რომ იგი დაყვანილია მოხმარების დონემდე და ასეც მიიჩნევა; გაცვდა ეს ნივთი? მამ საჭიროც აღარ არის და შეიძლება მოვიშოროთ, გადავადლოთ“.

„ამ მოთხრობებს მთელი ოთხი წელი ვწერდი „პატრონთან“ ერთად, 1962-1965 წლებში. ლიტერატურისთვის ეს უნდა ყოფილიყო სულის შემძვრელი სევდის ანარეკლი, რასაც მაშინ განიცდი, როცა დღევანდელი ადამიანის ცხოვრებას ხედავ — უსახელოს, დაუნდობელი მანქანის ერთი პატარა ჭანჭიკის სახით“.

თვითონ პარიზე თავისი შემოქმედების აზრსა და მიზანზე წერს:

„უპირველეს ყოვლისა, მიხდა საგანგებოდ აღნიშნო ის სამწუხარო სინამდვილე, რომ მკითხველმა საზოგადოებამ ამ ბოლო დროს დაკარგა ინტერესი საერთოდ ხელოვნებისა და ლიტერატურის მიმართ. დღეს მათ ყურადღებას უპირატესად იყვრობს პოლიტიკა, საერთოდ, პოლიტიკური ბრძოლის ნებისმიერი საშუალება, მაგალითად, ახალგაზრდული მოძრაობა, ე.წ. „კონტესტაცია“ (Contestazione) — წინააღმდეგობის, დაუმორ-

ჩილებლობის, საყოველთაო მიზნისა და ინტერესის ხმამაღლა გამოცხადება ყველა ავტორიტეტის მიმართ. სინამდვილეში „კონტესტაციამ“ კიდევ მიიღო ისეთი ბოზოქარი, დაუმორჩილებლობის, პროტესტის ხასიათი, რომ ერთბაშად ალაპარაკა ყველა გაზეთი, ჟურნალი და საერთოდ, თითქმის ყველა სამაჟორული თუ პერიოდული გამოცემა. ერთი სიტყვით, იტალიელთა უმრავლესობის ყურადღება დაიპყრო პოლიტიკამ, საერთოდ, პოლიტიკური ბრძოლის ნებისმიერი ფორმა — იქნება ეს სტუდენტური მოძრაობა თუ ე.წ. პროტესტის გამომხატველი პოლიტიკური ჯგუფების შექმნა, ანდა — ასეთი წრეებისა...

მაგრამ ზოგჯერ მათში გამოერევიან ხოლმე ისეთებიც, რომლებიც „კონტესტაციის“ ხარჯზე პოლიტიკურ კაპიტალს აგროვებენ.

უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ დღეს ამ „კონტესტაციამ“ საზოგადოება იქამდე მიიყვანა, ვისაც კი რაიმე კავშირი აქვს კულტურასთან, თითქოს ყველა პოლიტიკურ ნებას იმსახურებდა. მხატვრული ლიტერატურის ინტერესი მკვეთრად დაეცა, მაგრამ მე მაინც მტკიცედ მჯერა, რომ ხელოვნებით გატაცება, ლიტერატურული მოღვაწეობა, თუკი ეს არის და იქნება ჭეშმარიტი ხელოვნება და ჭეშმარიტი ლიტერატურა, პროტესტისა თუ წინააღმდეგობის გამომხატვის უმაღლესი აქტია“.

პარიზის შემოქმედებისა საერთოდ და, კერძოდ, ორი წიგნის — რომანი „პატრონი“ და მოთხრობების კრებული „ადამიანი-ნივთი?“ — გარშემო კარგა ხანს არ წყდებოდა კამათი, კრიტიკაც თითქოს დაიბნა და ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ აზრს გამოთქვამდა; თუ ერთნი აშკარად გამომხატულ ეგზისტენციალისტურ ტენდენციებს ხედავდნენ მათში, მეორენი სიურრეალისტების მკვეთრ სურათებზე მიანიშნებდნენ და ფროიდისტულ კომპლექსებზეც მსჯელობდნენ, ზოგი ნატურალიზმს მიაკუთვნებდა, ზოგიც რეალიზმს, სხვანი ტრაგიზმის თანამედროვე ვარიანტს იცავდნენ, უმეტესობა მომავლის რომანის დაბადებას წინასწარმეტყველებდა და „ფუტუროლოგიური რომანის“ იტალიურ ვარიანტად მიიჩნევდა, ასეთი ჟანრის მნიშვნელოვან ნიმუშად სახავდა. ორივე წიგნში უდავოდ ჩანს ყველა ეს ნიშან-თვისება, მაგრამ მწერალი ისე ოსტატურად ანაწილებს ამ ტენდენციებს, რომ მათ შორის ზღვარს თითქმის ვერ გაავლებთ, ერთია — ღრმა ფსიქოლოგიზმს, ასევე რაციოსა და ირრაციოს, თანაარსებობასა თუ შეპირისპირებას ერთხმად აღიარებენ. მაგრამ საბოლოოდ მაინც მკითხველს მიანდობს მწერალი ამ ლაბირინთიდან გამოსასვლელი გზის მოძებნას.

არ შეიძლება არ გავიხსენოთ ამ შემთხვევისთვის ალბერტო მორავიას ესეი „მანერის აფეთქება“, სადაც წერს:

„უპირველეს ყოვლისა, გადავხედოთ თარიღებს“.

სწორედ თარიღების გადახედვამ გაგვახსენა ის ფაქტი, რომ ცნობილმა იტალიელმა მწერალმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა ლუიჯი პირანდელომ ჯერ კიდევ 1915 წელს გამოქვეყნებულ რომანში „სერაფინო გუბიოს, ოპერატორის ჩანაწერები“ პირველმა გამოთქვა შემოფოთება ადამიანის „ნივთად“ გადაქცევისა თუ ნივთივით გამოყენების საშიშროების შესახებ — როდესაც ოპერატორი სერაფინო გუბიო მექანიკურად ატრიალებს კინოაპარატის სახელურს და უკვე გრძნობს, რომ აღარ სჭირდება და ვერც გამოიყენებს ადამიანურ გრძნობებს,



ლუიჯი პირანდელი

თუნდაც მოყვასის მიმართ თანაგრძნობას, სიბრალულს, არ დასჭირდება ინიციატივა, გონება, თუნდაც ინსტინქტი, რადგან ის უკვე მექანიკური შემსრულებელია და სხვა არც არაფერი მოეთხოვება, რადგან მეცნიერება, ტექნიკა ასრულებს იმ ფუნქციას, რასაც ადამიანი, ოპერატორი იმ ეტაპზე, როცა სამაფეხა ობობას — აპარატის — სახელურს ატრიალებდა და უკვე გრძნობდა, რომ ჯერ მისი ხელი გადაიქცა ნივთად და მომავალში თვითონაც მთლიანად ნივთად გადაიქცეოდა.

აქვე შეიძლება გავიხსენოთ მწერლის ყველაზე მწვავე სარკაზმი, როდესაც მისი პერსონაჟი — X — იძულებულია იქორწინოს ისეთივე „თოჯინაზე“, როგორაც თვითონ გადაიქცა, მეტყველების უნარს მოკლებულ „პატრონის“ „ფავორიტზე“ და იმის იმედიც აქვს, რომ შვილიც ასეთივე უმეტყველო დაიბადება და ბედნიერადაც გრძნობს თავს, რომ აღარც თვითონ დასჭირდება საერთოდ მეტყველება, ისიც მათსავით დამუნჯდება. „მეტყველებაზე, ურთიერთობის ამ საშუალებაზე ნებაყოფლობით უარის თქმა გვხვდება უკვე პირანდელოს სხვანაირად რომანში 1915 წელს, სელინჯერის რომანში „თამაში ჭვავის ყანაში“ და ბოლოს, პარიზის რომანში „პატრონი“.

გოფრედო პარიზემ არცთუ იოლად გაიარა ცხოვრებისა და შემოქმედების გზა. დაიბადა 1923 წელს ქალაქ ვიჩენცაში. დედა ადრევე მიატოვა ბავშვის მამამ, იგი ბებიისა და პაპის თბილ ოჯახურ გარემოში გაიზარდა, ხოლო როცა დედა ცოლად გაჰყვა ყოველკვირეული გამოცემის დირექტორს, ოსვალდო პარიზეს, მან ნამდვილი მამობაც გაუწია და გვარიც მისცა. ჯერ ვიჩენცეს სკოლაში სწავლობდა, მერე პადუის უნივერსიტეტში. ერთხანს მხატვრობით იყო გატაცებული. პირველი წიგნი „მკვდარი ბიჭი და კომეტები“ 1950 წელს გამოაქვეყნა; მეორე წიგნი „დიდი არდადეგები“ 1954 წელს. ამჯერად წიგნს მაღალი შეფასება მისცეს ცნობილმა პოეტმა ეუჯენიო მონტალემ და კარლო ბომი; მესამე კი იყო

„ლამაზი მღვდელი“ — 1954 წელს — რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა, მაგრამ გარკვეული წრეების აღშფოთებაც გამოიწვია, თუმცა მაინც „ბესტსელერად“ აღიარეს. ამ რომანის შემდეგ პარიზე ერთხანს დადუმდა, უფრო სწორად, ჟურნალისტიკამ გაიტაცა, ჯერ ვიეტნამის ომით დაინტერესდა, ბევრს მოგზაურობდა, თითქმის ყველა ცხელი წერტილი მოიარა, რამდენიმე პერიოდულ გამოცემლობას აწვდიდა წერილებსა და რეპორტაჟებს. ამავე დროს წერდა მოთხრობებს, პიესებს, თანამშრომლობდა თეატრისა და კინოს რეჟისორებთან, პარიზე სიცოცხლის ბოლო წლებში ცხოვრობდა ვენეტოში, მძიმედ დაავადებული, გარდაიცვალა 1986 წლის 31 აგვისტოს ტრევიზოში. ანდერძის თანახმად, პონტე-პიავეში, ვერდის ქუჩა 1-ში, თავისი სახლი დაუტოვა პონტე-პიავეს მერიას, სადაც დაარსდა „გოფრედო პარიზის კულტურის სახლი“ და დაცულია მისი არქივი და მდიდარი ბიბლიოთეკა.

თავად პარიზე წერდა: „ჩემთვის ყველაზე მთავარია ის, რომ მე ვიყავი ერთ-ერთი პირველი, ვინც ამ ვითარებაზე მოახდინა რეაგირება, რადგან ბოლმა შემომანწვა და სევდამ დამრია ხელი. ეს იყო ის, რამაც განაპირობა ამ რომანისა და მოთხრობების გამოქვეყნება... დღეს უკვე ვხედავ ახალგაზრდების ხელში ლოზუნგებს: „ჩვენ გამოვდივართ პატრონების წინააღმდეგ!“ და მე ბედნიერად ვგრძნობ თავს, რომ ბოლომდე ერთგული დავრჩი ჩემი პიროვნების, ჩემი „მე“-სი.

როსტომ ჩხეიძე

# უჩვეულო ქვეყნის ანარქიკლი

(მარჯორი უორდროპის მოგზაურობის დღიური)

ჯერ ისედაც ძალიან განვალდებოდნენ ლეო ქიაჩელი და თედო სახოკია.

მარჯორი უორდროპის მოგზაურობის დღიურთან დაკავშირებით იმათი განვალდება რაღა შუაშია?

შუაში რომ არ იყოს, ხომ არც წამომავიდნებოდა.

ამიტომაც:

ჯერ ისედაც ძალიან განვალდებოდნენ ლეო ქიაჩელი და თედო სახოკია — ნორვეგიის სავაჭრო გემით სამშობლოსაკენ მიმავალნი, აბობქრებული ტალღები ნაფოტივით რომ გაიტაცებდა პატარა ხომალდს და სხვა მგზავრებთან ერთად ესენიც ქვედა ნაწილს შეაფარებდნენ თავს, მაგრამ ზღვის ავადმყოფობას კი ვეღარ გადაურჩებოდნენ...

და უეცრად ხმაც გაავრდებოდა, რომ გემი გერმანელთა წყალქვეშა ნავს გაეჩრებინა და აფეთქებას უპირებდა. კიდევ კარგი, ხომალდის პასპორტი დაარწმუნებდა თავდამსხმელთ, რომ ეს ნეიტრალური სავაჭრო გემი გახლდათ, თორემ ნორვეგიელთა ნაცვლად ინგლისელებისა რომ ყოფილიყო, ჩაძირვა არ აცდებოდათ.

თედო მაინც თვალდახუჭული ინვებოდა ტახტზე პირალმა და ხმასაც არ გაიღებდა.

ზღვაში დარჩებოდნენ ორი ღამე და ერთი დღე.

და საბოლოოდ მშვიდობით ჩააღწევდნენ ბერგენში, ნორვეგიის თვალსაჩინო ნავსადგურში, და სასტუმროსაც მიაშურებდნენ.

მეორე დღით ლეო ქიაჩელი თვალს გაახელდა თუ არა, დაინახავდა: უდიდეს შიშვანდებულ თედოს ახალი კოსტიუმი ჩაეცვა, კედლის სარკის წინ დამდგარიყო და თმას ისწორებდა. გაღვიძებულს რომ დაინახავდა, ეტყოდა: ადექი და გამოენწყვე, წასასვლელი ვართო.

მაინც სად ეპირებოდა?

— ბერგენში ჩვენი მეგობარი უორდროპი ცხოვრობს, „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელის მარჯორი უორდროპის ძმა... ვიზიტი უნდა გაუუკეთოთ. ძალიან ეწყინება, თუ გაიგო, რომ აქ ვიყავით ქართველები, და ის კი არ მოვიკითხეთ!

„ჩვენი“ პირად ურთიერთობას კი არა გულისხმობს, არამედ — საქართველოს მეგობარს.

ეს უარზე დადგებოდა, შიში ჯერაც არ გამოწელებოდა და დაღლილობასაც ძალიან მოეთენთა. თედო ბევრ საყვედურს ეტყოდა, მაგრამ რაკილა ვერ დაიყაბულებდა, გაჯავრებული მარტო მაინც გაუდგებოდა გზას ოლივერ უორდროპისაკენ.

ლეო ქიაჩელის ეს მოგონება — ვახტანგ ჭელიძის თქმისა არ იყოს — თვალსაჩინოდ გამოკვეთს თედო სახოკიას პიროვნულ ხასიათს, მაგრამ ამჯერად იმ გარემოებასაც დაუვკვირდეთ, ოლივერ უორდროპის მონახულებას რამხელა მნიშვნელობას ანიჭებს ჩვენი მოღვაწე, სიმბოლურ რანგამდეც კი აწყავს — მთელი ქართველი ხალხის სახელო უდასტურებს მაღლიერებას მასაც და მის დასაც იმ ამავისათვის, რაც მათ გაუწევიათ ჩვენი ერისა და კულტურის გასახიანებლად ევროპაში.

არადა, როგორ გვჭირდებოდა და გვჭირდება ყოველი კეთილი სიტყვა, ყოველი თანადგომა.

ძალიან ეწყინება, თუ გაიგო, რომ აქ ვიყავით ქართველები და ის კი არ მოვიკითხეთ...

უმაღურობა მძიმე სენია.

და რატომ უნდა შეგვეყვოდეს ეს სენი მთელ ქართველობას?! აგერ თედო სახოკია მოგვწმენდა პირს, და გულში სიამე-საც ჩაუღვრიდა ბრიტანელ დიპლომატს, ვინც გაიგებდა თუ არა, თედოს თანამგზავრი იმიტომ ვერ მესტუმრა, თურმე ზღვის ავადმყოფობას ძალზე დაუსუსტებიაო, თვითონ დააპირებდა ლეო ქიაჩელის მონახულებას და თედო ძლივს გადაათქმევინებდა. „სახალხო გაზეთის“ კომპლექტს კი გამოუგზავნიდა გულის გადასაყოლებლად. და ეს დეტალი გვამცნობს, რომ ოლივერ უორდროპს მუდმივად მისდიოდა ქართული ჟურნალ-გაზეთები.

ასე ჩაუტარებდა თედო საგულისხმო გაკვეთილს „ჰაკი აბას“ მომავალ ავტორს.

ჩვენ კი ანდერძად დაგვიტოვებდა მაღლიერების მიგებას უშუალოდ ამ და-ძმისადმიც და საერთოდაც იმ უცხოელ მოღვაწეთა მიმართ, ჩვენთვის ვინც გარჯილიყვნენ და ამიერიდანაც გაირჯებოდნენ.

სანიშნურონი ამ მხრივ თუნდაც ოლივერ და მარჯორი უორდროპები გახლდნენ.

და როდესაც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროების სერიით 2012 წელს გამოსცემდა მარჯორი უორდროპის დოკუმენტურ თხზულებას „მოგზაურობა საქართველოში: ჩანაწერები“, გარდა თავისთავადი მეცნიერული და ლიტერატურულ-კულტურული მნიშვნელობისა, ეს თარგმანი კიდევ ერთი დადასტურებაა ჩვენი მაღლიერების გამჟღავნებისა. ეს გარემოება რომ არა, ეგებ არცთუ აუცილებელი ყოფილიყო მარჯორის ხელნაწერის (ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლის ბიბლიოთეკაში დაცულის) ფოტოასლის დართვაც, არადა, რაოდენ მომხიბლავ შტრიხს სძენს ამ გამოცემას, მედეა აბაშიძისა და გია ჯოხაძის მიერ თარგმნილსა და საფუძვლიანად კომენტირებულ ტექსტს მედეა აბაშიძის არა ვრცელი, მაგრამ საკმაოდ ტევადი წინასიტყვაობა რომ ახლავს და ინგლისელი ლედის 1894 წლის მიწურულის სტუმრობა ჩვენს ქვეყანაში ხელშესახებად გვიცოცხლდება მთარგმნელთა მიერ გულმოდგინედ მომზადებული ფონის წყალობით.

წინასიტყვაობიდან — ჩემი არ იყოს — შესაძლოა თქვენც ყველაზე მძაფრად და ამაღელვებლად ის პასაჟი ჩაგრჩეთ მესსიერებაში, 1887 წლის აპრილში ოლივერი რომ ესტუმრებოდა ჩვენს ქვეყანას და თავის განცდებს ასე ამცნობდა მშობლებს ბარათით:

— მომეწონა რომი, მაგრამ აღფრთოვანებული ვარ საქართველოთი, ყველაზე ლამაზი ქვეყნით.

რომი მხოლოდ მოეწონა? და ეს მაშინ, როდესაც საქართველოთი აღფრთოვანებულია?

გულწრფელია ოლივერ უორდროპი და, თუ დაუვკვირდებით, გასაკვირიც აღარაფერი მოგვეჩვენება, რადგანაც რომი, რაოდენ გამაოგნებელი სილამაზისა და შთამბეჭდაობისაც უნდა იყოს, ზოგადად მაინც იმ კულტურული წრის ნაწილია, რომელ სივრცეშიც იზრდებიან ბრიტანელები. ამიტომაც მათთვის რომი დიდებულ გარემოში მოხვედრას ნიშნავს და არა სულ სხვა სამყაროს.

ეს სულ სხვა სამყარო შესაძლოა მათთვის სწორედ საქართველო აღმოჩნდეს.

ჯადოსნური გარემო.

სამოგზაურო ლიტერატურაში აღწერილი უჩვეულო — ზოგჯერ სულაც გამოგონილი — ქვეყნების მსგავსი და ამიტომაც სულ სხვაგვარად განმაცვიფრებელი.

არადა, სულ ცოტა ხნის წინათ საქართველოს არსებობა არც კი სმენოდა.

რომის უნივერსიტეტში სამთვინი ყოფნის შემდეგ მოივლიდა ეგვიპტეს, სირიას, პალესტინასა და თურქეთს. და, აი, პალესტინაში მოგზაურობისას 1887 წლის 19 თებერვალს ჯვრის მონასტერში ნახავდა შოთა რუსთველის ფრესკას, გამოიკითხავდა მის ვინაობასა და სადაურობას, დაინტერესდე-

ბოდა მისი პოემითაც და ქვეყნითაც და... კიდევ გადაისხნებოდა მის წინაშე ის სულ სხვა სამყარო, რომელიც სამუდამოდ მიიჯაჭვავდა მასაც და მის დასაც.

რას წარმოიდგენდა ოლივერი, რომ ფრესკაზე გამოსახული კაცის ეპიკური თხზულების ინგლისური ვერსიის შექმნა აღმოჩნდებოდა და-ძმა უორდროპების საქართველოში გატაცების გვირგვინი.

მედია აბაშიძე წინასიტყვაობაში გულდასმით აღწერს და-ძმის ღვანლსაც და კანთიელად გამოჰყვებოდა მათ სილუეტებსაც, და კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ მათი ცხოვრება ბიოგრაფიული რომანის თემაა, რომლის მასალადაც დიდად ნაგვადგება ეს ჩანაწერებიც, დაწერილი ძველ მემატიანეთა სტილით — უაღრესად დაწურული. და თუ რაიმეზე გწყდება გული, უპირველესად სწორედ ამაზე, რომ თხრობა არ არის გაშლილი და დახუნძლული ფსიქოლოგიური პორტრეტებითა თუ ისეთი დეტალებით, ცალკეულ პიროვნებათა შესახებ ჩვენთვის უცნობ შტრიხებს რომ გამოამხეურებდა.

გაცილებით მეტის სურვილი გვაქვს, თორემ ისეც კი არ არის!..

აგერ მცხეთაში შემოგებებოდნენ დიდგვაროვანი ქართველები, თბილისისაკენ რომ გაუძღვებოდნენ, და მათ შორის გახლდნენ ილია ჭავჭავაძე — მეუღლესა და დასთან ერთად — და აგრეთვე ეკატერინე გაბაშვილი. და გინდა აღდგენილი იყოს, თუნდაც მოკლედ, მათი პირადი საუბრები, მითუმეტეს, რომ ილიას სილუეტი ყველაზე რელიეფურადაა გამოკვეთილი, როგორც ცოცხალთა შორის უპირველესი კალმოსნისაც და მრავალმხრივი მოღვაწისაც. და მისი მონათხრობის კვალიც მკაფიოდ დასტურდება ტექსტში, განსაკუთრებით ფინალურ ნაწილში.

\*\*\*

ვახტანგ ჭელიძის უბის ნიგნაკის ჩანაწერებს („ტკბილმწარე ამბები“) შორის ერთი ასეთი ფრაგმენტიცაა.

მოსმობილია ფრაზა მარჯორი უორდროპის მიერ თარგმნილი ილია ჭავჭავაძის „განდეგილისათვის“ დართული შესავლიდან:

— ვწუხვარ, რომ ჩემი თარგმანი ასე შორსაა იმისაგან, რათა სწორად შეესაბამებოდეს ორიგინალს.

და ციტატას ეს აღტაცებული სტრიქონები მოსდევს:

— რა ჭეშმარიტი უბრალოება და შესაშური გულწრფელობაა ამაში. ისეთი, როგორც მხოლოდ თავისუფალ ევროპელს შეიძლება ჰქონდეს.

არანაკლები აღტაცებითაა მოხსენიებული ინგლისელი ლედის ღვანლი ჩვენი ლიტერატურისა და საერთოდ კულტურის წინაშე ოთარ ჩხეიძის ავტობიოგრაფიული რომანის „დროდადრო“ იმ პასაჟში, 1999 წლის 27 ნოემბრით რომ დათარიღებულია:

— 130 წელი მარჯორი უორდროპის დაბადებისა. კალენდრები. წერილები. საღამოები. ინგლისის ელჩს უკვირს: ინგლისში არავინ იცის ეს სახელიო. რა თქმა უნდა!.. საქართველო არ იცოდა არავინა, „ვეფხისტყაოსანი“ თუ „განდეგილი“ ვის რაში დასჭირდებოდა?!. ორი თუ სამი კაცი თუ მიაქცევდა ყურადღებასა, ორი-სამი კაცი ინგლისი არ არის. ისიცაა: „ვეფხისტყაოსანი“ ხელახლაც ჰო ითარგმნა, იმისთვისაც დიდი რამ ყურადღება არ მიუქცევიათ ინგლისში. მოსკოვი ჰზარავდათ და ამ შემზარავ მოსკოვს მისჩერებოდნენ, სადღაც მიკარგულ იმის პროვინციას რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ახლა სახელმწიფოა. ამოტივტივდა მარჯორიცა. ისტორიაა. სახელია. მოღვაწეა. თავისი ერთ-ერთი საუკეთესო შვილის ღვანლი წინ დაჰხვდა ინგლისსა. სიკეთე ჰქენ, ქვაზე დადე, გაივლი და წინ დაგხვდებაო.



და მეტად საგულისხმოა ამ დითირამბული პასაჟის ფინალური აკორდიც:

— მარჯორიც ილიას მონაპოვარია...

დიახ, ილია ჭავჭავაძის აურაცხელ, თვალმიუწვდენელ დაშხაურებათა შორის ესეც უსათუოდ რომ უნდა ვიგულოვოთ და დავაფასოთ, მარჯორი უორდროპის — აგრეთვე მისი ძმის ოლივერ უორდროპის — შექმნა ქართველი ერის უცხოელ მეგობართა შორის... სიკეთე ჰქმენ, ქვაზე დადეო...

მართლაც ქვაზე დაედოთ იმჟამად და-ძმა უორდროპებს თავიანთი სიკეთე და... აგერ ინგლისს წინ დახვედროდა ღვანლი თავისი ამ საუკეთესო შვილებისა.

...ჯერ დაე გაკვირვებისაგან აღარ ყოფილიყო ინგლისის ელჩი: ინგლისში არავინ იცის ეს სახელიო...

\*\*\*

იქ კი, მოგზაურობის დღიურში აკაკი წერეთელს ახსენებს თუ არა მარჯორი უორდროპი, დასძენს: ის პოეტია, რომელსაც თანამემამულენი ილიას მსგავს პატივს მიაგებენო.

და იქვე შეუპირისპირებს ამ ორ შემოქმედს:

— მისი მუზა უფრო ლალია, მხიარულებას ეტრფის, და თუ ილია წარსულს მისტირის, აკაკი თავის ძღვევამოსილ სატირას იყენებს ანმყოს გასაქილიკებლად... ის თავისი ქვეყნის კეთილდღეობის ერთგულია და ძალიან პოპულარულია ხალხში. აკაკი ყველას უყვარს.

ასერიგად დაწურული, ძუნწი თხრობა და... აქაც კი იჩენს თავს ეს შეპირისპირება, რაც ძალდაუტანებლად გვიდასტურებს კიდევ ერთხელ, თუ რაოდენ ყოფილა ფეხმოკიდებული იმჟამინდელ საზოგადოებაში დევა-კამათი ამ ორი პიროვნების ირგვლივ — მაინცდამაინც ერთ-ერთი რომ უნდა გამოაცხადონ უპირველესად და არ იკმარონ, რომ ორივეს თავთავისი თავყანისმცემლები ჰყავდეს, ზოგსაც კი ორივე სულაც ერთმანეთის მიმართ.

თავშეკვეთულია ინგლისელი ლედი, გარეგნულად სრულიადაც არ გამოჰკვეთს ორად გაყოფილი საზოგადოების ამ ჭიდილს, მაგრამ ამ პასაჟიდან თვალნათლივ ცნაურდება ის შეურიგებლობა, რასაც იჩენდა საზოგადოების ორივე მხარე ერთმანეთის მიმართ.

ამ ჭიდილ-დაპირისპირების სულისკვეთება, მაინცდამაინც ერთის გამორჩევის გარეშე რომ არ გაეძღვებოდათ, იქიდანაც თვალსაჩინოა, ვითარებისდა კვალობაზე აკაკი წერეთელს ივანე მაჩაბელი რომ ჩაენაცვლებდა და საზოგადოება ახლა ამის გამო შეაწყდება ერთმანეთს: ილია ჭავჭავაძე თუ ივანე მაჩაბელი? მარჯორი უორდროპი საგანგებოდ მოიხსენიებდა ივანე მაჩაბელსაც (იქვე ოლივერის შენიშვნაცაა დართული: თავადი უცნაურად გაუჩინარდა, შესაძლოა უბედურ შემთხვევას ემსხვერპლაო): ინგლისელისაგან ყველაზე მეტ ყურადღებას იმსახურებსო. და ეს იმიტომ, რომ ჯერ კიდევ სტუდენტობისას დაენყო უილიამ შექსპირის შემოქმედების შესწავლა და ქართულად შესანიშნავადაც ეთარგმნა მისი რამდენიმე პიესა, რომლებიც ქართველებს უყვარდათ და დიდადაც აფასებდნენ.

იმ დაკვირვებასაც გაუზიარებდა დასავლელ მკითხველს: ქართველებს, სხვა მთიელებივით, მდიდარი წარმოსახვა და პოეზიის სიყვარული გამოარჩევთ. ახლა შეუძლებელია ყველა სახელგანთქმული პოეტი ქალისა თუ მამაკაცის დასახელება, მაგრამ მიემედება, რომ ინგლისელი საზოგადოება მალე უკეთ გაიცნობს ამ ხალხის ძველ თუ ახალ მდიდარ ლიტერატურას, ხალხისა, რომელსაც ძალზე ცოტა თუ იცნობს დასავლეთში: მიუხედავად იმისა, რომ ქართველები თავიანთ სიმპათიას ყოველთვის დასავლეთისადმი უფრო ამჟღავნებდნენ, ვიდრე აღმოსავლეთისადმიო.

შეხარბებოდა ის სიმშვიდე, რომლის მსგავსაც ძნელად იპოვნიდი სადმე, თუ არა ზოგიერთ ქართულ ულამაზეს სოფელში, სადაც თვით გლახიც კი, რომელიც ისედაც კულტურულია, ბევრ რაიმეს სწავლობდა მშობლიური კლასიკური ლიტერატურიდან.

ქართული სიტყვა როგორ უნდა დაეხასიათებინა ბრიტანელ ლედის უალრესი ლაკონიურობით?

კარგად ირითმებო.

ხოლო ქართული ენა?

ძალზე რიტმულიაო.

და რაღა გასაკვირი უნდა ყოფილიყო, თუ სოფლის თითქმის ყველა მოსახლე მოყვარული პოეტიც გახლდათ.

— ჯერ კიდევ არიან მენესტრელები, რომლებიც სოფელ-სოფელ დადიან, საზანდარზე (ფლეიტის მსგავსი მუსიკალური ინსტრუმენტი) უკრავენ, გვიამბობენ აბრაგების სიყვარულზე...

მენესტრელის ხსენებას იკმარებდა და ქართველთა — თუნდაც ხევსურეთის კუთხის მცხოვრებთა — დანტობაზე არაფერს იტყოდა. თუმცა გიორგი ლეონიძის ეს სტრიქონები ვინმე სხვას მარჯორი უორდროპის აქ ჩამოსვლამდე რომ ამოეთქვა, ინგლისელი ლედი ალბათ საგანგებოდაც დაიმონებდა თავის მონათხრობში — ასეთი ლამაზი ტაეპებიც კი არ სებობს, შიგ სიმართლის მარცვლიც რომ გამოხვეულიაო.

პოეტთაგან საგანგებოდ მოიხსენიებდა მამია გურიელსაც, და მხოლოდ იმიტომ არა, რომ მოგზაურობის ორ დღეს სუფსაში დაჰყოფდა, გურიელთა საზამთრო რეზიდენციაში, და ორიოდ წლის წინათ გარდაცვლილი მამიას სუნთქვით იქნებოდა იქაურობა ჯერაც გაჟღერებული, არამედ უფრო იმიტომ, სიცოცხლეში იგი — გროზა აბაშიძესთან ერთად — უპოპულარეს პოეტად რომ გახლდათ აღიარებული და თვით აკაკი წერეთლის სახელსაც ჩრდილავდნენ, თორემ არაფრით ჩამოუვარდებოდნენ.

დღესდღეობით ეს დაუჯერებელი ჩანს?

არადა, ჩვენს მოღვაწეთა მემუარული ჩანაწერები სწორედ ამას ირწმუნებიან და აგერ მარჯორი უორდროპიც მოწმეა, რომ მამია გურიელის ლექსები მთელს ქვეყანაშია ცნობილი, თუმცა ყველა არც კი ყოფილა გამოქვეყნებული.

მშვიდა და მღვრიე მოღელავს მტკვარიო, — მარჯორი რომ დაწერდა, ამ ფრაზას წინკლებში მოათავსებდა და მთარგმნელები ივარაუდებდნენ: შესაძლოა ეს ნიკოლოზ ბარათაშვილის ცნობილი სტრიქონის ციტირების ცდაც იყოსო. ეგებ მართლაც სცოდნოდა ბრიტანელ ლედის „ფიქრნი მტკვარის პირას“ და ეს ტაეპი „ნელად მოღელავს მოდუღუნე მტკვარი ანკარა“ ცოტა სხვაგვარად დაემონებინა, ბარათაშვილის „ანკარა“ უორდროპთან „მღვრიეთი“ შენაცვლებულიყო.

მიზეზი?

რა — ვითომ ძნელი ამოსაცნობია?

მარჯორი გადაჰყურებს მტკვარის მღვრიე ტალღებს და ბარათაშვილის სტრიქონები რომ წამოუტივტივდება, რეალობის მიხედვით ასხვაფერებს. თუმცა ასოციაციის სათავეს არა ჰკარგავს.

თბილისის საუკეთესო ხედების სანახავად რომ წაიყვანდნენ, ყველაზე მარჯვე ადგილებს შეურჩევდნენ სრულყოფილად აღქმა-განცდისათვის: წმინდა დავითის მონასტრის, მთაწმინდასა და ბოტანიკურ ბაღს. და ამ ბაღის სახელწოდებასთან დაკავშირებით უამბობდნენ იმ კურიოზს, რომელსაც ინგლისელი ლედი საგანგებოდ ჩაინიშნავდა.

ეს სანახები რაკილა მეფეს ეკუთვნოდა, მოსახლეობა „ბატონის ბაღად“ იხსენიებდა. და როდესაც რუსები შემოვიდოდნენ, ქართულის უცოდინარობის გამო, მას „ბოტანიჩესკი სადს“ ანუ „ბოტანიკურ ბაღს“ დაარქმევდნენ.

ჩანაწერების ფინალური მონაკვეთი მძაფრი პოლიტიკური სულისკვეთებით განიმსჭვავლებოდა, თუ როგორ მოევიდნა რუსეთი საქართველოს მტრად, და მაჰმადიანებზე არანაკლებად,

ბად, თუ მეტად არა — აგვიკრძალავდნენ მშობლიურ ენას, გაგვიქვავდნენ ეროვნულ იდეას, დაგვიმცირებდნენ რუსულ ლიტერატურაზე უფრო მდიდარ ქართულ ლიტერატურას...

წინააღმდეგობა ძალზე გაძნელებულიყო ამ ძალმომრეობასთან, რადგანაც პოლიციური სისტემა სიფხიზლეს ოდნავადაც არ მოადუნებდა. რა იყო თუნდაც ქუთაისში დაარსებული ქალთა კერძო კლუბის დარბევა. მისი წევრები ხომ არაფერს აშავებდნენ — სხვადასხვა სახლში იკრიბებოდნენ და ქართული კლასიკური ლიტერატურის ნიმუშებს კითხულობდნენ. თუმცა არაფერს აშავებდნენ ადამიანური და სამართლებრივი თვალსაზრისით, თორემ იმპერიული ხელისუფლების თვალში ესეც დანაშაულად გამოიყურებოდა. ამიტომაც შეუცვივებოდნენ ჟანდარმები და საქმიანობის გაგრძელების უფლებას აღარ მისცემდნენ.

მძაფრი პათოსი კი სხვაგვარად როგორ დაგვირგვინდებოდა, თუ არა შესაფერისი აკორდით, ევროპას რომ მიანიშნებდა ამ დიდი კულტურისა და თავისუფლების მაძიებელი ერის დაცვის აუცილებლობას:

— ჩაგვრასა და დესპოტიზმს, აგრეთვე, სრულ რუსიფიკაციას, რომელიც ქართველებს დაატყდა თავს, შედეგად მოჰყვა მაღალი ცივილიზაციის დაცემა და აჯანყებული ხალხი, რომელიც მზადაა იმოქმედოს მის ეროვნულობას დამუქრებულ ცბიერ და სასტიკ საფრთხეთა თავიდან ასაცილებლად. საქართველოს უძველესი სამეფო დასავლეთ ევროპისაგან ელის შემწეობასა და თანაგრძნობას.

თავისას ცდილობდა მარჯორი უორდროპი ძმასთან ერთად, თავისას შეაგონებდა დასავლეთს, თავისას ანამუსებდა. და ოლივერი მოუთმენლად მოელოდა იმ დღეს, როდესაც საქართველო დაკარგულ სახელმწიფოებრიობას აღიდგენდა, თვითონ კი ბრიტანეთის წარმომადგენლად დაბრუნდებოდა დამოუკიდებლობაგამოცხადებულ ქვეყანაში.

გერონტი ქიქოძე საგანგებოდ გაიხსენებდა თავის ავტობიოგრაფიულ რომანში „თანამედროვის ჩანაწერები“, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობა თავის დიპლომატიურ წარმომადგენლად თბილისში გამოგზავნიდა საქართველოს ძველ მეგობარს, „ვისრამიანისა“ და „სიბრძნე სიცრუისას“ მთარგმნელი ოლივერ უორდროპს. და იგი, უკვე ხანშიშესული, თავშემაღმოსამზელი ჯდებოდა მისი მეგობრების მიერ ცივ დარბაზებში გამართულ ბანკეტებზე.

პირველი კითხვა, რომელიც ოლივერს ნოე ჟორდანიასათვის დაესვა, ეს გახლდათ:

— შეძლებს თუ არა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავი დაიცვას რუსეთის ჯარის შემოსევისაგან?

და საქართველოს მთავრობის მეთაურს გულმშვიდად ეპასუხა:

— ჩვენ სხვების დაუხმარებლად, ჩვენი საკუთარი სამხედრო ძალებით შეგვიძლია არათუ თავი დავიცვათ, არამედ მთელი კავკასიის ტერიტორია დავიკავოთ როსტოვამდე, მაგრამ ეს საჭიროდ არ მიგვაჩნია.

როსტოვამდე დავიკავოთო...

ოლივერ უორდროპი, რომელიც ორივე ხელით ჩაეჭიდებოდა, ოლონდაც რაიმე სანუგეშო მოესმინა, უთუოდ ეჭვით შეხედავდა ქვეყნის წინამძღოლის ამ ბაქიბუქს, რეალობის გრძნობას სახეებით მოკლებულს.

და თუმცა გერონტი ქიქოძე გარეგნულად სულაც არ მიიჩნევს ამ პასუხს დონკიხოტურად („ჩრდილოეთ კავკასიაში იმჟამად წითელ არმიასა და კონტრრევოლუციურ ჯარებს შორის გააფთრებული ბრძოლები წარმოებდა და სასწორი ხან ერთი მხრით იხრებოდა, ხან მეორეთი; ამიტომ მესამე ძალას, თუნდაც მცირერიცხოვანს, შეეძლო დროებით მნიშვნელოვანი როლი შეესრულებინა“), მაგრამ დასძენს: დიდი პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა არა სჭირდებოდა იმის დანახვას, რომ სამოქალაქო ომი რუსეთში დაუსრულებლად არ გაგრძელდებოდა და ბოლოს საქართველოს საზღვრებთან ან ძლევამოსილი წითელი დროშა აღმართებოდა და ან თეთრობოდა.



იჯდა, იფუთნებოდა სიცივისაგან შეწუხებული ოლივერი და გული უკვნესოდა: რაღაც სასწაული თუ არ მოხდა, ილუზიებს გამოდევნებული ასეთი მთავრობის ხელში დიდი დრო არ უნერია საქართველოს დამოუკიდებლობასო.

სასწაული... არ მოხდებოდა!..

და საქართველოს წითელი დროშა გამოახვევდა თავის საბურველში...

შენ ბევრიც გეცადა, ბევრიც შეგეგონებინა დასავლეთისათვის და ბევრიც გენამუსებინა.

არსად აღმოჩნდებოდა შემწეობა, ჩუმი თანაგრძნობა კი ბევრს ვერაფერს გვიშველიდა საქართველოს დამოუკიდებლობის გადასარჩენად.

თუმც ჩვენი მხრივ მოვალენი ვართ, არ გვაინყვებოდეს ჩვენთვის თავგამოდებული უცხოელები და მათი აზრდილების წინაშეც ისევე ვალდებულად ვრაცხდეთ თავს და ყოველნაირად ვცდილობდეთ იმ ძაფების შენარჩუნებას, როგორც თედო სახოკიას ვერ წარმოედგინა, ოლივერ უორდროპის მოუნახულებლად დაბრუნებულიყო ყოფილ საქართველოდ გამოცხადებულ მინა-წყალზე, ასეთი სასოებით რომ მოელოდა დასავლეთ ევროპისაგან შემწეობასა და თანაგრძნობას.

კვლავაც ეს იმედი გვასულდგმულეს. და ოლივერ უორდროპიც ამ ძაფების შენარჩუნებას უბარებდა ანდერძად თავის შთამომავლობას.

ამ ძაფების, ამ იმედის, ამ რწმენის!..

ნინო დეკანოიძე

# ბაირონი ქართულ სინამდვილეში

მეორე თავყრილობა საშემოდგომო სეზონიდან დაეთმო ქართული პროზის კლასიკოსის **ოთარ ჩხეიძის** ერთ-ერთი თავდაპირველი რომანის (ისტორიული ქრონოლოგიით) წარდგინებას. „**იტალიური დღიურები ბაირონისა**“ მესამედ მწერლის გარდაცვალების შემდეგ გამოიცა და ეს ლიტერატურული ფაქტი, ცხადია, ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში უნდა აღნიშნულიყო.

ლონისძიების თაოსანმა **როსტომ ჩხეიძემ**, როგორც შესავალ სიტყვაში ივარაუდა, იმდღევანდელი შეხვედრა არ გახანგრძლივდებოდა, რადგანაც არ ყოფილა გათვალისწინებული მოხსენება და სიტყვით გამოსვლის ნებისმიერი მოსურნეც, იგულისხმებოდა, მხოლოდ სიტყვით გამოსვლას დასჯერდებოდა.

ესაა, რომ ეს პროზაული ნიმუში და მრავლისმთქმელი რომანი დარბაზში მსხდომთაგან ბევრისთვის უცნობი აღარ იყო, თანაც ნებისმიერ გამომსვლელს, სასაუბროდ, ნოყიერ საზრდოსაც სთავაზობდა, შესაფერისად არ აღმოჩნდა ინტერესმოკლებული მოსასმენადაც... და როგორც ამბობენ ხოლმე მსგავსი შემთხვევებისას, დრო გაიპარა სასიამოვნოდ, ლიტერატურულ გარემოში.

„იტალიური დღიურები ბაირონისა“ — განმარტა როსტომ ჩხეიძემ — პირველად 70-იან წლებში გამოვიდა, მეორედ — 80-იანის დასასრულს. ეს მესამე ნიგნი კი დაბინავდება სერიაში „ჯიბის ფორმატის გამოცემა“, სადაც თავი უნდა მოიყაროს ოთარ ჩხეიძის ოცდაოთხევე რომანმა საერთო სახელწოდებით — „მატიანე ქართლისა“. სიტყვით გამომსვლელმა დააზუსტა აგრეთვე, რომ ამ დიდი მთლიანობის ერთგვარ შესავლად ანუ პროპედევტიკურ ნაწილად იგულისხმება „რომანი და ისტორია ვასილ ბარნოვზე“ და „იტალიური დღიურები ბაირონისა“ (რადგან დანარჩენ რომანებში იკითხება XX საუკუნის საქართველოს ბედისწერა და გამოხატულია აგრეთვე დამდეგი XXI საუკუნისაო), მიუთითა იქვე. სიტყვა — პროპედევტიკური — ფილოსოფოსებს უყვართ, ამჯერად ფაქტად მოვიმარჯვე, სხვა შემთხვევაში უცხოურ ტერმინებს შეძლებისდაგვარად ვერიდებით...

კვლავ ამონარიდი როსტომ ჩხეიძის გამოსვლიდან: — მწერალი ქმნის პროზაულ თუ პოეტურ ნიმუშებს და ეს ხარისხიანი რიცხოვანება თავისთავად გამოკვეთს ერთგვარ რკალს, ციკლს, მთლიანობას.

ასე ჩამოყალიბდა ვასილ ბარნოვის მიერ საქართველოს მხატვრული მატრიანე და სადაც შეჩერდა ეს დიდებული ბელეტრისტი, იქიდან იწყება ოთარ ჩხეიძის რომანები და ბუნებრივია, ვასილ ბარნოვის ფიგურა არის სათავეშიო.

თუ როგორ მოარგო ოთარ ჩხეიძემ ქართულ სინამდვილეს ბაირონის ცხოვრების იტალიური ხანა, მეტად მკაცრი ცენზურის პირობებში, ესეც საინტერესოდ განიმარტა: საჩინო გახლდათ პარალელები რომანში დახატული თავისუფლებადაკარგული იტალიისა და საქართველოს რეალური სინამდვილისა XIX საუკუნის დასაწყისიდან: — იტალიის ბედისწერა გადაეჯახვა ძალიან საქართველოს ბედისწერას. და ეს არ არის მარტო მწერლის თვალთ დახანჯული იგივეობა. ვინც გადახედავს მაშინდელ დროს, დაინახავს, რაღაც მოვლენებით ქვეყნები ძალიან ჰგავს ერთმანეთს. და რომ ამაზე საანგებო გამოკვლევა ჰქონდა ფილოსოფოსსა და სამხედრო თეორეტიკოსს კახა კაციტაძეს, მაღლიერებით გაიხსენებს: — მან საგანგებოდ შეისწავლა რომანტიკული აჯანყებების სერია; და რაც მოხდა საქართველოში 1832 წლის შეთქმულების სახით, იგივე მოხდა პოლონეთში, იტალიაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე თუ სამხრეთ ამერიკაში, კერძოდ, ცნობილი ბოლივარის ბრძოლები. ეს არის სხვადასხვა რგოლი ერთი ჯაჭვისა, რასაც თავისუფლებისმოყვარე სული აღუღლებსო.

როსტომ ჩხეიძემ არგუმენტირებული მსჯელობით დაასაბუთა, რომ ბიოგრაფიული რომანი ბაირონზე, კერძოდ, ბაირონული სული, რომელიც არ ეპუება არავის და არაფერს, მკითხველს გამჭვირვალედ მიანიშნებს 1832 წლის შეთქმულების მონაწილეებზე. შუაგულ ევროპაში დატრიალებული მოვლენები კი იგივე საქართველოს ბედისწერაა. ბედისწერაა საქართველო-რუსეთის ურთიერთობისა...

დაბოლოს, გამორჩეულად ახსენა ყოველი რეცენზენტი თუ წერილის ავტორი, სხვადასხვა დროს ამ რომანის შესახებ თვალსაზრისი ანგარიშგასანევად რომ გამოუხატავთ, ამჯერად, მხოლოდ მათ სახელებს შემოგთავაზებთ: **ნეილა უზილავა, ინგა მილორავა, პაატა ჩხეიძე, ნანა კუცია, ნინო ჩხიკვიშვილი, თამარელა ნონორია**. წესისამებრ, პირველი სიტყვა კი ემზარ კვიციანიშვილს ერგუნა, როგორც ღვანლმოსილ მწერალს და როგორც ამ რომანის ერთ-ერთ პირველ მკითხველს.

### ემზარ კვიციანიშვილი:

ურიცხვი ცოდვით დამძიმებული მეოცე საუკუნე ილეოდა, როცა ოთარ ჩხეიძემ თავისი საუკეთესო ბიოგრაფიული რომანის მეორე გამოცემა — „იტალიური დღიურები ბაირონისა“ — მისახსოვრა. ნიგნი პოლიგრაფიული დონით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ იგი სხვა რამით მეძვირფასება.

რომანი ძალიან მომეწონა და ავტორს იმ ხანებშივე ვუთხარი ჩემი აზრი, თან ვთხოვე, „დონ შუანის“ მხოლოდ შესავლის, „ტბის სკოლის“ პოეტთა განამაქიქებელი სტროფების თარგმანით არ დაკმაყოფილებულიყო და ბოლომდე ასე ლაღად (ურთიმობა დაბრკოლებად სრულებითაც არ აღიქმე-

ბოდა) გადმოეჩართულენა ბაირონის ეს ერთ-ერთი უძლიერესი პოემა. — მეექვსეა საამისო დრო გამოვძებნო, ბევრი გადაუდებელი ჩანაფიქრი დამიგროვდაო, — მიპასუხა.

ახლახან ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებამ, დღევანდელი ქართული მწერლობის მძლავრმა და ქმედითმა ცენტრმა, მცირე, ძალზე მოსახერხებელი ფორმატით, მესამედ გამოსცა ეს მშვენიერი ნიგნი.

ოთარ ჩხეიძე, ვახტანგ ჭელიძესთან ერთად, უგანათლებულესი პედაგოგის ერეკლე ტატიშვილის ღირსეული მონაფე იყო და ევროპული ლიტერატურა მასაც ძირფესვიანად ჰქონდა შესწავლილი. ამ, მოცულობით მცირე ნიგნის დაწერისას იგი ზღვა მასალას, მრავალ მონოგრაფიასა და გამოკვლევას გაეცნო, მაგრამ მისთვის ამოსავალი ბაირონის პირადი ჩანაწერები, დღიურები იყო და ყველაზე მეტად მაინც თვით პოეტს ენდობოდა, უტყუარი ალლოთი შეიცნო მისი წინააღმდეგობრივი, მელანქოლიური ბუნება, თანაგრძნობით განიმსჭვალა „ჩაილდ ჰაროლდის“ ავტორისადმი. ემზარ კვიტიანიშვილმა ვრცელი ამონარიდები მოიშველია და შთამბეჭდავად შეკრა თავისი სიტყვა:

ბიოგრაფიულ რომანში მრავალზე მრავალი ადგილია, ჭეშმარიტი დიდოსტატის კალმით დაწერილი. აქ ოთარ ჩხეიძე მთლიანად საკუთარ სტიქიაშია. საკვირველი ფერადონებით ხატავს ზღაპრულ პეიზაჟებს, ერთმანეთზე უფრო მომხიბლავ პასტორალურ სურათებს: „წვიმებისაგან გადაბანილი იალაღები ხასხასებდა ქათქათა მზის ქვეშა, ხმა მოისმოდა ნალვლიანი სალამურისა და ზანზალაკები წკრიალებდა, წკრიალებდა ხანგამოშვებითა თუ ერთობლივად, წკრიალებდა სხვადასხვანაირად, იმ სერიდან სხვანაირად, იქით ნახირი შეფენილიყო, იქით ცხვრის ფარა, იქ სადღაც თხები აყალყულიყვენენ ბუჩქებზედა. და წკრიალებდა ზანზალაკები, წკრიალებდა უცნაურადაცა და ჩვეულებრივადაცა, რამეთუ ეს იყო სიცოცხლე ალპებისა, ეს იყო საუბარი იალაღებისა, საუბარი მწვერვალებთანა, და ქათქათებდა მწვერვალებიცა, მარადი თოვლით დაფარული მწვერვალები, ქათქათებდა და გარინდულიყო, ვითომდა არაფერ შუაში არ იყო, ვითომდა არაფერი ეკითხებოდა, არცა ნისლეებისა, არცა ჩანჩქერებისა, ვითომდა ქუხილიც როდი ესმოდა, ვითომდა ელვასაც ვერ დაინახავდა, მხოლოდ ზანზალაკებს თულა მიუპყრობდა ყურსა, ძოვდა ნახირი, ისვენებდა ნახირი, თუ შინ მოედინებოდა საღამოხანსა, ზანზალაკებით ესაუბრებოდა. სალამურებიც მიყურებოდა, ზანზალაკები კი არა და არა, ღამე ბაკებშიც გაიწკრიალებდა, ამოიფშვენდა ხოლმე ძროხაი, ამოიფშვენდა თუ ამოიცოხნიდა, აჰყევბოდა ზანზალაკიცა. და იწკრიალებდა ზანზალაკები. ქუხდა ჩანჩქერები. ჩამოდოდა კოკისპირული. ცვივოდა ქვები. ბევრგან გავლაც არ იქნებოდა ზევისი შიშითა, მაგრამ არაო, ბაირონი არ ეპუებოდა, იქით მიიწევდა, სადთუ ზევით დაშინებულიყვენენ, სადთუ ჩანჩქერი გადმოდგაფუნდებოდა, მიიწევდა და აღარ იცოდა, თუ როგორ განეცადა, მზე რომ გალანდავდა დაფშვენდოდა ჩანჩქერსა და ცისარყტელა აელვარდებოდა“.

ამ სტრიქონების კითხვისას ვგრძნობდი, როგორ მათრობდა უმალლესი შთაგონების ძალით დაწყვილებული სიტყვების მაგიური ჟღერა.

ყველგან და ყველაფერში, თვით მეგობართან გაგზავნილ ბარათშიაც იგრძნობა ოთარ ჩხეიძის წერის უჩვეულო, განუმეორებელი მანერა, არავისას რომ არა გავს და თუკი გაუგე, გემო ჩაატანე, უთუოდ გაითავისებ, შეიყვარებ, ასმაგად გიზღავს კითხვაზე დახარჯულ დროს.

საქართველოს თემა ხშირად იჩენს თავს ბაირონზე დაწერილ ბიოგრაფიულ რომანში და ეს ბუნებრივიცაა. ერთ-ერთ მონაკვეთში გულისტკივილით არის აღნიშნული, რომ იტალიელ მისიონერებს ქართველთა განთქმული სტუმართმოყვარეობა პირფერობა, ფარისევლობა, შენიღბული ცბიერება ეგონათ და მერელა მიხვდნენ, რომ ყველაფერი ეს გულწრ-

ფელად, ალაღად კეთებოდა — სტუმრის ესოდენი პატივისცემა საუკუნეებში დანერგილი, ძვალ-რბილში გამოჯდარი მამაპაპური ადათით იყო განპირობებული. წმინდა ტრადიციებს ჩვენი ხალხი იოლად ვერ მოიშლიდა.

ოთარ ჩხეიძე, ევროპული და მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო მცოდნე ყველგან ზუსტად და მკაფიოდ აფასებს ბაირონის უმთავრეს ქმნილებებს, მათ ხასიათსა და მნიშვნელობას.

შესაშური დინამიზმით, მისაბადი ექსპრესიითაა დაწერილი ნიგნის უკანასკნელი გვერდები. ოთარ ჩხეიძე ნიდაგ სამშობლოს ბედზე დაფიქრებული ღირსეული მწერალი და მამულიშვილი იყო. ვნანობ (ეს, სამწუხაროდ, ხშირად გვემართება), მის მიმართ ასე დაგვიანებით რომ გამოვთქვამ ჩემს კნინ, მოკრძალებულ სამადლობელს.

თამამად, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას — „იტალიური დღიურები ბაირონისა“ აშკარად უსწორებს მხარს თანამედროვე ევროპულ დონეს (პირველ ყოვლისა, დოკუმენტური პროზის უთვალსაჩინოესი ოსტატის ანდრე მორუას შელიზე დაწერილი ბიოგრაფიული რომანი მახსენდება) და სასურველია, იგი უცხო ენებზეც ითარგმნოს, რათა ერთგვარი წარმოდგენა შეექმნათ დღევანდელ ქართულ მწერლობაზე, მის შესაძლებლობებზე. ერთი კია, თარგმანში ვერანაირად ვერ აისახება ის განსაკვიფრებელი ლექსიკური სიმდიდრე, რაც უხვდა არის გაბნეული ოთარ ჩხეიძის თვით ამ, დოკუმენტურ მასალაზე დაწერილ ნიგნში და მკითხველს თითქმის გადავიწყებულ სიამოვნებას, ნეტარებას განაცდევინებს.

გახანგრძლივებული, მაგრამ პროფესიულად მომზადებული და ემოციით დახუნძლული სიტყვა, ახლა რომ შემციონებულ ვარიანტად შემოგთავაზეთ, პოეტურად მიიყვანა წერტილთან პოეტმა: — ასეთი დღე ეკუთვნოდა ბატონ ოთარს, ავდრებს დარი მოჰყვა, დამთბარი სასიამოვნოდ, ზუსტად ისეთი, გალაკტიონი რომ ამბობს: „ელვარე და ლომეფრი, იყო 9 ოქტომბერი“.

მართალია წინმსწრები იდეა დღე, მაგრამ ხვალაც იგივე იქნება, დაამედა კიდევ დარბაზი მომდევნო დღის პროგნოზით.

გულითადობითა და მადლიერებით გაათბო თავისი სიტყვა მწერალმა **ჯემალ ინჯიამ**, საგანგებოდ ამ დღისთვის რომ მოაშურა გორიდან ჩვენს დარბაზს: — ჩემო მეგობრებო, მეც ბატონი ემზარის მსგავსად მაქვს ავტორის მიერ ნაჩუქარი ნიგნი, ოღონდ პირველი გამოცემა. ვამაყოფ, რომ ოთარ ჩხეიძე მე მასწავლიდა საზღვარგარეთის ლიტერატურას. ის იყო განუმეორებელი პედაგოგი და მასწავლებელი.

და თუ ვიგულისხმებთ მკითხველს ისეთს, რომელმაც არ იცის, რა ყაიდის მწერალთან აქვს საქმე და ხელში აიღებს ამ ნიგნს, წაიკითხავს კიდევ ბოლომდე, აღმოაჩენს, რომ სწორედ მისთვისადა დახატული მელეგვარი პატრიოტის პროტრეტი...

გორის უნივერსიტეტის სტუდენტი და ოთარ ჩხეიძის სტიპენდიანტი **მარიამ შატაკიშვილი** ყმანვილური გულწრფელობითა და ემოციით მოხიბლავს მსმენელს. მარიამი მოჰყვა, მისმა სანაქებო პედაგოგმა **მარინა ცერცვაძემ** თანდათანობით როგორ შეაჩვია პირველკურსელი რთული მწერლის, ოთარ ჩხეიძის შემოქმედებას. ეს შეჩვევა როგორ ექცა მომავალ ლიტერატორს სიყვარულად და ამ განცდით ჯერ საკურსო თემებს შეეჭიდა, მერე საბაკალავროს. წინ რალა დამიდგებო. ბოლოს კი ონაწრული ალტაცებით დასძინა: — ახლა ბატონ როსტომს რომ ვუსმენდი, მეგონა ჩემს თემას კითხულობდა და ესეიგი სწორად გამიგია ყველაფერი, სწორ გზას ვადგავარ და სწორად მესმის ოთარ ჩხეიძის შემოქმედება.

სამართლიანად ამბობენ ხოლმე კოლეგები და ბევრჯერაც ხაზგასმულად გამოუხატავთ, რომ **ნანა კუცია** არის ანგარიშგასანევი ლიტერატურის კრიტიკოსი. ამ ყოველივეს საპირწონედ ღირსეული და სათნო პიროვნება; არცთუ ისე მრავალთაგან, პედაგოგად ზედმიწევნით შესაფერისი ნე-

ბისმიერი უმაღლესი სასწავლებლის ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტებისთვის.

მისი ლიტერატურული ესეი „იტალიურ დღიურთა ქართული ვარამი“, მართალია დართულია ბოლოსიტყვაობად, მაგრამ მეგზურით ახლავს წიგნს; და რომ ეს ასეა, ყოველმა სიტყვით გამომსვლელმა სიმპათიით დაადასტურა.

იმდღევანდელ ღონისძიებაზე კი ლაკონურად განაცხადა: — პატივი და პასუხისმგებლობა ოთარ ჩხეიძის წიგნის რეცენზირება. როგორც ყოველი წიგნი მწერლისა, „იტალიური დღიურებიც“ მრავალმხრივ საფიქრალს აღძრავს, ისტორიულ-პოლიტიკურ, კულტურულ, სოციალურ შრეებს სწვდება, ეპოქის (ეპოქათა) უზუსტეს რეფლექსიას სთავაზობს მკითხველს.

შრეტაგან „იტალიური დღიურების“ ქართულ ვარამს ჩავუღრმავდით, იმ ტრაგიკულ პარალელებს, რომლებიც უმაღლესი ჩნდება იტალიისა და საქართველოს „წყველაკრულვიან სპიტიხვანთა“ გააზრებისას.

ბაირონი — ადამიანეთის ეს გამორჩეული პერსონა ოთარ ჩხეიძეს მთავარი სათქმელის კონსტატირებისათვის ამოსჩენია — იტალიელი თანამგრძობს, თანამტირალს ეძებდნენ, ეროვნული უბედურების ვერგამაზრებელნი, მეტიც — ამ უბედურებით ლამის მოკეკლუცენი, ბაირონმა კი, ოთარ ჩხეიძის დეფინიციით, ამ „ლამაზმა კაცმა“ (ლამაზმა გარეგნულად, სულიერად...) არათუ მიანიშნა, პირდაპირ მიახალა, რომ სიმახინჯვა შეეგუო მონობას — პიროვნულსა თუ ეროვნულს (და ეროვნული მონობა ხომ მუდამ პიროვნულით იწყება!) და კიდევ უფრო ამაზრზენი — მხოლოდ ივალალო და იკეკლუცო ამ უბედურებით.

უმბერტო ეკო წერილში „მტრის შექმნა“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იტალიელთა უპირველესი მტრები არა რომელიმე გარეშე მტერია, არამედ, უპირველესად, თავად იტალიელები.

იმავე სატივიარზე წერს ოთარ ჩხეიძე და, რასაკვირველია, წიგნიერ ქართველს უმაღლესი უჩნდება ასოციაციები „ქართლის ჭირთან“, „ქართლის ბედთან“...

მარადიულზე წერს მარადისის მესიტყვე...

ცნობილმა კრიტიკოსმა **ზაზა აბზიანიძემ** პირდაპირ მოწუხა მსმენელი ჩვეული მახვილი აქცენტებით, უშრეტი წარმოსახვით და, თუ შეიძლება ითქვას, ინტელექტუალური ინფორმაციით:

— ნება მომეცით „პარალელური ბიოგრაფიების“ ანალოგიით „პარალელური კითხვის“ შთაბეჭდილებები გაგიზიაროთ და ბაირონის ბიოგრაფიულ პორტრეტს, რომელიც ოთარ ჩხეიძის კალამს ეკუთვნის, შევუდარო ირლანდიელი მკვლევარის, ედნა ო'ბრაიენის წიგნი „შეყვარებული ბაირონი“.

ედნა ო'ბრაიენის მიმართება ბაირონთან ძალიან სუბიექტურია. მას არ ეგულება ასეთი თავგამოდებული, ასეთი შმაგი და ასეთი დაუნდობელი სატრფო. მას არ ეგულება მამაკაცი, რომელსაც ამდენი ქალი შეყვარებოდეს (პროტოტიპი თავისივე „დონ ჟუანისა“), რომელსაც ამდენი ქალი ეტრფოდა და რომელსაც ამდენი ნეტარება და, იმავდროულად, ამდენი ტკივილი მოეთანოს მათთვის...



ნანა კუცია

ედნა ო'ბრაიენის წიგნისაგან გრჩებათ შთაბეჭდილება, რომ ბაირონმა თავი შეაყვარა მთელ მსოფლიოს, მაგრამ სამარადისოდ შეაძულა ინგლისს.

ახლა კი გადავშალოთ ოთარ ჩხეიძის „იტალიური დღიურები ბაირონისა“. ბედნიერი ვიქნებოდი, ეს წიგნი თარგმნილი რომ ყოფილიყო ინგლისურ ენაზე და ედნა ო'ბრაიენს ჩემსავით პარალელური კითხვის შესაძლებლობა ჰქონოდა. ბატონი ოთარი დაჯილდოებული იყო იშვიათი უნარით, გაეთავისებინა იმ ისტორიული გმირისა თუ ლიტერატურული წინაპრის ბიოგრაფია, რომელზეც წერდა (ეს თვისება როსტომს შთამომავლობითი აქვს, ეტყობა).

ოთარ ჩხეიძემ დაინდო ბაირონი, რალცნაირი მამაკაცური

დანდობით. იგი პოეტის ბედში ხედავს იმ ფატალურ „განმეორებადობას“, რომელზედაც თვითონ ბაირონი წერდა და რომლის ჩხეიძისეული პერიფრაზი ასეთი გახლავთ: „...იცოდა, ფათერაკი თუ ველარ მიუვიდოდა, თვითონ მოსძებნიდა ფათერაკს ბაირონი...“

„იტალიური დღიურები ბაირონისა“ თხრობას რეფრენად გასდევს ბაირონის ჩაუკლავი რომანტიზმი, რაზედაც მერე მთელი თაობები დაიზრდებან; ის პათოსი, რომელიც ბაირონს კარნახობს, ჯერ იტალიის გასაერთიანებლად შეთქმულ კარბონარიებს შეუერთდეს, მერე კი გადაეშვას ბერძნულ გამათავისუფლებელ მოძრაობაში, სადაც თვითონ ბერძნები დაუსრულებელ ინტრიგებში არიან. ბაირონი მაინც არ ნანობს არაფერზე, თუმცა თავის წერილებში წინასწარმეტყველებს, რომ ეს პოლიტიკური რომანტიზმი მას სიცოცხლის ფასად დაუჯდება...

ოთარ ჩხეიძე ყვება ყოველივე ამაზე — ყვება ისეთი ცოცხალი აღქმითა და წვდომით ამ გენიალური ადამიანის ხასიათისა, ისეთი თანალმობით, რომ ვფიქრობ, ბაირონის თავყვანისმცემლთა ახალი თაობისათვის მესამედ გამოცემული „იტალიური დღიურები ბაირონისა“ სამაგიდო წიგნად გადაიქცევა...

აპლოდისმენტები ირგუნა პოეტმა **სევერიან ნადირაძემ**, როდესაც ძვირფასი პედაგოგისადმი მიძღვნილი ლექსი წაუკითხა აუდიტორიას, ხოლო გერმანისტმა **ნინო ბაქანიძემ** გოეთესა და ბაირონის შემოქმედებათა თავისებურებაზე ისაუბრა, ოღონდ არა ისე შეპირისპირებულად, როგორც „მგზავრის წერილების“ ავტორმა თავის დროზე...

გავრცობილად და მაინც თემასთან მისადაგებით ისაუბრა მწერალმა და ლიტერატურათმცოდნემ **მაია ჯალიაშვილმა**, მის რომანტიკულ-ემოციურ სიტყვას სამკაულად პოეტურობაც ებურა:

— ამ წიგნში იგრძნობა ოთარ ჩხეიძის დიდი სიყვარული და აღტაცება ბაირონით, სხვაგვარად ალბათ ვერც დაწერდა ასეთ წიგნს, რომელიც ბაირონის სულში გვამოგზაურებს.

„ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი“, — ეს სიტყვები ბართაშვილმა ათქმევინა ნაპოლეონს, რომლითაც აღტაცებულიყო, როგორც გმირით, ყოველგვარი საზღვრები რომ ევიწროებოდა.

ეს გამოხატავდა XIX საუკუნის ქართულ რეალობაში დამკვიდრებულ ოცნებას გმირზე. ერს რომ გამოიხსნიდა: „ვინ აღჩნდეს გმირი“ (გრიგოლ ორბელიანი „იარაღის“).

ნათელა არველაძე

# ბედი ღირსეული ქალბატონისა

წლებადელი სექტემბრის თბილი ამინდი ერთ დღეს უეცრად ჩამო-წოლილმა ნისლმა და კოკისპირულმა წვიმამ შეცვალა. პროცესია ტა-ტით მიინევდა ვაკის სასაფლაოსკენ. თვალცრემლიანი მივაცილებდით უკანასკნელ გზაზე **თინათინ თუშმალიშვილს**. მაინც რა ბედისა ყოფი-ლა! — არ მოჰკლებია გასაჭირი ქვეყნისა თუ პირადი ცხოვრებისა; ოცი წლისას დაუხვრიტეს მამა, ახლო ნათესავები; თავდაცვამოსცადა რეპ-რეისის სუსხი — ტუსაღის მძიმე ხვედრი; დაკარგა ორი შვილი, მეუღლე, თვალის ჩინი; შეესწრო სამშობლოს ბედის ნაღმა-უკულმა ტრიალს. ამა წლის სექტემბრის ოცს მიიცვალა 96 წლისა... ცა ჩამოიქცა თითქოს იმ წუთებში, როცა მიწას მიეზარა მისი ტანჯული სული.

მაინც რა ბედისა ყოფილა!..

\*\*\*

თინათინ (თინა) თუშმალიშვილი-გომელაურისა მეტად ღირსეული პიროვნება გახლდათ. მას, იშვიათ პიროვნულ თვისებებთან ერთად, ამშ-ვენებდა ოჯახიშვილობა, მამულიშვილის „ცხელი გული“, უზადო პროფე-სიონალის თვითშეგნება. სხივმოსილი ადამიანი გახლდათ, გაბედული აზრებითა და ნათელი იდეებით აღვსილი.

მორთულობაც სადა ჰქონდა, როგორც მის სპეციალ და ნატიფ სულიერ სამყაროს შეეფერებოდა — სადაფის გულსაკიდი, შინ ნაქსოვი მოსასხა-მის სამაგრად რომ იყენებდა, ნიშნობის ბეჭედი, ვაჟიშვილის ნაჩუქარი ბეჭედი, საყურეები, მძივები... სადად თმადავარცხნილი და მონესრიგე-ბული ხვდებოდა ნათესავ-მეგობრებს. ეცვა კობხტად მორგებული სამო-სი, უმეტესად მაქმანით განყოფილი გულისპირით, სარტყელში ჩატანე-ბული გახამებული ცხვირსახოცით.

სათნო ღიმილით ხვდებოდა სტუმრებს: სხვადასხვა თაობის მეგობ-რებს, ნათესავებს, სწავლას დანაფებულ ახალგაზრდებს. მასთან სიახ-ლოვე შევებას გვანიჭებდა, ყოფაზე ამალღებული ხდებოდა, რადგანაც მასპინძელი თავად ქმნიდა ამგვარ განწყობას. პოლიტიკა, ხელოვნება, ისტორია, ქვეყნის მდგომარეობა, გამორჩეულ ქართველთა, უშუალო წი-ნაპართა მოღვაწეობის გახსენება, ხალხური სიმღერები, ქალაქური ფოლკლორი, ტრადიციული ცხოვრების ფორმა — ასეთი იყო თინა თუშ-მალიშვილის „სალონის“ სასაუბრო თემატიკა.

ახალ რეალობაში, დროის დეფიციტის პირობებშიც კი, მას შენარჩუ-ნებული ჰქონდა ორბელიანების, ჭავჭავაძეების, ერისთავების საოჯახო თავშესაფრის სიღარბისლე, ტრადიციული მასპინძლობის ფორმა, განსა-კუთრებით მას შემდეგ, რაც მხედველობა დაუქვეითდა და შინიდან იშვი-ათად გადიოდა. მასთან გულახდილი საუბრით შინაგანი სიმშვიდე გეუფ-ლებოდა და ყოფის წვრილმანებს ველარ ამჩნევდი.

იგი თანაგრძნობას გამოხატავდა სათუთად, ბუნებრივად, ყოველგვა-რი პოზისა და დიდაქტიკის გარეშე. საერთო ენას პოულობდა ყველასთან, რადგანაც მრწამსითაც, აღზრდითაც, ცხოვრების წესითაც ჭეშმარიტად დემოკრატი იყო, სულიერი კონსტიტუციით კი — ნატიფი არისტოკრატი. მონოდებით საზოგადო მოღვაწე გახლდათ, ამგვარი პოტენციით გამორ-ჩეული, მაგრამ მეტისმეტად მოკრძალებული და თვითკრიტიკით აღსავსე.

\*\*\*

თინა თუშმალიშვილს, პატრიოტი მშობლების, მამიდის, დედისა თუ საერთოდ ნათესაური წრის შთამომავალს, ილია ჭავჭავაძისეული სამე-ბის — მამული, ენა, სარწმუნოება — ერთგულბა ბაღლობიდანვე თან დაჰყვა. მამა, ალექსანდრე თუშმალიშვილი, ფართო სპექტრის აგრონო-მი, განათლებული სპეციალისტი, პატიოსანი და სამშობლოს მოყვარული გახლდათ. მას მიანდეს წინანდლის ჭავჭავაძიანთ მამულის გაძღოლა, შემდეგ გურჯაანისა და მუკუზნის მეურნეობას ედგა სათავეში. მის სა-ხელთანაა დაკავშირებული ეროვნული მეურნეობის, განსაკუთრებით

ოთარ ჩხეიძის შემოქმედებაც გამსჭვალული იყო გმირის მოლოდინით. „ბორიყაში“ რომ წერს: გმირო-ბის დრო ყოველთვის არის, გმირი არ ჩანს ოღონდო.

აქ კი „იტალიური დღიურები ბაირონისა“ წარ-მოჩნდება, როგორ ადიდებდა ბაირონი ნაპოლე-ონს, მიუხედავად იმისა, რომ ეს კაცი სძულდათ მის სამშობლოში. 1814 წელს დაწერა ოდა ნაპო-ლეონს. დღიურში — ჩამოუგდიათ ჩემი საწყალი პატარა კერპი, ნაპოლეონი ჩამოუგდიათ ტახტი-დან. მანანალები შესულან პარიზში, მაგრამ არა-ფერია, ის კიდევ უჩვენებს იმით სეირსო.

ოთარ ჩხეიძის აზრით, ეს გაორება მოჩვენე-ბითია. ჭეშმარიტი — ერთიანობაა, რადგან ერ-თიანია თვითონ პოეტი. ნაპოლეონი არის მისთ-ვის რომანტიკული გმირი, ჯერ კიდევ ცოცხალი, ამიტომაც არის ერთგვარი ბზარები მასთან და-მოკიდებულებაში. საზოგადოებაშია სხვადასხვა აზრი. სწორედ ეს არის სიძნელე და არა გაორება.

ოთარ ჩხეიძის აზრით, მან აიტაცა რეალური სახე, აიტაცა საოცარი ძლევამოსილებით, აიტაცა რომანტიკულ მწვერვლებზე, შემოახვია რომან-ტიკული ბურუსი, აიტაცა და მისცა ღრუბლებს, ღმერთად დასახა მესამე სიმღერაში. ოღონდ ეს არის არა ქრისტიანული, არამედ წარმართული ღმერთი, „ძლევამოსილი და და უსასოო, ძლეული და დაუძლეველი, უარყოფილი და სანატრელი, დამხოზილი და აღდგენილი, ღმერთია იგი დამარ-ცხებული, გამარჯვებული დამარცხებითაცა:

**თუ დაგიპყრია დედამინა, ტყვეცა ხარ მისი, მაინც ძაგძაგებს შენი შიშით, შენი სახელი უფრო და უფრო მოსდებია ქვეყნიერებას და არარაი უფრო მეტად განდიდებულხარ.**

„ასეა მართლაც აღტაცებული მიწიერი ვნებე-ბისგან, აღტაცებული და აღზევებული, რომან-ტიზირებული, იგი მპყრობელიცაა და ტყვეც. — ნმ. ელენეს კუნძულზე უღიმღამო დღეებს მიათ-რევდაო. — მონუმენტური სახეა. ოთარ ჩხეიძე ამ წინააღმდეგობაში, ამ დაპირისპირებულთა ერ-თიანობაში ხედავს, ყოველივე ამაო რომ არის ამ წუთისოფელში, ამ გრანდიოზულ სამყაროში, სად დედამინაც უმცირესია, სად ყველა ერთია, განდიდებულიც და დამცრობილიც, ცოცხალიც და მიცვალებულიც, ყველა კერძია სიკვდილისა, მხოლოდ სიკვდილია მარადიული.

ნაპოლეონი მისთვის ამიტომაცაა ერთდროუ-ლად დიადიც და არარაც, იგი ერთიანია და განუ-ყოფელი.

...და რასაკვირველია, იმდღევანდელ ღონისძი-ებაზე იყვნენ მოსურნენი ამ ბიოგრაფიულ რომან-ზე საკუთარ შთაბეჭდილებათა გაზიარებისა. შე-მოფარგულ, მოზომილ დროში მათ ეს ვერ მოუ-ხერხდათ. სამაგიეროდ, ღონისძიების დასრულე-ბის მერე, ზღაპრის ტაბლასავით უხვ მრგვალ მა-გიდასთან სადღევრძელო იყო სამშობლოსი და მშობლიური ლიტერატურის, ითქვა მამა-შვილის — ოთარ და როსტომ ჩხეიძეების წვლილზე ქარ-თულ მწერლობაში. ეს ზოგადად. უფრო კონკრე-ტულად და ალაღად გამოხატული სიყვარულით რაც ითქვა, იმის გახმაურება ეკრძალება რეპორ-ტიორს, რათა არ დააბრალონ მიკერძოება.

მევენახეობა-მეღვინეობის, განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი. სამშობლოს ხვედრზე თვითონაც დაფიქრებულ ინტელექტუალს, ურთიერთობა არ შეუნწყევტია ქაქუცა ჩოლოყაშვილთან, ყველაზე კრიტიკულ ჟამსაც კი. 1924 წლის წარუმატებელი ამბოხის შემდეგ, ტყვეს შეფარებულ საძმოს სანოვაგეს უგზავნიდა. როცა რაზმმა უცხოეთს გახიზვნა გადაწყვიტა, ბატონ ალექსანდრეს თელიანში გამოსათხოვარი ვახშამი გაუმართავს მეგობრისა და მისი გუნდისათვის.

მთელს ოჯახს მიძიდვდა განუცდია აჯანყების ჩახშობის სისასტიკე. თინას დედას, მომხიზვლელ და სათნო თამარ ნაცვლიშვილს, მწუხარების ნიშნად ძაძები ჩაუცვამს, სიცოცხლის ბოლომდე თალხი სამოსი ეცვა. კარგად უკრავდა და მღეროდა, მაგრამ იმ დღეების შემდეგ გიტარა ხელში აღარ აუღია. იგი პატრიოტ სახელმწიფო მოღვაწეთა — ახმეტელების — შთამომავალი იყო და, ბუნებრივია, ვერ შეეგუებოდა ბოლშევიკ-კომუნისტთა ანტიეროვნულ პოლიტიკას. განსწავლულსა და უცხო ენების ჩინებულ მცოდნეს მეუღლის დაპატიმრებისა და დახვრეტის შემდეგ შვილებზე ზრუნვის სიმძიმელი თავად დასწოლია მხრებზე. უწინარესად მისი დამსახურებაა, რომ მთელი ოჯახი საუბრობდა სალიტერატურო ქართულით, დარბაისლური მეტყველებით, უცხო ენებსაც რიგიანად იყო დაუფლებული. ჩინებული აღზრდა-განათლება მიაღებინა სამ შვილს: თინას, ინგლისური და გერმანული ენების სპეციალისტს; მარგოს — მხატვარს — და გიორგი (ბიჭიკო) თუმშალიშვილებს. ბიჭიკო თუმშალიშვილი მამის კვალს გაჰყვა და მაღალი რანგის, საქვეყნოდ ცნობილი მეღვინე გახლდათ. მის სახელთანა დაკავშირებული ეროვნული მეღვინეობის, უიშვიათესი ყურძნის ჯიშების აღორძინება-განვითარების საქმიანობა.

გასაკვირი არცაა, რომ ასეთი მშობლებისა და სანათესაოს შთამომავალს, საქართველოს მომავალზე მოფიქრალ თინა თუმშალიშვილს თვითონაც ჩამოუყალიბდა პატრიოტული სულისკვეთება. მისთვის კლასიკურ ღირებულებებს შორის განსაკუთრებული გახლდათ — სამშობლო, სიკეთე, პროფესიონალიზმი, მისთვის ოჯახი გამორჩეული ფასეულობა იყო. მართლაც სანიმუშო ოჯახი შექმნა ძლიერ, მთლიან, პატრიოტ და მაღალი რანგის ენერგეტიკოსთან, აკადემიკოს ვახტანგ გომელაურთან ერთად. მათ აღზარდეს უმწვენიერესი, შესახვედობითაც და სულიერებითაც ჰარმონიული ვაჟიშვილები — არჩილი და გიორგი.

გარეგნობით, აზროვნებით, სულიერი კონსტიტუციით, ცხოვრების ფორმით და მისწრაფებებით ორივე ჭეშმარიტად რჩეული ქართველი იყო. წინაპართა სადარი, მაღალი დონის სპეციალისტები, უპატიოსნესი და უზადო ზნეობრივი პრინციპების ერთგულნი... ზუსტი მეცნიერების წარმომადგენლები, კარგად ფლობდნენ მშობლიურ ენასა და მშობლების დარად სიკეთეს, სათნოებას, თანადგომას არ იშურებდნენ ნათესავ-მეგობრებისათვის, ხოლო პროფესიონალიზმის კულტითა და პრინციპულობით ძალუმიად ჩამოჰგავდნენ მშობლებს, ჩემთვის იმ ქართველების სიმბოლოდ იქცნენ, რომლებმაც ძნელებდობის ჟამს უმნიშვნელოდ და შეურყვნელად გამოატარეს ყველაზე ძვირფასი განძი — ადამიანურობა — ამ პრაგმატულ და კონფორმისტულ წუთისოფელში. მათი ოჯახი სცნობდა მხოლოდ სინდისის დიქტატურას, ცხოვრება კი მოუხდათ უმძიმესი სახელმწიფო ტერორის პირობებში.

ქედუხრელი — ასე შეიძლება ითქვას თუმშალიშვილი-გომელაურების ოჯახზე. მათ მართლაც რომ, მხოლოდ „საქართველოს

ედგათ უღელი...“ საქართველომ კიდევ ერთი მოქალაქე-მამულოშვილები დაკარგა ამ ოჯახის სახით. ახლა მგონია მსხვერპლშენიერვის რიტუალი ჩატარდა სამი ქართველი რაინდისა და ინტელექტუალის გარდაცვალებით! თინას პირადი შესანიერი აღზრდა გააჩნდა! მან უმნიშვნელოდ მოიხადა პიროვნული მოვალეობა ქვეყნის, ოჯახის, შთამომავლების წინაშე — სანიმუშო მეუღლეობით, დიდებუნიანობით, დედობით, უხინჯო პედაგოგობით! ვალმობილი პატრიოტი-მოქალაქე შეერწყა მარადისობას. კიდევ ერთი მშვენიერი ადამიანური სამყაროთი გამდიდრდა მიღმიერი საქართველო, ხოლო აწინდელი ქართველობა კიდევ ერთი ორიენტირით გაღარბდა!..

ქალბატონი თინა ერთ-ერთი უკანასკნელი მოჰიკანი აღმოჩნდა იმ თაობისა, რომლის თავზე მართლაც რომ წისქვილიც კი დატრიალდა. ის შეესწრო 1924 წლის აჯანყებას, 1937 წლის რეპრესიებს, მეორე მსოფლიო ომს, 1942 წლის შეთქმულების გაცემას, რის გამოც 266 დღე გაატარა სუკის იზოლატორში. იყო საქართველოს დამოუკიდებლობისა და ბოლშევიკ-კომუნისტ-კავშირელთა ძალაუფლების რესტავრაციის შემსწრეც... შეუპოვარმა და გაუტეხელმა ყველა სატანჯველი გადაიტანა, რაც კი ადამიანს შეეძლო განეცადა ამ ცოდვა-მადლიან წუთისოფელში.

ეს კია: უკანასკნელი წუთები ახლობელთა შორის გაატარა, უკანასკნელი ამოსუნთქვით, უთუოდ, უზენაესს შეავედრა მათი და სანუკვარი საქართველოს ბედი.

\*\*\*

თინა თუმშალიშვილი-გომელაურისა მოწოდებით, აზროვნებით, ცხოვრების წესით — მასწავლებელი იყო. თბილისის უნივერსიტეტში მხოლოდ უცხო ენას კი არ ასწავლიდა ახალგაზრდებს, არამედ ეროვნული სულისკვეთებით აზროვნებასა და ტრადიციული ცხოვრების ფორმასაც გადასცემდა. თვითონაც ასე ცხოვრობდა — პიროვნული მაგალითი კი ყველაზე საუცხოო დიდაქტიკაა.

მან შექმნა და წლების მანძილზე დახვეწა უცხო ენათა სწავლების მეთოდიკა, ინგლისური ენის სწავლების სახელმძღვანელოები, სხვადასხვა ასაკის ყმაწვილებისათვის უცხო ენის დაუფლების სახეობანი, გამოსცა უცხო ენათა სწავლების მეთოდოლოგიისადმი მიძღვნილი ნაშრომები, დაისტამბა მის მიერ შეგროვებული სასიძღერო ტექსტები და ნოტები ბალეტისათვის. წერდა მოგონებებს, რათა საზოგადოება გასცნობოდა საქართველოს წარჩინებულ შვილთა მოღვაწეობას, საოჯახო განათლებისა და აღზრდის ფორმებს, ბუნებასთან ადამიანის სიახლოვის მშვენიერებას; წერდა სტატიებს, რათა შთამომავლობას გაეცნო იაკობ გოგებაშვილის, ივანე გომელაურის, ერეკლე ტატიშვილის, სხვათა და სხვათა ღვაწლი ქართველთა საგანმანათლებლო კულტურის აღმავლობისათვის.

\*\*\*

2013 წლის 22 სექტემბერს კვირა დღეს ცა ჩამოიქცა თითქოს. მაშინ საშინლად ვწუხდი. ახლა მგონია, ზეციური საქართველო ცრემლად დაიღვარა და ისე შეივრდომა მისი უსუპეტაკე სული, და კიდევ... თბილისის ვაკის სასაფლაოს ერთ მონაკვეთზე, ჭეშმარიტად, საქართველოს ტრფიალთა, მამულის ჭირისუფალთა, უკომპრომისო მოქალაქეთა, მამა-პაპათა ტრადიციების ერთგულთა დიდებული ჯამათი განისვენებს: ივანე, ნინო (ვაჩნაძე-გომელაურისა), ვახტანგი, არჩილი, თინა...

მსუბუქი იყოს მათთვის მშობლიური მიწა.



თინათინ თუმშალიშვილი



ეკა ბუჯიაშვილი

# მისი დრო მის ქვეყანაში

ზოგჯერ ასეც ხდება:

იმავს განიცდი, რაც უკვე განუცდიათ და ვერ აყალიბებ ამ გრძობებს სხვა სიტყვებით, რადგან იმას, იმ სხვას, უკვე უთქვამს, უკვე უპოვნია სიტყვები სულისა და გონების ნიაღში, ფორმულაშიც მოუქცევია და შენ ისღა დაგრჩენია, გაიმეორა.

13-წლიანი განშორების შემდეგ სამშობლოში მომავალი ნათია სორნაშვილი იმას ფიქრობდა: ნეტა როგორ შემიყვება ჩემი ქვეყანა და როგორ შევეყრები მე მას. რას მეტყვის ახალს ჩემი ქვეყანა და რას ვეტყვი მე მასო.

სამშობლოს განცდა კი იქ, ცხრა მთისა და ცხრა ზღვის იქით, ისეთი მატერიალურია, შეგიძლია შეეხო, დაინახო, და იმგვარი იმპულსები იგრძნო, საოცარი რამეები გაკეთებინოს, შენმა ფიქრმაც სულის ის ლაბირინთები მოიაროს, სადაც შესაძლოა არც კი შეედინა აქ ყოფნისას, რადგან იმის ფასს, რაც არ გაქვს, სწორედ მაშინ იგებ, როცა შორდები, და სულში ჩაბრუნებულ ფიქრსაც მაშინ იწყებ, როდესაც გტკივა.

პროფესიით ფილოლოგმა წლების წინათ — ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში „შემცირებაში რომ მოყვა“ და გამოუშვეს — გადაწყვიტა, ის ოცნება აეხდინა, რომელიც მეტ-ნაკლებად ყველა იმ რეჟიმგამოვლილს ჰქონდა — გადაენია რკინის ფარდა და იმ უცხო მხარეში წასულიყო. ოღონდ მაშინ ჯერ არ იცოდა, რომ ეს აღმადგენად მალევე დაცხრებოდა, რომანტიკულ ფერებში წარმოსახული იტალიაც გაფერმკრთალდებოდა და აქედან დანყობილ საოცნებო გეგმებსაც არ ენერა ხორცშესხმა, თუმცა ამაზე — მერე.

ჯერ კი...

ხელოვნება ბავშვობიდან იტაცებდა.

— პაპისგან, ლადო კოტეტიშვილისგან თუ გამომყვარო, — ამბობს, — საქართველოში მედიცინის მეცნიერების ფუძემდებელი კი იყო, მაგრამ ამასთანავე არაჩვეულებრივი მოქანდაკე და მხატვარიც გახლდათ. მისმა ძმამ ვახტანგ კოტეტიშვილმა კი ფოლკლორის განყოფილებას ჩაუყარა საფუძველი და, რა გასაკვირია, ასეთი წინაპრების პატრონს ხელოვნება ასე მიყვარდესო.

მაგრამ სიყვარულიცაა და სიყვარულიც.

ნათია ხორნაულს დიდი წინაპრებისაგან ნიჭიც განსაკუთრებული დაჰყოლია — ჯერ კიდევ 6-7 წლისა ისე განსხვავებულად ძერწავდა, მაშინდელ პიონერთა სასახლეში გამოურჩევიათ მისი ნამუშევრები — კომპოზიციის გრძობით, დინამიკით, ხასიათებით...

ერთხანს ხატვის წრეზეც უვლია, თუმცა... სერიოზულად არასოდეს უფიქრია ამ გზის გაგრძელებაზე, რადგან მის ოჯახს ტრადიციად ფილოლოგია მოჰყვებოდა: დედაც — ნანა კოტეტიშვილი — ფილოლოგი გახლდათ, მამაც — გივი ხორნაული — და დაც, ლელაც. ოღონდ ესეც ხომ უთქვამს ჩვენს დიდ წინაპარს: რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდებისო...

და დაეჩნია მისი სულისთვისაც ხელოვნებას თავისი კვალი. ჯერ იყო და შალის ძაფებით ქმნიდა ისეთ უჩვეულო კომპოზიციებს, ვერ გაარჩევდით, რა ტექნოლოგიით ამეტყველებულიყო ეს უჩვეულო ფერწერა.

დაინტერესდებოდნენ...

გამოფენასაც გაუმართავდნენ...

ძაფთა ფერადხატებააო, — დაწერს თავის წერილში მისი მეგობარი ლია წერეთელი:

„ქარგავდა... ქსოვდა... ფარდაგაც სცადა, გაუძნელდა... ხევსურული ჯვრებისა და ორნამენტების ფერთაშეხამება იზიდავდა... ეძიებდა... ფერად-ფერად ძაფებს აგროვებდა, უხამებდა — ფერები მეტყველებენ, ერთმანეთს ელტვიან...“

ფერი ფერს გადაენასკვება, ახალ ფერს ქმნის — სხვა ელფერს საიდუმლოც თავისი მოაქვს, სიტყვა და განცდა“...

მერე ისევ და ისევ იხმობდნენ ფერები, ახლებურად ამეტყველებულნი, თითქოს ლექსები — ტილოზე დაქარგულნი, ძაფები — უცნაურ „თითისტარზე“ დართულნი... ოღონდ იქ, იმ შორეულ, უცხო ნაპირებზე ეს ყველაფერი სხვანაირად გამოხატულიყო — ძაფები ყვავილებს ჩაენაცვლებინა და ახლა ამ ნამუშევრებში ჩანს ულიყო ნოსტალგიაცა და სამშობლოს განცდაც — ის მატერიალური განცდა, რომელსაც შეგეძლო შეხეობდი, ხელი გადაგესვა მისი ხაოიანი და მლაშე ზედაპირისათვის და უჩვეულო, უჩვეულო იმპულსები გეგრძნო.

იქაც დაინტერესდებოდნენ — ისე, შინაურ წრეში — გაყიდდა კიდევ რამდენიმე ნამუშევარს, პარფიუმერიის ერთ-ერთი მალაზიის ვიტრინაშიც გამოფენდნენ, როგორც საინტერესო ნიმუშს ხელოვნებისა, ოღონდ იმ საოცნებო გეგმებს, რომ შეიძლებოდა ხელოვნების ქვეყანაში რომელიმე გალერეასთან ეთანამშრომლა და თავისი საყვარელი საქმე ეკეთებინა — საქმე, რომელიც სულიერ მოთხოვნილებად ქცეულიყო მისთვის — ახდენა არ ენერა, რადგან ოცნებას საზღვრები არ გააჩნდა, რეალობა კი სწორედ საზღვრებად და შრეებად დაეყო ცხოვრებას, როგორც დედამინის ქანები, და მხოლოდ თვითონ უწყოდა, რომელ ფენაში გარგუნებდა ყოფნას.

რუსუდან ფეტვიაშვილს უთქვამს ერთხელ:

— საფრანგეთში ყოფნისას ერთ-ერთ გალერეაში ჩემი ნამუშევრების ალბომი ვაჩვენე და არც კი დაინტერესებულანო. რას იზამ, საკუთარ ქვეყანაში თურმე ქუჩებიც გცნობენ, სხვაგან კი წარდგენა გჭირდება.

\*\*\*

— მოგწონს იტალია? — როცა ჰკითხავდნენ ხოლმე წლების შემდეგ, უკვე ამ ქვეყანასთან გაშინაურებულს, ასე პასუხობდა:

— იმ იტალიას, რომელიც მომწონს, დღესაც ტელევიზიით ვუყურებო.

საერთოდ, იტალია ორნაირი არსებობს: ჩრდილოეთი და სამხრეთი.

ჩვენ რომ ვიცნობთ — ხმაურიანი, ტემპერამენტული იტალია შავგერმანი იტალიელებით — რომამდეა, რომის ზემოთ კი სულ სხვა გარემოში მოხვდებით.

— ჩრდილოეთ იტალიაში ჩასული გავედი ქალაქის მოედანზე და გავოგნდი — საოცარი სიმშვიდე, სინყნარე, ადამიანები — სხვათა შორის ქერები და მალღები — მშვიდად მოძრაობდნენ ქალაქის ქუჩებში. ვილაც თავისთვის უკრავდა საქსოფონზე და მთელ მოედანზე ისმოდა მისი ხმა. ირგვლივ უამრავი ყვავილი იყიდებოდა... და მეგონა, რომ სამოთხეში მოვხვდი. წლების განმავლობაში ვცხოვრობდი იქ — ეს არის საოცრად რაფინირებული, მონესრიგებული მხარე იტალიისა, როგორც ჩანს, ავსტრიის მმართველობის ქვეშ ყოფნამ თავისი კვალი დააჩნია იტალიას... და რაც განსაკუთრებით მომწონს და მიზიდავს უცხოეთში, არის ის, რომ ყველგან — ქუჩაში სიარულის დროსაც კი — გრძობს სილალეს, ადამიანები მშვიდად და ღიმილიანნი დადიან, კეთილგანწყობილნი ერთმანეთის მიმართ, რაცნაირი დაცულობის, სტაბილურობის შეგნებით, რადგან შემდგარი სახელმწიფოს მტკიცე ნიადაგზე დააბიჯებენ, რაც საუკუნეებია ასე გვენატრება ქართველობას.

აი, ემიგრანტისთვის კი ყოველდღიური რეალობა იქ სამოთხეს ნამდვილად არ ჰგავს.

გააჩნია, როგორი სტატუსით ჩადიხარ ქვეყანაში და მის რომელ სოციალურ თუ საზოგადოებრივ ფენაში მოხვდები. თუ ხელოვნების რანგში წარდგები მის წინაშე, იტალია მართლაც ოცნების ქვეყანაა, მაგრამ თუ ჩადიხარ ჩვეულებრივ, ბედის საძიებლად, ის რეალობა შენთვის მკაცრდება, ზოგჯერ დაუნდობელიც ხდება, ყოველდღიურად ეძებ შენს წილ მზესა და სითბოს ამ უცხო, ასე უცხო ქვეყნის ცის ქვეშ და ძლიერი უნდა იყო, რომ ამ ყველაფერს გაუძლო.

— თუმცა ეს ალბათ ყველგან ასეაო, — ამბობს, — სამწუხაროა, მაგრამ... ადამიანი თურმე საჩუქარსაც ისეთს იღებს, როგორც მდგომარეობაც აქვს. თუ წარმატებულია — უბრალოს ვერაფერს აკადრებენ, თუ არა, მაშინ მიიჩნევენ, რომ მისთვის უბრალოც „ბრალიანია“.

და ცხოვრებაც ზოგჯერ ამის მიხედვით იმეტებს ძღვენს შენთვის. რა თქმა უნდა, ბევრია დამოკიდებული ქვეყანაზე, პოლიტიკაზე, საზოგადოებრივ მდგომარეობაზე შენს სამშობლოში, მაგრამ ეს მაინც თავისმართლებაა, უფრო სწორად, საკუთარი უსუსურობის გამართლება, სინამდვილეში კი ადამიანმა მიზეზი საკუთარ თავში უნდა ეძიოს.

თვითონაც ხომ წარუმატებლობასა და უიმედობას გაექცა; საკუთარი შესაძლებლობების ხორცშესხმის სურვილს, თორემ მის ოჯახში მხოლოდ ლიტერატურაზე თუ საუბრობდნენ, ფული და კარიერა მათი თვითმიზანი არასოდეს ყოფილა.

ჰოდა მუშაობდა — ყოველდღიური საზრუნავისა და საარსებო პურის მოპოვების მიღმა, იტალიის მიწაზე გაშლილი ყვავილებით ივსებდა სულის დანაშრევებს და ფიქრობს, რომ სწორედ ამან გააძლიერებინა, ამან გამოაფარებინა ემიგრაციის წლები — თავისებურად კარგიც და ცუდიც, ბედნიერიც და ტკივილიანიც, სინანულისათვის მაინც არასოდეს რომ გაუმეტებია, რადგან იმათაც თავისი მისცეს, მეტიც: იქნებ სულაც იმ წლებმა დააყენეს პირისპირ ყოფიერებასთან, მის თვალეშიც ჩაახედეს და ასწავლეს კიდევ, რას ნიშნავს... ცხოვრობდე.

\*\*\*

თავის დროზე „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში მუშაობდა, შემდეგ — შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში, ფოლკლორის განყოფილებაში. გამოქვეყნებული აქვს ორი სამეცნიერო სტატია: „ხის კულტი“ და „ალვის ხის სიმბოლიკა“.

თუმცა უკვე წლებია, ესეისტურ მოღვაწეობასაც ეწევა და წერილებსაც აქვეყნებს ქართველ მოღვაწეთა ოჯახურ ისტორიებზე. ამ წერილებს მკითხველი წინადად გამოცემულსაც იცნობს სათაურით: „ქროლვანი უნაპირონი“, სახელოვან პაპას, ლადო კოტეტიშვილს რომ უძღვნის ავტორი და არაერთი საინტერესო პიროვნების პორტრეტი, გასული საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე ინტელიგენციის, არისტოკრატიული ოჯახების ტრაგიზმით სავსე ცხოვრებას ხატავს სახასიათოდ.

იქიდანაც, უცხოეთიდანაც აგრძელებდა წერას.

წერილების ამ ციკლს სწორედ ელექტრონული ინტერვიუს სახით შეემატა დიალოგი ვახუშტი კოტეტიშვილთან, რომელიც ცნობილმა მთარგმნელმა და ლიტერატორმა შემდეგ თავის წიგნშიც შეიტანა.

უცხოეთში შექმნილ ნებისმიერ ნამუშევარს კი სულ სხვა ექსპრესია დაჰყვება თითქოს, რადგან მთავარი განცდა, რომელიც მიეყვება უცხო მხარეში, სამშობლოს სიყვარულია. ამით გითენდება და გიღამდება, ამით ცხოვრობ დღის განმავლობაშიც, რადგან სიყვარულთან ერთად ტკივილიც თან მიგყვება და თავს იქაც, ცხრა მთის იქითაც სწორედ ისე გრძნობ, როგორ ვითარებაშიც არის შენი ქვეყანა, ის მიწა, ცა, ქერი, რომლის ქვეშაც დატოვებ წარსული, საყვარელი ადამიანები... და იცით, დამოკიდებულებაც ემიგრანტის მიმართ უცხო ქვეყანაში ისეთივეა, როგორც არის მისი სამშობლო, სამშობლო, რომელიც შენ გიყვარს



ნათია ხორნაული ჩრდილოეთ იტალიის მთებში

ასეთიც და ისეთიც, წარმატების მწვერვალზე მდგომიც და დრო-ჟამისაგან სასწრაფოც... და თუ ამ წუთს მის გვერდით არ ხარ, იმას არ ნიშნავს, რომ გაიქეცი ან გაექეცი, არა, უბრალოდ ესეც — მისგან შორს ყოფნაც — ერთგულებაა (და არა ღალატი, როგორც ხშირად აფასებენ ხოლმე ასეთ საქციელს), რადგან ამითაც მას უმსუბუქებ ტვირთს — შენი სამშობლოს უსუსურ მკლავებში ჩარჩენილ ახლობლებს ეხმარები, მხარში უდგახარ... და ყველაფერს განსაკუთრებულად განიცდი, ალბათ იმიტომ, რომ სამშობლოდან შორს სამყაროს აღქმა ფაქიზდება, განცდები სხვა სიღრმეს იძენს, სხვანაირად გიხარია, სხვანაირად გტკივა... იქიდან მოწერილი წერილებიც განსხვავებული ემოციური მუხტითაა შეცხვნილი.

საბერძნეთში ექვსწლიანი ცხოვრებისას დანერგილი დღიურებიც, მისტიფიციურებულად გამოქვეყნებული უცნობი ქართველი ემიგრანტის ჩანაწერების სახით, ამიტომაც ასეთი ტკივილიანი, სულისშემძვრელად რომ ასახავს სამშობლოდან შორს მცხოვრები ქალის განცდებსაც და იმ რეალობასაც, რომელშიც უწევს ყოფნა. აი, რამდენიმე ამონარიდიც ამ ჩანაწერებიდან:

„ვიწირო ქუჩებით ადიხარ აკროპოლისზე. ეს ერთადერთი ადგილია, სადაც შეიძლება ამაღლებული განწყობა შეგექმნას, თავი დააღწიო უმძიმეს ყოფით პრობლემებს და ზემოდან გადმოხედო მთელ სამყაროს.

საოცარი გრძნობაა, როცა ფეხს ადგამ იმ ადგილებში, სადაც ოდესღაც დააბიჯებდნენ სოკრატე, არისტოტელე...

არეოპაგის მთიდან გრანდიოზული და უკიდევანო სივრცე იშლება თვალწინ. მთელი ათენი (ეს უზარმაზარი და თეთრად მოლვარე ქალაქი) ხელისგულზე მოჩანს.

აქედან უმნიშვნელო გვეჩვენება ქართველების გულისტკივილიც, მათი საყვედურებიც, მოსამსახურის ადგილის შოვნის გაშვებული სურვილიც და სხვა დანარჩენიც...

\*\*\*

„ქალაქის ცენტრში, ეკლესიასთან, პატარა მოედანია, „ომონია“ ჰქვია, ეს ქართველების თავშეყრის ადგილია. აქ ყოველთვის საშინელი ყაყანი და ხალხმრავლობაა, ვის აღარ ნახავ და რას არ გაიგებ...

ქართველების თავშეყრის მეორე ადგილი სასტუმრო „ომონიასთან“ ახლოსაა. აქ ძირითადად ქართველები ცხოვრობენ. ყველაზე იაფი სასტუმროა და ისინი ბინავდებიან, ვინც ახალი ჩამოსულია და ჯერ არ უშოვნია სამსახური.

კვირაობით ათენში მომუშავე ქართველებიც დადიან აქ და მთელი სასტუმრო მათი შეძახილებით ივსება. ძალიან ღარიბი სასტუმროა, ხის ძველი კბეები საშინლად ჭრიალებს. საერთო სამზარეულოში ყოველთვის ხალხმრავლობაა. აქაურობა სიგარეტის კვამლია გახვეული. ზოგი ყავას ადუღებს, ზოგი საჭმელს ამზადებს, ზოგი ჩხუბობს, ზოგი რეცხავს... მოკლედ, ნამდვილი საგიჟეთია.

ყოველივე ამას აგვირგვინებს სასტუმროს დიასახლისი, მოხუცი ქალი, რომელიც თავისი გარეგნობითა და ჩაცმულობით ასინეთას მოგაგონებთ... თუ რაღაც არ მოეწონა, უეცრად მოგვარდება და დაგინყებს ბერძნულად ჩხუბს, სულაც არ ალელვებს, რომ არაფერი გესმის“.

\*\*\*

„თქვენ რომ ამ ქართველების სახეები დაგანახათ, იტირებდით: დაქანცული, ფერდაკარგული, ნატანჯი, განერვიუ-

ლებული. მათ შორის ბევრი ისეთი ქალია, გული მოგიკვდება და გაგიკვირდება — კულტურული, დარბაისელი (სწორედ მაშინ მგონია ხოლმე თავი გადასახლებაში, როცა მათ ვუყურებ). ერთ-ერთი მართლაც ნამყოფია გადასახლებაში და ახლა კი აქ იხდის ნებაყოფლობით „სასჯელს“.

\*\*\*

„ათენის მცხოვრებთა უმეტეს ნაწილს წარმოადგენს პროვინციიდან ჩამოსული, გამდიდრებული ფენა. ქართველებს ძირითადად მათთან უხდება ურთიერთობა, რაც ხდება მიზეზი ამდენი შეურაცხყოფისა და დამცირებისა. ისინი ქართველებს ნამდვილ ველურებად თვლიან, ისიც კი უკვირთ, რომ ჩვენთანაც არის ხილი, ბოსტნეული, ტელევიზია, მაღაზია და, საერთოდ, ყველაფერი, რაც ცივილიზებულ ქვეყანას აქვს... ქართველი აქ ყველაზე უფლებება, ისევე როგორც ყველგან, საკუთარ სამშობლოშიც კი. ასე რომ, ეს ნაცნობი მდგომარეობაა ჩემთვის. არაფერია ახალი იმაში, რომ აქაც უფრო მეტად უფროსილდებიან რუსს, ამერიკელს, ინგლისელს, ფრანგს... მე ზოგადად აქაურ სიტუაციას უფრო განვიცდი, ვიდრე კონკრეტულად ჩემსას. ჩემი გაჭირვება ზღვაში წვეთია“.

\*\*\*

„ახლა, როცა ამ წერილს ვწერ, უკეთეს სასტუმროში ვარ. ველოდები ახალ სამუშაოს. მიჩვენებია ისეთი, დილით მივიდე და საღამოს წამოვიდე. ოჯახში ჩაკეტვას ველარ შევძლებ. საშინელი გრძნობაა, როცა გარეთ გასვლის უფლება არ გაქვს მთელი კვირა... სულ საათს უყურებ. აი, ხუთი წუთი გავიდა, კიდევ ხუთი, კიდევ... და ასე ყოველი დღე, შეიძლება გაგიჟდე...“

თუმცა აქ ცხოვრება მაინც საინტერესოა. ყოველი დღე სიახლეა. არ იცი, რა იქნება ხვალ... მართალია, ძალიან მიჭირს, განსაკუთრებით სულიერად, მაგრამ, სხვა მხრივ, რაც ჩამოვედი, განუწყვეტლივ მოძრაობაში ვარ, სულ რაღაც ხდება, მივდივართ, მოვდივართ... ვფიქრობთ... ესწავლობთ ცხოვრებას... მანდ კი უმოქმედოდ ვიჯექი და არ ვიცოდი, რა მეკეთებინა.

საერთოდ, ჩემი ცხოვრება ასე წარმომიდგენია: თითქოს გაუხეხნავ, ფაფარაშლილ ცხენზე ვზივარ და დამაქროლებს აღმა-დაღმა. მე წინააღმდეგობასაც ვერ ვუწევ, ჩემზე ძლიერია, ამიტომ დავყვები მის ნებას. მხოლოდ თავისით თუ შეჩერდება ხანდახან, როცა დაიღლება. ცოტა ხანს დაწყნარდება, მერე ისევ ძალას მოიკრებს, გადაირევა და მეც გამაქროლებს. ასეთი გრძნობა იმიტომ გამიჩნდა, რომ არაფერი ხდება ჩემი გეგმით და ისე, როგორც მეგონა, განვითარდებოდა მოვლენები, ჩემი ყოველგვარი ცდის მიუხედავად“...

\*\*\*

„ჩემზე არ ინერვიულოთ. განსაკუთრებით შენ, დედა. გული დამიმძიმდა, როცა მომწერე, ვზივარ და ხმამაღლა გელაპარაკებო. ოღონდ ნუ ინერვიულებ და როგორმე მოვერევი ჩემს პრობლემებს...“

ჯერჯერობით ვერ წამოვალ. ასე ადვილად ვერ დავყრი ფარ-ხმალს. არ მინდა ცხოვრებამ დამჯაბნოს. თანაც ხელცარიელი ვერ დავბრუნდები.

...ისე, იმედია, ძალიან არ დავაგვიანებ ჩამოსვლას“.

\*\*\*

— ამ ბოლო დროს მამამ თვალისჩინი დაკარგა, ოღონდ ხანდახან ლამლამობით დგება: მუზა არ მაძინებსო, — ამბობს და რაღაცას ინიშნავს თავისთვის.

ეს მართლაც ისეთი რამაა... შეიძლება დღეების განმავლობაში არაფერი გავაკეთო, მერე კი მოულოდნელად დამესიზმროს ან ქუჩაში მიმავალს თვალნინ წარმომიდგეს ჩემი მომავალი ნამუშევარი. შეიძლება სულაც გაუცნობიერებლად დავჯდე და დავიწყო მუშაობა. ასეთ დროს თითქოს ვილაც გკარნახობს, ხელს გკიდებს და გაკეთებინებს — ისე, ზოგჯერ გიკვირს კიდევ, რომ ეს შენი ნახელავია.

ახლა ვცდილობ კომბინირებული ტექნიკით ვიმუშაო, რომელიც ასევე ჩემი იქნება, ყველასგან განსხვავებული, ფერწერაშიც მინდა ვცადო, რა გამომივა; პირველი ცდა იქ, უცხოეთში, ძალიან მოენონათ და უფრო სერიოზულად მინდა მოვკიდო ხელი. ჩემთვის თითოეული ნამუშევარი ძალიან ძვირფასია, რადგან კონკრეტულ განწყობილებას ასახავს, ჩემი ცხოვრების ნაწილია, ჩემი განცდება, ხან ძალიან მტკივნეულიც, მაგრამ ესეც საჭიროა და იცით რატომ? ერთხელ ნინო ანანიაშვილმა თქვა:

— თუ ბალერინას ყოველდღე ფეხები არ სტკივა, ესე იგი ცოცხალი აღარ არისო.

ადამიანიც სწორედ თავისი განცდებითაა ადამიანი, და თუ არ გტკივა, თუ ცხოვრება სხეულზე არ გეხება, ვერც შენ არსებობას განიცდი მძაფრად და ვერც ეს გრძნობები აისახება ყველაფერზე, რასაც აკეთებ, — ასე ამბობს ნათია ხორნაული — ცამეტწლიანი განშორების შემდეგ სამშობლოსკენ მომავალს ილიასეული ფრაზით რომ ათროლებოდა გული: ნეტა როგორ შემეყრება ჩემი ქვეყანა და როგორ შევეყრები მე მას, რას მეტყვის ახალს ჩემი ქვეყანა და რას გეტყვი მე მასო, და ჯერ არ იცოდა, რომ ის სამშობლო, ასე მონატრებული, რაღაცნაირი სხვანაირი მაღლით გაუღებდა კარს, სხვანაირად გაუშლიდა მკლავებს, თორემ... — თორემ საქართველოში, რამდენიმე ხნით, ექვსი წლის წინათაც ვიყავი ჩამოსულიო... მაშინაც ეს ნათია გახლდით.

მაშინაც ვცადა ეს ნამუშევრები ვინმესთვის მეჩვენებინა, მაგრამ... ახლა კი თითქოს თავისით იღება კარი ყველგან, თავისით გეხსნება გზა და გიჩვენებს, საით წახვიდეო.

ბათუმში გამართული ემიგრანტების კონცერტის შემდეგ საბანკეტო დარბაზში გამოფენილ მის ნამუშევრებს დიდი ინტერესიც მოჰყვა და ავტორიტეტულ ადამიანთა ალტაცებული შეფასებანიც;

მერე საპატრიარქოს სატელევიზიო არხზეც მომზადდა გადაცემა. საინტერესო გეგმებიც გამოიკვეთა, ოღონდ... ჯერ არ გვიმხვდეს. სამაგიეროდ, იმას ამბობს, რომ ღმერთი სწამს; რომ ხშირად ლოცულობს; და ხანდახან ჩურჩულით სთხოვს კიდევ რაღაცებს.

მერე კი... ისეთი უცნაური რამეები ხდება მის ცხოვრებაში... დამთხვევები არ უნდა იყოს, ნამდვილი ღვთის წყალობააო. ასეთ წყალობად მიიჩნევს თავის დროზე გია ბულაძესთან შეხვედრასაც, სრულიად შემთხვევით რომ გამოლაპარაკებინა ერთმანეთს, მას კი გზაც გაუკვალავს უჩვეულო ტექნიკით შესრულებული ნამუშევრების ავტორისათვის და გამოფენის გამართვაშიც დახმარებია.

— მაშინაც ეს ნათია ვიყავო, მაგრამ... იქნებ მაშინ მისი სამშობლო იყო სხვანაირი — 90-იანი წლებით ნაირევე ქვეყანასა და ადამიანთა გულებში ჯერ კიდევ არ შემშრალიყო, ჯერ კიდევ არ შედედებულიყო შეგუბებული სისხლი. იქნებ ნათია ხორნაულიც სხვანაირი იყო მაშინ, რაკი ასეთი სიმძაფრით ჯერ არ ეგრძნო, ჯერ არ სტკენოდა „სამშობლოს განცდა გასაკვირველი“.

ახლა კი... — ალბათ ყველაფერს თავისი დრო აქვსო, — და ღვთის წყალობად მიიჩნევს საქართველოში დაბრუნებასაც — სადაც ხელცარიელი არ ჩამოსულა, თავისი ნამუშევრები, გეგმები, ენთუზიაზმი და დიდი ნოსტალგია ჩამოიტანა — და ამ უჩვეულო გამართლებასაც, თუმცა... კაცმა რომ თქვას, ასეთი მოულოდნელობანიც ხომ არ არის უცხო მის ცხოვრებაში, გაუხეხნავ, ფაფარაშლილ ცხენს რომ დამსგავსებია... და მირბის, მიაფრენს უგზო-უკვლოდ... ახლა უკვე მის სამშობლოში... მის დროში...

მისი წილი ცისა და მიწის ქვეშ განათებული მწვერვალებისკენ.

ნინო ვახანია

# ერთი მართალი კაცის მაღლით


ზურაბ კანდელაკის „უძრავი ქარი“ ძალიან ძნელად, მძიმედ საკითხავი ნიგნია. ყოველი ეპიზოდი, ყოველი პასაჟი დაფიქრებას, ანალიზს ითხოვს და გულისგამხეთქავ გრძნობებს წამოშლის, ძალიან მძიმე ასოციაციებს იწვევს. ეს არ არის რომანი ჩვეულებრივი გაგებით, კომპოზიციურად შეკრული, სიუჟეტის განვითარებაზე აგებული. სიუჟეტი საკმაოდ მკრთალია და მკითხველის გონებასა და ემოციების კალეიდოსკოპური თხრობის თითოეული ნატეხი ისე იპყრობს, როგორც მთელი, დამოუკიდებელი ნაწილი. მთლიანად რომანიც ხომ ერთი ნაწილია ავტორის მთელი შემოქმედებისა.

დასაწყისშივე ჩნდება ხატება ქრისტიანობისთვის პირველი მონამისა, სტეფანესი... „და გაიყვანეს სტეფანე ქალაქგარეთ და ქვები დაუშინეს“... და იმის მერე (თუ მანამდეც) სულ ქვები უშენენ ადამიანები ყველაზე კარგს, ლამაზს, კეთილს, ჭკვიანს, ზნეობრივს... მასისგან სიკეთით გამორჩეულს.

რამდენი ამბავი ეწვნის ერთმანეთს ამ რომანში. მკითხველს კი გადასვლა ერთი ეპოქიდან მეორეში სულაც არ უჭირს. იმიტომ, რომ ადამიანური ბუნება არ შეცვლილა მისი გაჩენის დღიდან და ქრისტეს პირველმონამენი თუ სულ ახლახან დახვრეტილი ერთნაირად აღლვებენ მთხრობელსაც და მსმენელსაც.

„თვითმფრინავის ბიჭების“ ტრაგედიას უჭირავს მომეტებული ადგილი რომანში. თავისუფლების წყურვილისთვის დახვრეტილი ახალგაზრდების წინაშე თავს დამნაშავედ უნდა გრძნობდეს ყველა პატიოსანი ადამიანი. „ცოდვილების ქვეყანაში ცოდვას ვერ გაექცევი“. სწორედ იმიტომ, რომ მაშინ არავის შეეძლო მათი გადარჩენა, შებრალება, საბჭოთა რეჟიმის რკინის მარნუხებში მოქცეულ ქვეყანაში არავის შეეძლო სიმართლის თქმა, თუნდაც უშედეგო პროტესტის გამოხატვა. სწორედ ამიტომ ჩართია ყველა ცოდვის მორევმა. ოღონდ საკუთარი ცოდვა ვის გაცნობიერებული აქვს, ვის — არა. და მათაც, ვისაც სინდისის ხმა მიუჩრებელი აქვს, ვინც ზუსტად იცის, რომ მაინც ვერაფერს შეცვლიდა, ვინც იმდენად შორს იყო იმ ამბისგან, რომ კარგად არც გაუგია, რა მოხდა... მერე გაჩენილთ ამქვეყნად სულაც სულს გაუყინავს გარდაცვლილის აჩრდილის აღსარება: სიკვდილის წინ ჯალათს ტურტილიან ფეხებს ვუკოცნიდი, ვთხოვდი, სულ ერთი წუთი ეცლია, გახვრეტილი თავის ქალა ახლაც მტკივა, აბა, ნახე, რამხელაა, მუშტი ჩატევეაო, — და აქ ლოგიკურად, დაუძაბავად, თავისთავად გაგახსენდებათ ჰამლეტი და მის წინაშე წარმოქმნილი დილემა: იძიოს შური თუ არ იძიოს? (ჰამლეტი რემინისცენცია რამდენჯერმე შემოდის ამ რომანში).

„ცოდვილებს უნდათ, რომ რაც შეიძლება მეტი ცოდვილი იყოს მათ გვერდით“ — რა თქმა უნდა, არც განსხვავებული აზრის გამოთქმის უფლებას მისცემენ ვინმეს, არც საკუთარი ნამოქმედარის სისწორეში დაქვევების უფლებას. მეტიც, მთელმა ქვეყანამ ერთპირად უნდა დაუდასტუროს, რომ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება აღსრულდა. ვის შეაწუხებს მსხვერპლის გატანჯული სული? ვინ აიტკივებს აუტკივარ თავს?... მაგრამ თურმე თუ ერთხელ გამოიღვიძა ადამიანში სინდისის ხმამ, იმას უკან ვეღარ ჩააბრუნებ. როგორც რომანის პერსონაჟი ამბობს, მონატრება სცოდნია აუტკივარი თავის ატკივებას. ვაჟა-



ფშაველას „სინდისში“ დახატულია აპოკალიფსური სურათი უღვთოდ, ანუ სინდისის გარეშე დარჩენილი კაცობრიობისა...

როგორც მოგახსენეთ, ეს გახლავთ რომანი ეპიკურობის გარეშე, აქ არ არის სიუჟეტის თანმიმდევრული, ტრადიციული განვითარება. თხრობა ერთი ამბიდან — ვთქვათ, თვითმფრინავის ბიჭებიდან — გადადის, უფრო სწორად, ერევა სულ სხვა ამბავს — ვთქვათ, ომს აფხაზეთში. წყნარი, ბროლივით გამჭვირვალე... ფეხდაუკარებელი თოვლივით სუფთა ზღვა ისჯება,

ჰო, ზღვა ისჯება ცოცხალი ადამიანით. სტეფანე ჩაქოლეს, ბიჭები დახვრეტიეს, ზღვა, გაუკვალავი თოვლივით სუფთა ზღვაც ნაბილწეს, შერყენეს, ომში მოკლულ ადამიანთა ცხედრებით გაავსეს, კაცისკვლა დაანახეს მანამდე ამის უნახავსა და შეუჩვენეს...

ქარიშხალში მოხვედრილ ბელურას ჰგავს მარი — სინმინდე, სინათლე, იმედი ბნელში, წყვილიაღში, გილიოტინებდა, სახრისობელეზად ქცეულ ყოფილად. ოცნებისა და თავისუფლების სიმბოლოა ანაც — ანა და ზღვა.

ჯანღონით საცხების ჯანმრთელი კუნთების ამოქმედებას რომ წინასწარმეტყველებს მწერალი, ჯერ არმოხდარსა და უკვე მომხდარს ერთად ხედავს, მომავალსაც გვითვალისწინებს. სტენდალის ჟულიენ სორელივით თეთრი პერანგითა და ამაყად თავანუულს სურს რომანის პერსონაჟსაც ეშაფოტისკენ წასვლა, მაგრამ სადაღა განთიადი, რომელიმე

უქრარ ფილიპის გმირი შეჰყურებს? საბჭოთა ეპოქაში თავისუფლების სურვილისათვის დასჯილთ ეშაფოტი და გილიოტინა კიდევ ენატრებოდათ, თუნდაც ერთი წუთი ჰქონოდათ, რომ უკანასკნელი სათქმელი ეთქვათ, ამაყად თავანუულნი შეხვდებოდნენ სიკვდილს, მაგრამ სად იყო სახალხოდ გმირული სიკვდილი?

ჯურღმული, სარდაფი, დამნაშავედ გამოცხადება, ადამიანის მიჩრევა ხის ნაფოტად. მწერლის საწუხარი კი ისაა, სტეფანეს წამებთან მოყოლებული (თუ უფრო ადრიდანაც) ყველა წამება-დახვრევა-განადგურებას ბანს ხომ მე ვაძლევდი, მეო! „ჩვენც ხომ იქ ვიყავით, ჩვენც ხომ... მეც!.. შენც!.. ყრუ-მუნჯებივით ვისხვდით და ერთადერთი იმით ვიმართლებდით თავს, რომ სხვებივით ტაშს არ ვუკრავდით, ოღონდ იმისი გვემინოდა, ვინმემ არ დაგვინახოს და ამბავი არ მიიტანოსო“...

რომანი თავისებურად, ორიგინალურადაა დაბეჭდილი. მუქი შრიფტით აწყობილი წინადადებები სიმბოლურ, სათქმელის შემაჯამებელი და, ამდენად, მეტად საყურადღებოა. თუმცა, რა თქმა უნდა, ყველა ნაწილი მნიშვნელოვანია. საერთოდ, ამ ნიგნს ყველა თავისი გამოცდილებისა და ცოდნის მიხედვით ალიქვამს, გაიცნობიერებს და შეაფასებს (ანკი რომელი ნიგნია არ მოითხოვს მკითხველის მხრიდან გარკვეულ გამოცდილებას). ზოგი მინიშნება ძალიან გამჭვირვალეა, პერსონაჟები ჩვენთვის ნაცნობი პიროვნებანი არიან, ზოგის ამოსხნა იქნებ მარტო არც იყოს, მაგრამ საესებით ნათელი და გასაგებია მწერლის განწყობა და დამოკიდებულება ძალმომრეობის, უტიფრობის, ცინიზმის... მიმართ.

ქარი კი, ეს მრავალგანზომილებიანი მეტაფორა, რომანის სათაურის მიხედვით, უძრავია. ანუ: „რაც ყოფილა, იგივე იქნება და რაც მომხდარა, ისევე მოხდება. არაფერია მისი ქვეშ ახალი“.

იმით დავამთავრებ, რითიც დავინწყე: ეს რომანი ფრიალდ დამაფიქრებელი, ემოციურადაც და გონებით აღსაქმელადაც ძნელი, მრავალპლანიანი, მძიმედ საკითხავია, მაგრამ სიმძიმე — ღრმაზროვნება — საბოლოოდ გვაფიქრებინებს იმასაც, რასაც მათა ჯალიაშვილი ასე კარგად აყალიბებს თავის შესანიშნავ წინასიტყვაობაში: „მკითხველს მაინც რჩება განცდა სიყვარულისა და სინმინდის გადარჩენისა“.

„ერთი მართალი კაცის მაღლმა... შეიძლება კაცობრიობის ცოდვები გადაწონოს და სამყარო აღსასრულისკენ იხსნას“ (მაია ჯალიაშვილი).

ნონა კუპრეიშვილი

# სად მიდის ალისა?

**(ლია ლიქოკელის  
პოეტური კრებული  
„დავის ცოლის სიცილი“ გამომცემი)**

თანამედროვე პოეზიისადმი სკეპტიკურად განწყობილ მკითხველსაც კი, ლია ლიქოკელის წიგნის სახით, საკუთარი შეხედულებების გადასინჯვის რეალური საშუალება ეძლევა. საქმე გვაქვს არა მხოლოდ ერთი კონკრეტული პოეტის თვითრეფლექსიასთან, მის მიერ სამყაროს დაშლისა თუ სამყაროსავე ნატყვენის შეკონინების მორიგ მცდელობასთან (რაც თავისთავად მნიშვნელოვანია, თუმცა ნაივური და გარკვეულ უპასუხისმგებლობასაც შეიცავს), არამედ ესაა საყოველთაო დეფორმაციის დესტრუქციულ ველში, ფაქტობრივად, უდანაკარგოდ თუ უვნებლად გაღწევისა და ამ უნიკალური გამოცდილებით სრულიად ახალი, აქამდე, შეიძლება ასეც ითქვას, აუთვისებელი (ჩვენს გარემოში მაინც) და ამდენად შიშისმომგვრელი პოეტური სივრცის შექმნადემონსტრირება; კითხვისას იმგვარი შოკი აღიძვრება, რომლის მსგავსი თეთრი კურდღლის კვალდაკვალ მორბენალმა და ბებერი ხის ფულუროში გაუჩინარებულმა ამქვეყნად ყველაზე ცნობის-მოყვარე გოგონამ, ალისამ, თუ განიცადა. სხვა სიტყვებით, ლია ლიქოკელთან მოწესრიგება-განწესრიგების პრინციპი, ლუის კეროლის მსგავსად, სრულიად მოულოდნელ შედეგებს იძლევა.

კეროლის ცნობილ პერსონაჟთან ასოციაცია არც შემთხვევითი ყოფილა და არც ნაძალადევი. კარგად ვიცით, ამ ავტორის მიერ ბავშვებისთვის შექმნილმა გამორჩეულად არაბავშვურმა წიგნებმა — „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ და „ალისა სარკის-მიღმეთში“ — თავისი უჩვეულო სტრუქტურითა და არატრივიული განზოგადებებით, ექსტორიანული ეპოქის დასასრულსა და მოდერნისტული ხელოვნების განვითარების საწყის ეტაპს დაუდო საფუძვლი. ჩვენს სინამდვილეში კი (ამასთან თუ გავითვალისწინებთ უკანასკნელი საუკუნენახევრის ქართული კულტურული ცხოვრების განვითარების თავისებურებებს) XX საუკუნის 90-იანი წლებიდან ე. წ. „რისკის პოეზიის“ მიერ რეალობის დახლეჩის შემდეგ აუცილებლად უნდა დამდგარიყო „დარღვეული კავშირების ახლით შევსების“ პერიოდიც. ვფიქრობ, სწორედ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ წინამდებარე კრებული და ზემოთ ნათქვამი შემდეგნაირად განვავრცოთ: ლია ლიქოკელის პოეტური ენერჯია (სწორედ ამ ენერჯიის ყოვლის-მომცველობაზე ამახვილებენ ყურადღებას მისი პირველი რეცენზენტებიც) თანამედროვე ქართული სალექსო ფორმის, მისი, ასე ვთქვათ, „ტიქნოს“ ათვისებისა და ამგვარი ნოვაციის მაპროვოცირებელი თეორიული საფუძვლების პოპრეცეფციის ფონზე, სრულიად სხვა ხარისხის მოვლენად გვესახება.

გუნოდოთ ამას თუნდაც ახალი პოეტური აზროვნების, „საკუთარ თავზე მოსაუბრე ლიტერატურის“ აქ და ამ პირობებში ხელშესახებად აკუმულაციების, ადაპტირების, გნებავთ, გაქართულების ტენდენცია.

ამგვარ განაცხადს „დევის ცოლის სიცილი“, შესაძლოა, ავტორისგან სრულიად დამოუკიდებლადაც კი აკეთებდეს, რადგან თითქმის შეუძლებელია თხზვის პროცესში პოეტის მიერ ასეთი გათვლები, ანუ პროცესი ბუნებრივია, მომნიშვნელოვანი და, შეიძლება ასეც ითქვას, მკითხველის მოლოდინით გამართლებული. ამიტომაც ეს გარღვევა უკვალოდ ვერ ჩაივლის და მას, როგორც მნიშვნელოვან ლიტერატურულ მოვლენას, ენაში კიდევ უფრო ღრმად შეღწევის, მისით თამამი და გონივრული ოპერირების ნიმუშს, სხვა ტიპის კულტურულ ცვლილებათა გრძელი შლიეფიც კი უნდა მოჰყვეს.

ეს მოსაზრება ძალიან შორს ნასული ამჩატებული მიმომხილველის პროგნოზად რომ არ მიიჩნით, ვეცდები ჩემი არგუმენტები წარმოგიდგინოთ: ჯერ ერთი, ამკარაა არა ეპატაჟური პოეტური აზროვნების თვითმიზნურობა (მსგავსი რამ ბევრჯერ ვნახეთ და ვინწინეთ კიდევ ამგვარი კითხვის უნაყოფობა), არამედ ის, რაც ყველაზე ძნელად მიიღწევა ხოლმე — ქართული, და არამართო ქართული, პოეტური ტრადიციისა და ინდივიდუალური გამოცდილების ორგანული შერწყმა, მათი სინთეზირება (ამიტომაც შემოდის ტექსტში ე.წ. ფოლკლორული დრო, თუმცა ამაზე ქვემოთ); გარდა ამისა, ესაა ნონსენსურ პოეზიასთან (რომლის წარმოშობას, სხვათა შორის, XIX საუკუნის ინგლისს, კერძოდ კი ედუარდ ლირსა და ლუის კეროლს მიაწერენ) მიახლოებული „ლოგიკური ალოგიკურობა“, რომელიც, მიუხედავად სრულიად უჩვეულო პოეტური ინტელექტისა, არ სცილდება პოეტური თამაშის დადგენილ ნორმებს, და არა ამ ნორმების უგულვებლყოფით, არამედ მათი რეინტერპრეტაციის თავისთავადობითა და ორიგინალობით გხიბლავს; ამასთან უაღრესად თანამედროვეა, რადგან არა მხოლოდ მინიერი ან თუნდაც მხოლოდ ზეციური, არამედ — არც მეტი, არც ნაკლები — პლანეტარული აზროვნების (ეს ჰაიდგერის დეფინიციაა და ამასაც ორიოდ სიტყვით შევხებით) ნაყოფია, რომლის უტყუარი ნიშნებითაც თავის დროზე მარგინალიზებულ იქნა ნიკო სამადაშვილის პოეზია.

და კიდევ: კრებულში ყოველი ლიტერატურული ნაწარმოების უმნიშვნელოვანესი კოორდინატების, დროისა და სივრცის, სრულიად განსაკუთრებული და უკიდურესად რთული, თუმცა მხატვრულად გამართლებული, ორგანიზება დემონსტრირებული. თანაც ყოველივე ეს საგნების (სტუმრად მოსული სახლი; ფრთებგამოსმული ლომი; ქარებს გამოცეცილი ბაბუაწვერები; გულაჩუყებული ფინჯანი, რომელსაც გაჩენილი ცხვარი ახატავს; მატყუარა კატუსები; უდემამო კენჭები; პატრონთან გაბუტული ფეხსაცმელები და სხვ.) ძველი მნიშვნელობების დაუცხრომელი რღვევითა და სიტყვიერი თამაშებისადმი (აქ აქცენტი კიდევ ერთხელ უნდა დავსვა) ბუნებრივი მიდრეკილებებითაა გამყარებული.

ამიტომაც განწყობილებანი დისკრეტიულად მჟღავნდება, რაც ტექსტს მონოტონურობისა და ერთფეროვნებისაგან ათავისუფლებს.

ინგლისელი ელისაბედ სოული, ლუის კეროლის შემოქმედების ერთ-ერთი მკვლევარი (მეტად საგულისხმოა აგრეთვე რუსი ლიტერატურათმცოდნის ნინა დემუროვას ანალიზიც), იმონემბს რა ვალერის სიტყვებს: „ნებისმიერი წარმოდგენა საგნებზე, რომელიც უცნაური არ არის — არასწორია... ფილოსოფიურად აზროვნება ნიშნავს დაბრუნებას ჩვეულებრივიდან უცნაურისკენ და ამ უცნაურობაში რეალობასთან შეხვედრას...“

— სწორედ ნონსენსის, როგორც ლიტერატურაში და ლიტერატურისთვის შექმნილი ინტელექტუალური თამაშის არის წარმოაჩენს.

ლია ლიქოკელის პოეტურ კრებულშიც რაღაც ამის მსგავსი ხდება. მჟღავნდება სიტუაციის ორსახოვნება, თუმცა არა „რღვევა რღვევისთვის“ სახელით, არამედ ახალი აზრობრივ-ემოციური ავტონომიურობისთვის. მართალია, ნონსენსი იცინის, მაგრამ ამ მოჩვენებით ზედაპირულობასთან ერთად მას გააჩნია სერიოზული დამანგრეველი მუხტი (ედუარდ ლირისა და ლუის კეროლის შემთხვევაში ეს იყო „ბურჟუაზიული რეალობის მკვეთრი მიუღებლობა, მისგან ენერგიული და არაორაზროვანი გამიჯვნა“). ლია ლიქოკელიც უსახურობას, მემჩანაურ-მომხმარებელურ თვით-კმაყოფილებას (და მერე როგორ გაკომპიავენ და დაგლამურდნენ დღევანდელი ჩვენი „მემჩანები“), „ოთხი კედლის გონივრულობას“, ადამიანთა გულგრილობას, მათ თვალახელილად ძილს უარყოფს. საყოველთაოდ აღიარებული მორალური კლიშეების რღვევისა და მორალისტური ლიტერატურის ამობრუნების სურვილიც ამ დამოკიდებულების ერთ-ერთი ძლიერი ინგრედიენტია: „...გაბრძნობი, რომ მეტად აღარ გადავდებ/, ხვალვე ჩავენერები გამძლე, კომფორტული სხეულის რიგში/, ხვალვე შევიძენ ყველა საჭირო უნარ-ჩვევას/, შევიკერავ ოდნავ ფრიალა, მოხდევ-

**ნელ ჩრდილს,/ დავიციეხვებ ხავსისა და გველებს ენას,/ საგულდაგულოდ ჩამოვიბან განსხვავებას,/ შენიდან ჩემ დაბადებამდე და გავფრინდები...**

ეს დაპირება პოეტის მიერაა მოცემული და ამიტომაც, საბედნიეროდ, მხოლოდ მისი შეუძლებლობის დადასტურებას ემსახურება.

კარი (კარები), რომლის გავლითაც ახალი ალეთა (ბერძნ. ქვემარტივება) მიიღწევა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით არ არის გამოყენებული არც ალისას ზღაპარში და არც ლია ლიქოკელის პოეზიაში, თუმცა ორივეგან ფიგურირებს, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია, როგორც ღრმა ადამიანური აზროვნების განუყოფელი ელემენტი. ლექსში „ნასვლა“ კარი სანაპიროს, რომლის უკან სხვა სამყარო განოლიდა და მასში გადაბიჯება, მითუფრო მისი ათვისება, გინდა-არ გინდა, გარკვეულ სიამაღაცეს მოითხოვს. ასეთ დროს შეყოვნება საკუთარ თავთან საბედისწირო განშორებასაც კი შეიძლება მოასწავებდეს. ამიტომაც ასე მიმართავს წინასიტყვაობის ავტორი, თვითონაც პოეტი მარიამ ნიკლაური, კრებულის ავტორს: „ადვილი როდია ამხელა გარჯა აიძულო შენს სულსა და გონებას, ამხელაზე გაანვდინო პოეტური გონი, ამხელა კავშირები იგრძნო და ააფლერო. ღმერთმა ძალა მოგცეს, ლიქოკელო!“

ერთ დროს ბეჯითად გვასწავლიდნენ: ქაოსის დამწყნარებელი ხელოვანი და ხელოვნება, მაგრამ ახლა ილუზიების დრო გამქრალა და ქაოსი ლამის თვით პოეტის ბაგეებით მეტყველებს. ამიტომაც საზღვრის (გნებათ, კარის — როგორც უნივერსალური არსის) შეგრძნება, შეგრძნება იმისა, რომ „თითოეული ჩვენგანი კარებია, რომელსაც სამყაროში, სამყაროებში გავყავართ“, ახლა თვით პოეტში, შესაბამისად კი — ჩვენშია საძიებელიც და დასამკვიდრებელიც: „...ხომ შეიძლება, ძილის იმ მინდორზე მოვხვდე,/ გავიძიებ ნაპირები რომ არ აქვს და უკან ველარ გამოვიდე? არადა აუცილებლად უნდა ვიპოვო ჩემი ყვითელი აქლემები,/ თორემ ძალიან მეუცხოვება ჩემი თავი...“

გახსოვთ, ალბათ, როგორ არის ამოტრიალებული დრო-სივრცის გაგება ალისას სარკისმილმეთში. თეთრი დედოფალი საუბრობს „ხვალეზე“, რომელიც ვერასოდეს ვერ გახდება „დეეს“. ალისას შენიშვნაზე: მე არა მაქვს ისეთი მესხიერება, რომ გამახსენდეს, რაც ჯერ არ მომხდარაო, თეთრი დედოფალი პასუხობს: არც ისე კარგი მესხიერება გქონია, რადგან ყველაზე უკეთ სწორედ ის უნდა გახსოვდეს, რაც ორი კვირის იმდენგ მოხდება... და საერთოდაც, შენ უბრალოდ შეუჩვევლი ხარ (იმოდრო) (იმოდრო) საპირისპირო მხარეს, რადგან უმრავლესობის მსგავსად თავბრუ გეხვევაო.

ლია ლიქოკელი ყოველგვარი თავბრუსხვევის გარეშექმნის „დროს, რომელიც საკუთარ თავს უსწრებს“ (ვირჯინია ვულფი). ყველაფერი, რაც ხვალ იქნება, ზედმინეწითი სიზუსტით, ზოგჯერ კი შემადრწუნებელ დეტალებამდეც კი ახსოვს. ერთი მხრივ, ემიჯნება კიდევ დრო-სივრცის ტრადიციულ გაგებას („ჩემ საყვარელ ყვითელ მაჭკატებს ვილა გამომიცხოხ-მეთქი?/ ასე მოვთქვამდი რამდენიმე ძილის დღე,/ აქაური დროით არ ვიცი, რამდენი ხანი გამოვა“), თუმცა ეს უფრო, როგორი სიზუსტითაც შენიშნავს მარიამ ნიკლაური, „საკუთარი ხსოვნის კუდისთვის პირის ნაველების“ მცდელობის წინაპირობაა, მთლიანობისკენ სწრაფვის თუ თავად მთლიანობის გამომხატველი დაგორგლილი გველის სიმბოლიკის ვერბალირებას რომ წააგავს. ფაქტობრივად, ისაზღვრება დაუსაზღვრავი, მიაქციეთ ყურადღება, არა დაბრკოლებებისთვის თავის არიდებით ან მითუფრო, მათი ფსევდოპოეტიზირების გზით (ვემიჯნები მოწუნუნე პოეზიას), არამედ წინააღმდეგობის განვივის ახალი ფორმების, ახალი პრაქტიკების მიგნებით.

მსგავსი მისწრაფება არც ისე ხშირია და პოეტური ფანტაზიის (შესაძლოა ასეც ითქვას, რეალობის) ზღვარზე დგომას



მოითხოვს. ამ პროცესის შედეგები კი, როგორც წესი, ძნელად პროგნოზირებადია: „ღია ფანჯარაში ჩამოიკიდა თავი,/ გაიბერა, გასივდა და სილურჯე შეეპარა ლაბაბიდან./ — გადააგდეგ მთვარე, ხომ ხედავ, რომ აყროლდა! — მიყვირი./ — ჩემი საყვარელია, — ვჩურჩულებ მე, — / ჩემი საყვარელია.../ საწოლთან მიყუდებული თოფი მიუშვირე და ესროლე./ ჩამოვარდა და გასკდა./ — აჰა, ჭამე და ჩაიცვი! — მომიგდე და გადაბრუნდი./ მე გავაჭყავე და შემოვიცვი, როგორც სიშიშვე. გამოვშიგნე, მაგრამ მკვდარი მთვარის ნაწლავები საქმელად უკვე აღარ ვარგოდა. /დავარწიე და დავაძინე მძიერი სიყვარულის გველები...“

ხომ ამის მსგავს და ამაზე საზარელ ხილვებს გვთავაზობს დღევანდელი ლიტერატურა (და, ცხადია, პოეზიაც), თუმცა ის უფრო მეტად სიურრეალისტური ფიქსის სიბლანტეში ცდილობს მკითხველის ჩათრევას ისე, რომ სულ არ აინტერესებს მისი შემდგომი ბედი. ლია ლიქოკელის კრებულში თავმოყრილ ლექსებში კი ამ სიბლანტეს მყარი ფორმა მიუღია და ხალხური პოეზიითა და ძალადობისგან გათავისუფლებული ენით ჩაკირულა (ესეც ცალკეა საძიებელი, საიდან ასეთი ენა ძალადობის მესხიერებით ტრავმირებულსა და ფრაგმენტირებულ ქართულ კულტურულ სივრცეში). მწერალი მიხო მოსულიშვილიც საგანგებოდ სწორედ ამაზე მიანიშნებს პოეტს: „...დღი ენერგიაა აქ ჩადებული, თავისთავადია, ძველიც არის და თანამედროვეც... არავის არ ჰგავს და მაგარია“. ამიტომაც შემოდის და ბუნებრივად მყოფობს „დევის ცოლის სიცილიში“ ის ე. წ. ფოლკლორული დრო, რომელიც ყველასა და ყველაფრის (განსაკუთრებული სიცხადით კი ეს პოეზიაში ვლინდება) მარადგანახლების ექსტრაბატს შეიცავს. ნინა დემუროვაც ამასვე წერს: „ფოლკლორული დრო, რომელიც პირველადია ფოლკლორულ სივრცესთან მიმართებით, ერთი განსაკუთრებული თვისებით გამოირჩევა: ის კიდევაც მიედინება და ამასთან კვლავ და კვლავ ახლდება, რითაც თითქოს ბუნებისა და მის ნიაღში განვითარებული მოვლენების მარადიულ წრეში ტრიალს ააშკარავებს...“

ამავე მიზეზით ლია ლიქოკელის მიერ გამოხმობილი დევები, უკბილო დათვები, მჭედელ-სამჭედლოები, სიკვდილის პატარძლები, ზღურბლზე ჩამოშვდარი პირში ყალიბგაჩრილი ბების ბებიან, ყურძნის მძივითა და ჭრელი გველის მანათობელი კვრცხით დამშვენებული — ქმნიან არა ქტონურ სამინელებას, არამედ წარმოაჩენენ ყველაფრის და მასთან ერთად თვით ხელოვნების არსებობის გამამართლებელ იდეას — სამყაროს მარადიული (ვიტყოდი, მოუღალავი) ვარირების უნარს. სწორედ ამ დომინანტურ კონცეპტს ლოგიკურად ებმის სახლის, როგორც საცხოვრისის, როგორც „პირადი ცხოვრების მქონე ბავშვობის“ მესხიერების შემნახველი ადგილის ლიქოკელისეული გააზრება: „მოძრაობა სახლიდან სამყაროს უბინაობამდე“ (ჰაიდდეკერი), ანუ ბავშვობიდან, როგორც წინააღმდეგობის უნოდებას, ვინმეობისკენ: „...უნდა იცოდეს, რომ ახლა ყველა დამევერმოსული გაზაფხულის ღამეა — / ჩემს თავში ვზივარ, როგორც ბნელ, თვით გამოტენილ საბძელში,/ რომელიც ყოველდამ კრუნჩხვითა და ტკივილით მშობიარობს, / და მეშინია, რომ ერთხელაც იქნება, ისეთს გადმომისვრის, / ველარ მიცნობ...“ გადმოღვრაც იმ ჩარჩოებიდან, რომელიც მოაზროვნე ადამიანს თავისი წარმომავლობით, სახლით, წინაპრებთან კავშირითა და ისტორიით ეძლევა, მკითხველთა იმ კატეგორიისთვისაც ხდება გასაგები, ვინც ჯერ მხოლოდ ამ ყველაფრის შეცნობის საწყის ეტაპზეა, ანუ ახალგაზრდებისთვის.

ყოველმა მეტად თუ ნაკლებად ღირებულმა ხელოვანმა, თუკი გონივრული თვითგანსჯის უნარს არ არის მოკლებული, კარგად



იცის საკუთარი თავის ფასი. ლია ლიქოკელიც, ცხადია, ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს. თუმცა ცოდნაცაა და ცოდნაც. გრძნობს რა პოტენციური მკითხველის ძლიერ ემოციურ გამოძახილს, იგი ხშირად დაბადებისა და ვერდაბადების, იგივე, შედგომისა და ვერშედგომის მისტერიას წარმოსახავს. ლექსებში „შენ რომ დედაჩემი არ იყო“, „მინდა დედაჩემი გათხოვდე“, „მოგესალმებით, ქალბატონო თამარ“ პოეტი ცდილობს გაანელოს მშობლის განგაში შვილის გამო, რომელიც არათუ სხვებს არ ჰგავს (ეს პრობლემის მარტივი გადაწყვეტა იქნებოდა), არამედ პასუხისმგებლობასაც კი ვერ იღებს იმაზე, რომ მინიდან გასული სხვა სუბსტანციად არ გარდაისახება, უცებ ფრთებს არ გამოისხამს და არ გაფრინდება: „...შენ რომ დედაჩემი ხარ, თითქმის ვხვდები./ როცა გადასაყრელად გამზადებულ დაფლეთილ ჩემს თავს / ხელელებში იგროვებ / და ბეჭებზე გაჩენილ ორ გრძელ ჭრილობას / მიმუშავებ სპირტი და ოლით...“ საბედნიეროდ, ამ შესაძლებლობებთან ერთად იკვეთება პოეტის უფრო „პრაგმატული“ პოზიცია, რომელიც შემოქმედისა და კონკრეტული აუდიტორიის ურთიერთობას გულისხმობს. აქ კი აუცილებლად უნდა ვახსენო ვაჟას სახელი, რადგან იგი აქამდე ნათქვამში ისედაც იგულისხმებოდა. გარდა ამისა, ლია ლიქოკელის „ლექსები დაქვსოვე“ სწორედ ვაჟასეული „სიტყვა გადავადე ერმის“ გამოძახილად მივიჩნე. საამისო წინაპირობა კი, ვფიქრობ, იყო და არც იყო, რადგან აქ თემა თითქოს ნაცნობია, მაგრამ გადაწყვეტაა სრულიად ორიგინალური: „ლექსები დაქვსოვე. თბილები./ ყელიანები და უყელოები./ ამოკერებული და მივიანები./ ნაჭრელიანები და უფეროები./ მერე განიერ მინდვრებში გავუშვი / ხმელ ბალახების საშრიალებლად, და თივის სუნის მოსაგროვებლად./ ის ცელქები კი წავიდნენ და/ მთელი დღე მზეში იკოტრიალეს./ მზეშესრუტულები./ ქუსლდახვრეტილები, / ყელჩარღვეულები / დამიბრუნდნენ საღამოს სახლში...“

ლია ლიქოკელის პოეტური კრებულის გაცნობისას ორი ძირითადი შეკითხვა გამოიკვეთა: პირველი — სად მიდის ალისა, რომელიც „დევის ცოლის სიცილით“ დაწყებული გზის შემდგომი განვითარებისადმი ინტერესსაც გულისხმობს. და მეორე — რა დროა ახლა? კითხვა, რომელიც დიდი სისწრაფით მიმავალ ექსპრესიში ჩათვლემილ და უეცარი დამუხრუჭებისგან გამოფხიზლებულ მგზავრს უჩნდება.

ამ შეკითხვაზე საპასუხოდ, ვფიქრობ, უადგილო არ იქნება ფიზიკოსების მიერ სხარტად ფორმულირებული ერთ-ერთი მოსაზრების პერიფრაზი გამოვიყენო და ჩვენს ავტორს ასე მივმართო: ახლა სწორედ ის დროა, რომ იყო პოეტი.



## გაბრიელ ჯაბუშანური ბარათი სვთისო ნიკლაურს

ძმომ ხთისო!  
ეს წერილი შენს მიმართ არის დაწერილი და მე მას ჩემი ლექსების რვეულს ვურთავ თან.

ამ ლექსებიდან შენ რამდენიმე უკვე იცოდი და ახლა მთლიან რვეულს გაძლევ ნასაკითხად.

ეს ასთექსმეტი ლექსი ყველა მზექლისადმი (ანუ იგივე ხორასადმი) მიძღვნილი. მე ამ ლექსებში შეძლებისდაგვარად გამოვთქვი ჩემი დიდი სიყვარული ხორასადმი და დავხატე ჩემი სულის მდგომარეობა.

შენ მეორე კაცი იქნები, ვინც ამ ლექსებს ნაიკითხავს; ჩვენს გარდა ძეხორციელმა არ იცის ამ წიგნის არსებობა და ჯერჯერობით არც საჭიროა ვინმემ გაიგოს. მოვა დრო და ეს ლექსების წიგნი მთელ საქართველოს კუთვნილება გახდება...

მაგრამ ამჟამად მე ეს არ მაინტერესებს: შენ ხედავ, რომ ჩემი სიყვარული უცნაურია და ხევსურული ადათის მიხედვით შეუძლებელიც, მაგრამ სიყვარული უძლიერესი ძალაა ამ ქვეყანაზე და თავის ავან-ჩავანს არავის გვეკითხება; თანაც მე პოეტი ვარ და ვალდებული არა ვარ შევასრულო ყველა ის წესი, რაც რომელიმე კუთხეშია დაწესებული. საერთოდ მწერლებისათვის კანონი ძნელად იწერება. მით უმეტეს, რომ ამ სიყვარულში მე არა ვარ დამნაშავე: ეს რაღაც ჩემდაუნებურად მიხდა და როგორც მესი ისე დამატყდა თავზე.

პირველ ხანებში, როცა ვიგრძენი, რომ ჩემს გულში ხორას სურვილის შხამი გველივით იპარებოდა, მრავალი დამე გავატარე ლოცვაში. ვეხვეწებოდი ჯვარ-ღმერთთ, უშიშასა და ლეოს წმინდა სულეს, რომ თქვენი ხორას სიყვარული ამოგდოთ ჩემი გულიდან. მე თვით ამ ამბის გაფიქრებაც მზარავდა, ვარწმუნებდი ჩემს თავს, რომ ეს შეუძლებელია და სხვა... ასე რომ ერთხნობაზე კინაღამ გავგიჟდი, მაგრამ ჩემს გულს ვერაფერი ვარგე; ვერცარა ჯვარ-ღმერთთ და წმიდა სულემა მიშველეს; ჩემი გრძნობა უფრო და უფრო ძლიერდებოდა და ცეცხლი უმეტეს მეკიდებოდა.

ბოლოს თავი ბედს მივანებე და ვიფიქრე, რომ ჩემი ილბალი ალბათ ასეთია მეთქი. დავიწყე ლოცვა იმაზე, რომ თუ მაინც ესე მოხდა, მაშინ ბარემ ღმერთს ისე წარემართა ჩემი გზა-კვალი, რათა ხორას შევყროდი. მე ყველაფრისათვის მზადა ვარ და ყოველ ცეცხლს წარბშეუხრელად მივცემ თავს.

ეს ამბავი დღემდე გრძელდება და ამ ხუთმეტი თვის განმავლობაში, ვერ გამოვარჩევ ვერც ერთ დღეს, ვერც ერთ ღამეს, რომ მე მზექალზე არ მეფიქროს, რომ მე მზექალზე არ მედარდოს, რომ მე მზექლის ნახვა არ მენატროს და მზექალზე თხოვნით ღვთისათვის არ მიმემართოს...

გაკვეთილი, გამმარტოვდი, გავწერვილდი... ყოველგვარი საქმისადმი ინტერესი დამეკარგა, ყველაფერს ძალისძალად ვაკეთებ, გული მხოლოდ ერთ საგონს, ერთ კითხვას დაუჭერია: რა ვქნა? როგორ მოვიქცე? რა ვუნამლო ჩემს გულს?..

ხალხში დიდხანს ვერ ვჩერდები, ოთახში ვიკეტები... მართლობაც მწყინდება, ისევე ხალხში მივდივარ და დავწრიალებ ასე, როგორც მხეცი ცალიაში...

მზექლის დიდხანს უნახველობას ვერ ვიტან. თბილისში რომ ვიყავი კინაღამ ყველაფერს თავი მივანებე და კინაღამ მთებში გამოვიქეცი, თავი ძალისძალად მეჭირა სანამ საქმეს მოვათავებდი...

ვერც მზექალსთან მყოფი ვსძლებ დიდხანს. ისევე შინ წამოსვლას მანადინებს, რადგან გულს ვერ ვუდგებ: მე რაც

ბატონო როსტომ!

კიდევ ერთი კრებულთა გამდიდრება გამომცემლობა „ინტელექტის“ შესანიშნავი წამოწყება „ჩანაწერები“ — ვგულისხმობ ამირან არაბულის წიგნს „სულუქცევრად საკითხავნი“.

მადლობა ამირანს იქ გაცოცხლებული სევდიანი თუ ხალისიანი მოგონებებისთვის.

„ჩანაწერების“ ერთ-ერთ მონათხრობში საუბარია გამოსაცემად გამზადებულ გაბრიელ ჯაბუშანურის „ერთტომეულის“ შესახებ, რომელიც „ვაი პოეტსა და ვუი პოლიტიკოსს“ შორის გაქრა.

ბედის ირონია — თანამედროვეთა გადმოცემით, სიცოცხლეში ირაკლი აბაშიძე დამუქრებია დიდ პოეტს: „სანამ ცოცხალი ვარ, „ჩრეულს“ ვერ ეღივებო!

ხელენიფებოდა და შეასრულა კიდევ...  
ახლა გარდაცვლილის „ერთტომეული“...

„...ერთადერთი, რის გამოც გულს მაკლია და მეთანადრება, გაბრიელის ვრცელი წერილია, მზექალის ძმას — ახვთ ხვთისოს რომ სწერს და მზექალის მიმართ თავისი წამლეკავი და, ამასთან, ადგილობრივი ადათ-წესებით უკანონო, აკრძალული ტრფილის საიდუმლოს უმხელს... ამ წერილს, ცამ უყო პირი თუ მინამ, ველარსად მივაკვლიე. დაიკარგა, სამუდამოდ (?) გაუჩინარდა...“ — ისაკლისებს ამირანი გაბრიელის წერილს, რომელიც მართლა დაამშვენებდა „ერთტომეულს“.

ბატონო როსტომ, საბედნიეროდ, აღნიშნული წერილის ქსეროასლი სხვა მასალებთან ერთად ჩემთანაც ინახება.

სამწუხაროდ, მე არ ვიცი თუ ამირანს ეს წერილი სჭირდებოდა, ამირანმა კი ის არ იცოდა — ჩემთანაც თუ ინახებოდა.

ფიქრობ, „ჩვენი მწერლობის“ მკითხველებისთვის საინტერესო იქნება გაბრიელ ჯაბუშანურის მიერ ხვთისო ნიკლაურისთვის (მზექალის ძმისთვის) მიწერილი წერილი, რომელიც დღესდღეობით მხოლოდ ვინრო წრეშია ცნობილი.

რადგანაც გაბრიელის სურვილი იყო, ამ წერილის არსებობა დიდხანს მხოლოდ ამ ორმა კაცმა იცოდა.

იქნებ კიდევ ერთი პატივი დასდოს ამირანმა გაბრიელ ჯაბუშანურის ხსოვნას და თუ ოდესმე მისი ლექსებისა და წერილების სრული კრებულის გამოცემაზე იფიქრებს, შეუძლია თქვენს ჟურნალში გამოქვეყნებული ეს წერილიც შეიტანოს სასურველ და აუცილებლად გამოსაქვეყნებელ წიგნში.

პატივისცემით  
ბაბუა ალუდაური

ცეცხლი მწვავს, ის ვერ მითქვამს და მთელი სხეული მეშლება. წამოვალ შინ და ისევ მზექლის ნახვას ვნატრულობ. მე ფარვანას ვგავარ, — ხევსურები რომ სულის პეპელას ეძახიან: ეძახება სინათლეს პეპელა, მიფრინდება ალთან და ფრთები ეტრუსება... შორდება სინათლეს, რომ მერე ისევ ლამფას ეცეს და ხელახლა ფრთები დაინვას...

შენ ხედავ, ძმაო ხთისო, რომ თქვენმა ხორას სურვილმა არც თუ სასურმოდ გამიჭირა საქმე. ხანდახან ჩავუკვირდები ჩემს მდგომარეობას და მწარედ გამეცინება...

ამ წერილში მე განა შემიძლია იმის მეთასველიც გითხრა, რასაც ვგრძნობ და განვიცდი, როგორც მე ვენამები და ვიტანჯები. სიტყვას როგორ შეუძლია გამოხატოს ყოველივე ის, რაც ჩემს გულში ტრიალებს. თანაც მე გულჩახვეული კაცი ვარ და არ მიყვარს ზოგიერთებით თხამალა ყვირილი თავის სევდასა თუ სიხარულზე.

დღისით კიდევ არაფერი: ხალხში ვარ, ან ვაკეთებ რამეს; ასე თუ ისე გულს ვაყოლებ, თუმცა ძალიან ხშირად ფიქრებში წასულს საქმე ხელიდან მივარდება და გარინდებული ვქვავდები.

უფრო ღამებზე შემალონეს. ეს მაშინ არის, როცა ჩემს თავთან მარტო ვრჩები, ჩემი ფიქრებითა და ტანჯვით: ვწევარ ვტრიალებ ლოგინში, ველარ ვიძინებ და გრძელდება ასე მთელი ღამეები.

ალარ შემიძლია, მოვიშალო კაცი...

ხორა რომ სხვა ვინმე იყოს, ერთ წუთს არ ვიფიქრებდი, მაშინვე ცხრა მთას იქით გადავკარგავდი, ჩემად გავხდიდი და დავეხსნებოდი ტანჯვას, მაგრა ჩვენი საქმე, ძმაო ხთისო, შენ იცი, რომ სხვანაირადაა და მე ხელ-ფეხი შეკრული მაქვს, თან თევზით პირში წყალი ჩამგუბებია, სიტყვა ვერ მითქვამს...

თქმაც რომ მიხდოდეს, მაინც სანამ ხალარჯვებას არ ვიქამთ იმაზე ადრე არაფრის გახსენება არ შეიძლება, ხოლო ხალარჯვება კი ორ თვეზე ადრე არ გვექნება.

ხალარჯვებას რომ გადავიყრით მერე კი, ძმაო ხთისო, ერთ რამეს გავიგებ: თუ ბედი ჩემსკენაა, ხო რა კარგი, მაშინ მე ვიცი რასაც ვიზამ და როგორც მოვიქცევი, თუ არა და იმავე წუთში მივატოვებ ოჯახს და რუსეთში გადავიკარგები, ან არა და შევირთავ ვინც გინდა ქალი იყოს, ვისაც ჩემნი ჯალაფნი მოათრევენ, ჩემთვის სულერთია, მივანებებ თავს მწერლობას, ქალაქს, წიგნებს და ვიქნები თათარაზე უარესი ხევსური. ყველაფერს ფეხებზე დავიკიდებ და ჩაკვდები ბოლოს ასე სადმე.

ო, ღმერთო ჩემო, ხორა რომ ჩემი იქნებოდეს რა ამყად დავჯდებოდი ხალხში, რამოდენა ენერგია მომეცემოდა სამუ-

შაოდ, რამდენ რამეს გავაკეთებდი, რარიგი ხალისით ვიშრომებდი. მაშინ ჩემთვის სახელსაც ფასი ექნებოდა, წიგნებსაც, მწერლობასაც და ცხოვრების ინტერესიც მექნებოდა. ვიქნებოდი ბედნიერი.

ახლა კი არაფერს ჩემთვის ფასი არა აქვს, არაფრის ხალისი არა მაქვს და არაფრის გაკეთება არ შემიძლია. ხორას გარეშე, ძმაო ხთისო, მე ყველაფერი, ყველაფერი ფეხებზე მკიდა და ჩემთვის ყველაფერს ჩაღობს ფასი არა აქვს.

რად მინდა სახელი, რა ეშმაკად მინდა ფული თუ ცხოვრება, რისთვის, ვისთვის, თუ მე ეს გული მარადუამს შავად მექნება... მე რა ვუთხრა ასეთ ყოფას!..

შენ წარმოიდგინე, ძმაო ხთისო, რევაზაც კი ჩემზე ასგზის ბედნიერია — იმით, რომ ყოველდღე ხედავს მზექალს; მე კი, თუ ძალიან არ გამიჭირდა, ან აუცილებელი საქმე არ მექნა ლეიმისკენ თავი ვერ გადმომიჭერია, ხოლო, როცა მანდ გადმოვალ სულ ისა მგონია, ვითომ ყველამ იცის ჩემი საიდუმლო და ყველა გრძნობს, რომ მე მზექლის ნახვა მინდა.

წინათ მზექალი ჩვენს ზოგზოგჯერ მაინც გადმოდიოდა, ახლა მზექალმაც ჩვენთან სასიარულოდ ფეხი ამოიკვეთა და ვარ ასე გულჩაბნელებული.

როცა ხალხში ვარ, მზექლისთვის კარგად ვერ დამიაზრებია, რადგან მეკრძალება, ვინმემ რამე არა სთქვას და მზექალი უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავარდეს. რაც შემეხება მე, მე კი ხევსურების ლაყბობა ფეხებზედაც არ მკიდა, მე მათი ჭორები ვერ შემომწვდება და ვერც შემეხება, ჩემთვის სულერთია, ვისაც რა უნდა ის ილაპარაკოს ჩემზე პირს უკან, მე მაინც გაბრიელი მექვია და ჩემი თავი მაქვს.

შინ დამჯდარია მზექალი. არ უყვარს წარამარა სიარული, ამიტომ უფრო ძვირფასია ჩემთვის ხორა.

ვერ ვიტან, როცა მე და მზექალი ხალხში ერთად მოვხვდებით: სხვადასხვა სულელი ხალხი უშნოდ ელაზნადარება, ეხუმრება და ამის გამო მე გული მიფუჭდება. იმათ, ბრიყვებმა რა იციან თუ როგორ ძვირფასია ჩემთვის ხორა.

როგორ შეუძლია შეუგნებელ ხევსურს დააფასოს მზექალი; სხვებისათვის ის არაფერია, ჩვეულებრივი ხევსურის ქალია, ჩემთვის კი მზექალი მთელ სამყაროდ ღირს.

არა, არა, მზექალი უსწავლელი ხევსურისათვის არ არის გაჩენილი. თანაც ნაზია ხორა, როგორ აიტანს იგი ფიზიკურად ხევსური დედაკაცის მძიმე შრომას.

არც ჩემთვის არსებობს ამ ქვეყანაზე, სხვა ქალი ხორას გარეშე! არავინ მინდა და ძალი ხომ არ არის?!!

ალბათ ასეთი იყო ნება ღვთისა!  
ჯალაფნი თუ სხვა ხალხი ყველა ჩემს ცოლზე და ცოლის შერთვაზე უკრავს. ზოგჯერ ვიფიქრებ: ამ ხალხს პირი ხომ არ შეუკრავთ მეთქი.

მე ხომ საქონელი არა ვარ, რომ ჩემთვის ყველა ფური ერთი იყოს. მე არ შემოძლია ისეთი ქალის შერთვა, ვისაც არ ვიცნობ და არ მიყვარს. ვინც მე მიყვარს მე მარტო ის მინდა და სხვა არავინ, გინდა მზეთუნახავი მომგვარონ.

თანაც მე მხოლოდ ერთი ქალი შეიძლება მიყვარდეს. სხვანაირად ვარ აღზრდილი და სიყვარულიც მტკიცე და სხვანაირი ვიცი; ისე კი არა ჩვენი ზოგიერთი ქალ-ვაჟები რომ არიან: ერთსადა იმავე დროს ცხრა-ათი მოსწონთ და თან ერთი ნანდაურიდან მეორეზე ისე დახტიან, როგორც პეპელა ყვავილიდან ყვავილზე.

მათ გულს შეუძლია ერთსა და იმავე დროს ათი საყვარელი დაიტოს, ჩემს გულში კი ხორაც ძლივს თავსდება და სხვა ქალისთვის ამ გულში ადგილი აღარ რჩება.

ჯერჯერობით ჩემს არამკითხველ გულ-შემატკივრებს ვამშვიდებ: ვეუბნები: ხალარჯვებს რომ გადავიყრიოთ ცოლს მაშინ შევირთავო.

მართალი რომ გითხრა, ძმაო ხთისო, ამ ჩემი ცოლის შერთვის მოჭირხმიადე ხალხმა ყველაზე მეტად გამიჭირვა საქმე და მომიშალა ნერვები. ვინ გინდა რომ გულშემატკივრობას არ იჩენდეს:

ამასწინათ, საქონლის ამწერლები რომ იყვნენ აქ, ბაბუტას ვეჭვიფობდით და ილია კაზალიკაშვილმა მთელი ღამე სადღეგრძელოებშიაც და კერძო საუბარშიაც მხოლოდ ჩემს ცოლიანობაზე ილაპარაკა და გამინყალა საქმე. თან რომ ყველა იქ მყოფიც კვერს უკრავდა. გათენებამდე ვსვით და მე ბრაზისაგან სასმელი ოდნავაც არ მომკიდებია. აბა რას ვიტყვოდი. ვიყავი ჩუმად.

ეჰ, ხალხი ათასს მიჰქარ-მოჰქარავს და მე კი ყველგან მზექალი მეღანდება: გადმოვიხედავ ლეიმისკენ. ცხვარ-საქონი მიდის საძოვარზე. შორიდან მწყემსი სჩანს. არ იგება ვინ არის. იქნებ მზექალია! — ვამბობ მე. თქვენს სოფელში თუ თქვენი სოფლის ახლომახლო, როცა ვინმე მიდი-მოდის მე ყველა მზექალი მგონია: ერთი ჩემი ლექსის არ იყოს:

**...ყველგან შენა მგონიხარ, ჩემთვის ყველგან ხარ!**

როცა თქვენს ვზივარ და მამაშენი მელაპარაკება, ზოგჯერ ხორაზე ფიქრებში ნასულს გულისყური მეფანტება, მამაშენის საუბარი აღარ მეყურება და სმენის ძაფი მიწყდება. შემფოთებული მოვდივარ გონს. და ყურადღებას ვჭიმავ, რათა ჩავნვდე იმას, რასაც იმედა მიაბობს. შემფოთებული ვავლებ თვალს გარშემო ხომ არავინ შემამჩნია რამე მეთქი.

განა შენ თვითონ არ შეგინიშნავს: ზოგჯერ ნარდის თამაშის დროს ნაღმა-უკუღმა რომ ვაქანებ ქვებს. თქვენ იცინით: რა დაგემართაო; ჩემი ფიქრი კი მაშინ, რა თქმა უნდა, ხორას გზა-კვალს მოჰყვება... და აი, ვარ ასეთ ნამებაში.

იქნება მზექალს სხვა უყვარს?! ეს ჩემთვის უეჭველ სიკვდილს ნიშნავს, მაგრამ მე მაინც არა ვარ შურიანი. ბედნიერი იქნება ის, ვისაც ხორა შეიყვარებს!

მე ხომ ამნაირად მკლავს ხორას სურვილი, მაინც, ამისდამიუხედავად, მე როცა ვიცი თუ როგორ ძნელია სიყვარული, ჩემს ტანჯვას არაფრად ჩავაგდებდი და ყოველ ღონეს ვილონებდი, იმისათვის, რათა მზექალი თავისი ნანდაურისთვის შემეყარა...



გაბრიელ ჯაბუშანური

მერე მე? ეჰ, ჯანდაბას ყოფილიყო ჩემი თავი, მე ხომ მზექალი ჩემს თავსაც მირჩევნია!..

სასმელი მამშვიდებს კიდევ. პირველად, როცა სმას ვინყებ, სანამ ძალიან დავითვრებოდე სურვილი ერთისად მანამებს, მაგრამ, როცა მერე გადავტოპავ და მეცხრე ცას დავუახლოვდები, მაშინ ყველაფერი მავიწყდება. ისიც ვინ იცის, იქნებ მაშინაც, მთვრალი, ხორაზე ვბოდავ რამეს და მე არ მახსოვს. გამოფხიზლების შემდეგ ყოველთვის შემფოთებული გავდივარ ხალხში, ხომ არაფერი წამოვროშე ხალხში ხორას შესახებ და გავამჟღავნე მეთქი ჩემი დაფარული გულის ნადებო.

სასმელი და თამბაქო რომ არ იყოს, აქამდე ალბათ შევიშლებოდი, მაგრამ თამბაქო ცოტათი მამშვიდებს, ხოლო სასმელი ყოველთვის არ არის...

ბევრი, ბევრი რამ დამრჩა, ჩემო ხთისო, სათქმელი, მაგრამ ესიც, მგონი, საკმარისია.

მე და შენ ერთმანეთთან დამალული არაფერი გვაქვს. ერთადერთი საიდუმლო მე ეს მქონდა და ახლა აი, ესეც გაგანდევს. მხოლოდ იცოდევ: საიდუმლო უნდა შემიწახო!

ახლა მე მგონია, როცა ჩემს ლექსებს წაიკითხავ, ან უფრო უკეთესად რომ ვსთქვათ, როცა მზექლის წიგნს წაიკითხავ, რასაც მე გულის თრთოლვით ვწერდი, ვფიქრობ გამამართლებ და არ დამემდურები, რომ შენს დაზე ამდენი მინერია. ეს წერილიც სწორედ იმიტომ მოგწერე, რომ ამეხსნა შენთვის ჩემი მდგომარეობა და რაც ლექსებში ვერ ვსთქვი, წერილში გადმომეცა შენთვის ყოველივე ჩემი სულის მდგომარეობა.

ვინმე ბარელი ქალი რომ მყვარებოდა, ნასწავლი ქალისთვის ამ ლექსების ერთი მეათედიც საკმარისი იყო, რომ მისი გული დამესაკუთრებინა; მზექალი კი ამ ლექსებსაც ვერ გაიგებს და შეიძლება ისინი, ეს ლექსები, არც კი წაიკითხოს არასოდეს.

თვით არც მე მინერია ეს ლექსები იმისათვის, რომ მზექლისთვის ჩემი სიყვარული დამემტკიცებინა.

ამ ლექსებს უფრო ჩემთვის ვწერდი, რომ გული გადამეყოლებინა.

ამ ჩემს ლექსებს ალბათ მზექალი არც წაიკითხავს და გინდაც წაიკითხოს ძალიან ცოტას გაიგებს.

ეს ლექსები დასაბეჭდად არის დანერილი და თუ დრო იქნა და მე მზექლის წიგნი დავბეჭდე, მაშინ თქვენს ხორას მთელი საქართველო ჩემზე უფრო უკეთესად გაიცნობს და დააფასებს.

წინ, ჯერ კიდევ ბევრი სატანჯველი მელის: სანამ ხალარჯვებს გადავხურიდეთ ორი თვეა კიდევ და რა გაიყვანს ამ დღეებს... ამ დამეებს...

მერე კი ერთ რამეს გავიგებ და როგორც ხორა იტყვის საქმე იწავა: ან გამითენდება ან სამუდამოდ დამიღამდება...

ახა, არა, ძმაო ხთისო, არ მსურს მჯეროდეს, რომ მე ხორა გამწირავს!.. ღმერთო, მიშველე!..

რას არ იცევმედი, ამ ქვეყნად, რომ ეს სიყვარული, როგორმე გულიდან ამომივარდებოდეს და თავისუფალი დავრჩებოდი!

მაგრა ეს შეუძლებელია!

რას არ ვიზამდი, ამ ქვეყნად შენთვის ძმაო ხთისო, რომ შენ ჩემთვის ბედნიერი ამბის მაცნე იქნებოდი!!!

24. VI. 52 B.  
დილა მზისპირში

ნინო ოთარაშვილი

# ხელოვნების თავბადასავალი — ყველა მკითხველისათვის

ნიგნებს საკუთარი ბედი აქვთო — რომაელი პოეტი, რომელმაც ეს აღნიშნა, ვერ წაარმოიდგენდა, რომ ამ სტრიქონს საუკუნეების განმავლობაში უამრავი ვინმე გადაწერდა.

„ხელოვნების ამბავი“ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და პოპულარული ნიგნია ხელოვნების შესახებ, რომელიც ოდესმე გამოცემულა. 60 წელია იგი რჩება სწორუპოვარ შესავლად მთელი ხელოვნების საგნისთვის — უძველესი მღვიმის ფერწერიდან თანამედროვე ექსპერიმენტულ ხელოვნებამდე. მთელ მსოფლიოში ნებისმიერი ასაკისა და გამოცდილების მკითხველისთვის პროფესორი გომბრიხი ჭეშმარიტი ოსტატია. ის გამოირჩევა განსაკუთრებული ნიჭით, გაუზიაროს მკითხველს უდიდესი სიყვარული ხელოვნების იმ ნიმუშებისადმი, რომელთაც აღწერს.


**სერ ერნესტ გომბრიხი** დაიბადა ვენაში, 1909 წელს. 1936 წელს გახდა ლონდონის ვარზურგის ინსტიტუტის თანამშრომელი. გომბრიხის ნიგნებს შორისაა: „ხელოვნება და ილუზია: ეტიუდები ხატოვანი გამოსახვის ფსიქოლოგიისთვის“ (1960). „ნესრიგის შეგრძნება: ეტიუდები დეკორატიული ხელოვნების ფსიქოლოგიისთვის“ (1972)

ავტორი თავისი ნიგნის შესახებ ამბობს, რომ მისი მიზანია „სიცხადე და წესრიგი შეიტანოს უამრავ სახელში, პერიოდსა და სტილში, რომლებითაც სავსეა უფრო ამბიციური ნაშრომები“, და იყენებს სახვითი ხელოვნების ფსიქოლოგიის საკუთარ ცოდნას, რათა დაგვანახოს ხელოვნების ისტორია, როგორც ტრადიციების უწყვეტი შერწყმა და მონაცვლეობა, რომლის გამოც ყოველი ნაწარმები წარსულსაც ხარკს უხდის და მომავლისკენაც იღვწის, როგორც ცოცხალი ჯაჭვი, რომელიც დღევანდელობას პირამიდების ხანასთან აკავშირებს. ეს ნიგნი ნამდვილად საუკეთესო არჩევანი იქნება ყველასთვის, ვინც ხელოვნების სამყაროსთან შეხებას გადაწყვეტს.

„ხელოვნების ამბავი“ ქართველი მკითხველისთვისაც უკვე ქართულ ენაზეა გამოცემული „ლოგოს პრესის“ ინიციატივით. სამეცნიერო რედაქტორი და მთარგმნელთა ჯგუფის ხელმძღვანელია **დიმიტრი თუმანიშვილი**. გამომცემლობის დირექტორი **ლაშა ბერაია**. მთარგმნელთა ჯგუფის წევრებია: **ნანა ალექსიძე, ლალი ანდრონიკაშვილი, ლაშა ბერაია, მარინე ბულია, ლაშა გველესიანი, მარიამ დიდებულიძე, მარინე ვაჩნაძე, დიმიტრი თუმანიშვილი, გიორგი ლეჟავა, მარინე მაისურაძე, მარინე მიზანდარი, ქეთევან მიქელაძე, ნინო ლალანიძე, მარინე ყენია, მზია ჯანჯალია.**

1950 წლის შემდეგ „ხელოვნების ამბავი“ 16 გამოცემა არსებობს და არაერთ ენაზეა თარგმნილი. ამ დრომდე ნიგნის დაახლოებით 7 მილიონი ეგზემპლარია გაყიდული მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

— ნიგნი განსაკუთრებულია იმით, რომ დაწერილია პოპულარული სტილით. გომბრიხი ახერხებს გვიჩვენოს ხელოვნები, მათი ნამუშევრები და შემდეგ უკვე ამ ნამუშევართა ისტორიული და კულტურული კონტექსტი გავაცნოს. გაიგებთ, რისთვის ხატავდნენ და რისი თქმა სურდათ მხატვრებს უძველესი მღვიმის ფერწერიდან მოყოლებული. სწორედ ეს არის ამ ნიგნის განსაკუთრებული თავისებურება. გომბრიხი — ეს არის ადამიანი,



რომელსაც შეუძლია მოგიყვით ხელოვნების შესახებ ისე, ვერ იგრძნობთ, რომ არ ხართ პროფესიონალი ამ დარგში და არ გყოფნით ცოდნა. — ასე დაახასიათა ნიგნის მნიშვნელობა „ლოგოს პრესის“ დირექტორმა **ლაშა ბერაიამ**.

იმისთვის რომ ნიგნის შესახებ უფრო ვრცლად შემიტყო, გავესაუბრე მის ერთ-ერთ მთარგმნელს, ხელოვნებათმცოდნე **ნინო ლალანიძეს**:

— როდის დაიწყეთ თარგმანზე მუშაობა?

— დიდი ხნის წინათ, 80-იანი წლებში, ალბათ 84-86 წლები იყო, როცა პირველად შეიქმნა ასეთი ჯგუფი გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში და მაშინ შედარებით ახალგაზრდებს დაგვევალა ეს საქმე, დავიყავით სამუშაო და ცალ-ცალკე, თითო-თითო თავი ვთარგმნეთ.

— რამდენ ხანს გაგრძელდა ნიგნის თარგმნა?

— რამდენიმე თვეს, მაგრამ მაშინ ვიცოდით, რომ გამოცემის პერსპექტივა საკმაოდ ბუნდოვანი გახლდათ, წლებიც რალაც ისეთი არეული იყო, მაგრამ როცა ჩავიფიქრეთ ნიგნის თარგმნა, მაშინაც ვხვდებოდით, რომ ოდესმე აუცილებლად ვინმე გამოსცემდა, იმიტომ, რომ ასეთი ნიგნის ხელიდან გაშვება და ფართო საზოგადოებისთვის არმიწოდება, სრულიად გაუმართლებელი იქნებოდა.

— ვისი ხელმძღვანელობით თარგმნიდით ნიგნს?

— ბატონ დიმიტრი თუმანიშვილის, ეს გახლავთ ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი. მისი თაოსნობით შედგა ეს ჯგუფი და საერთო რედაქციაც ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოს ბატონმა დიმიტრმა გააკეთა.

— როგორი იყო ნიგნის თარგმნის პროცესი ჯგუფში?

— ყველას წაკითხული გვექონდა ეს ნიგნი და თუ რალაც ძნელი და რთულად სათარგმნი ადგილი გვხვდებოდა, ვიკრიბებოდით, ასეთი სარედაქციო შეხვედრები გვექონდა ხოლმე, მართალია ეს მაინც არის სპეციფიკური ტერმინოლოგია, მაგრამ ჩვენ ყველა ხელოვნებათმცოდნეები ვართ და ძალიან არ გაგვჭირვებია, თუმცა ვინაიდან ქართული სახელოვნებათმცოდნეო ტერმინოლოგია არც მაშინ და ახლაც კი მთლად დახვეწილი არ არის, გვხვდება გარკვეული ტერმინები, რასაც ზუსტი ქართული შესატყვისი ჯერჯერობით არ გააჩნია, ამიტომ ცხარე კამათი მოგვდიოდა, როგორ ჯობია რომელიმე ტერმინის თარგმნა, რომ ყველა ნიუანსი შენარჩუნდეს. თვითონ ეს ნიგნი დაწერილია არაჩვეულებრივი ენით. ერთი მხრივ ეს არის აკადემიური, კლასიკური ენა და მეორე მხრივ ამ ტერმინთა ხმარებისას ავტორი ძალიან ფაქიზად ეპყრობა ამ ყველაფერს, ძალიან გააზრებულადაა გამოყენებული და ეს გვინდოდა, რომ შენარჩუნებულიყო.

— ნიგნის გამოცემაში „ლოგოს პრესი“ დაგეხმარათ. როგორ მოხდა ეს?

— მე ბატონი ლაშასგან ვიცი, რომ პირველად 2002 წელს ნახა და წაიკითხა ეს ნიგნი. მას შემდეგ 10 წელი გავიდა და მართალია ჰქონდა მას სურვილი გამოცემისა, მაგრამ მთელი რიგი პრობლემები ახლდა ამ ამბავს, იმიტომ, რომ უნდა შეეძინა გამოცემის უფლება. როცა დასავლური სტანდარტებით

იძენ, ძალიან ძვირი დაუჯდებოდა ასეთი გამოცემა. პერსპექტივა, ასეთი ძვირი ნიგნის გაყიდვისა საქართველოში, ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ალბათ ნაკლებად იყო. მაგრამ არ მოეშვა თავის ოცნებას და მოახერხა დაებეჭდა. ნიგნის ხარისხი ძალიან კარგია, პოლიგრაფიული დონე — მშვენიერი, ყველა უფლება დაცულია, ანუ ეს ლეგალურად დაბეჭდილი ნიგნია და არა ისე, როგორც ხშირად მომხდარა და მერე ატყდება ერთი დავიდარაბა, როდესაც შემთხვევით გაიგებს ან ავტორი ან „კოპირაიტის“ მფლობელი, რომ ასეთი ნიგნი დაიბეჭდა. არის მერე სასამართლო დავები. ამ შემთხვევაში ეს ყველაფერი იურიდიულად მოწესრიგებულია და გამართული. ნიგნის პოლიგრაფიული დონე, მოგახსენეთ, საკმაოდ მაღალია და ფასიც ყოველივე ამის გათვალისწინებით, ხელმისაწვდომია.

— როგორი წერის სტილი აქვს ავტორს?

— გომბრიხი იმ იშვიათ ავტორთაგანია, რომელიც ახერხებს წეროს არც მხოლოდ პოპულარული ენით, ფართო მკითხველისთვის ან მხოლოდ აკადემიურად, ძალიან ვიწრო ნაწილისთვის საზოგადოებისა. ეს ძალიან რთული საქმეა, იმიტომ, რომ როდესაც ცდილობს ფართო საზოგადოებას გააგებინო, ძალიან სპეციფიკური სახელოვნებათმცოდნეო ანალიზი, დასკვნები და შედეგები, ძალაუბრება რაღაცას აპრიმითიულად და ადვილად, რაც სპეციალისტებს არ მოსწონთ. და თუ წერ ისე, როგორც სპეციალისტებისთვის არის გასაგები, მაშინ ეს სრულიად გაუგებარი და, მეტიც, მოსაწყენია ხელოვნებით დაინტერესებული ჩვეულებრივი ადამიანისთვის. ვფიქრობ, „ხელოვნების ამბავი“ გამორჩეულია. თითზე ჩამოსათვლელია ნიგნები, როდესაც ავტორი არის აბსოლუტურად სანდო, სარწმუნო, არ გჭირდება შემონიშნა ფაქტობრივი მასალის, არც შეცდომები მოსდის. ეს ერთი მხარე, რომ ის შეიძლება დასაყრდენადც გამოიყენო, და მეორე — სახელოვნებათმცოდნეო ანალიზის თავისებურება და სპეციფიკა ისაა, რომ ერთი მხრივ ძალიან სუბიექტური აზრია, და მეორე მხრივ თუკი ეს მეცნიერებაა, ცხადია, ობიექტური აზრიცაა და ობიექტურ ფაქტორებს უნდა ეყრდნობოდეს.

— რას უნდა ელოდეს მკითხველი?

— ეს ავტორი ახერხებს, რომ მოყვეს ძალიან საინტერესოდ კაცობრობის დასაბამიდან თითქმის დღემდე ხელოვნების ისტორიის ამბავი ისე, რომ მისი შეფასებანი და ანალიზი აბსოლუტურად ზუსტიცაა, ამასთან არ ახვევს მკითხველს თავს საკუთარ ინტერპრეტაციას. ესეც გამაღიზიანებელია, როდესაც ადამიანი გადაჭრით გეუბნება რაღაცას, ჰუმანიტარულ სფეროში, რასაკვირველია. ის ყველა ამბავს, მაგრამ ისე გითრევს თანდათან და ისეთი ნდობით აღგავ-

სებს, რომ მერე შენც, როგორც ძალიან სანდო და გამოცდილ მოსაუბრეს, ისე უსმენ ამ ავტორს და იზიარებ თუ არ იზიარებ მის მოსაზრებას, მაინც სიამოვნებას იღებ.

ეს არის ნიგნი, რომელიც მარტო ხელოვნების სფეროში მყოფი ადამიანისთვის კი არა, ნებისმიერი ინტელექტუალისთვის, ნებისმიერი განათლებული და კულტურული პიროვნებისათვის უნდა იყოს საინტერესო ნიგნი. ძალიან ბევრ რამეს გაიგებს აქედან დაინტერესებული ადამიანი და სხვათაშორის საკმაოდ ბევრი კითხვაც გაუჩნდება, რაც ასევე სასიკეთოა, და მერე თვითონვე გააგრძელებს შემეცნების გზას, დაინტერესდება და კიდევ სხვა რაღაცას ნახავს, სხვა ავტორს ნაიკითხავს. ეს სწორედ ის არის, რაც განსაკუთრებით ახალგაზრდებს სჭირდებათ, იმისთვის, რომ გზას შეუდგენ და მერე თვითონ გააგრძელებენ ამ გზაზე სიარულს.

— როგორი იყო თქვენი შთაბეჭდილება ნიგნის წაკითხვის შემდეგ?

— რასაკვირველია, მე ძალიან დიდი ხნის წინათ წაკითხე. 30 წელი გამოდის და კიდევ მეტიც, და არ გამწვანდა ეს ინტერესი. ზოგჯერ არის, რომ წლების შემდეგ გადავინჯავ შენს შეხედულებას ან ახალი ლიტერატურა დაიბეჭდება, უფრო საინტერესო და უფრო ვრცელი მასალი იქნება თავმოყრილი. ამ ავტორისა და ამ ნიგნის მიმართ ეს აღფრთოვანების გრძნობა არ გამწვანდება ამდენი წლის მანძილზე. ავტორი თავისი ნიგნის შესახებ ამბობს: „ეს ნიგნი სულაც არაა ლამაზი ნივთების ანთოლოგია; იგი მათთვისაა, ვინც ახალ სფეროში გარკვევას ცდილობს და ამ ადამიანებისთვის ხელოვნების თუნდაც „გაცვეთილი“ ნიმუშები სწორედაც რომ საუკეთესო ორიენტირებად გამოდგება“.

— ...როდესაც რაიმე შეუსაბამო მოგონება წინასწარგანწყობას გვიჩენს, როდესაც მთიანეთის მშვენიერ ხედს ზურგს ვაქცევთ, რომ მთამსვლელობა არ მოგვწონს, სწორედ მაშინ უნდა ჩავეძიოთ თავს, რა ინვესტაცია ჩვენში ამ ანტიპათიას, რატომ ვერ ვიღებთ სიამოვნებას, რომელიც უნდა მიგველო. არსებობს არასწორი მიზეზები, რომ ხელოვნების ნიმუში არ მოგწონდეს. ადამიანთა უმრავლესობას სურათებზე ის მოსწონს, რისი ნახვაც ცხოვრებაში სიამოვნებს“.

„პესიმისტები ხანდახან გვეუბნებიან, რომ ტელევიზიისა და ვიდეოს ეპოქაში ადამიანები კითხვას გადაეჩვივნენ და მითუმეტეს, სტუდენტებს ნაკლებად შერჩათ მითმინება, რომელიმე ნიგნი თავიდან ბოლომდე სიამოვნებით ჩაიკითხო. ყველა ავტორივით მეც ვიმედოვნებ, რომ პესიმისტები ცდებიან“.

„სინამდვილეში ხელოვნება, როგორც ასეთი, არ არსებობს, არსებობენ მხოლოდ ხელოვნები“.

„სიტყვის დეგუსტაცია“ — ასე ჰქვია შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომლის **ნონა კუპრეიშვილის** ნიგნს, რომლის წარდგინებაც გაიმართა **გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში**. ნიგნი მრავალფეროვნებას — მასში მოთავსებულია ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, ესეები, ჩანახატები. და, რაც მთავარია, ახლებურადაა გააზრებული და წარმოჩენილი ბევრი რამ. ამიტომაც მას თავისებური გზამკვლევის როლიც აკისრია.

ქალბატონ ნონას პირველი ნიგნის გამოსვლა მიულოცეს **ამირან არაბულმა** და **საბა მეტრეველმა**. ვინაიდან ნიგნში გამოქვეყნებული ნარკვევები **მიხეილ ჯავახიშვილისა** და **ვახტანგ კოტეტიშვილის** შესახებ ეფუძნება ლიტერატურის მუზეუმში დაცულ საარქივო მასალებს, ამ ორგანიზაციის ყოფილმა თანამშრომლებმა — **რუსუდან ჭანტურიშვილმა** (მთარგმნელი) და **რუსუდან დაუშვილმა** (ისტორიკოსი) — გაიხსენეს აქ ერთობლივი მუშაობის წლები, როდესაც ნონა სიყვარულითა და რუდუნებით იკვლევდა ამ ორი სახელოვანი მწერლის შემოქმედებას. **გიგი ხორნაულმა** თავის გამოსვლაში საგანგებოდ ისა-

უბრა ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილი წერილის „**ვაჟას სულეთის**“ შესახებ და უწოდა მას „ცირკულარული დროის ტოპოსი“. მკვლევარმა აღნიშნა, რომ ეს არის მეცნიერული სიახლითა და სიღრმით გამორჩეული ნაშრომი.

სიტყვით გამოვიდნენ: კინოოპერატორი **დავით გუჯაბიძე**, მწერალი **ჟაკლინ სირაძე**, მეცნიერი **ნანა კოტეტიშვილი**. შემდგომ შეხვედრა კითხვა-პასუხის სტილით წარიმართა და უშუალოდ თავი გამოიჩინა.

ნონა კუპრეიშვილმა ისაუბრა ნიგნში წარმოდგენილი ქვეთავების შესახებ, განსაკუთრებით კი გამოყო პოსტსტალინური და შემდგომი ეპოქის ლიტერატურული ცხოვრება. ამ კონტექსტში გაიხსენა მუზეუმის ყოფილი თანამშრომლის, აკადემიკოს **მიხეილ ქურდიანის** ღვაწლი XX საუკუნის ლიტერატურულ პროცესთა კლასიფიცირებაში. პასუხი გასცა პედაგოგ **ზინა გაბიჩვაძის**, მუზეუმის თანამშრომლების: **მარინე ყიფიანის**, **თინათინ იაშვილის**, **ელენე გუსევის** მიერ დასმულ შეკითხვებს.

დასასრულ ქალბატონმა ნონამ მაღლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას, მუზეუმის დირექციასა და თანამშრომლებს შინაარსიანი განხილვის გამართვისათვის.

# პოეტური თანაკარსკვლავები



იოჰან ვოლფგანგ გოეთე

## თხმელნარის მეფე

ვინ მიაჭენებს ასე გვიან ცხენს ღამით ქარში?  
მამაა იგი და თან მიჰყავს პატარა ბავშვი.  
პატარა ბიჭი ხელთ უჭირავს მკლავმოხვეული,  
უფროსილდება, რომ არ გაცივდეს  
სითბოს ჩვეული.

— „ჩემო ბიჭუნავ, რატომ მალავ აგრე შენს სახეს?“  
— „ვერ ხედავ, მამავ, თხმელნართ მეფე რომ  
მიგებს მახეს?  
თხმელნართ ხელმწიფე გვირგვინით და კუდით საზარი“.  
— „ო, ჩემო ბიჭო, ეგ ნისლია ხევში ჩამდგარი.

ძვირფასო ბავშვო, ნამომყვი, ნავიდეთ ერთად  
მშვენიერ თამაშს ვითამაშებ ყოველდღე შენთან.  
სანაპიროზე ყვავილები ხარობს ქებული,  
ოქროს სამოსი აქვს დედაჩემს მომზადებული“.

— „ნუთუ არ გესმის, ჩემო მამავ, არ გეყურება,  
თხმელნარის მეფე რა საშინელ რამეს მპირდება?“  
— „ჩუმად იყავი, ჩემო ბავშვო, იყავი წყნარი,  
გამხმარ ფოთლებში ჩვეულებრივ შრიალებს ქარი.

ნამომყვე, ბავშვო მშვენიერო, ძილგამკრთალები  
დიდხანია შენ გელიან ჩემი ქალები,  
ისინი ღამით ჩააბამენ ფერხულს და გულით  
გიცეკვებენ და გიმღერებენ შენ სიყვარულით“.

— „ო, ჩემო მამავ, ჩემო მამავ, ვერ ხედავ განა  
თხმელნარის მეფის ასულნი რომ  
შეფარვით დგანან?“

— „ო, ჩემო ბიჭო, ჩემო ბიჭო, ვხედავ ეს არის  
რუხი, ბებერი ტირიფები ტოტებამხმარი.

მიყვარხარ, მხიბლავს შენი სახე ჯადოსნურ ალით,  
თუ შენი ნებით არ წამოხვალ, ნაგიყვან ძალით“.

— „ო, ჩემო მამავ, ჩემო მამავ, ჩამჭიდა ხელი  
თხმელნარის მეფემ და ტკივილი მომგვარა მკვლელი“.

მამა შეკრთა და ააჩქარა ცხენი ცივ ქარში,  
მკლავებში ჰყავდა მომწყვდეული პატარა ბავშვი  
და, აჰა, ეზოს მიაღწია ტანჯვით, წვალებით,  
მაგრამ მკლავებში ჰყავდა ბავშვი  
ჩამქრალ თვალებით.

## მგზავრის სიმღერა ღამით

მაღალ ქედებზე  
სუფევს დუმილი,  
მთის მწვერვალებზე  
ოდნავ გესმის  
მფშვინავი ძილი.  
ტყეში მდუმარებს  
ჩიტთა გუნდები,  
მოიცა ცოტა  
შენც დადუმდები.

\* \* \*

წლები წლებს სწრაფად ცვლიან,  
ტომებს საფლავი ფარავს  
და ჩემი სიყვარული  
გულს არა ტოვებს, არა.

ნეტავ შემეძლოს გნახო,  
მუხლთ მოვიყარო და თან,  
რომ მომაკვდავმა გითხრა:  
„მე შენ მიყვარხარ, მაღამ“.

\* \* \*

გაქვს მარგალიტი და ბრილიანტი, —  
რას კაცთ სურვილის შეწვევა სვეტი —  
ულამაზესი გაქვს შენ თვალები,  
ჩემო მიჯნურო, რაღა გსურს მეტი?

მე კი შენს ღამაზე თვალთა საქებრად  
სიმღერის წყება, სხივდაუშრეტი  
უკვე შევთხზევი შენს სადიდებლად,  
ჩემო მიჯნურო, რაღა გსურს მეტი?

მაგ შენთა წარმტაც თვალთა ციმციმით  
ესდენ გამტანჯე, დამასხი რეტი  
და სასიკვდილოდ გამწირე კიდევ,  
ჩემო მიჯნურო, რაღა გსურს მეტი?

## ტრაპედია

გავიქცეთ, ტურფავ, და იქნები იქ ჩემი ცოლი,  
ჩემს მკერდზე ჰპოვებ დასვენებას ტკბილი წამისა,  
იქ — უცხოეთში — ჩემი გული იქნება შენთვის  
სამშობლო ტკბილი, საყვარელი სახლი მამისა.

თუ არ გამომყვე — მე მოვკვდები აქ, შენს წინაშე  
და შენ დარჩები მარტოხელა და ერთადერთი  
და მამის სახლიც ხომ იქნება შენთვის, ძვირფასო,  
მიუსაფარი, უთვისტომო და უცხოეთი.







ჯორჯ ბრუნო სონეტი

ვინ დასწავა სული, ან ვინა მქმნა მსუბუქფრთიანი, ვინ განმაშორა შიშს სიკვდილის ანდა ბედისა, ვინ დაამსხვრია ჯაჭვი მტკიცე, ან იმედისა ვინ გახსნა კარი, რომ ვერ ხსნიდა ადამიანი?

საუკუნენი, წლები, კვირა, დღე თუ საათი (დროა, ეგ შენი იარაღი აისხა ჩქარა) იმათ დინებას ვერაფერი დააცხრობს, კმარა, ამიერიდან არ ვიქნები მორჩილი მათი.

აქედან ვილტვი მე ზეცისკენ, მაქვს იმის რწმენა კრისტალი ზეცა ვერ იქნება ჩემი საზღვარი, გაჰკვეთე იგი, შეუერთდი უსასრულობას.

ვით სფეროები განმსჭვალავენ ერთმანეთს ზენა, ეთერის ველში შევიჭრები ისე, ვით ქარი, სხვებს დაუფტოვებ საცხოვრებლად მთელ ამ ქვეყანას.



უილიამ შექსპირი სონეტი 66

ყველა ამათგან დაქანცული მოვუხმობ სიკვდილს დამსახურებას როცა ვხედავ მათხოვრად შობილს და ყოვლისმქონე ჩაძირულა განცხრომის ზღვაში და უწმინდესსა რწმენას ვხედავ უწყალოდ გამობილს.

და სამარცხვინოდ ჩაუთვლიათ წმინდა ღირსება და ქალწულური უბინობა მრუშად ქცეულა და შერცხვენილა ჭეშმარიტი ეგ სრულქმნილობა და ძლიერება კოჭლი ძალის მიერ ძლეულა.

და ხელოვნებას მბრძანებლობამ დაუბა ენა და ბრიყვი მცოდნეს აკონტროლებს გულანთებული და აგინებენ გულმართლობას, მიამიტობას და სნეულ ბატონს სიკეთე ჰყავს დატყვევებული.

მივატოვებდი ამ ქვეყანას მთლად დაქანცული, რომ არ მრჩებოდეს უპატრონოდ მე სიყვარული.



ჯორჯ ნოელ გორდონ ბაირონი ჩემს ვაჟს

ეს ლურჯ-ნათელი თმა ხუჭუჭი, თვალნი ცისფერი ნაძერწი, როგორც დედის სახე, მისი იერი, ეს ვარდისფერი ტუჩები და სახის ნაკვეთი და ეს ღიმილი მიმზიდველი, გულის წამლები, საამო წარსულს მომაგონებს, ანმყოს რომ მიჯობს, შენი მამის გულს რომ იტაცებს, შენ, ჩემო ბიჭო!

არ შეგიძლია მოჩლექით თქვა სახელი მამის ჩემო ვილიამ, არ გაივლო შენს გულში წამით. რომ მამაშენმა არ მოგხედოს, არ იყოს ქველი, და შენზე ზრუნვა მიატოვოს, ზრუნვა გულწრფელი. დედის აჩრდილი შენს ღიმილში ჩანს, უნდა ვსინჯო იქნებ წარსული მაპატიოს, შენ, ჩემო ბიჭო!

ყვავილთა გორამ გადაფარა საფლავი მისი და უცხო მკერდმა შენ განოვა ძუძუ თავისი, დაცინვით შეხვდა დაბადებას შენსას ქვეყანა, ხომ უსახელოდ დაიბადე ამ ქვეყნად განა? არ შეგეშინდეს შენ არაფრის, ყველაფერს ის სჯობს მამის გული ხომ შენთანაა, შენ, ჩემო ბიჭო!

რა არის ჩემთვის ეს უგრძობი, მკაცრი სამყარო უნდა უარყო ბუნებრივი მოთხოვნის წყარო? არა, არა მნამს მორალისტთა აზრი გულისა, უძვირფასესო ბავშვო, ჩემი სიყვარულისა. სიჭაბუკესა და სიხარულს მაინც ის მიჯობს შენს დაბადებას ვუდარაჯო, შენ, ჩემო ბიჭო!

დე, ტკბილი იყოს შენი კვალი და შენი გზანი, ჩემს სახეზე კი დაბერების გაჩნდა ნიშანი. ჩემი ცხოვრების ნახევარი სწრაფად განივლო, შენ, ჩემო ძმაო, უმცროსო და ჩემივე შვილო. ჩემი სიცოცხლის ყველა წლებს კი, მე ასე მიჯობს, რომ ყველაფერი შენ მოგიძღვნა, შენ, ჩემო ბიჭო!

სიჭაბუკისას თუნდ იყავი ცეტი, თვითნება მშობელი მამა მაინც მუდამ შენთან იქნება, ჩემთვის იქნები კვლავ ძვირფასი და საყვარელი, რადგან ელენეს მომაგონებ, სიამის მგერელი. ძველებურად ფეთქს ჩემი გული და ასე მიჯობს, მამა არასდროს მიგატოვებს შენ, ჩემო ბიჭო!

გერმანულიდან და ინგლისურიდან თარგმნა სერგი ავალიანაძე



ირინე ძუცოვა

# ქველი აკვარელის საიდუმლო

გეორგ (გიორგი) კორადინი ეკუთვნის XIX საუკუნის იმ უცხოელ მხატვართა პლეადას, ბედმა რაღაცა დროით საქართველოს რომ დააკავშირა. მისი ერთი მომცრო აკვარელი კინაღამ სამუდამოდ მიიკარგა ერთი თბილისური ოჯახის სარდაფში. სახლის მუპატრონეთა ხშირი ცვლის გამო მისი შექმნის ისტორიაც მიავიწყდათ. უტყუარი რჩებოდა მხოლოდ აკვარელის ავტორისა და შექმნის თარიღი: G. Corradini. Tiflis. 1859.

სურათზე (აკვარელი, ქალაქი, მუყაო, 31X22) გამოსახულია ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალბატონი ქართულ ეროვნულ მომწვანო სამოსში, რომელსაც განიერი, მინაოჭებული, ქვედაკაბა და ფართო სახელოები აქვს. სამოსს ამშვენებს თეთრი, გრძელი სარტყელი და ფორთოხლისფერ-წითელი გულისპირი. ყვითელი ფერის ჩიხტიკოპზე დაქარგულია წითელი პატარა-პატარა ყვავილები. თხელი, გამჭვირვალე, ყელს ამოტარებული ლეჩაქი მიანიშნებს, რომ ქალბატონი გათხოვილია. მისი მცირე სამკაულები სადაა: მარჯვენა ხელზე — მსხვილქვებიანი სამაჯური, ქინძისთავი — კორსაჟზე, ხვერდის ლენტზე კი — ჯვარი. ოვალურ სახეს აჩარჩობს მოკლე კულულები. ლეჩაქიდან მოუჩანს მკერდზე დაშვებული ორი გრძელი ნაწნავი. მას აქვს მოგრძო ცხვირი სახასიათო კეხით, გაფრენილი, გრძელი და შავი წარბები, პატარა პირი, ცერად აჭრილი ნაბლისფერი თვალები ოდნავ შებერილი ქუთუთოებით. მთელი ტანით, თითქმის ფრონტალურად, გამოსახული ქალბატონის დახრილი თავი სამი მეოთხედითაა შებრუნებული და მიმართული მარჯვენა მხარისკენ, ჭკვიანი და ნაღვლიანი თვალები მარჯვნივ და თითქოს ქვევითაც იმზირებან. მარჯვენა ხელში მას თეთრი ყვავილი უჭირავს, მარცხენათი კი ყვრდნობა ბალახმოდებულ გორაკს, რომლის მიღმა მოჩანს შეფოთილი ხე. აკვარელის მარცხენა ნაწილში, უკანა პლანზე, მოჩანს მხატვრის მიერ ოდნავ მონიშნული სოფლის საზაფხულო პეიზაჟისა და ცის ფრაგმენტი.

სურათში უწინარესად ყურადღებას იპყრობს პორტრეტირების აღმოსავლური მშვენიერება, მისი ნატიფი და გრაციოზული პოზა, დამჯდარ ფერთა კოლორიტი. მასში იკვეთება ავტორის პროფესიონალიზმი, რომელიც ოსტატურად ფლობს ხატვისა და აკვარელის ტექნიკას. ოდნავ უხეშად გამოხერხილი ხელები არ ამცირებს სურათის მხატვრულ ღირსებებს.

ამ პორტრეტის ავტორი გეორგ კორადინი, რუსულ ყაიდაზე, გიორგი ვილჰელმის ძე (ივანეს ძე) კორადინი, იტალიელი, წარმოშობით ფლორენციის მიმდებარე ქალაქ ლუკადან იყო. იგი ტფილისში XIX საუკუნის 40-იან წლებში ჩამოვიდა. ასწავლიდა ხატვასა და სუფთა წერას ტფილისის გიმნაზიაში,<sup>1</sup> ცხოვრობდა განოვის ქუჩაზე (დღევანდელი გალაკტიონ ტაბიძის ქუჩა) ლორის მედიკოსის სახლში.<sup>2</sup>

ბრწყინვალედ განათლებული კორადინი ფლობდა რამდენიმე უცხო ენას, ჰქონდა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხი. მას აღიარებდნენ „შესანიშნავ მხატვრად“. რუსეთ-თურქეთის ომის დროს, 1855 წელს, როგორც იტალიის არმიის გადამდგარი ოფიცერი, კორადინი დაღესტნის ფეხოსანთა პოლკიდან გადაიყვანეს და გაამწესეს პრა-პორშჩიკად ნიჟეგოროდის დრაგუნთა<sup>3</sup> პოლკში. მე-4 დივიზიონის შემადგენლობაში მყოფი, იგი ქალაქ ყარსის შტურმში მონაწილეობისათვის დააჯილდოვეს წმინდა ანას მეოთხე ხარისხის ორდენით. მიუხედავად თავისი ფეთქებადი ხასიათისა, კორადინს თანამედროვენი იგონებენ როგორც შესანიშნავ თანამებრძოლს, მხედარსა და კეთილ ადამიანს.

1871 წელს კორადინი მაიორის ჩინით სამსახურიდან გადადგა და შვედულებით გაემგზავრა მშობლიურ იტალიაში,<sup>4</sup> სადაც მუშაობდა ქანდაკებებზე. გზად რუსეთისკენ, გეორგიევსკში, სადგურის გადამწერის, ვინმე სედიხის, უხეშმა ქცევამ, რომელმაც მას ე. წ. საჩივრის წიგნი ესროლა, მოთმინება დააკარგვინა ფიცხ იტალიელს. მან ხმალი იშოშვლა და დაჭრა მოძალადე. კორადინი დააპატიმრეს, მაგრამ არ გაასამართლეს, რადგან ამ გადამწერის სიუხეშე და ჩხუბისთავობა ცნობილი იყო.

იტალიიდან კორადინი კვლავ დაბრუნდა რუსეთში და 1891 წელს გარდაიცვალა პეტერბურგში. განისვენებს ვოლკოვოს სასაფლაოს რომაულ-კათოლიკურ ნაწილში.

კორადინი ითვლებოდა ნიჭიერ მხატვრად და აკვარელისტად. მისი ნამუშევრები ინახებოდა მრავალ კერძო კოლექციაში. ცნობილია მის მიერ შესრულებული საქართველოს მეფისნაცვლის, გენერალ ნ. ნ. მურავიოვის, ჰაჯი-მურატის, კავკასიელ მთიელთა და ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის ოფიცერთა პორტრეტები, მოზრდილი აკვარელი, რომელზედაც გამოსახულია პოლკის ბანაკი ბოზგალში და პოლკის ოფიცრების ჯგუფი, მათ შორის მხატვარმა ქალაქლითა და ფანქერით ხელში თავის თავიც ჩახატა.

გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში კორადინის ორი პორტრეტული მინიატურაა ერეკლი II-ის ქალიშვილის, თეკლე ბატონიშვილისა (1776-1846) და მისი მეუღლის, ვახტანგ ორბელიანის (1769-1812) გამოსახულებით სამხედრო მუნდირში. ორივე მინიატურაზე ავტორის ხელმოწერაა — G. Corradini (მარჯვენა, ქვედა, კუთხეში). მუზეუმისთვის ისინი 1944 წელს გადაუყვია თეკლე ბატონიშვილის შვილიშვილს, ცნობილი ლიტერატორის, კიტა აბაშიძის მეუღლეს, თეკლე ნიკოლოზის ასულ ორბელიანს. პირველი აკვარელი ასლია უცნობი მხატვრის მიერ შესრულებული თეკლე ბატონიშვილის პორტრეტისა, რომელიც ინახება საქართველოს ხელოვნების მუზეუმში.

საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ასევე დაცულია კორადინის მომცრო აკვარელი, რომელზეც გამოსახულია ახალგაზრდა ქართველი ქალი ეროვნულ სამოსში პეიზაჟის ფონზე (საინვ. №376, აკვარელი, ქალაქი, მუყაო). ის მუზეუმმა 1947 წელს მიიღო ლაღო გუდიაშვილისაგან. ქართული წარწერა აკვარელის ზედა ნაწილში ცხადყოფს, რომ მასზე აღბეჭდილია ელენე დადიანი.

საქართველოს საისტორიო არქივში ინახება გიორგი ერისთავის პიესა „გაყრის“ ხელნაწერი და მასთან ერთად პიესის საილუსტრაციო, 11 აკვარელისგან შედგენილი, ალბომი. აკვარელებზე გამოსახულია 1850 წელს ტფილისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის<sup>5</sup> სცენაზე წარმოდგენილი ამ კომედიის პირველი შემსრულებლები. ისინი ხელმოწერილია კორადინის მიერ. ალბომზე ავტორისეული მიძღვნილი წარწერაა ფრანგულად. მიძღვნის ადრესატია რუსეთის მომავალი იმპერატორი ალექსანდრე II, რომელიც საქართველოში იმყოფებოდა იმავე 1850 წელს.

უნდა ვივარაუდოთ, რომ რუსეთშიც შემორჩენილია კორადინის სხვა ნამუშევრები, მაგალითად, ცნობილია, რომ პეტერბურგში იყო კორადინისეული უზარმაზარი სკულპტურული პორტრეტი ალექსანდრე II-ისა.<sup>6</sup> ავტორს სურდა გადაეცა ეს სკულპტურა ტფილისისათვის, მაგრამ ქალაქის ხელი-სუფლებამ უარით გაისტუმრა.

კორადინის შესახებ ჩვენ მიერ მონოდებული მწერი ინფორმაციაც ნათეს ხდის, თუ რამდენად აქტიურ შემოქმედებით ცხოვრობდა ენოდა იგი ტფილისში, როგორ იყო მიღებული როგორც მხატვარი იმ დროის მონიშნავ ქართველ საზოგადოებაში. ეს გარემოება, ცხადია, სხვა მონაცემებთან ერთად საფუძველს იძლევა გამოვთქვით აზრი კორადინის კავშირის შესახებ ამ წერილის დასაწყისში აღწერილ აკვარელთან, მაგრამ, ვიდრე სურათის სრულ ატრიბუციას მოვახდენთ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ აკვარელური პორტრეტის უკანასკნელი მფლობელი ყოფილა ტფილისის მკვიდრი, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი ანა ლაზარეს ასული ტიგრა-

ნოვა (გარდაიცვალა 1979 წელს). ერეკლე II-ის შვილთაშვილის შვილისაგან, და პეტერბურგის ოლქის ყველა სასახლის პირველი კომენდანტის, თავად ივანე დიმიტრის ძე რატიევის (რატიშვილის) ქალიშვილის, ოლგა ივანეს ასულ რატიშვილ-ლვოვას ზეპირი მონათხრობის თანახმად ამ სტრიქონების ავტორისთვის, ა. ტიგრანოვა გახლდათ კორადინის აკვარელზე გამოსახული ახალგაზრდა ქალბატონის დის ახლო ნათესავი.

დავუბრუნდეთ კვლავ ჩვენს აკვარელს. ხანგრძლივი და მრავალმხრივი კვლევის შედეგად შეიძლება უტყუარად განვაცხადოთ, რომ ამ წერილის დასაწყისში აღწერილი აკვარელის მოდელი მარიამ ისააკის ასული მელიქ-ალამალიანია. იგი დაიბადა 1808 წელს ერევნის მელიქის, დიდგვაროვან სააკ (ისააკ) მელიქ-ალამალიანის ოჯახში. ოჯახის უფროსს პატივს სცემდა და აფასებდა ერევნის სარდარი სომხეთში სპარსთა მმართველობის დროს. 1820-1830 წლებში კი მან მნიშვნელოვანი სამსახური გასწია რუს ხელისუფალთა დასახმარებლად, რისთვისაც უბოძეს პორუჩიკის ჩინი. 1837 წლისათვის მელიქ-სააკი გარდაცვლილად ითვლება.

ჯერ კიდევ სპარსთა მმართველობისას მელიქ სააკის ოჯახს დაუახლოვდა ბატონიშვილი ალექსანდრე. ერეკლე II-ისა და დედოფალ დარეჯანის მეხუთე ვაჟი ალექსანდრე (1771-1844) ვერ შეურიგდა რუსთაგან საქართველოს „მიერთებას“, ბაგრატიონთა დინასტიის გაუქმებას, ასევე წყენას მამისა და ნახევარძმის (ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე გიორგი XII) მიმართ, საუფლისწულო მამულების მის საზარალოდ განაწილების გამო.

ბატონიშვილმა ალექსანდრემ დაღესტანს შეაფარა თავი, სადაც ჰყავდა მეგობარი ომარ-ხანი (რომელიც დაქორწინებული იყო ბატონიშვილის ნაცნობზე, ყოფილ ტყვეზე, ჯავაირ-ხანუმ აბაშიძეზე). ის ცხოვრობდა ლეკი დონგაუს სახლში, აულაქსაკალაში. ის იქ გაიტაცა სახლის პატრონის ცისფერთვალა მეუღლის, სალიხას, ტოფობამ. ზოგიერთი საისტორიო წყაროსა და საოჯახო გადმოცემის თანახმად, სალიხასთან კავშირის შედეგად ბატონიშვილს შეეძინა ვაჟი, მომავალი იმამი შამილი. მოგონებანი ამის შესახებ გავრცელებული იყო ქართველ მთიელთა შორის. ამის შესახებ თავად ბატონიშვილსაც უთქვამს ხევსურეთში, ქისტაურების ოჯახში ყოფნისას. ამის შესახებ ჩვენთვის თავის ერთ-ერთ წერილში ბატონიშვილ ალექსანდრეს შთამომავალს, ოლგა ივანეს ასულ რატიშვილ-ლვოვასაც მოუწერია: „ცოტა ვინმემ თუ უწყის, რომ იმამ შამილი იყო ვაჟი ალექსანდრე ბატონიშვილისა. ეს ოჯახს ღრმად სწამდა, და, ალბათ, არცთუ უსაფუძვლოდ“.

1800 წლის ზაფხულში ბატონიშვილი ალექსანდრე განჯის გავლით სპარსეთში გადავიდა და თავის მფარველ აბას-მირზას მემკვიდრით იმედოვნებდა დახმარებოდა დედას, დედოფალ დარეჯანს, ტახტის დაბრუნებაში. თავრიზიდან იგი სწერდა ალექსანდრე I-ს, გამოეჩინა ქრისტიანული შემწყნარებლობა დედოფლის მიმართ, დაერთო მისთვის ნება დარჩენილიყო სამშობლოში და არ გადაესახლებინათ რუსეთში. ამასთან, რუსეთთან დიპლომატიას მან ამჯობინა იარაღით ბრძოლა (ხშირად უსახსროდ, მშვიდ-მწყურვალად, უცხო მხარეში), ეძიებდა დახმარებას ხან სპარსეთში, ხან დაღესტანში, ხანებსა თუ ფაშებთან. მისი დაუდგრომელი ბუნება არ სცნობდა სიმშვიდეს. ბედი არც პირად ცხოვრებაში სწყალობდა. ჯერ კი-

დეე ყმანვილობისას დანიშნული იყო ყაბარდოელ დიდგვაროვან მისოსტოვის მშვენიერ ასულზე.<sup>7</sup> მაგრამ იგი მოულოდნელად ისე გარდაიცვალა, რომ ბოლომდე ვერ შეითვისა სამეფო კარის ეტიკეტი და ვერ მოესწრო მეფისწულის მეუღლეობას.

ალექსანდრე დიდხანს გლოვობდა. მოგვიანებით განიზრახეს მისი დაქორწინება ერევანსა და სპარსეთში. ახალციხეში ყოფნისას მან თავადვე კინალამ იქორწინა დიმიტრი აბაშიძის ოჯახის ახლობელ ქართველზე, მაგრამ პოლიტიკურმა ბრძოლამ და გარემოებებმა აიძულა ბატონიშვილი ყარსისთვის შეეფარებინა თავი, შემდეგ გადასულიყო ერზიზში და, ბოლოს, ერევანში. სწორედ აქ გაიცნო მელიქ სააკ ყარამანისძე ალამალიანის ასული მარიამი, რომელმაც ბატონიშვილი მოხიბლა სილამაზითა და გონებით. უკვე გაჭაღარავებულმა, 50 წლის ბატონიშვილმა ჯვარი დაინერა 17 წლის რჩეულზე 1825 წლის მაისს ერზიზში. ქორწილის მთელი ხარჯი აბას-მირზამ გასწია.

ახალდაქორწინებულნი იძულებულნი იყვნენ ეცხოვრათ სპარსეთში. ბატონიშვილის ცხოვრება კვლავ აღსავსე იყო ხიფათითა და დევნით. მიუხედავად ამისა, თანაცხოვრების პირველი რამდენიმე წელი მარიამი მეუღლეს არ შორდებოდა და მუდამ თან ახლდა. პირმშოს, ვაჟის (მას პაპის, მეფე ერეკლეს პატივსაცემად ირაკლი დაარქვეს), დაბადების შემდეგ ბატონიშვილის მეუღლე მამის სახლში, ერევანში, დაბრუნდა. 1827 წლის 13 ნოემბერს რუსული ჯარის მიერ თავრიზის აღების შემდეგ მთავარსარდალმა ივან პასკევიჩმა აიძულა მარიამი შვილთან ერთად მამასთან — ერევანში — გამგზავრებულიყო. ამის შემდეგ მას არ უნახავს ბატონიშვილი, თუმცა, მასთან ფარული მიმონერა ჰქონდა. ის წუხდა მეუღლის გამო, კვლავ ძველებურად უყვარდა და ძალას არ იშურებდა ოჯახში მის დასაბრუნებლად. მეუღლისადმი უკანასკნელ ბარათში ბატონიშვილი ევედრებოდა მას განმტკიცებულიყო, გაფრთხილებოდა მათ ერთადერთ პირმშოს, თან ჰპირდებოდა მოულოდნელსა და სასიხარულო შეხვედრას.



მარიამ ალამალიან-გრუზინსკი გეორგ კორადინი. ტფილისი. 1859 წელი. (ინახება კერძო კოლექციაში)

რუსების წინააღმდეგ მორიგე საბრძოლო ლაშქრობისას ალექსანდრე ბატონიშვილი 1844 წელს გარდაიცვალა ისე, რომ ვერ მიაღწია სამშობლოს საზღვრებამდე. იგი დასაფლავდა თავრიზის სომხური ეკლესიის გალავანში, შაჰ-აბდულაზიმის კვარტალში. მრავალი წლის განმავლობაში რამდენჯერმე აღიძრა საკითხი მისი ნეშტის გადმოსვენებისა საქართველოში და მეფეთა საძვალეში, მცხეთის სვეტიცხოველში, განსვენებისა, მაგრამ ხელისუფლება ყოველთვის უარზე იდგა. ზოგიერთი მოსაზრებით, მეამბოხე ბატონიშვილს სპარსეთში ჰყავდა ქალიშვილი. ასე, მწერალ ა. აღნიაშვილს<sup>8</sup> უხილავს თავრიზში თეთრი მარმარილოს საფლავის ქვა, რომლის წარწერა იუწყებოდა, რომ აქ განისვენებდა ქართველი მეფისწულის, ალექსანდრეს ქალიშვილი ელისაბედი (1811, ერევანი-1836, თეირანი), სამსონ-ხან მაკინციევის მეუღლე.

ერევანში, მშობლების სახლში მყოფ მარიამს შვილთან, ირაკლისთან, ერთად ხელისუფლება გამუდმებით უთვალთვალებდა. მას აფიქრებდა ექვსი წლის შვილის მომავალი და უარს ამბობდა პეტერბურგში გამგზავრებაზე. მისი სიჯიუტე ზოგჯერ განუზომელი იყო, მაგრამ ახლობლებმა ბოლოს და ბოლოს მისი და შვილის უსაფრთხოების მტკიცებით დაარწმუნეს

მარიამი გადასულიყო ტფილისში. დათანხმდათ, მაგრამ წამოაყენა პირობები, რომ იქ დარჩებოდა რამდენიმე წელიწადს; რომ შეემსუბუქებინათ განდგომილი ბატონიშვილის ხვედრი და ნება დაერთოთ მისთვის ოჯახთან ერთად რუსეთს გამგზავრებულიყო. 1833 წლის 22 სექტემბერს მარიამმა მეუღლეს ოფიციალური არხებით წერილი გაუგზავნა. ემუდარებოდა, ეთხოვა იმპერატორისათვის პატიება, ამასთან, სწერდა, რომ მასზე დღენიადაგ ფიქრობს. მან, რა თქმა უნდა, კარგად უნყოდა, რომ ბატონიშვილი არასდროს დათანხმდებოდა რუსეთში ცხოვრებას, მაგრამ ამით სურდა მოეფიქროს დრო მეუღლის მიერ წარმოებული გამათავისუფლებელი ბრძოლის წარმატებით დასასრულებლად. 1833 წელს მარიამი ვაჟსა და უერთგულეს 12 მსღებღელთან ერთად ჩამოვიდა ტფილისში. აქ არაერთგვაროვნად ეპყრობოდნენ: ერთთათვის იგი მემამბოხის მეუღლე გახლდათ, რომელიც ქართლ-კახეთის ტახტის დაბრუნებას ცდილობდა, სხვანი თანაგრძნობით ეპყრობოდნენ. მეფისწულის მეუღლეს აშინებდა შვილის სიცოცხლე. ახლობლები ურჩევდნენ დამორჩილებოდა ხელისუფალთ და გამგზავრებულიყო პეტერბურგში, სადაც ირაკლი უსაფრთხოდაც იქნებოდა და ღირსეულ განათლებასაც მიიღებდა.

1834 წლის მაისში დედა-შვილი ჩავიდა პეტერბურგში გვარდიის ოფიცრის, თავად მ. ი. თუმანოვის, უერთგულეს მსახურ ბეგლარის, ძიძის, თარჯიმნის, მზარეულისა და რამდენიმე ქალის თანხლებით. მეფისწულის მეუღლე მაშინვე მიიღო იმპერატრიცა ალექსანდრამ. იქ იმყოფებოდა თვითონ ნიკოლოზ I. გერბებიანი კარგით მიბრძანებულმა მარიამმა ყველაზე მოახდინა შთაბეჭდილება. ამის შემდეგ ხშირად ინვედნენ სასახლეში სავახშმოდ თუ სასადილოდ. შვილთაშვილისშვილი მეფისწულის მეუღლისა, ოლგა ივანეს ასული რატიშვილი-ლეოვა (1915-1991) ერთ-ერთ წერილში მწერდა: „ალექსანდრე ბატონიშვილის მეუღლე მარიამის შესახებ არსებობს ასეთი გადმოცემა, რომ იმპერატრიცასთან მიღებაზე ერთმა დიდგვაროვანმა ქალბატონმა მას ჰკითხა სახელი და მამის სახელი. დედოფალმა უპასუხა — „მარიამ ისააკის ასული“. ქალბატონმა შეჰყვირა — „მე არ ვიცოდი, რომ ქართველები ებრაელები იყვნენ“. საპასუხოდ მარიამმა თქვა: „არც მე ვიცოდი, რომ ისააკის ტაძარი სინაგოგაა“.

პეტერბურგში იგი დააჯილდოვეს წმ. ეკატერინეს ორდენით, დაუნიშნეს წლიური პენსია 11320 მანეთი, მისი ვაჟი ჩარიცხეს პაჟთა კორპუსში, სადაც მას, მსახურ ბეგლარსა და ძიძას გამოუყვეს განცალკევებული საცხოვრებელი. გუვერნანტი ასწავლიდა ირაკლის უცხო ენებს. ბუნებით ნიჭიერი ირაკლი ყველაფერს სწრაფად ითვისებდა. და 1835 წლისათვის უკვე სამეფო კარის პაჟი გახდა. ყოველწლიურად იღებდა 3000 მანეთს ასიგნაციებით, 75000 მანეთი კი დაუნიშნეს უძრავი ქონებისათვის. ყმანვილისათვის უხვად და უშურველად გაიღეს წყალობანი, რათა, ბარონ როზენის თქმით, „ის არ გამოსულიყო მამამისივით, ბატონიშვილ ალექსანდრესაგვით, თავზეხელაღებული ყაჩაღი“.

ირაკლიმ ბრწყინვალედ დაასრულა პაჟთა კორპუსი, 1845 წელს მიიღო პრაპორშჩიკის ჩინი, ჩაირიცხა ნიჟეგოროდის, ცხენოსან-გრენადერთა და პრეობრაჟენსკის პოლკებში. მარიამის სიცოცხლე მთლიანად საყვარელ შვილს ეკუთვნოდა. ირაკლი თუმცა პეტერბურგის უმაღლეს წრეებში ტრიალებდა, მაინც არ ივინყებდა საქართველოს და მუდმივად სამშობლოში დაბრუნების მოლოდინში იყო. მას მაგალითად ჰყავდა უცხოეთში აღსრულებული მამაცი მამულიშვილი მამა, მისი

ხივათით, გამუდმებული ბრძოლითა და სიძნელებით აღსავსე ცხოვრება.

1840-იან წლებში მარიამი და მისი ვაჟი თავად გრუზინსკის ტიტულით, უკვე დავაჟკაცებული, ეგზომ რომ ჰგავდა თავის პაპას, ერეკლეს (სამუალო სიმალის, შავთვალემა, მალაღმუბლა), დაბრუნდნენ ტფილისში. ირაკლი გრუზინსკიმ დაიწყო ქართული ტანსაცმლის ტარება. 1858 წელს მან ააშენა ორსართულიანი სახლი სოლოლაკისა და ლაბორატორიის ქუჩათა კუთხეში (დღევანდელი სულხან-საბასა და ლეონიდის ქუჩები). ეს სახლი დღესაც არსებობს, ცხადია, მრავალჯერ გადაკეთებული და პირვანდელსახედაკარგული. მთავარი შესასვლელის სადარბაზოს რკინის ცხაურზე ჯერ კიდევ საჩინოა ლათინური ასო „H“ (საწყისი ასო ლათინური HERACLIUS-ისა).

სახლში იყო მრავალი ოთახი, რამდენიმე საპირფარეო, სამზარეულო, ჰოლანდიური ღუმელი, პარკეტის იატაკები. გარს ერტყა ბალი, რომლის ტერიტორიაზეც განლაგებული იყო კეთილმოწყობილი ფლიგელები, საჯინბო. 1858 წელს ნასყიდობის წიგნის მიხედვით, „გვარდიის გადამდგარმა პოლკოვნიკმა, თავადმა ირაკლი ალექსანდრეს ძე გრუზინსკიმ მიჰყიდა საქართველოს მეფისწულის მეუღლეს, მარიამ ისააკის ასულს, თავისი ორსართულიანი სახლი ბალითურთ, რისთვისაც მისგან მიიღო 30 000 მანეთი ვერცხლით. ნასყიდობის მოწმენი თავადი ვახტანგ ვახტანგის ძე ჟამბაკურ-ორბელიანი და სახელმწიფო მრჩეველი იური თევდორეს ძე ახვერდოვი“.

მიზეზი დედა-შვილს შორის შემდგარი ამ გარიგების უცნობია, მაგრამ 1870 წელს ალექსანდრე ბატონიშვილის მეუღლე (სამუზეიმო საარქივო დოკუმენტების თანახმად) ითხოვდა გაცეცალა თავისი სახლი, რომელშიც განთავსებული იყო ტფილისის გუბერნიული სამმართველო და სხვა გუბერნიული დაწესებულებანი, გოგირდის აბანოებზე საბაჟოს ქუჩაზე, რომელიც მდებარეობდა თავად ბებუთოვების აბანოებსა და დაბახანის ხევისშორის. ხალხში ამ აბანოს „ირაკლის აბანოს“ უწოდებდნენ.<sup>10</sup>

სახლი გადასცეს სახელმწიფო ხაზინას, აბანო კი-ბატონიშვილის მეუღლეს სამუდამო მემკვიდრეობითი სარგებლობისა და გადაცემის უფლებით. 1877 წელს საქართველოს მეფისნაცვლის, ბრწყინვალე თავადის, მიხეილ ნიკოლოზის ძის, შუამდგომლობით სახლი სოლოლაკში მარიამს დაუბრუნეს, რაზედაც მეტყველებს კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროს ბარონ ნიკოლაის ოფიციალური წერილი მისადმი (ბარონ ნიკოლაი იყო მეუღლე სოფიო ალექსანდრეს ასულ ჭავჭავაძისა, რომელიც გახლდათ დეიდა თამარ დავითის ასულ ჭავჭავაძისა, მარიამის რძლისა).

ტფილისში ირაკლიმ ააგო ორი სკოლა მთანმინდაზე და ავლაბარში, რომელთაც ხალხი „ირაკლის სკოლებს“ უწოდებდა და დააარსა წერა-კითხვის კომიტეტი.

1864 წელს შამბურგში მკურნალობის დროს (ეკატერინე დადიანთან ერთად) მან გაიცნო ავსტრიელი გრაფის ქალიშვილი ბერტა კინსკი (დაბ. 1843 წ. ), ქორწინებით ბარონესა ზუტნერი. იგი შესანიშნავად მღეროდა და ადელინა პეტის დიდებასაც უწინასწარმეტყველებდნენ,<sup>11</sup> მაგრამ მან შემდგომ სახელი გაითქვა როგორც მწერალმა და ავტორმა ცნობილი წიგნისა „მშვიდობით, იარაღი“. ბერტა კინსკი გატაცებული იყო ირაკლი გრუზინსკით, რომელიც აღწერა კიდევ თავის მემუარებში: „ეს იყო დაახლოებით 40 წლის მამაკაცი, ტანდაბალი,



ალექსანდრე ბატონიშვილი (დაიბეჭდა კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში. ტფილისი. 1866 წელი)

არისტოკრატულად დახვეწილი, ელეგანტური, შავი უღვამე-  
ბით, მკვეთრი სახასიათო პროფილითა და საოცრად ნაღვლი-  
ანი, თითქმის გოროზი სახით. მართალი რომ ვთქვა, მომხიბ-  
ლა და მიმიზიდა არამარტო მისმა წარჩინებულმა გვაროვნო-  
ბამ და სიმდიდრემ, არამედ, უცილობლად, უფრო მეტად მის  
სახეზე აღბეჭდილმა „მსოფლიო სევდამ“. ის იყო მეფეთა შთა-  
მომავალი და მეჩვენებოდა, რომ მისი სახე გამოხატავდა გა-  
ნუზომელ დარდას და ტანჯვას თავისი მშვენიერი ქვეყნისა.  
მომეჩვენა, რომ ისიც მზად იყო ჩემდამი სიყვარულისთვის,  
მაგრამ მოულოდნელად გაემგზავრა... მახსოვს, ძალიან გან-  
ვიცდიდი, ვტიროდი, ერთი სიტყვით, ვიქცეოდი ისე, როგორც  
შეეფერება ტრფობაგატაცებულ ახალგაზრდა ქალს“. ბერტა  
ზუტენერ-კინსკი მეგობრობდა ეკატერინე დადიანთან და მას  
სამეგრელოშიც სტუმრობდა. ერთხელ საქართველოში ჩამოს-  
ვლისას მან შეიტყო ირაკლი გრუზინსკის გარდაცვალების  
(1882 წ. ) შესახებ. დავით ჭავჭავაძის  
სახლში ყოფნისას დაუახლოვდა თა-  
მარ დავითის ასულ ჭავჭავაძეს.

ირაკლი გრუზინსკი და თამარ ჭავ-  
ჭავაძე (თამარ ჭავჭავაძე, შვილიშვი-  
ლი პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძისა და  
მარიამ გიორგის ასულ ავალიშვილისა,  
შვილთაშვილი გიორგი XII-ისა და დე-  
დოფალ მარიამ (ციციშვილისა)<sup>12</sup> შეუღ-  
ლდნენ სიყვარულით, მაგრამ ირაკლი  
მეუღლეზე 25 წლით უფროსი იყო.  
ამასთან, თანამედროვეთა მოგონებე-  
ბის თანახმად, ის უფრო ხნიერად გა-  
მოიყურებოდა (ალბათ, შეჭადარავე-  
ბული თმისა და ავადმყოფობის გამო).  
მას არ უყვარდა საზოგადოებაში ტრი-  
ალი, გარეგნულად მორცხვს ჰგავდა,  
ცოტა პირქუშიც იყო. თუმცა ყველა  
უსიტყვოდ აღიარებდა მის ჭკუასა და  
მომხიბვლელობას.

ბედმა თავისებურად განსაჯა: თა-  
მარ ჭავჭავაძისა და ირაკლი გრუზინს-  
კის შეუღლებით დამოყვრდნენ ერეკ-  
ლეს შვილთა (სხვადასხვა ქორწინები-  
დან) ნათესაური შტოები. მათი ცოლქ-  
მრული ურთიერთობაც ისევე რთუ-  
ლად და არაერთგვაროვნად წარიმარ-  
და, როგორც მათი წინაპრების, ნახევარძმების-ალექსანდრე-  
სი და გიორგის. ერთ-ერთი მიზეზი მათ შორის არსებული გან-  
ხეთქილები იყო ის, რომ ბატონიშვილი ალექსანდრე ლა-  
ლატში ადანაშაულედა ძმას და არ იზიარებდა მის ქმედებებს  
საქართველოს შესაყვანად რუსეთის მმართველობაში.<sup>13</sup>

თამარ ჭავჭავაძე-გრუზინსკია საზოგადოებაში ცნობილი  
გახლდათ თავისი სილამაზით, ჭკუითა და დახვეწილი გემოვნე-  
ბით, რაც მემკვიდრეობით გადმოეცა დედის, ანა ილიას ასუ-  
ლისა და ბებუის, სალომე ივანეს ასულ ორბელიანისგან. ალექ-  
სანდრე დიუმა გაეცნო რა თამარ ჭავჭავაძის მშობლებს (თვი-  
თონ თამარი მაშინ 6 წლისა იყო, შეიძლება მის მეხსიერებას შე-  
მოიხსნა კიდევ ფრანგი მწერლის სახე) 1858-59 წლებში ტფი-  
ლისში ყოფნის დროს, ანა ილიას ასულის შესახებ წერდა: „თა-  
ვადის ქალს, ჭავჭავაძეს, აქვს ყველაზე საოცარი თვალები  
მთელ საქართველოში... მაგრამ რაც ყველაზე მეტად გხიბლავს  
პირველი დანახვისთანავე მასში, ეს წმინდა ბერძნული პროფი-  
ლია ან, უმჯობესია ვთქვათ, წმინდა ქართული, ანუ ბერძნული,  
ოღონდ სიცოცხლემთაბერილი და განცხოველებული.

...თავადის ქალის სახეზე ღრმა მელანქოლიის კვალია აღ-  
ბეჭდილი. საიდან ეს მელანქოლია? ის ხომ ბედნიერი მეუღლე  
და დედაა. იქნებ იმიტომ, რომ განგებამ ინება მისი ეგზომი სი-  
ლამაზით დაჯილდოება... იქნებ ეს გამოძახილია, გახსენებაა

სამწინელი თავგადასავლისა, რამაც იგი თავის ოჯახს გაჰყარა  
თითქმის მთელი წელი?“ დიუმა გულისხმობდა 1854 წელს და-  
ვით და ანა ჭავჭავაძეების ოჯახის დატყვევებას შამილის მი-  
ერ. მაშინ ტყვეობაში თავის დედასა და დებთან ერთად ორი  
წლის თამარ ჭავჭავაძეც აღმოჩნდა. მტირალი ბავშვი გაიტა-  
ცეს, თავი ხურჯინში უკრეს და ასე მიიყვანეს დანიშნულების  
ადგილამდე.<sup>14</sup> თავად შამილი ბავშვს თბილად ეპყრობოდა და  
მას ლეკური კაბაც კი აჩუქა, რომელიც დღეს ინახება საქარ-  
თველოს ხელოვნების მუზეუმის ფონდებში.

მოგვიანებით, წამოჩიტულ თამარს ახლობლები შეხუმრე-  
ბით თამარ შამილის ასულს ეძახდნენ. მან მიიღო მრავალმხ-  
რივი განათლება, იცოდა უცხო ენები, ბრწყინვალედ უკრავდა  
ფორტეპიანოზე. მას და მის მეუღლეს ჰქონდათ დიდი და მდი-  
დარი ბიბლიოთეკა. თამარ დავითის ასული იყო თავმჯდომარე  
საქველმოქმედო საზოგადოებისა, წვერი წერა-კითხვის გამავ-  
რცელებელი საზოგადოებისა და ტფი-  
ლისის გიმნაზიის მზრუნველთა კომი-  
ტეტისა. იგი ეხმარებოდა ილია ჭავჭავა-  
ძეს საზოგადოებრივ საქმიანობაში.

მან, თამარ ჭავჭავაძე-გრუზინსკია-  
ამ, საქართველოს მეფეთა შთამომა-  
ვალმა, საიმპერატორო სახლის ფრეი-  
ლინობაზე უარი განაცხადა.

ვერ აენყო მისი პირადი ცხოვრება  
მეუღლის სახლში, რასაც ადასტურებს  
დეიდაშვილის, მაკა ნიკოლაი-შერვაში-  
ძის მიერ (სოფიო ალექსანდრეს ასულ  
ჭავჭავაძის ქალიშვილი) პეტერბურგ-  
ში<sup>15</sup> თავისი მამის, ბარონ ალექსანდრე  
ნიკოლაისადმი გაგზავნილი წერილები.  
მაკა შერვაშიძე წერს, რომ „საწყალი  
თამარის საქმეები ცუდადაა. ...ურთი-  
ერთობა მათ შორის (თამარსა და ირაკ-  
ლის შორის — ი. დ.) არც არასდროს ყო-  
ფილა კარგი. სცენები, როგორც ჩანს,  
ქორწინების პირველი წლიდანვე და-  
იწყო, მაგრამ თამარი ამას თავის დებ-  
საც კი უმაღლავდა. ...იგი მორჩილად ით-  
მენდა ყველაფერს და უსიტყვოდ ემორ-  
ჩილებოდა ირაკლის. ბოლოს და ბო-  
ლოს, მოთმინების ფიალა ავესო და  
უარი განაცხადა აეტანა მის მიმართ გა-



მარიამ ალამალიან-გრუზინსკი  
წმინდა ეკატერინეს ორდენით  
(საქართველოს ხელოვნების მუზეუმი)

მოვლენილი ყველა სიუხეზე და შეურაცხყოფა. გასულ გა-  
ზაფხულს მათ ძალზე იჩხუბეს და თამარი ქმართან შეური-  
გებლად ბორჯომში გაემგზავრა. მოგვიანებით მათი საქმე  
რადიკალიზაციად გამოსწორდა“.

მაკა შერვაშიძე მამას ცოლ-ქმრის მეორე ჩხუბის შესახებ  
ბაც სწერდა, როცა სადილობისას ირაკლი გრუზინსკიმ ყვე-  
ლას თანდასწრებით მეუღლეს უყვირა: „წადი ჩემი სახლიდან“. თამარმა  
გაცხარებულ გულზე დააპირა მამასთან წინანდალში  
გამგზავრება, არ ისურვა უხეშ ქმართან შერიგება, რომელიც  
არასდროს შეინანებდა და ყოველთვის მას ადანაშაულედა.  
თამარის დედამთილი მარიამი, რომელიც შვილს აღმერთებდა,  
ასევე მიიჩნევდა, რომ ცოლქმრულ ჩხუბში დამნაშავე თამარ-  
ია. იგი ხომ აღზარდეს რწმინით, ცოლი ვალდებულია სიტყ-  
ვაშეუბრუნებლად დაემორჩილოს ქმარსო. ის თავად იყო მორ-  
ჩილი ცოლის განსახიერება. მშობლები, დავით ალექსანდრეს  
ძე ჭავჭავაძე და ანა ილია ასული, უშედეგოდ ცდილობდნენ  
დაეცვათ შვილი ქმრის შეურაცხყოფებისაგან.

ირაკლი გრუზინსკიმ „მტკიცედ განაცხადა, რომ შვილებს  
თამარს არასოდეს მისცემს“, მას კი სრულ თავისუფლებასა  
და საარსებოდ 3000 მანეთს აძლევს. თამარმა არ მიიღო ქმრის  
ამგვარი პირობა და დარჩა ქმართან შვილების გამო. გარკვე-  
ული დროის განმავლობაში ირაკლი დაუთბა ცოლს, მაგრამ

მანც თავისი ჩვეული მოღვაწეობით იერით გარშემო მყოფთ აფრთხობდა. ასეთი გაუნონანსორებელი ქცევა ბატონიშვილისა, რამდენადაც ძალა შეგვენეს შევავასოთ, ალბათ, გამონვეული იყო მძიმე ბავშვობით, მამისა და სამშობლოსაგან შორს, უცხოეთში, ყოფნით. შეიძლება სიფიცხე მამისგანაც ერგო მემკვიდრეობით და, ვინ იცის, შეიძლება ირაკლი გრუზინსკი, განგების ნებით თავს საქართველოს ტახტის მფლობელად ხედავდა, ტახტისა, რომელიც უსამართლოდ ნაპვეარეს მამასა და თავად მასაც.

ირაკლი გრუზინსკი (პოლკოვნიკი, ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი) ხანგრძლივი ავადმყოფობის (წყალმანკი) შემდეგ 1882 წელს გარდაიცვალა. დედას, ბატონიშვილის მეუღლე მარიამს, შვილის სიკვდილის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია. იმავე წლის 8 ოქტომბერს ტფილისის გაზეთები იუნყებოდნენ მის გარდაცვალებას. გაზეთ „Кавказ“-ში (1882 წ. №267-2) დაიბეჭდა მისი ნეკროლოგი. ტფილისის ქალაქის სათათბირომ მიუსამძიმრა მის რძალს თამარ ჭავჭავაძეს, ძმას — ყარამან ისააკის ძესა და დას — სალომე ისააკის ასულს.<sup>16</sup>

იმავე გაზეთმა „Кавказ“ დაახასიათა გარდაცვლილი: „განსვენებული ფიზიკურ სილამაზესთან ერთად დაჯილდოებული იყო მაღალი სულიერი ღირსებებით. თავისი მწირი განათლების მიუხედავად, გამოირჩეოდა ჭკუითა და ტაქტით. არაერთხელ ჰქონია ბედნიერება ყოფილიყო სამეფო კარზე ან განსვენებულ მეფეებსა თუ უმაღლეს ხელისუფლებთან მიღებაზე. ბუნებრივი კდემამოსილება და აზიური ცხოვრების წესით მასში გამჯდარი სიმორცხე კიდევ უფრო ზრდიდა მის პატივისმცემელთა რიცხვს. მისმა ქველმოქმედებამ კი მრავალი ღარიბი ოჯახი დააკავშირა მასთან, რომლებიც ხშირად მთლიანად მის კმაყოფაზე იყვნენ.“

მეფისწულის მეუღლე მარიამის სიკვდილით არსებობა შეწყვიტა ყოფილმა სამეფო სახლმა.<sup>17</sup>

გაზეთის მომდევნო ნომერში (?268-2) კი აღწერილია სამგლოვიარო ცერემონია: „10 ოქტომბრის დღის 10 საათიდან დიდი გამოცოცხლება ქალაქში, განსაკუთრებით, ერევნის მოედანსა და სოლოლაკის ქუჩაზე მონობდა, რომ ახლოვდებოდა დანიშნული დრო საქართველოს მეფისწულის მეუღლის გამოსვენებისა და მიწისთვის მისი ნეშტის მიბარებისა. განსვენებული იყო წარმომავლობით სომეხი, ამიტომ ცერემონიაში მონაწილეობა მიიღო ქალაქის სომეხი მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა. 11 საათის დასაწყისისთვის, განსვენებულის სახლში რიტუალის ჩატარების შემდეგ, გენერალ-ადიუტანტ, თავად დონდუკოვ-კორსაკოვის, სამხედრო, სამოქალაქო უწყებათა, სათათბიროს წევრებისა და განსვენებულის ახლობელ-ნათესავთა თანხლებით სამგლოვიარო პროცესია დაიძრა სოლოლაკის, სასახლის, გოლოვინისა და ბარატინსკის ქუჩათა გავლით ვანის ეკლესიისაკენ... 12 საათისათვის მიადნეს განსვენების ადგილს. საზეიმო ლიტურგიისა და გამოსათხოვარი სიტყვების შემდეგ მიცვალებულის ნეშტი მიბარეს მიწას.“

თეთრი მარმარილოს საფლავის ქვაზე, რომელიც შემკული იყო ბაგრატიონთა გერბითა და ვაზის ორნამენტით, განათავსეს ტექსტი რუსულ, სომხურსა და ქართულ ენებზე: „მეფე ირაკლის რძალი, მეუღლე ალექსანდრე ბატონიშვილისა მარიამ ისააკის ასული დაიბადა 1808 წლის 12 აგვისტოს, გარდაიცვალა 1882 წლის 7 ნოემბერს.“

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ვანის ეკლესიის დანგრევის შემდგომ საფლავის მარმარილოს ფილა გადაიტანეს საქართველოს მუზეუმში, შემდგომ-მცხეთის არმაზში.

შვილის სიკვდილის შემდეგ მარიამმა მალევე შეადგინა ანდერძი.<sup>17</sup> ანდერძის თანახმად, საქართველოს მეფისწულის დაქვრივებული მეუღლე გადასცემდა თავის მემკვიდრეობას, უძრავსა და მოძრავს, სრულად და საკუთრების უფლებით, თავის შვილიშვილებს-მხოლოდშობილი ვაჟის, უგანათლებულესი თავადის ირაკლი გრუზინსკის ქალიშვილებს, მცირეწლოვანთ, ელისაბედსა და ეკატერინეს. სოლოლაკის სახლი მან რძალს უანდერძა, მასვე ერგო მამულებისგან შემოსავალი. მარიამის „აცახცახებული ხელით დანერილ“ ანდერძს ხელი მოაწერა მარიამის ძმამ, ნამდვილმა სახელმწიფო მრჩეველმა ყარამან ისააკის ძე მელიქ-ალამლიანმა.

დაუფლების სიგელი გადაეცა 1882 წელს მცირეწლოვან შვილიშვილთა მეურვეებს, თამარ გრუზინსკაიასა და ბრონ ალექსანდრე ნიკოლას,<sup>18</sup> 1898 წლისათვის კი მათ, უკვე სრულწლოვანთ, მიეცათ უფლება ესარგებლათ ამ სახლის მესაკუთრის უფლებით.<sup>19</sup>

ირაკლი გრუზინსკის ორივე ქალიშვილს საკუთრებაში გადაეცა ე. წ. ირაკლის აბანო (1884 წ. ), ასევე ვალი 37 880 მანეთი ვექსელით, რის გამოც თამარ ჭავჭავაძე-გრუზინსკაიამ და ა. ნიკოლაიმ თავის განცხადებაში ტფილისის მომრიგებელ მოსამართლეს 1882 წლის ოქტომბერს თხოვნით მიმართეს, რათა გადაევადებინათ ეს ვალი და გირაოს სახით უძრავ ქონებას სთავაზობდნენ.<sup>20</sup>

თამარ ჭავჭავაძე-გრუზინსკაია ბრწყინვალე დედა (შემდგომ- ბებიაც) იყო. მისი ორი შვილი — ალექსანდრე (ალექსანდრე ბატონიშვილის პატივსაცემად) და მარიამი (ბებია მარიამის პატივსაცემად) ჯერ კიდევ ყრმანი გარდაიცვალნენ.<sup>21</sup> მამა, ირაკლი გრუზინსკი, ვაჟის სიკვდილს ძლიერ განიცდიდა, დედა კი „ლამის შეიშალა ამ მწუხარების გამო.“<sup>22</sup>

მათი ორი ქალიშვილი, ელისაბედ გრუზინსკაია-ორბელიანი (1870-1942) და ეკატერინე გრუზინსკაია-რატივეი (რატივილი) (1872-1917) აგრძელებდნენ მათი სახელოვანი გვარის ტრადიციებს და აღზარდეს შესანიშნავი შვილები.

დაქვრივებულმა თამარ ჭავჭავაძე-გრუზინსკაიამ მემკვიდრეობის მიღების შემდეგ ხორცი შეასხა თავის დიდი ხნის ოცნებას, თავის ქალიშვილებს მისცა ევროპული განათლება. საზღვარგარეთ მათი გამგზავრების შესახებ მოთხოვნილია ეკატერინე გრუზინსკაიას დღიურში (დაუმთავრებელში, რომელიც ჩვეულებრივი ხაზიანი სასკოლო რვეულია, ნაყიდი ტფილისში, გ. ს. მასნიკიანის მალაზიაში). ტექსტი ქართულად და დასათარგმნელი „მოსხენება“. ყდაზე მისი მეუღლის, თავად ივანე დიმიტრის ძე რატივილის ხელით წარწერილი აქვს: „ჩემი განსვენებული მეუღლე ეკას რვეული“.<sup>23</sup>

ეკატერინე გრუზინსკაია თავის დღიურში ჰყვება, რომ ერთხელ, ზამთრის ცივ ღამეს, ცეცხლთან მიმჯდარი როგორ იგონებდა თავის ყრმობას, იმას, თუ დედამ როგორ გადაწყვიტა დაეტოვებინა სამშობლო რამდენიმე წლით, რათა მიეცა ქალიშვილებისთვის საუკეთესო განათლება ევროპაში. 1884 წლის 11 ოქტომბერს სამივენი სადგურში წავიდნენ მათი ცილების მსურველი მრავალი მეგობრისა და ნათესავის თან-



უგანათლებულესი თავადი ირაკლი გრუზინსკი (ფოტო-ორიგინალი ინახება ე.ი. ლვოვა-რატივილის საოჯახო არქივში. მოსკოვი)



ხლებით. ეკატერინე (ეკა) ფიქრობდა სამშობლოზე, ყველაფერზე, რაც მისთვის ძვირფასი იყო, მისთვის უცნობ ახალ ქვეყნებზეც, რომელთა ხილვის ბედნიერება უნდა განეცადა. 12 წლის გოგონა ვაგონის ფანჯრიდან ეთხოვებოდა და სალამს უგზავნიდა მცხეთას, სვეტიცხოველს, სადაც განისვენებდნენ ქართველი მეფეები, მისი მამა ირაკლი გრუზინსკი, ძმა ალექსანდრე და დაიკო მარიამი.

ბათუმში პატარა ეკატერინემ და ელისაბედმა თავადის ქალის, ჩოლოყაშვილის, თანხლებით გაისეირნეს ნავით და თვალი ვერ მოწყვიტეს ზღვას. საღამოს გემ „იუნონათი“ ისინი გაემგზავრნენ ოდესაში, გზადაგზა იმ ქალაქებს ათვალიერებდნენ, სადაც კი მათი გემი ჩერდებოდა.

ისინი ვენაში ჩავიდნენ. ერთი კვირის განმავლობაში ეცნობოდნენ ქალაქის ღირსშესანიშნაობებს (წმ. სტეფანეს ეკლესია, თეატრები, ოპერა, მრავალწლოვანი ხეებით დაბურული ქალაქის ბაღი). ვენიდან დრეზდენში გადავიდნენ, სადაც მთელი ზამთარი შეყოვნდნენ, რადგან გოგონები გაამწესეს პანსიონში. თამარ ჭაჭავაძე-გრუზინსკი იავადმყოფა. ამიტომ ფრანცბადემი მოუწია მკურნალობა ტალახის აბაზანებითა და მინერალური წყლებით. ორი თვე დაჰყვეს ბადენ-ბადენში და შემდეგ გაემგზავრნენ პარიზში. როგორც ეკატერინე წერს, „აქ ადვილია ცხოვრება, აქ ყველას ძალუძს თავის შესაძლებლობის შესატყვისად იცხოვროს. პარიზში გაზაფხულობით უკეთესია, ვიდრე ზაფხულსა და შემოდგომაზე, ზამთარში კი სინესტია“. ახალგაზრდებს აოცებდათ გაჩახჩახებული ქუჩები, ხალხის ნაკადი და მალაზიები. სამწუხაროდ, აქ ჩანანერები წყდებოდა. საინტერესო კი იქნებოდა შეგვეცყო ვენეციაში ირაკლი გრუზინსკის ოჯახის ცხოვრების შესახებ, სადაც თამარმა შეიძინა ვილა „ბიზმა“ და სადაც ქართული და იტალიური ხელოვნების ნიმუშების თავისებური მუზეუმი მოაწყო. ო. ი. რატიშვილი-ლვოვას პირად არქივში დაცულია ამ ვილის ეზოში გადაღებული საოჯახო ფოტოები, ასევე მოგვიანებით ეკას მეუღლის, ი. დ. რატიშვილის მიერ დაწერილი და ნოსტალგიით აღსავსე ლექსი (ხელნაწერი უთარილოა).

შვილთაშვილმა დავით ჭაჭავაძისა, ე. ი. თამარ ჭაჭავაძე-გრუზინსკისა და დისწულის შვილიშვილმა, ეკატერინე ალექსანდრეს ასულმა იაკოვლევამ (1915-1991) ჩვენი თხოვნით 1984 წელს დაწერა მოგონებანი საკუთარი ცხოვრებისა და წინაპრების შესახებ.<sup>24</sup> მას კარგად ახსოვდა თამარ დავითის ასული და ასევე კინორეჟისორ მერაბ კოკოჩაშვილის ბებიის, ნინო დავითის ასულ ჭაჭავაძის მონათხრობი თავისი დის, თამარის შესახებ. ეკატერინე იაკოვლევამ მოგონებებში ჩაწერა: „ცხოვრების მიმწუხრამდე ყოველთვის ელეგანტური, ლამაზი თამარ ჭაჭავაძე მუდამ ალერსიანი და საღმიანი იყო და ძალიან უბრალოდ ეჭირა თავი ყველასთან. ის დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა სხვადასხვა ქვეყანაში, როცა მისი ქალიშვილები იქ იღებდნენ ევროპულ განათლებას. ერთხელ თურმე თამარი კარტიიდან გადმოდიოდა, მიიჩქაროდა რომელიღაც წვეულებაზე, და ძლივს გაიკავა გზა უსაქმურთა შორის, რომლებმაც მხურვალე ტაშით გამოხატეს აღფრთოვანება მისი სილამაზის გამო“.

როდესაც ირაკლი გრუზინსკის ქალიშვილებმა დაასრულეს განათლება პარიზში (პარიზის კათოლიკურ მონასტერთან არსებულ გიმნაზია საკრე-კიორსა და პარიზის უნივერსიტეტში), 1896 წელს დაბრუნდნენ სამშობლოში. თან ჩამოიტანეს ვილა „ბიზმაში“ არსებული თავიანთი მუზეუმის ექსპონატები და მათგან არაერთი გადასცეს საქართველოს მუზეუმებს, კერძოდ, საქართველოს ეროვნულ გალერეას<sup>25</sup> 1927 წელს შეემატა ვენეციური ფერწერის ერთ-ერთი ფუძემდებლის, მანეტო პაოლოს უიშვიათესი ნამუშევარი; ასევე ბრინჯაოს ორნამენტირებული ჩარჩოიანი მრავალკარგი 8 მწმინდანის გამოსახულებით. დედა-შვილმა ის შეიძინა ერთი იტალიელი კოლექციონერისგან.

ტფილისში თამარ ჭაჭავაძე-გრუზინსკია ცხოვრობდა მცხეთის ქუჩაზე (ახლა მელიქიშვილის ქუჩა) და, როგორც იგო-

ნებდა ე. იაკოვლევამ, „ბინა ძალზე სადად იყო მოწყობილი. იგი იქ თავის ქალიშვილ ელისაბედთან ერთად ცხოვრობდა. მას დიდი ხნის ნამსახურები ლუკა ყველაფერში ეხმარებოდა, სადილებსაც კი უმზადებდა. ადრე თამარს სხვა ბინაც ჰქონდა მტკვრისპირზე. ეს იყო შესანიშნავი ბინა, რომლის ფანჯრები მტკვარს გადაჰყურებდა. სახლი დიდებულად იყო განწყობილი ვენეციიდან ჩამოტანილი ულამაზესი ნივთებით. ყველაფერი ისეთი ლამაზი გახლდათ, რომ თავი თავისებურ მუზეუმ-საგანძურში გეგონებოდა. ირგვლივ ყველგან იყო სამშენისები და ბროლის იმდენად უთხელესი ლარნაკები, რომ დეიდა თამარი იცვამდა საგანგებო ხელთათმანებს და ისე ალაგებდა და წმენდდა მტკვრს. ყოველ წელს, 6 იანვარს, ნათლისღებას, მასთან თავს იყრიდნენ ნათესავები და უახლოესი მეგობრები, რათა დაენახათ, როგორ ბანაობდა ხალხი მტკვარში, მღვდლები კი წყალს აკურთხებდნენ. ნათლისცემის რიტუალის დასრულების შემდეგ სტუმრებს სასაუზმოდ უხმობდნენ დიდებულად სერვირებულ სუფრასთან... უგანათლებულესი დეიდა თამარი დიდ დროს უთმობდა საზოგადოებრივ საქმიანობას, ხშირად ეხმარებოდა ილია ჭაჭავაძეს, აგროვედა სახსრებს შეჭირვებულთათვის. იგი თავმდაბალი იყო და თავისი საქმიანობის შესახებ არ საუბრობდა. ვარდა ამისა, ძალიან მუსიკალური გახლდათ და ხშირად ესწრებოდა კონცერტებს“.

თამარის უფროსმა ქალიშვილმა, ელისაბედ გრუზინსკია-ორბელიანმა, სახელი გაითქვა როგორც პოეტმა და წერდა ფსევდონიმით „საზანდარი“. წერდა რუსულად და ფრანგულად. გადათარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ ფრანგულად, იყო გამომცემელი 1910-იანი წლების დასასრულსა და 1920 წლების დასაწყისში ტფილისში გამომავალი (და ავტორი პუბლიკაციებისა) გაზეთებისა — „La Republique Georgienne“ და „Chroniques de la Georgie“. ელისაბედ ორბელიანი გახლდათ პირველი ლექტორი ქალი ფრანგული ენის კათედრაზე ტფილისის ახალგაზრდულ უნივერსიტეტში, რომლის სახელიმ გახსნისასაც, 1918 წელს, ამალელებელი სიტყვითაც კი გამოვიდა.

მას მიუძღვნეს ლექსები აკაკიმ და ვაჟამ. ელისაბედ ორბელიანის სალიტერატური სალონის სტუმრები იყვნენ ი. ნიკოლაძე, გ. გაბაშვილი, ი. გრიშაშვილი, შ. დადიანი, ზ. ფალიაშვილი და. არაყიშვილი, კ. გამსახურდია და სხვა მრავალი მოღვაწე ქართველი კულტურისა.

მისმა შვილმა ირაკლიმ (1901, ტფილისი-1954, ნიუ-იორკი) 19 წლისამ ბრწყინვალედ დაამთავრა კონსერვატორია და 1921 წელს გაემგზავრა კონსტანტინოპოლში, იქიდან ბერლინში, პარიზში და, ბოლოს, ამერიკაში (1930). აქ დაქორწინდა სან-ფრანცისკოელ მერი მაკნაიტზე. ნიჭიერმა პიანისტმა, რომელსაც სახელი და დიდებაც არ აკლდა, თვით ს. რახმანინოვის ქება დაიმსახურა: „ჩემ შემდეგ ჩემს ნაწარმოებებს ყველაზე უკეთ ირაკლი ორბელიანი იყო უფლებს“. სხვათა შორის, ს. რახმანინოვი დიდი მეგობარი იყო ირაკლის დედისა და ბებიისა. ირაკლი ორბელიანი სრულ სიმარტოვეში გაწეწორა ამა სოფელს. დასაფლავებულია ნიუ-იორკის სასაფლაო თაუნ-ოლივერში. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ინახება ქეთევან მაღალაშვილის მიერ პარიზში 1925 წელს შექმნილი ირაკლი ორბელიანის ფერწერული პორტრეტი.

თამაზ ორბელიანი, ძმა ირაკლისა, ასევე ნიჭიერი მუსიკოსი გახლდათ, მაგრამ ასწავლიდა უცხო ენებს ტფილისის უნივერსიტეტში. იგი 1930-იანი წლების რეპრესიებს ემსხვერპლა.

უმცროსი და ელისაბედ გრუზინსკია-ორბელიანისა, ეკატერინე, შეუუღლდა პოლკოვნიკ, თავად ივანე დიმიტრის ძე რატიშვილს (1868-1958, თბილისი). ახალგაზრდობაში რატიშვილი მსახურობდა ნიჟეგოროდის პოლკში, მოგვიანებით კი, 1910-იან წლებში, იყო სასახლეთა სამმართველოს უფროსის თანაშემწე პეტერბურგის ზამთრის სასახლეში, საიმპერატორო ზამთრის სასახლის პოლიცმაისტერი. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ კი დანიშნეს ზამთრის სასახლის პირველ კომენდანტად, რუსული საგანძურის გადარჩენისათვის გამოუცხადეს მადლობა, თვით ლენინმა უწოდა მას „ამხანაგი თა-

ვადი“ (საოჯახო რელიკვიების, მაგ., მეფე ირაკლის წერილებსა და სიგელ-გუჯართა, ძვირფასი სურათების, ფაიფურის, ნიგნების გადარჩენა და მძარცველთაგან დაცვა ივანე რატიშვილმა, რომელიც ოჯახთან ერთად ზამთრის სასახლეშივე ცხოვრობდა, ვერ შეძლო).

დროული იქნება გავისხენოთ, რომ რატიშვილთა საგვარეულო საქართველოს ისტორიაში IX ს-დან ჩანს და უკავშირდება რატი ქსნის ერისთავს. ფრესკა მისი გამოსახულებით ზემო კრიხის ეკლესიაშია. ი. დ. რატიშვილის ერთ-ერთი წინაპარი, ურბნისის, მანგლისის, ეპისკოპოსი და ქართლის არქი-ეპისკოპოსი ევდემოზ რატიშვილი (XVII ს.), ცნობილია როგორც დამკვეთი ყანჩათის ჟამგულანისა, რომლის ერთ მინი-ატიურაზე მუხლმოდრეკით თვით ევდემოზია გამოსახული.

ერთი რატიშვილი კი, გაბრიელ ბეჟანის ძე, მეფისწულ იოანეს (გიორგი XII-ის ვაჟი) ამაღალში ირიცხებოდა და ახლდა მოსკოვში 1801 წელს. იგი ცნობილია როგორც ავტორი „ მოკლე მოთხრობებისა მოსკოვზე“. მისი შვილიშვილი კი, გაბრიელ გიორგის ძე, წმ. გიორგის ორდენის კავალერი, მსახურობდა ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში და ავანაკურად მოკლა ჰაჯი-მურატმა. კიდევ ერთი რატიშვილი (დაქორწინებული მარიამ სააკაძეზე) გახლდათ ახლო მეგობარი დავით გურამიშვილისა, მისი ვაჟი კი-მამაცი კავალერისტი, გენერალი და სუფოროვის მონაფე.

მარი ბროსე საქართველოში ყოფნისას სტუმრობდა ი. დ. რატიშვილის პაპას, იოსებ გაბრიელის ძეს, ქსოვრისში, ქსნის ხეობაში, და აღწერა მასპინძლის ევროპულად მოწყობილი სახლი.

ეკატერინე ირაკლის ასულსა და ივანე დიმიტრის ძეს ჰყავდათ ორი შვილი. დიმიტრის ვაჟი მდინარე მოსკოვში დაიხრჩო 1926 წელს, ქალიშვილი ოლგა ცოლად გაჰყვა თავად ი. ს. ლვოვს, რომელიც რეპრესირებულ იქნა 1930-იან წლებში. მათი ერთადერთი ქალიშვილი ეკატერინე (ეკა), ბებუის მოსახელე, მეუღლე ლენინის პრემიის ლაურეატის ვ. ნ. როინიშვილისა და ცხოვრობს მოსკოვის ოლქის ქალაქ პროტვინოში. მათ ორი ქალიშვილი ჰყავთ-ირინე და ელენე და შვილიშვილები (მე-6 და მე-7 თაობა ირაკლი და მასთან გრუზინსკებისა).

ეკატერინე (ეკა) იურის ასულ ლვოვსთან (მისი გვარი მამის მხრიდან სათავეს იღებს XVI ს-ში მცხოვრებ თავად ლევ დანიელის ძე იაროსლავსკისგან და, უფრო ადრეც, რიურიკებისგან, რომლებიც თავადობდნენ ნოვგოროდში რუსეთის მოქცევამდე ასი წლის წინათ) მაკავშირებს რამდენიმეწლიანი მიმოწერა. მის დედას, ოლგა რატიშვილ-ლვოვას, ვიცნობდი 1980-იანი წლებიდან. მისი შესანიშნავი ხელრთვით დაწერილი გულითადი, გულთა და ინფორმაციულად საინტერესო წერილების დროადადრე გადაკითხვა დიდ სიამოვნებას მანიჭებს. იგი გახლდათ დიდებული და ბრწყინვალედ განათლებული ქალბატონი. მისი ყველა ქცევა მეფური კდემამოსილების გამოვლენა იყო, ოღონდ ისე, რომ არ იბლაღებოდა შენი საკუთარი ღირსება. ბედუკულმართობის მიუხედავად, ამ ქალბატონმა შეინარჩუნა ბრწყინვალე მესხიერება, მახვილგონიერება, გზიბლავდა თავისი კეთილგანწყობით ადამიანთა მიმართ, გულგახსნილობითა და არისტოკრატიული სულით.

მისთვის უაღრესად ძვირფასი იყო ხსოვნა თავისი სახელოვანი წინაპრებისა. ამიტომაც ბევრი საოჯახო რელიკვია გადასცა საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ხელნაწერთა



ხანშიშესული მარიამ აღმალიან-გრუზინსკი (ფოტო-ორიგინალი ინახება ე. ი. ლვოვ-რატიშვილის საოჯახო არქივში, მოსკოვი)

და მემუარების განყოფილებას, რომლის საფუძველზეც შეიქმნა ო. ი. რატიშვილ-ლვოვას პირადი არქივი. ჩემი თხოვნით დანერა მოგონებანი თავისი წინაპრების, მათ შორის, თავისი დიდი ბებუის-მარიამ ისააკის ასულ აღმალიან-გრუზინსკიას, დიდი პაპის — ალექსანდრე ბატონიშვილის, პაპის — ირაკლი გრუზინსკისა და ბებუის — თამარ ჭავჭავაძე-გრუზინსკიას შესახებ. მოგონებებმა შეადგინა რამდენიმე რვეული, სადაც თითქოს საქართველოს ისტორიის ერთი მონაკვეთი აღიბეჭდა, თვით მოგონების ავტორისათვის კი ეს მისი ოჯახის სვემნარე ისტორიაც იყო.

არცთუ დიდი ხნის წინათ თბილისში ცხოვრობდნენ ო. ი. რატიშვილ-ლვოვას ახლო ნათესავები, ბაგრატიონის სამეფო ოჯახსა და ჭავჭავაძეების საგვარეულოს დანათესავებულთა მემკვიდრეები: დები ივლიტა და მაკა (მარინე) ჯორჯაძეები. მათივე მონათესავე ჩვენი თანამედროვე ცნობილი რეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი. თაობათა მემკვიდრეობითობა გრძელდება, მაგრამ სულ უფრო იშვიათად ვიხსენებთ დრო-ჟამთა ცოცხალ კავშირს, რომელიც მხოლოდ ისტორიკოსთა განსჯის საგანია.

რუსეთისა და საქართველოს სხვადასხვა მუზეუმსა და ფონდში ინახება პორტრეტები, სურათები, მემორიალური ნივთები და დოკუმენტური მასალა, რომლებიც უკავშირდება ალექსანდრე ბატონიშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძისა და მათი მრავალრიცხოვანი შთამომავლების სახელებს. მათი უმრავლესობა ნაკლებ ცნობილია საზოგადოებისათვის. ამიტომ საჭიროა მათგან რამდენიმეზე თუნდაც მითითება. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ინახება ბატონიშვილ ალექსანდრეს აკვარელური პორტრეტი, რომელიც დახატა ერეკლეს II-ისა და გიორგი XII-ის კარის მხატვარმა, ბატონიშვილის ერთგულმა თანმხლებმა ისაია ჯანჯუგაზოვმა სპარსეთში 1840 წელს. აკვარელს შემოუყვება ავტორის ტექსტი ქართულად: „ეს არის სახე ალექსანდრესი, რომელიც შიშის

ზარს სცემდა მტერს, შვილი ერეკლეს II-ისა, დღისითა და დამით დაუღლელად მოსურნე ქართლ-კახეთის ტახტის დაბრუნებისა. დაგხატე მოსაგონებლად სახელოვანი მამაცისა 1840 წლის 20 დეკემბერს. ისაია ჯანჯუგაზოვი“. უნდა აღინიშნოს, რომ სპარსეთში ბატონიშვილი არაერთგზის დაუხატავდა. ასე, ნიხარისტანის საზაფხულო სასახლის სააუდენციო დარბაზის კედელზე, ერთ-ერთ ფერწერულ კომპოზიციაზე, ბატონიშვილი გამოსახული იყო ფათ-ალი-შაჰთან მიღების დროს. თეირანში კი ინგლისის მისიის ექიმ დე კორმიკისა და მის მეუღლე თამარ საგინიანის<sup>26</sup> ოჯახში ინახებოდა ბატონიშვილის პორტრეტი ქართულ კაბაში და მაღალი ბუნვის, ე. წ. ბუხრის, ქუდით. ამ პორტრეტის ფოტო დაბეჭდილია კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტების ერთ-ერთ ტომში (ა. ბერჟეს რედაქციით).

საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ასევე დაცულია მარიამ აღმალიან-გრუზინსკიას აკვარელური პორტრეტი (წმ. ეკატერინეს ორდენით „რწმენისა და სიყვარულისთვის“), ირაკლი გრუზინსკის პორტრეტი, დაწერილი XIX ს-ის პირველ ნახევარში ტფილისის წარჩინებულ საზოგადოებაში თავისი პორტრეტებით<sup>27</sup> პოპულარული ფრანგი მხატვრის, ე. დასენის, მიერ. აქვეა მინიატურა ანა ჭავჭავაძის (თამარ ჭავჭავაძის დედის) გამოსახულებით.

ო. ი. რატიშვილი-ლვოვას პირად ფონდში ასევე ინახება უცნობი მხატვრის აკვარელური მინიატურა ირაკლი გრუზინ-

სკის გამოსახულებით, აკვარელური პორტრეტი ანასტასია ობოლონსკაი-ასი (თამარ ჭავჭავაძის ბებიის), ფოტოები ხანშიშესულ მარიამ ალამალი-ან-გრუზინსკაიასი, ელისაბედ და ეკატერინე გრუზინსკაების, თამარ ჭავჭავაძე-გრუზინსკაიასი, ო. ი. რატიშვილ-ლვოვასი და მისი მამის, თავად ი. დ. რატიშვილისა და სხვ. აქვეა დაცული დოკუმენტები, წერილები, მოგონებანი, ნახატები, ლექსები, მემორიალური ნივთები.

საქართველოსთან განგების ძალით დაკავშირებული ადამიანების გახსენება გამოიწვია გიორგი კორადინის ერთმა მომცრო აკვარელმა რომელზეც, როგორც აღვნიშნეთ, გამოსახულია ბატონიშვილ ალექსანდრეს მეუღლე მარიამი და რომელიც, განგებისვე წყალობით, არ დარჩა სამუდამოდ ტფილისის ერთი ჩვეულებრივი სახლის მტკრიან სარდაფში და არ მიეცა დავინწყებას.

**რუსულიდან თარგმანა  
ნიმუ ნადარია-ბალარჯიშვილმა**

1. ამჟამად თბილისის პირველი სკოლა.
2. „Кавказский календарь“. 1874г. СПб.стр.88 .
3. История 44-го драгунского Нижегородского полка. том12. 1895г. СПб. стр.77.
4. Акты Кавказской археографической комиссии. том 12. 1904г. Тифлиси. стр.8.
5. როგორც ცნობილია, სპექტაკლში როლები შეასრულეს: ილ. ორბელიანმა, ო. ერისთავმა, დ. ყიფიანმა, გ. ანდრეევსკაიამ, ა. ორბელიანმა, გ. ერისთავმა, გ. ჭილაშვილმა და სცენის სხვა მოყვარულებმა. პრემიერაზე იმყოფებოდა მეფისნაცვალი მ. ვორონცოვი ოჯახით და ტფილისის ნაღები საზოგადოება.
6. ალექსანდრე II-ის მარმარილოს ეს სკულპტურა იყო პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში.
7. ბატონიშვილის დიდი ბებია, ვახტანგ VI-ის მეუღლეც ასევე ყაბარდოელი იყო.
8. აღნიშნული ლ. სპარსეთი და იქაური ქართველები. 1806.
9. ნასყიდობის წიგნი ინახება ო. ი. რატიშვილ-ლვოვას პირად არქივში. საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ხელნაწერებისა და მემუარების განყოფილებაში.
10. სხვათა შორის, აბანოს უფრო მეტი მოგება მოჰქონდა, ვიდრე სახლს.
11. გამოჩენილი იტალიელი საოპერო მომღერალი ( 1843–1919).
12. თამარ ჭავჭავაძის პაპა დედის მხრიდან, მეფისწული ილია გიორგის ძე დაქორწინებული იყო ანასტასია ობოლონსკაიაზე. მან გამოსცადა გადასახლების ყველა სიძნელე დედასთან, ძმებთან და დებთან ერთად ბელგოროდის მონასტერში. 1804 წლიდან ცხოვრობდა მოსკოვში და იქვე გარდაიცვალა 1854 წელს.
13. თუმცა პირად ცხოვრებაში გიორგი XII ცდილობდა დაეცვა ერთგვარი პოლიტიკური წონასწორობა საქართველოს სამეფო კარის მრავალრიცხოვან წარმომადგენელთა შორის, მიუხედავად ბაგრატიონთა მრავალშვილიანი ოჯახის ინტრიგებისა.
14. ამის შესახებ მოთხრობილია ა. დიუმას წიგნში „კავკასია“.
15. საქართველოს საისტორიო არქივი. შერვაშიძის პირადი ფონდი. ფ. 1719. აღნ. 1.
16. 1835 წელს მარიამ ისააკის ასულმა სთხოვა ხელისუფლებას, რათა მისი და სალომე ისააკის ასული გამხდარიყო ფრეილინა, რაზედაც ბარონ როზენმა უპასუხა, რომ მას არა აქვს ამის უფლება, რადგან გაუნათლებელია.
17. ჩემი თხოვნითა და შუამდგომლობით, ამ ანდერძის ორიგინალი, რომელიც დაცული იყო მარიამის შვილთაშვილის, ოლგა ივანეს ასულ რატიშვილ-ლვოვას, ოჯახში, გადაეცა საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს 1982 წელს.
18. დაუფლების სიგელით მათ ეკუთვნოდათ ორსართულიანი სახლიც.
19. ამის მონემები იყვნენ ი. გურგენბეკოვი და თავადი ე. ბ. დანიბეგოვი, რწმუნებული თავადის ქალიშვილების საქმეებისა მ. ი. ჯამბაკურ-ორბელიანი.
20. ყველა ზემოთ ხსენებული დოკუმენტი ინახება ო. ი. რატიშვილ-ლვოვას პირად ფონდში. საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ხელნაწერთა და მემუარების განყოფილება.
21. ალექსანდრე მეორე სართულიდან გადაადგო, როგორც ოჯახს მიაჩნდა, მიგზავნილმა ძიძამ.
22. კანში მყოფი მკაცრ შერვაშიძის წერილებიდან ვინმე შვალბახისაგან. 29 მაისი. 1879 წელი.
23. რვეული ინახება ო. ი. რატიშვილის პირად არქივში. საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ხელნაწერთა და მემუარების განყოფილებაში.
24. მოგონებანი ინახება ო. ი. რატიშვილ-ლვოვას პირად არქივში. საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ხელნაწერთა და მემუარების განყოფილებაში.
25. დამარსებელი და პირველი დირექტორი დიმიტრი შევარდნაძე. მოგვიანებით გალერეა გახდა სამხატვრო მუზეუმი „მეტეხი“, ამჟამად კი საქართველოს შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი.
26. მისი მამა მეგობრობდა ბატონიშვილ ალექსანდრეს სიძესთან, მაკინცევთან.
27. განსაკუთრებით ჭავჭავაძეთა და დადიანთა ოჯახების წევრების პორტრეტებით.

ჰენრი მილერი თავის წიგნში „ჩემი ცხოვრება და ჩემი ეპოქა“ 1932 წლით დათარიღებულ ჩანაწერში გვაუწყებს: „დავეხებოდით პარიზის ქუჩებში და სადაც დამიღამდებოდა, იქ მითენდებოდა. დავინყე „კირჩხიბის ტროპიკის“ წერა, იმავდროულად ვმუშაობდი კორექტორად „ჩიკაგო ტრიბიუნის“ პარიზულ გამოცემაში“.

მილერის პარიზი, ალბათ, ვერ დაემსგავსებოდა ჰემინგუეისა და ფიცჯერალდის პარიზს. ხოლო ის, თუ ვინ ვის აჯობა, ვკითხვით ამერიკელ პროზაიკოსთა მომდევნო თაობის ბაირახტარს — ნორმან მეილერს:

„გაოცებით უნდა აღიარო, რომ არც ერთ ფრანგ მწერალს, ყველაზე დიდებულთა ჩათვლით, იქნება ეს რაბლე, პრუსტი, მოპასანი, ჰიუგო, გიუისმანსი, ზოლა, თვით ბალზაკი და სელინიც კი, არც ერთ მათგანს ასე ცოცხლად არ დაუხატავს პარიზი, როგორც ჰენრი მილერს. მილერამდე ვის და როდის აღუწერია უცხო ქვეყანა იქაურ მწერალზე უკეთესად? არავის და არასოდეს!“

როდესაც გაზაფხული მოდის პარიზში, ყველაზე დამცირებული მოკვდავიც კი ფიქრობს, სამოთხეში ვცხოვრობო, — გვარწმუნებს ჰენრი მილერი.

**ჰენრი მილერი**

**პარიზი**

**როგორც ბალდინჯო  
ქვეშაბეგში**


კიდევ ერთხელ განვიცდი იმ უბადრუკი დღეების ბრჭყვიანს, როდესაც პირველად ჩავედი პარიზში. ღარიბ-ღატაკი და შეცბუნებული მარტოსული დავძრნოდი ქუჩა-ქუჩა წვეულებებზე მოვლენილი მოჩვენებასავით. ზედიზედ მაგონდება ყველაფერი — უმოქმედო ტუალეტები; რუსი თავადი, ფეხსაცმელს რომ მიკრიალებდა; კინოთეატრი „სოლენიდი“, სადაც ჩამეძინა ვილაც მაყურებლის პალტოზე; გისოსიანი ფანჯრები; შეგრძნება სულის შეხუთვისა; ჩაკურატეული ტარაკანები; დროდადრო — სმა და ღრეობა; ვარდები, ჩამოტანილი კანიდან და ნეაპოლიდან, მზის სხივებზე სულს რომ ღაფავდნენ. ცარიელი სტომაქით ცეკვავე ქუჩაში და ხანდახან ენვევი ხოლმე სტუმრად უცნაურ ხალხს — მაგალითად, მაღამ დელორმს. საიდან მოვხვდი მაღამ დელორმთან, ახლა ვერც კი ვხვდები. მაგრამ მოვხვდი იქ, რალაცნაირად შევალწიე. გავუსხლტი მოურავს, გავუსხლტი მოახლესაც, კოხტა და თეთრი წინსაფარი რომ ეკეთა და პირდაპირ სასახლეში შევვარდი ჩემი მონადირის ქურთუკითა და ველვეტის შარვლით, რომელსაც ხვანჯარზე ყველა ღილი აწყვეტილი ჰქონდა. ახლაც კი ხელახლა ვუსინჯავ გემოს იმ ოთახის ოქროსფერ იერს, სადაც მამაკაცის სამოსელში გამოწყობილი მაღამ დელორმი იჯდა ლამის სამეფო ტახტზე. ვხვდავ ოქროს თევზებს მინის ლარნაკებში, ძველი მსოფლიოს რუკებს, საუცხოოდ აკინძულ წიგნებს; კვლავ შევიგრძნობ ამ ქალბატონის მძიმე მკლავს, ჩემს მხარზე რომ დაუსვენებია და, ცოტა არ იყოს, მაფრთხობს მისი საგანგამო ლესბოსური ელფერი.

\* ფრაგმენტები რომანიდან „კირჩხიბის ტროპიკი“

უფრო მეამებოდა ჩაძირვა იმ ფაფასავით შეჭამადში, რომელიც თუხთუხებდა სენ-ლანზარის ვაგზალზე: ჭიშკარქვეშ ჩასაფრებული კახეები; ზელტერის წყლის ბოთლები ყოველ მაგიდაზე; სქელი ნაკადი თესლისა, წყალსადინარში რომ მიედინება. ხუთი საათიდან შეივადმდე იმაზე უკეთესს რას გააკეთებ, ვიდრე იტრიალო ამ ჯგროში, გაედევნო მიმზიდველ ფეხებსა თუ თვალწარმტაც ბიუსტს, გაჰყვე ადამიანთა ნაკადს და თავბრუ დაგეხვას. საოცარი კმაყოფილება მეუფლებოდა იმ დღეებში: არავითარი პაემანი, არავითარი წვეულება, არავითარი გეგმები და ერთი გროშიც არ მიჭყაოდა ჯიბეში. ოქროს ხანა იდგა, როდესაც ერთი ძმაკაციც კი არ მომძებნებოდა ამ ცისქვეშეთში. ყოველ დილით მივყვებოდი უნუგეშო გზას „ამერიკენ ექსპრესის“ ბანკამდე და ყოველ დილით მეგებებოდა სტერეოტიპული პასუხი კლერკისა. აქეთ-იქით დაფვორთხავდი, როგორც ბალინჯო ქვეშაგებში. დროდადრო ვაგროვებდი სიგარეტის ნამწვავებს, ხან მალულად, ხანაც უტიფრად. ვჯდებოდი მერხზე ბაღში და მუცელს შევიკუმშავდი მისი ჭუჭყუნის ჩასაჩუმებლად ანდა დავსაქირნობდი ტიუიორის ბაღში და მარმარილოს უტყვევებდათა შემხედვარეს ერექცია მენყებოდა. ან დავეხეტებოდი ლამაზობით სენის გასწვრივ, დავეხეტებოდი და დავეხეტებოდი, და მაგიფებდა მისი მშვენიერება: მდინარეზე თავდახრილი ხეები, მათი დაფშვნილი ანარეკლი წყალში, ჩქარი დინება, განათებული ხიდის სისხლისფერი ლამპიონებით; ქალები, ჭიშკარქვეშ რომ სძინავთ გაფენილ გაზეთებზე, სძინავთ წვიმაში. ყველგან — დახავსებული საფეხურები ტაძრებისა და მათხოვრები, ტილები და ბებერი კუდიანები, გამსჭვალული წმ. ვიტეს როკვის სიმპტომებით. შესახვევებში ხელის ურიკები ღვინის კასრებით აჩხორილან; კენკროვანთა სურნელი ტრიალებს ბაზრის მოედანზე და მწვანეში ჩაფლული ძველი ეკლესია განათებულია ლამპიონების მოლურჯო შუქით; წყალსადინარის ღარებში გასრილებული ნაგავი და ქაღალბატონები, მთელი ღამის ღრეობიდან რომ მობანდალებენ ატლასის ქოშებით — აყროლებულ სიბინძურეში. სენ-სულპისის მოედანი, ესოდენ წყნარი და უკაცრიელი, სადაც შუალამისა მინცივ მოდიოდა ქალი დამტვრეული ქოლგითა და დაფლეთილი პირბადით; ყოველ ღამით ეძინა მერხზე თავისი დაგლეჯილი ქოლგის ქვეშ. შეცვნილი ფერდები ჰქონდა, გაძვალტყავებული თითები, თითქმის გამწვანებული კაბა ეცვა და სხეულიდან დამპლის სუნი ასდიოდა. დილაობით აქ ვიჯექი ხოლმე, მშვიდად ვთვლემდი მზის სხივებქვეშ და ვწყველიდი წყეულ მტრედებს, ყველგან რომ კენკავდნენ პურის ნამცეცებს. სენ-სულპის! ჩასხმული სამრეკლოები, მყვირალა აფიშები კარიბჭეზე, შიგნით — მოციმციმე სათილები. მოედანი, ეგზომ რომ უყვარდა ანატოლ ფრანსს. ზუზუნი და ბზუილი საკურთხევიდან, შადრევნის ჩქაფუნე, მტრედების ღულუნი, პურის ნამცეცები, თვალსა და ხელს შუა რომ ქრებოდა და მხოლოდ მონოტონური ბუყბუყი ცარიელ სტომაქში. დღე დღეს მისდევდა, ვიჯექი აქ, ვფიქრობდი ჟერმენზე და იმ ჭუჭყიან პატარა ქუჩაზე ბასტილიის მახლობლად, სადაც ის ცხოვრობდა. საკურთხევიდან კი ისმოდა ეს გაჭიანურებული ბუტბუტი, ჩაიგრილებდნენ ავტობუსები, მზე კბენდა ასფალტს, და გამდნარი ასფალტი თითქოს იღვრებოდა ჟერმენისა და ჩემს სხეულში — ეს ასფალტი და მთელი პარიზი თავისი ვეება და ჩასხმული სამრეკლოებით.

სულ რაღაც ერთი წლის წინათ, როგორც კი დავმორდებოდი ბოროვსკის, მონა და მე ყოველ ღამით ვსეირნობდით ბონაპარტის ქუჩაზე. იმხანად სენ-სულპისი ბევრს არაფერს ნიშნავდა ჩემთვის და არც სხვა არაფერი პარიზში. ლაპარაკით ვიყავი გადაქანცული, სიფათებით — დასნეულებული. მოყირჭებული მქონდა ტაძრები, მოედნები, მოხეტიალე სამხეცეები და ვინ მოთვლის, კიდევ რა მომყირჭებოდა. ნითელ საძინებელ ოთახში ნიგნს ვტაცებდი ხელს და მოუხერხებელ, წულ სავარძელში მოვკალათებდები. საჯდომი დაბუყებუ-

ლი მქონდა მთელი დღე ჯდომისგან. მლიდა ნითელი შპალერი, მლიდა ამდენი ხალხის ყურება და მათი უაზრო ლაქლაქი. ნითელ საძინებელ ოთახში იდგა მუდამ თავახდილი სკივრი, სადაც გიჟური უნესრიგობით მიყრილ-მოყრილი იყო მონას სამოსელი. ნითელი საძინებელი ოთახი, სადაც ეყარა ჩემი კალოშები და ხელჯოხები; ხელუხლებელი ბლოკნოტები, ცივი და უსიცოცხლო ხელნაწერები. პარიზი! ეს გახლავთ კაფე „სელექტი“ და „დომი“, ხარახურის ბაზარი, ბანკი „ამერიკენ ექსპრესი“... პარიზი!



**ნაკუნ-ნაკუნ აჩხილი კაცი**

კვირადღეა! ვილა ბორგეზედან წამოვედი შუადღის დადგომამდე, სწორედ მაშინ, როდესაც ბორისი ლანჩს უნდა მისჯდომოდა. წამოვედი მოკრძალებისა გამო, რადგან ბორისს მართლაც გულსა სტკენს, რომ სტუდიაში ვზივარ სტომაქცარიელი და პირში შევყურებ. არ ვიცი, რატომ არ მეპატივება ლანჩზე. ამბობს, ამდენს ვერ გაგნვდებო, მაგრამ ეს ვერაფერი თავის მართლებათა. ასეა თუ ისე, ხათრს არ ვუტყვ. თუკი მას გულსა სტკენს ჭამა ჩემი თანდასწრებით, ალბათ, უფრო მეტად შენუხდება, თუკი საქმელს მინილადებს. ცხვირის ჩაცოფა მის იდუმალ ფიქრებში მეჩოთირება.

შევუარე კონსტანტინებს. და ისინიც თოხლაობდნენ. ველური ბრინჯით შეკმაზულ წინილას მიირთმევდნენ. თავი მოვიკატუნე, უკვე გეახელით-მეთქი, თუმცა მზად ვიყავი, რომ ლუკმა გამომეგლიჯა ბალის ხელთაგან. ეს არ იყო ყალბი მოკრძალება, უფრო გაუკუღმართებას ჰვავდა — მე ასე მგონია. ორჯერ მიმიპატიჟეს, ხომ არ დაგვენვევითო. არა! არა! ფინჯან ყავაზეც კი უარი ვტკიცე. დელიკატური ვარ და რა ვქნა! როდესაც იქაურობას ვტოვებდი, თვალი გამექცა ბალის თეფშზე დაყრილი ძვლებისაკენ, ზედ ცოტაოდენი ხორცი რომ შერჩენოდათ.

უმიზნოდ დავძრწივარ აქეთ-იქით. მშვენიერი დღე დამდგარა. ბიუსის ქუჩა ფუსფუსებს და მიიკლანება. ბარები ფართოდ გაუღიათ, ტროტუარის პირას ველოსიპედები ჩამწკრივებულან. ხორცისა და ხილ-ბოსტნეულის ყველა მარკეტში გახურებული ვაჭრობათა. მკლავები სწყობილთა გაზეთებში გახურული ბოსტნეულით. საუცხოო კათოლიკური კვირადღე არისო, ასე იფიქრებ, ყოველ შემთხვევაში — დილით.

შუადღისას ვდგავარ ამ მრუდე ქუჩაბანდების შესართავთან, სადაც ხორაგის სუნი ტრიალებს. სტომაქი კი ისევე მიჭყუნს. ჩემს პირდაპირ მდებარეობს ოტელი „ლუიზიანა“ — პირქუში, ბებერი სასტუმრო, კარგად ნაცნობი ძველი ბიჭებისათვის ბიუსის ქუჩიდან, როდესაც ხოშიანი დრო იდგა. ყველგან ოტელები და ხორაგია, მე კი აქეთ-იქით დავწანაწანებ კეთროვანივით და კიბორჩხალები მიღრღნიან შიგნულს. კვირა დილით ნამდვილი ციებ-ცხელებაა ქუჩებში. არაფერი ამის მსგავსი არსად არ შეგხვდება. ჰა და ჰა, შესაძლოა ნაწყვე ნიუ-იორკში ისტ-საიდზე ან ჩეთ-ჰემ-სკვერზე. ემოდის ქუჩა დულს და გადმოდულს. მიხვეულ-მოხვეული ქუჩები მიიკლანებიან, ყოველ კუთხეში ახალი სკა შემოგეფეთება ბზუილით. ადამიანებს ილღის ქვეშ ბოსტნეული ამოუჩრიათ, გრძლად ჩარიგებულან და მადააღძრულნი ჩიკორივით ბზრიალებენ. ირგვლივ არაფერია ხორაგის გარდა, მარტოოდენ ხორაგი და ხორაგი. ვაგიჟდება კაცი.

გადავკვეთე ფიურსტენბერგის სკვერი. შუადღისას სხვაგვარად გამოიყურება. ამას წინათ ღამით რომ გავიარე, უკაც-

რიელი იყო, უდიდესი და მოღანდებას ნააგავდა. სკვერის შუაში ოთხი შავი ხე იდგა, ყლორტები ჯერ არ ამოეყარათ. ესაა ინტელექტუალური ხეები — ქვაფენილით ნასაზრდოები, როგორც ტ. ხ. ელიოტის ლექსი. ამ ადგილას, ღმერთმანი, მარი ლორენსინმა ოდესმე საჯაროდ რომ გამოლალოს თავისი ლესბოსელები, აქაურობას კარგად მოერგებიან. ლესბოსე გეგონება თავი. არემარე არის სტერილური, ჰიბრიდული და ბორისის გულივით გამოფიტული.

პანია ბაღში, სენ-ჟერმენის ეკლესიას რომ ემიჯნება, რამდენიმე ფანტასტიკური ფიგურა ჩამოქვეითებულია. მონსტრები თითქოს ემზადებიან თავზარდამცემი ნახტომისათვის. ბაღის მერხებზე კი ჩამომსხდარან სხვა მონსტრები — ბებრუხანები, იდიოტები, ხეიბარნი, ბნედიანები. მშვიდად თვლებენ და ელოდებიან, ზარი როდის მოუხმობთ სადილად. ზაკის გალერეასთან, ქუჩის გადაღმა ვიღაც ჭკუათხელს ზედ ტროტუარზე დაუხატავს კოსმოსი. მხატვრის მიერ წარმოსახული კოსმოსი! აუარება ნაკუნები და ნამსხვრევები, ანტიკური სამცვენისები. მაგრამ მარცხენა ქვედა კუთხეში მოჩანს ლუზა და სადილის მანუწყებელი ზარი. სალამი, სალამი! გაუმარჯოს კოსმოსს!

ისევე დავებეტები. შუადღის შუაგული დამდგარა. სტომაქს გრუხუნი გააქვს. აგერ წვიმამაც დაუშვა. ნოტრ-დამი საფლავის ქვასავით ამონეულა წყლიდან. გადმოშვერილი მონსტრები დაჰყურებენ მაქმანიან ფასადს. ისინი ჩამოკიდებულან აქ, როგორც იდეფიქსი მანიაკის ტვინში. მიახლოვდება მოხუცი კაცი შეყვითლებული ბაკენბარდებით, ხელში უჭირავს იავორსკის რალაც აბდაუბდა. მოდის ჩემკენ თავგადაწეული და ნანვიმარ სახეზე ოქროსფერი ქვიშის ნამცეცები ლაფად გადაქცევია. წიგნის მალაზიის ვიტრინაში რაულ დიუფის ნახატები გამოუფენიათ — დამლაგებლნი ლაჯებშუა გაფურჩქნილი ვარდის ბუჩქებით. აქვეა ჟოან მიროს ფილოსოფიური ტრაქტატი. დახეთ, ფილოსოფია!

იმავე ფანჯარაში მოჩანს „ნაკუნ-ნაკუნ აჩეხილი კაცი“. თავი პირველი: „კაცი თავისი ოჯახის წევრთა თვალით“. თავი მეორე: „იგივე კაცი თავისი საყვარლის თვალით“. მესამე თავის სათაური აღარ ჩანს. ხვალ უსათუოდ უნდა მოვიდე მესამე და მეოთხე თავების სანახავად. მეპატრონე ყოველდღე ახალ ფურცელს გადაშლის ხოლმე. „ნაკუნ-ნაკუნ აჩეხილი კაცი“... თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რაოდენ მაცოფებს, რომ ამგვარი სათაური თავშიც არ მომსვლია! ნეტავი სად არის ის ტიპი, რომელმაც დაწერა „იგივე კაცი თავის საყვარლის თვალით... იგივე კაცი ვიღაცის თვალით... იგივე კაცი...“? ნეტავი სადა ბრძანდება ეს ვაჟბატონი? ნეტავი ვინ არის? მაგრად ჩავიკრავდი გულში. ღმერთო ჩემო, რა იქნებოდა, იმდენი ტვინი მქონდეს, ამგვარი სათაური მომეფიქრებინა — ნაცვლად „შემილინი ამალისა“ და სხვა სულელური სათაურებისა, რომელიც კი ოდესმე მომიგონია. კეთილი, ერთი მაგის კეთილებიცი! და მაინც ვულოცავ იმ ჯელებს.

ბედი სწყალობდეს ამ საუცხოო სათაურის მომგონს! შენთვის, ძვირფასო, სხვა ნაკუნებიც მომეპოვება — შენი მომდევნო წიგნისათვის! უახლოეს დღეებში დამირეკე. მე ვცხოვრობ ბორგეზეს ვილაზე. ჩვენ ყველანი მკვდრები ვართ, ამ მომაკვდავნი, ანდა ვეშურებით სიკვდილს. მოხდენილი სათაურები გვჭირდება, კიდევ გვჭირდება ხორცი, ნაკუნ-ნაკუნ ხორცი — ცვრიანი სუკები, რჩული ბიფშტექსები, თირკმლები, ხამანჩის მითები, ფაშები. ერთხელაც, როცა დავდგები 42-ე ქუჩისა და ბროდვეის კუთხეში, გამახსენდება ეს სათაური და ჩავიწერ ყველაფერს, რაც კი მომივა ამ ოხერ გოგრაში — ნიზილალას, წვიმის წვეთებს, ტაოტს, ვერმიშელს, ნაკუნ-ნაკუნ დაჭრილ გულ-ღვიძლის ძეხებს. და არავის ვეტყვი, რომ მას შემდეგ, რაც ყველაფერი ჩავიწერე, უეცრად რატომ წავედი შინ და ნაჭერ-ნაჭერ დაეჩხე ბავშვი. ამ უანგარო აქციას გიძღვნი თქვენ, ძვირფასო მესიე, ასე კარგად, ნაკუნ-ნაკუნ რომ აჩეხეთ კაცი!

როგორ შეიძლება იხეტილო მთელი დღე ცარიელი სტომაქით და თანაც, დროდადრო, გქონდეს ერექცია — ესაა

ერთ-ერთი იმ საიდუმლოებათაგან, რომელთაც „სულის ანატომები“ ძალზე იოლად ხსნიან. კვირას, შუადღისას, როდესაც დარაბები ჩამოშვებულია და პროლეტარიატი უტყვი აპათით ეუფლება ქუჩებს, ზოგიერთი მათგანი მოგაგონებს, არც მეტი და არც ნაკლები, სიგრივე განკვეთილ ვეება შანკრიან ასოს. და სწორედ ეს ქუჩები გიზიდავენ ძალუმად, მაგალითად, სენ-დენის ქუჩა ანდა ფობიურ დიუ ტამპლი. უხსოვარ დროს, ნიუ-იორკში იუნიონ-სკვერის გარშემო თუ ბაუერის მისადგომებთან, გული მიმინევედა ატენტიანი მუხუემებისაკენ, სადაც ვიტრინებში გამოფენილი იყო სხეულის სხვადასხვა ორგანოთა ასლები, დამზადებული ცვილისგან, გამოხრულნი სიფილისითა თუ სხვა ვენერიული სნეულებებით. ქალაქი აღმოცენებულა, როგორც ყოველმხრივ დაავადებული უზარმაზარი ორგანიზმი. მშვენიერი ქუჩები კი ნაკლებად შეგეზიზღება, რადგანაც მათგან ჩირქი ამოუნრეციათ.

**იხსოვრე დღეს!**

აღდგომა გათოშილი კურდღელივით მოგვადგა — მაგრამ ლოგინში საკმაოდ თბილოდა. დღევანდელი დღეც კვლავ საუცხოოა და ბინდ-ბუნდში ელისეს მინდვრები ნააგავს სერალს ღია ცისქვეშ, შავთვალა ჰურიებს რომ გადაუტენიათ. ხეები მთლად შეფოთილიან და ისეთი ხასხასა, ისეთი ფაფუკი მწვანე ფერი დასდებიან, გეგონება, ნამისგან ჯერაც სველია და ელვარეო. გზა ლუერის სასახლიდან ეტუალამდე საფორტეპიანო მუსიკის ნანწყევტითაა ფლერს. ხუთი დღეა საბეჭდ მანქანას არ გავკარებვარ და არც წიგნისთვის შემისხედავს; თავში არავითარი აზრი არ მომსვლია გარდა იმისა, რომ „ამერიკენ ექსპრესში“ უნდა შევიარო-მეთქი. დილის ცხრა საათზე, კარს რომ აღებდნენ, უკვე იქ ვიყავი და პირველ საათზე ისევე იქით გავეშურე. არაფერია ახალი. ხუთის ნახევარზე ოტელიდან გავვარდი, რათა უკანასკნელ წუთზეც მეცადა ბედი. როგორც კი მოსახვევს გავცდი, უოლტერ პაჩს გადავეყარე. რადგან ვერ მიცნო და რადგანაც არაფერი მქონდა სათქმელი მისთვის, აღარ მიცდია გამეჩერებინა. მოგვიანებით, როდესაც ფეხები გავშლართე ტიუილრის ბაღში, მისი ფიგურა ამომიტივტივდა მესხიერებაში. წელში ოდნავ მოხრილი იყო, ფიქრში წასული, და უშფოთველი ღმილი კიდევ შემორჩენოდა პირზე. ნეტავი ვიცოდე-მეთქი, როდესაც ავხედე ნახად მომინანქრებულ და სუსტად შეფერილ ცას, რომელიც დღეს მძიმე, საავდრო ღრუბლებით როდი გაბერილიყო, არამედ ძველი ფაიფურის ფინჯანივით ილიმბოდა, ჰოდა, ნეტავი ვიცოდე-მეთქი, რა ხდება ამ კაცის გონებაში, „ხელოვნების ისტორიის“ ოთხი სქელი ტომი რომ თარგმნა, როდესაც თავჩაქინდრული შეჰყურებს ამ ნეტარ სამყაროს.

ელისეს მინდვრებზე იდეები ოფიციით მომდის. საკმაოდ მდიდარი უნდა ვიყო, რომ მყავდეს მდივანი, ვისაც ვუკარნახებდი სიარულისას, რადგან საუკეთესო აზრები მუდამ მაშინ მომდის თავში, როცა საბეჭდ მანქანას არ ვუზივარ.

მიყვებოდი ელისეს მინდვრებს და მომეძალა ფიქრი ჩემს მართლაც გადასარევე ჯანმრთელობაზე. როდესაც ვამბობ „ჯანმრთელობას“, სიმართლე თუკი გნებავთ, ვგულისხმობ ოპტიმიზმს. უკურნებელი ოპტიმიზმი შემყრია! ცალი ფეხი ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში მიდგას. ცოტათი ჩამოვრჩი დროს — ამერიკელთა უმრავლესობის დარადა. კარლს საზიზღრობად ეჩვენება ეს ოპტიმიზმი. „როგორც კი ხმას ამოვიღებ საქმელზე“, ამბობს იგი, „მაშინვე თვალები გიბრწყინდება!“ მართლაც ასეა. საქმელზე ფიქრიც კი — სწორედ საქმელზე — მაახალგაზრდავებს. საქმელი! ეს ნიშნავს იმას, რომ რამდენიმე საათი მაგრად იმუშავებ და ეგებ ერექციაც გესტუმროს. ამის უარყოფა არ შეიძლება. დიას, ჯანსაღი ვარ, მაგარი ჯანი მაქვს, პირუტყვივით ჯანსაღი ვარ. ერთადერთი, რაც ჩამდგარა ჩემსა და მომავალს შუა, ესაა საქმელი, სწორედ რომ საქმელი.

რაც შეეხება კარლს, ამ დღეებში იგი თავის თავს აღარა ჰგავს. შეწუხებულია, ნერვები უფლარუნებს. ამბობს, ავადა ვარო და მისი მჯერა, მაგრამ ამით გუნება არ მიფუჭდება.

არ ძალმიძს და რა ვქნა. მართალი გითხრათ, მეცინება კიდევ. და ეს, რა თქმა უნდა, აღიზიანებს კარლს. ყველაფერი გულსა სტკენს — ჩემი სიცილი, ჩემი შიმშილი, ჩემი შეუპოვრობა, ჩემი უდარდელობა. ერთი სიტყვით, ყველაფერი. ერთ დღეს სწადია, რომ ტყვია დაიხალოს შუბლში, რადგანაც ველარ იტანს ევროპას — ამ ტილიან საქაფვებს; მეორე დღეს კი ამბობს, ნავალ არიზონაში, „სადაც თვალებში პირდაპირ გიყურებენ“.

„მამ რაღას უზიხარ“, ვეუბნები, „ან ერთი ქენი, ან მეორე, შე ნაბიჭვარო! ოლონდ კი ჩემს ჯანსაღ თვალებს ნუ მიბნელებ შენი მელანქოლიური სუნთქვით!“

მაგრამ საქმეც ეგ არის! ევროპაში მიეჩვევი არაფრის კეთებას. ზიხარ შენს საჯდომზე და მთელი დღე ზღუქუნებ. იხრნები. ლპები.

კაცმა რომ თქვას კარლი გახლავთ სნობი, არისტიკოკრატიული პატარა ჭუჭუ, რომელიც ცხოვრობს ჭკუიდან შერყეულ და დროიდან ამოვარდნილ სამეფოში, მთლიანად მას რომ ეკუთვნის. „მე მძულს პარიზი!“ ზღუქუნებს. „მძულს ეს ბრიყვები, მთელი დღე კარტს რომ თამაშობენ... შეხედე ერთი მაგათ! ახლა ისა თქვი, როგორ წერენ! რა აზრი აქვს სიტყვების ერთიმეორეზე გადაბმას? განა არ შეიძლება ვიყო მწერალი და არაფერიც არ დავწერო? რა დამტკიცდება, თუკი დავწერ ნიგნს? საერთოდ, რა ჯანდაბად გვინდა ეს ნიგნები? ისედაც ძალზე ბევრი ნიგნია დაწერილი...“

ერიჰაა, ეს თემა ხომ უკვე მოვიწყვე — არაერთი წელი გასულა მას შემდეგ. ჩემი ჭაბუკური მელანქოლია მოხდელი მაქვს. ფეხებზე მკიდია ის, რაც უკან დამრჩა და ისიც, რაც წინ მელის. მე ვარ ჯანსაღი, უკურნებლად ჯანსაღი. არც ნალღველი მახრჩობს და არც სინანული. არც წარსული მალეღვებს და არც მომავალი. დიახ, ანმყოც მეყოფა. დაე, ერთი დღე მიჰყვეს მეორეს. იცხოვრე დღეს! მშვენიერია დღევანდელი დღე!

**ნაკვერჩხლავს ჩაბიყრინ ქულში**


შუადღისას მშვენივრად წავთვლიმე, რამაც ხერხემლის მალეებში ხავერდი ჩამიფინა და საკმარისად წარმოქმნა იდეები, სამი დღე მაინც რომ მეყოფა. ენერგიით ვარ დამუხტული და არ ვიცი, როგორ დავხარჯო. ვარჩიე, გავისეირნებ-მეთქი. ქუჩაში რომ გამოვედი, უმაღლვე გადავიფიქრე. ახლა კინოში წასვლა გადავწყვიტე, მაგრამ ჩავფლავდი — ბილეთის ასაღებად რამდენიმე სუ დამაკლდა. სეირნობაღა მრჩებოდა. ყოველ კინოთეატრთან ვჩერდები და ვაკვირდები აფიშებს, მეჩე — პრენსკურანტს. ეს ოპიუმხანები საკმაოდ იაფია, მაგრამ აქაც რამდენიმე სუ მაკლდება. ასე გვიანი რომ არ იყოს, შინ დავბრუნდებოდი და ცარიელ ბოთლს წამოვიღებდი ჩასაბარებლად.

როდესაც ამელის ქუჩას მივალნიე, კინო აღარც კი მახსოვდა. ამელის ქუჩა ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი ქუჩაა და თანაც ერთი იმათგანი, რომელთა მოკირწყვლა მუნიციპალიტეტს, ჩემს ბედზე, დავინყებია. ვეებერთელა რიყის ქვები ამოხნექილან ქუჩის ერთი მხრიდან მეორემდე. მარტოდენ ერთი გრძელი და ვინრო კვარტალია. ამ ქუჩაზე მდებარეობს

„ოტელი პრეტი“. აქვე, ამელის ქუჩაზე, არის მომცრო ეკლესია. ისე გამოიყურება, თითქოს საგანგებოდ რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მისი ოჯახისათვის აუგიათო. გულს მოგფეონება, როცა იშვიათად წაანყდები ხოლმე მოკრძალებულ, მომცრო ეკლესიას. პარიზი ხომ გადაჭედლია პომპეზური ტაძრებით.

ვჩერდები ალექსანდრე III-ის ხიდან, რომელსაც ეკვრის გაშლილი სივრცე, სადაც ქარი დათარეშობს. გაძვალტყავებული, შიშველი ხეები მათემატიკურად ჩაულაგებიათ რკინის გისოსებში; ინვალიდათ სასახლის დაღვრემილობა მოედინება გუმბათიდან და ნაულეკავს მოედანს მიჯვრილი ბნელი ქუჩები. პოეზიის მორგია. აქ დაავანეს იგი, სადაც ახლა სწადიათ — დიდი მხედართმთავარი, უკანასკნელი დიდი კაცი ევროპისა. მას მაგრად სძინავს თავის გრანიტის სარეცელში. წურავის შექმნდება, ვაითუ საფლავში გადაბრუნდესო. კარნი კარგადაა ჩარაზული, კუბოს თავსახურიც მჭიდროდ არის მორგებული. იძინე, ნაპოლეონ! შენი იდეები როდი სწყუროდათ — არა, მარტოდენ შენი ცხედარი!

მდინარე კლავინდებურად აბობოქრებულა და ამღვრეულა; ზედ გავლებულა შუქის ზოლები. არ ვიცი, რა ამოვარდება ხოლმე ჩემში ამ ბნელი, მარდი ნაკადის დანახვისას, მაგრამ დიდი ღებნა აღმიტაცებს და ბეჭედს უსვამს ჩემს ნატვრას — არასოდეს მივატოვო ეს მინა-წყალი. მაგონდება, ამას წინათ დილაადრიან „ამერიკენ ექსპრესში“ მივმურებოდი ამ გზით და წინასწარ ვიცოდი, რომ არავითარი წერილი არ დამხვდებოდა, არავითარი ჩეკი, არავითარი დეკეშა — არაფერი, სულ არაფერი. „გალერი ლაფაიეტის“ ფურგონი მირახრახებდა ხიდაზე. წვიმამ გადაილო და მზე იჭყიტებოდა საპნიანი ღრუბლებიდან, თავის გრილ ცეცხლს უკიდებდა სახურავებს. მაგონდება, რომ მეეტლემ თავი გამოყო ფურგონიდან და გახედა მდინარე — პასის მიმართულებით. ისე ჯანსაღად, უბრალოდ და მოწონებით გახედა, თითქოს



მხატვარი გეგა პაქსაშვილი

თავის თავს ეუბნებოდა: „დახეთ, გაზაფხული მოდის!“ და უფალმა უწყის, როდესაც გაზაფხული მოდის პარიზში, ყველაზე დამცირებულმა მოკვდავმაც კი უნდა იგრძნოს, რომ სამოთხეში ცხოვრობს. მაგრამ მხოლოდ ეს არ ყოფილა — რალაც ინტიმური სიახლოვე კრთოდა მეეტლის თვალებში, როდესაც არემარეს მიაჩერდა. ეს გახლდათ მისი პარიზი. არაა აუცილებელი, რომ იყო მდიდარი ანდა მკვიდრი პარიზისა, რათა ამგვარად შეიგრძნო აქაურობა. პარიზი სავსეა ღარიბ-ღატაკებით, აქ მრავლად შეხვდებით ყველაზე ამაყსა და ყველაზე ბინძურ მათხოვრებს, რომელთაც სხვაგან ვერსად წაანყდებით. და მათ მაინც ეჩვენებათ, რომ შინ არიან. აი, პარიზელი სწორედ ამით გამოირჩევა სხვა სატახტო ქალაქების მკვიდრთაგან.

როდესაც ვფიქრობ ნიუ-იორკზე, სრულიად სხვა გრძნობა მეუფლება. ნიუ-იორკი მდიდარ ადამიანსაც კი ჩააგონებს, არარაობა ხარო. ნიუ-იორკი ცივია, ბრჭყვიალა და ავგული. შენობები გთრგუნავენ. მისი ორომტრიალი ტკინის გახლენას წააგავს; რაც უფრო მძვინვარეა ტემპი, მით უფრო მცირდება სულიერება. მუდმივი დუდილი, რომელიც იმავე წარმატებით შეიძლება განხორციელდეს რეაქტივის ტუბში. არავინ უწყის, რა ხდება ირგვლივ. არავინ წარმართავს კოლოსალური, უცნაური და გამოაგნებელი ქალაქის ენერგიას. ვეებერთელა რეაქტიული გულისნადილი, მაგრამ სრულიად უმართავი.

როდესაც ვფიქრობ ამ ქალაქზე, სადაც დავიბადე და გავიზარდე, როდესაც ვფიქრობ მანჰეტენზე, რომელსაც ხოტბა



შეასხა უიტმენმა, ბრმა და გაფითრებული გააფთრება მილოკავს შიგნულს. ნიუ-იორკი! თეთრი საპყრობილები, მატლებით აფუთფუთებული ტროტუარები, პურის რიგები, სასახლეებივით აგებული ოპიუმხანები; აქვე არიან ყიურები, კეთროვნები, კაცისმკვლელი, და ყველაზე მეტად — ნალველი, მონოტონურობა სახეთა და ქუჩათა, ფეხებისა და სახლების, ცათამბჯენებისა და სათოხლავის, აფიშების, სამუშაოსი, დანაშაულის, სიყვარულისა... მთელი ქალაქი აღმართული არყოფნის ფუყე ორმოზე, უაზრობაზე, აბსოლუტურ უაზრობაზე. ახლა ორმოცდამეორე ქუჩა! სამყაროს კენწერო, როგორც ეძახიან იქაურები. მაშ ფსკერი სადღაა? თქვენ შეიძლება იართო სამათხოვროდ განვდილი ხელით და ნაკვერჩხლებს ჩაგიყრიან ქუდში. მდიდარი იქნება თუ ღარიბი, ყველანი თავანვდილი დაიარებიან და ღამის კისერი მოსტყედეთ თავიანთი მშვენიერი თეთრი საპყრობილების მზერით. ბრმა ბატევივით დაბაჯბაჯებენ და პროჟექტორები ექსტაზის წინკლებს აფრქვევენ მათ არაფრისმთქმელ სიფათებზე.

**რომეა უფრო მარადიული**

ერთხელ ღამით ლომონის ქუჩაზე რომ მივაბიჯებდი, უჩვეულო ტკივილი და მარტოობის სევდა მომანვა გულზე, და ზოგი რამ ანკარა წყაროსავით გამომეცხადა. არ ვიცი, ეგებ ეს იმიტომ მოხდა, რომ ნალველითა და სასონარკვეთით შეპყრობილი ხშირად დავდიოდი ამ ქუჩაზე, ანდა ეგებ იმიტომ, რომ გამახსენდა ფრაზა, რომელიც მონამ წამოხსოვდა ერთ ღამეს, როდესაც ვიდექით ლუსიენ ერის მოედანზე: „რატომ არ მაჩვენებ იმ პარიზს, რომელსაც შენ აღწერ“? თქვა მან. ეს კი ნაღდად ვიცი — ამ სიტყვების გახსენებისას ანაზდად მივხვდი, რომ შეუძლებელია ოდესმე ვაჩვენო ის პარიზი, რომელიც შევიცანი; პარიზი, რომლის რაიონები განუსაზღვრელია; პარიზი, რომელიც არასოდეს არსებობდა ჩემი მარტოობისა და მონას მონატრების გარეშე — ესოდენ უზარმაზარი პარიზი! მთელი სიცოცხლე არ გეყოფა, ხელახლა რომ გამოიკვლიო. ეს პარიზი, რომლის გასაღებიც მხოლოდ ჩემს ხელთაა, ძლივძლივით გამოდგება თუნდაც საუკეთესო განზრახვით მოწყობილი ექსკურსიებისთვის; ეს არის პარიზი, რომელიც უნდა შეიცნო, რომელიც ყოველდღე უნდა განიცადო ტანჯვის ათასნაირი სხვადასხვა ფორმით; პარიზი, რომელიც კიბოსავით იზრდება შენში, კიდევ იზრდება და იზრდება, ვიდრე მთლიანად არ გამოგხრავს.

ამგვარი ფიქრები ირეოდა ჩემს თავში, როდესაც მივჩლავტუნობდი მუფტარის ქუჩაზე. გამახსენდა კიდევ ერთი უცნაური ამბავი წარსულიდან, იმ გზამკვლევიდან, რომლის გადაფურცვლა მთხოვა მონამ, მაგრამ მაშინ ვერ გადავხსენი, რადგანაც ძალზე მძიმე ვიყავი. სრულიად უმიზეზოდ — ვინაიდან იმ მომენტში ფიქრობდი საღავენზე, რომლის წმინდა მიდამოებში დავებეტებოდი — დიახ, სრულიად უმიზეზოდ მომაგონდა ის დღე, როდესაც მემორიული დაფით შთაგონებული, ყოველდღე გვერდით რომ ჩავუვლიდი ხოლმე, ერთხელაც იმპულსურად შევედი „ორფილას“ პანსიონში და ვითხოვე, ეჩვენებინათ ის ოთახი, რომელიც სტრინდბერგს ეჭირა. მანამდე თავს არაფერი დამტეხოდა საზარელი, თუმცა ამქვეყნიური საუნჯენი უკვე დაკარგული მქონდა და კარგად ვიცოდი, რას ნიშნავს ქუჩა-ქუჩა ნანწალი, როცა გზია და პოლიციასაც უფრთხი. ჯერჯერობით ერთი მეგობარიც კი არ მეპოვა პარიზში, რაც გამაოგნებელი უფრო იყო, ვიდრე გულსატკენი, რადგან სადაც კი მიხეტილია მანამდე, ძალზე იოლად ვპოულობდი ძმაკაცებს. მაგრამ კაცმა რომ თქვას, ძალზე საშინელი ჯერ არაფერი გადამხდენოდა. შეიძლება იცხოვრო უმეგობროდ, ისევე როგორც უსიყვარულოდ ანდა სულაც უფულოდ, რაც ცხოვრების ყველაზე აუცილებელი პირობაა. მაგრამ პარიზში შეიძლება იცხოვრო — ეს ჩემი აღმოჩენაა! — მარტოდენ ვარამითა და ტანჯვით. ეს მწარე საზრ-

დო, შესაძლოა, საუკეთესო გამოსავალი იყოს მავანთა და მავანთათვის. ასეა თუ ისე, მე ჯერ კიდევ არ გადამწუროდა ყველა იმედი. მე მხოლოდ ვეარშიყებოდი უბედურებას. საკმაოდ დროცა მქონდა და გრძნობებიც, რომ ჩამეჭყიტა სხვათა ცხოვრებაში და თავი გამერთო რომანტიკული აბდაუბდით, რომელიც თუნდაც ავადმყოფური იყოს, მაინც გხიბლავს შორეული და ანონიმური, მით უმეტეს, თუკი ყდაშია ჩასმული. როდესაც იქაურობა დავტოვე, ვიგრძენი, რომ ირონიული ღიმილი დამთამაშებდა ტურქებზე, თითქოსდა საკუთარ თავს ვეუბნებოდა: „ორფილას პანსიონი ჯერ ადრეა!“

მას შემდეგ, რასაკვირველია, ჩავნვდი იმას, რასაც ყოველი შეშლილი, ადრე თუ გვიან, გაარკვევს პარიზში — რომ ტანჯულთათვის ჯოჯოხეთი ერთ თარგზე არაა გამოჭრილი.

ასე მგონია, ახლა ოდნავ უკეთ ვხვდები, მონა ესოდენ უზომოდ რატომ ტკებოდა სტრინდბერგის კითხვით. თვალწინ წარმომიდგება, თუ როგორ ასწავდა თავს, როდესაც წაიკითხავდა მომხიბლავ პასაჟს, სიცოცხლისგან ცრემლი მოადგებოდა თვალებში და მეტყვოდა: „შენ ისეთივე გიჟი ხარ, როგორიც ის იყო... შენ გენატრება, რომ განაშინო!“ რამხელა სიამოვნებაა სადისტიკათის, როდესაც იშოვის საკუთარ მაზოხისტს! როდესაც თავის ხორცს ჩაკბენს თითქოსდა იმის შესამონმებლად, კბილები მჭრელი მაქვს თუ არაო. იმხანად, როდესაც გავიცანი მონა, ის გაუღნითილი იყო სტრინდბერგით. აცვენილთა ეს მძვინვარე კარნავალი, რომელიც ატკბობდა ავტორს, ეს მარადიული დუელი სქესთა, ეს ობობისეული სისასტიკე, რამაც შეაყვარა სტრინდბერგი გამოთაყვანებულ ჩრდილოელ ხებრებს — ეს იყო ის, რამაც შეგვეყვარა მე და მონა. ჩვენ ერთად შევუდექით სიკვდილის ცეკვას და მორევმა ისე სწრაფად ჩამითრია, რომ, როცა ამოვეყურყუმელავდი, სამყარო ველარ ვიცანი. თავი დავიხსენი და მუსიკაც შეწყდა; კარნავალი გასრულდა და ძვალ-რბილიანად გამოჭმული დავრჩი...

იმ შუადღისას, „ორფილას“ პანსიონი რომ დავტოვე, ბიბლიოთეკაში წავედი და იქ, განვში ბანაობისა და ზოდიაქოს ნიშნების შესწავლის შემდეგ, დავინყე ფიქრი იმ ჯოჯოხეთის მნიშვნელობაზე, რომელსაც სტრინდბერგი ასე უმოწყალოდ ხატავდა. და ვიდრე ამას ვფიქრობდა, ჩემთვის ნათელი გახდა იდუმალეზა მისი პილიგრიმობის, პოეტის გაქცევა დედამინის კიდებზე და მერე, თითქოს განწირეს, რომ ხელახლა ეთამაშა დაკარგული დრამა — გმირულად ჩასვლა შიგ დედამინის ნიაღში, ბნელი და საზარელი ყურყუტი ვეშაპის მუცელში, სასტიკი ბრძოლა თავის დასახსნელად, წარსულიდან გამოსვლა განწმენდილისა და უცხო ნაპირზე გადაქცევა კაშკაშა, სისხლიანი მზის ღმერთად. ჩემთვის აღარ იყო საიდუმლოება, თუ რატომ ჩამოდიოდნენ პარიზში პილიგრიმებად სტრინდბერგი და სხვანი (დანტე, რაბლე, ვან გოგი და ა.შ. და ა.შ.); მაშინდა მივხვდი, თუ რატომაა, რომ პარიზი იზიდავს ტანჯულთ, შალეუცინაციებით შეპყრობილთ, სიყვარულის დიდებულ მანიაკებს. მივხვდი, თუ რატომ შეგიძლია აქ, ბედის ბორბლის შუაგულში, გაითავისო ყველაზე ფანტასტიკური, ყველაზე წარმოუდგენელი თეორიები და უცნაურადაც კი არ მოგეჩვენოს; სწორედ აქ ხდება, რომ ხელახლა კითხულობ სიჭაბუკემი ნაკითხულ წიგნებს და მათი გამოცანები ახალ აზრს იძენს, და ჭლარის ყოველ ლერთან ერთად მდიდრდება. დადიხარ ქუჩებში და იცი, რომ გიჟი ხარ, ჭკუიდან შერყეული ხარ, რადგანაც ძალზე თვალნათლივ ხედავ, რომ ეს ცივი, გულგრილი სახეები — გამომეტყველება გახლავთ საგიჟეთის სანიტრისა. აქ ქრება ყველა საზღვარი და სამყარო გადაიშლება შენს თვალწინ, როგორც გიჟური სასაკლაო, როგორც არის სინამდვილეში. გზა ცხოვრებისა უსასრულოდ გადაჭიმულა, ყველა ლიუკი მჭიდროდ არის დაგმანული, ლოგიკა ეშვება ძირს, და გაივლებს გასისხლიანებული, დიდი დანა ყასბისა. ჰაერი გრილია და ჩახუთული, ენა — აპოკალიფსური. გამოსავალი არსად არ მიინიშნება; ხსნა არსად არის, გარდა სიკვდილისა. ეს არის ჩიხი, რომლის ბოლოში ეშაფოტი აღუმართავთ.

პარიზი — მარადიული ქალაქია! უფრო მარადიულია, ვიდრე რომი; უფრო დიდებულია, ვიდრე ნინეფია. ესაა დედა-მინის ჭიპი, საითაც უსინათლო და ბორძიკა იდიოტივით მიფოფხავ ოთხზე და როგორც საცობი, რომელიც ოკეანის ზედ შუაგულში მიდენილა, ტივტივებ ზღვათა წყალმცენარეებსა და სიბინძურეში. უმწეო, უმიმედო და გულგრილი ხარ ყველაფრის მიმართ, გინდაც კოლუმბმა ჩავიაროს გვერდით. ცივილიზაციის აკვანი — ესაა მყარალი კლოაკა სამყაროსი, აკლდამა, სადაც აქეთებული საშვილოსნოებიდან აბარებენ ძვალ-რბილის სისხლიან ფუთებს.

ქუჩები პარიზისა იყო ჩემი თავშესაფარი. და კაციშვილი ვერ გაიგებს ქუჩათა მომხიბლაობას, ვიდრე იძულებული არ გახდება, იქ ჰპოვოს თავშესაფარი, ვიდრე არ დაემსგავსება ჩალის ღერს, რომელსაც აქეთ-იქით აფრიალებს ამოვარდნილი ნიაფი. სუსხიან დილით მიჰყვები ქუჩას, თვალს მოჰკრავ გასაყიდად გამოყვანილ ძაღლს და ლამის აცრემლდე. ქუჩის მეორე მხარეს კი დგას უბადრუკი ქოხი, სასაფლაოსავით ხალისიანი, რომლისთვის დაურქმევიათ „სასტუმრო ბოცერის სამარე“. გაგეცინება, პირდაპირ მოკვდები სიცილით. მერეღა შეამჩნევ, რომ აქ ყველგან არის სავანეები — კურდღლებისა, ძაღლებისა, ტილებისა, იმპერატორებისა, მინისტრებისა, მევახშებისა, ჩაღვადრებისა და ასე შემდეგ. და თითქმის ყოველ მეორე მათგანს ჰქვია „სასტუმრო მომავლისა“. უკვე ისტერიული სიცილი აგიტყდება. ამდენი სასტუმროები მომავლისათვის! და ერთიც არ გაუმეტებიათ ნამყო დროის მიმღეობისათვის, კავშირებითი კილოსათვის... ყველაფერი არის ობმოკიდებული, შემზარავი, მაგრამ მხიარულად აბურძგნული და სამომავლოდ გასიებულა ფლიუსივით. მომავლის ამ გარყვნილი ეგზემით მთვრალი მივბარბაცებ ვიოლეს მოედანზე. ირგვლივ ვარდისფერი და მოლურჯო ფერებია. ჭიშკრები იმდენად დაბალია, რომ მარტოოდენ ჯუჯები და ჭინკები თუ შეძვრებიან იქ; ზოლას მოსაწყენ თავის ქალაზე მიღები ამოანთხევენ სუფთა კოქსს, ხოლო სენდვიჩების მადონა კომპოსტოს ყურებით უსმენს ბუყბუყს გაზის ცისტერნებიდან — საუცხოოდ გასიებული გომბემოებივით რომ ჩაცუცქულან გაზის პირას.

ნეტავი რატომ გამახსენდა ანაზად თერმოპილის ხეობა? ეგებ იმიტომ, რომ იმ დღეს ყური მოვკარი, როგორ მიმართა ქალმა თავის ლეკვს სასაფლაოს აპოკალიფსურ ენაზე და პანია ძუკნა მიხვდა, რასაც ამბობდა ეს ჩათქვირებული და ფეთხუმი ბებია-ქალი. პირდაპირ გული მომიკვდა! ვუყურებ ამ ანკმუტუნებულ ეზოს ძაღლებს, ბრანსონის ქუჩაზე რომ ყიდიან, და თვითონ ძაღლები კი არ იწვევენ სიბრალულს, არამედ ვეებერთელა რკინის ლოზე, ეს დაჟანგული ნვეტები, რომლებიც თითქოსდა აღმართულან ჩემსა და იმ ცხოველებს შორის, რომელიც მეკადრება, სამართალი რომ იყოს ამქვეყნად. ვინრო და საამო შესახვევში, რომელსაც პერიოსს ქუჩა ჰქვია, ცხენის ხორცის დამამზადებელ ვოჟირარის სასაკლავოს მახლობლად, აქა-იქ შევნიშნე სისხლის კვალი. როგორც ჭკუიდან შემლილი სტრინდბერგი ხედავდა ავის მომასწავებელ და მაუნყებელ ნიშნებს „ორფილას“ პანსიონის იატაკზე, ასევე მეც უსაზარლესი წინათგრძნობით მკებნდნენ ჩემს თვალწინ ამოტივტივებული, ერთმანეთისგან გათიშული ნამსხვრევები წარსულისა, როდესაც უმიზნოდ მივეხეტებოდი ამ ბინძურ შესახვევში, სისხლით რომ იყო მორწყული. მეჩვენებოდა, ჩემი სისხლი იღვრება და რწყავს ტალახიან ქუჩას იმ დროიდან, რაც თავი მახსოვს, უხსოვარი დროიდან. გადმოგანთხევენ ამ სამყაროში, როგორც პანია, ბინძურ მუმიას; ყველა გზა მოლიპულია სისხლით და კაცმა არ იცის — რატომ და რისთვის. ყოველი ადამიანი მიჰყვება თავის გზას და თუმცა მინა იხრნება ნუგბარით, დრო არა გრჩება, რომ აკრიფო ნაყოფი მისი; პროცესია მიიზლახნება უკანასკნელი გამოსავლის მიმართულებით და ისეთი პანია ატეხილა იქ, ისეთი მოუთმენლობით ლამობენ გაქცევას, რომ უსუსურნი და უმ-

ნეონი გადაუქელავთ ტალახში და მათი ყვირილი არავის, არავის ესმის.

ჩემიანების სამყარო წარსულს ჩაჰბარდა; სრულიად მარტოსული დაგრჩენილვარ ამქვეყნად და მეგობრებად ქუჩებილა შემომრჩნენ. და ისინი მელაპარაკებიან იმ სევდიან, გულსატკეპენ ნაზზე, რომელშიც ერთმანეთს შეზავებია ადამიანური ტანჯვა-წვალება, ნალეული, სინანული, უიღბლობა, ამოი გარჯა. ბროკას ქუჩაზე ვიადუკის ქვეშ მივდიოდი სწორედ იმ სალამოს, როცა მაუნყეს, მონა ავად გამხდარა და შიმშილით სული ძვრებაო. მოულოდნელად გამახსენდა, რომ სწორედ აქ იყო, ამ სიბინძურესა და უნუგეშობაში ჩაფლულ ქუჩაზე — ალბათ მომავლის ავი წინათგრძნობით შეძრწუნებული მონა ჩამეხუტა და ათრთოლებული ხმით მევედრებოდა: პირობა მომეცი, არასოდეს მიმატოვებო. არასოდეს, არასოდეს, რაც არ უნდა მოხდესო. და მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ ვიდექი სენ-ლაზარის ვაგზის ბაქანზე და შევეყურებდი, როგორ დაიძრა მატარებელი, ის მატარებელი, რომელსაც მიჰყავდა მონა და მამორებდა; ვაგონის ფანჯრიდან თავი გადმოყო ზუსტად ისე, როგორც მაშინ, ნიუ-იორკში რომ ვტოვებდი და ისეთივე სევდიანი და იღუმალი ღიმილი კრთოდა მის პირისახეზე, უკანასკნელ წუთში ნასროლი მზერა, რომელმაც უამრავი რამ უნდა გამოხატოს, მაგრამ მარტოოდენი ნილაბია, მორგებული გულცივი ღიმილით. რამდენიმე დღით ადრე სასონარკვეთილი მეხუტებოდა და მერე რაღაც მოხდა. დღემდე ვერ მივხვდარვარ, თუ რა მოხდა, და თავისი ნება-სურვილით ამოვარდა მატარებელში და კვლავ მიმზერდა ამ სევდიანი, იღუმალი ღიმილით, რომელიც ვაგონის ფანჯრიდან — იმდენად უსამართლო და არაბუნებრივი, რომ მთელი სულითა და გულით უნდობლად ვეკიდები. და აი ახლა, ეს მე ვარ, ვიადუკის ჩრდილში მდგარი ხელებს რომ ვინვდენ მისკენ, ვებლაუჭები და ტუჩებზე დამთამაშებს იგივე გაუგებარი ღიმილი, რომელიც ნილაბივით ჩამოვიფხატე ჩემს მწუხარებაზე. აქ შემიძლია ვიდეგი, უაზროდ ვიღიმიოდე და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რაოდენ მხურვალეა ჩემი ლოცვები, რაოდენ სასონარკვეთილია ჩემი ლტოლვა, რადგანაც ერთიმეორისგან გვეყოფს ოკეანე; გაღმა დარჩენილა მონა და შიმშილობს, გამოლმით მე დავეხეტები ერთი ქუჩიდან მეორეზე და მდულვარე ცრემლი მითუთავს სახეს.

როგორი სისასტიკე ჩაუდღებავებით ამ ქუჩებში; ისაა, კედლებიდან რომ გვიმზერს და თავზარს გვცემს, როდესაც ანაზად გვეუფლება ენით უთქმელი შიში და ჩვენს სულში უეცრად შემოიჭრება გულისამრევი პანიაკა. სწორედ სისასტიკეს ისე დაუგრეხია ქუჩის ლამპიონები, რომ ისინი თავის კანტურით გვიხიბობენ და გვიტყუებენ მახრჩობელა მარწუხებით; ეს სისასტიკეა, ზოგიერთი სახლი რომ გადაუქცევია მალულ დანაშაულთა დარაჯად და მათი ბრმა ფანჯრები წააგავს თვალის ცარიელ ფოსოებს, რომელთაც ბევრი რამ უნახავთ. ეს სისასტიკე პირისახეზე აწერიათ ქუჩებს ადამიანივით, რაც მაიძულებს გაქცევას, როდესაც თავზემით უეცრად ვხედავ წარწერას: „სატანის ჩიხი“. ეს არის, ყრუანტელს რომ მგვრის, როდესაც ზედ მეჩეთის შესასვლელთან თვალში მხვდება წარწერა: „ორშაბათობით და ხუთშაბათობით — ტუბერკულოზი; ოთხშაბათობით და პარასკეობით — სიფილისი“. მეტროს ყოველ სადგურზე კბილებდაკრეჭილი თავის ქალა გესალმება ამგვარი წარწერით: „თავი დაიცავით სიფილისისგან!“ სადაც კი კედელი მოიძებნება, ყველგან გაუკრავთ პლაკატები, რომლებზეც გამოსახულია თვალისმომჭრელი, შხამიანი კიბორჩხალები, რომლებიც მოასწავებენ სიმსივნის მოახლოებას, სადაც არ უნდა ნახვიდე, რასაც არ უნდა შეეხო, ყველგან კიბოა და სიფილისი. ზეცაშიც კი ეგ წერია; ბრჭყვიალებს და როკავს, როგორც ნიშანი ავისა. ამან გამოლრდნა ჩვენი სულელები და ჩვენ მკვდრები ვართ, ვითარცა მთვარე.

ინგლისურიდან თარგმნა  
თამაზ ნატროშვილი

თამაშობდა თბილისის „დინამოში“; სსრ კავშირის ჩემპიონი (1950, 53, 54) და მესამე პრიზორი (1952); სსრ კავშირის თასის მფლობელი (1950, 51); მსოფლიოს ახალგაზრდული ფესტივალის მესამე პრიზორი (1954); „დინამიადის“ ჩემპიონი (1957); სსრ კავშირის ნაკრების წევრი (1951-54); ბორის პაიჭაძის სახელობის თბილისის „დინამოს“ სტადიონის დირექტორი (1986-92); სპორტის დამსახურებული მუშაკი; საპატიო „დინამოელის“ ოქროს მედლის მფლობელი.

# ლამაზი ვაჟკაცის იუბილე...

## და მებოგრის გედის სიმღერა...

ვაჟა ჟღენტი ქართული კალათბურთის გარიჟრაჟის უბრწყინვალესი წარმომადგენელია, ძღვევამოსილი თბილისის „დინამოს“ ერთი ყველაზე გამორჩეული მოთამაშე, რომელმაც დასაბამი დაუდო ამ საზოგადოების და, საერთოდ, ქართული კალათბურთის დიდ გამარჯვებებს როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო მასშტაბით.

ვაჟა ჟღენტი ვაკეში, მრგვალ ბაღთან დაიბადა და გაიზარდა და ანონილ ბიჭს ბევრი არც უფიქრია — მთელი უბანი, მთელი თბილისი, მთელი საქართველო ფეხბურთს თამაშობდა და ის რატომ უნდა ყოფილიყო გამონაკლისი. კარგი ფეხბურთელი იყო, ჩინებული ცენტრფორვარდი, უბნის ჯილა. ბესიკის ქუჩაზე, „დეკაში“ დადიოდა ხშირად ბილიარდის საყურებლად.

ერთხელაც, ტრამვაიში (უნინ ტრამვაი ვაკეშიც დადიოდა და რუსთაველზეც) უბნელი მეგობრები შეხვდნენ (ჯიმშერ ენუქიძე, ნოდარ კობიძე, თამაზ შავგულიძე, რეზო სალუქვაძე, ჯიმი სანებლიძე, ლადო გომართელი და სხვები), რომლებიც კალათბურთზე დადიოდნენ მიხილ კეკელიძესთან, მთელი თაობებისთვის ძია მიშასთან. ბიჭო, მთელი ჩვენი ტოლები კალათბურთზე დადიან, ძია მიშა კეკელიძესთან და წამოდი, არც შენ გეტყვის უარს, მიტოვებულს, დედა შენც კეკელიძე გყავსო.

ახალგაზრდა მწვრთნელს მოგვარე და ნათესავი არ სჭირდებოდა. ვაჟა ჟღენტი ისეთი ახოვანი, ლამაზი ვაჟკაცი იყო (თუმცა რა, ახლა, 86 წლისა ნაკლებ ახოვანი და ნაკლებ ლამაზი ვაჟკაცია?!), რომ უყოყმანოდ ჩარიცხა გუნდში. იგი განათლების განყოფილების გუნდსაც („ტონი“) ავარჯიშებდა და „ნორჩ დინამომელსაც“. 16 წლის ვაჟა ჟღენტი „ნორჩ დინამომელში“ მოხვდა.

მესამე ვარჯიშზე უკვე გვერდზე გაიხმო მწვრთნელმა და გააფრთხილა, იცოდე, ვარჯიში არ გამიცდინოო. ვაჟაც დაინტერესდა. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ჩააბარა და ამ სასწავლებლის დარბაზში განაგრძო ვარჯიში თავის მეგობარ მალხაზ ეგანოვთან ერთად. ის კი არადა, აუდიტორიიდან სახაზავი დაფა მოიპარეს და მალხაზის ეზოში კალათბურთის ფარი გააკეთეს. ბურთი და კამერა მაშინ სად იყო, „აბალოჩკა“ იშოვეს და ბურთი ბამბით გატენეს და ჯარიმების სროლაში ვარჯიშობდნენ.

აი, ასე დაიწყო, საქმეს სერიოზულად მოეკიდნენ. საათობით ვარჯიშობდნენ. ასეთი შემთხვევაც მოხდა. დარბაზში გვიანობამდე შერჩნენ და რომ დაილაღნენ, იქვე, სატანვარჯიშო ლიბზე წამოწვევენ დასასვენებლად და ჩაეძინათ. ღამით გულგახეთქილი მშობლები მოცვიდნენ და დარბაზში არ აღმოაჩინეს?!

სხვათა შორის, უმაღლესი სასწავლებლების პირველობაზე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდი ბევრს უმწარებდა სიცოცხლეს. 1949-51 წლებში ამ გუნდმა სამჯერ მოიპოვა საქართველოს სტუდენტთა ჩემპიონობა, მაშინ, როცა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში თამაშობდნენ ნოდარ ჯორჯიკია, დათო გომიაშვილი, ლევან ინჰკირველი, გივი რუხაძე, ხოლო ფიზკულტურის ინსტიტუტში — ოთარ ქორქია, გოგი ბახტურიძე, ალექო მესხი და სხვები. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში კი იყვნენ ვაჟა ჟღენტი,

ტი, მალხაზ ეგანოვი, თენგიზ კანდელაკი, მიტო ჭუმბურიძე, ბიჭიკო ომიადე. 1949 წელს კი მათ ოდესამი, „ნაუკის“ საკავშირო სპარტაკიადაზე მეორე ადგილი დაიკავეს. გუნდს სხვადასხვა დროს წვრთნიდნენ ზურაბ მეგრელიშვილი, შოთა ახვლედიანი, ალექო მესხი. იყვნენ სპორტსაზოგადოება „უროჟაის“ ჩემპიონებიც.

1946 წელს ვაჟა ჟღენტი უკვე დიდებში თამაშეს ქალაქის პირველობაზე, ორი წლის შემდეგ კი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ტურის სათამაშოდ გუნდთან ერთად მოსკოვში წაიყვანეს.

ყველაზე ლამაზად დღევანდელ იუბილარს „დინამოს“ პირველი ჩემპიონობა აგონდება 1950 წელს ვილინიუსში, განსაკუთრებით კაუნასის გუნდთან თამაშს გამოყოფს.

1952 წელს კი „დინამოს“ საკავშირო პირველობისთვის ტალინის „დინამოს“ უძლიერეს გუნდთან თამაშობდნენ. მანამდე ერთი კვირა ვაჟა ჟღენტი მალხაზ სხვებით ტალინის საავადმყოფოში მოხვდა, ანგინა ჰქონდა მძიმე ფორმებში. მოედანზე, ბუნებრივია, ვაჟა ბოლომდე დაიხარჯა. მას მეურვეობას საკავშირო ნაკრების მცველი რუსაკი უწევდა, მაგრამ ვერაფერს გახდა — ჟღენტი 22 ქულა მოუტანა თავის გუნდს.

მაგრამ მოუხდა მეტად გულდასაწყვეტი რამ. ასეთი ავადმყოფობის შემდეგ მძიმე დატვირთვა ყოვლად შეუძლებელი იყო. და სპორტსმენსაც ჯანმრთელობამ უმტყუნა, მთელი სხეული სტკიოდა. შედეგად — ვეღარ მოხვდა საოლიმპიადოდ გამზადებულ საკავშირო ნაკრებში, სადაც გამოძახებული იყო.

თუმცა ჯერ ბერლინის ფესტივალი იყო და იქ არ წაიყვანეს. მოსკოვში დატოვეს ნაკრების მეორე მწვრთნელთან ერთად, საოლიმპიადოდ მოემზადეო. მწვრთნელი გააფრთხილეს, ძალიან არ დატვირთო, ახალი ნაავადმყოფარია და სუსტად არისო, მაგრამ იმან ცალ ყურში შეუშვა და მეორეში გამოუშვა. გერმანიიდან დაბრუნებულმა ნაკრების ექიმმა რომ ნახა, კინაღამ გაეცხდა — ჩამომხმარი სპორტსმენი დახვდა, იცოცხლე, მწვრთნელს ერთი ამბავი დააჩინეს, მაგრამ ამას რა?! მოხიკა ბარგი-ბარხანა და თბილისში დაბრუნდა.

„დინამოში“ 1959 წლამდე ითამაშა, მერე მწვრთნელთან შელაპარაკება მოუვიდა და გუნდიც დატოვა. იმ დროს „ბურვეესტნიკს“ ძალიან უჭირდა და მიხილ კეკელიძემ სთხოვა, დამეხმარეო. ტური ტალინში იმართებოდა, სადაც ყველაზე დასამახსოვრებელი მოგება თბილისის „დინამოსთან“ იყო.

მერე თავის სპეციალობას, მეღვინეობას გაყვა, თუმცა კალათბურთი არ დავიწყებია — რამდენიმე წელიწადი ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი იყო გუგული დანელიასა და არჩილ ჭირაქაძის პრეზიდენტობის დროს. 1986 წელს კი „დინამოს“ სტადიონის დირექტორად დანიშნეს, მაგრამ პოლიტექნიკური მოტივების გამო 1992-ში პოსტის დატოვების განცხადება დატოვა.

ბატონი ვაჟას ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი ეპიზოდი საავადმყოფოში ნამღერი გურული სიმღერაა. ნოდარ დუმბაძე და გიგა ლორთქიფანიძე საავადმყოფოში იწვნენ. ნოდარი ძალიან ცუდად იყო. როცა ბატონი გიგა და ვაჟა შევიდნენ მის პალატაში, ნოდარმა სთხოვა, მოდი, ბიჭებო, ვიმღეროთ, ეს ჩემი გედის სიმღერა იქნებო. და სამწუხაროდ, მართლაც ასე გამოდგა. სიმღერის შემდეგ ნოდარ დუმბაძეს უთქვამს: ახლა უფლებას ვაძლევ — წამიყვანოს მიქელ-გაბრიელმაო.



ვაჟა ჟღენტი

მოგზიონრობს ბატონი მეჭრაბი

როგორც მოგვხსენებთ, ძველი ქართული მწერლობის ისტორიაში თავისი საპატიო ადგილი უჭირავს იოსებ ტფილელის პოემას „დიდმოურავიანი“, რომელიც შექმნილია XVIII საუკუნის 80-იან წლებში და აღწერს სახელგანთქმული ქართველი სარდლის გიორგი სააკაძის მშფოთვარე და ტრავიკულ თავგადასავალს. იოსებ ტფილელის პოემაში დიდი მოურავის პირით არის გადმოცემული მისივე ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი მომენტები. აღნიშნულმა მხატვრულმა ხერხმა და ზოგიერთი ეპიზოდის დანერგვებითმა თხრობამ წარმოქმნა ვარაუდი, რომ იოსებ ტფილელი ეყრდნობოდა თვით გიორგი სააკაძის ხელიდან გამოსულ დოკუმენტურ მასალას. ივანე ჯავახიშვილიც კი გადმოცემულ ამ ვარაუდს და შენიშნა, ეგებ პოემის ავტორს „დიდი მოურავის დღიური ან წერილები ხელთა ჰქონოდა კიდეც“.

გიორგი ლეონიძე, რომელმაც 1939 წელს გამოსცა „დიდმოურავიანი“ და საკმაოდ ვრცელი გამოკვლევაც დაურთო წინასიტყვაობად, საეჭვოდ მიიჩნევდა გიორგი სააკაძის დღიურის არსებობას და ასკვნიდა, რომ შესაძლოა იოსებ ტფილელს გამოუყენებია მისი ვრცელი მოხსენება ანუ განმარტებები წერილი თეიმურაზ პირველისადმი თავის სარეაბილიტაციოდ; ხოლო კერძო წერილებთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „ისინი უკვე დაღუპულა, ჩვენამდის ვერ მოუღწევიათ“.

როგორც ირკვევა, გამოჩენილი იტალიელი მოგზაურის პიეტრო დელა ვალეს (1586-1652) თხზულების „მოგზაურობა თურქეთში, სპარსეთსა და ინდოეთში“ ერთი ფრაგმენტი უნდა შეიცავდეს გიორგი სააკაძის მონათხრობს საქართველოში დატრიალებულ ამბებზე. დიას, მრავალ თხრობათა ობიექტი თითქოს თავადაც გვევლინება მთხრობელის როლში.

დელა ვალე გადმოგვცემს, რომ 1620 წლის 20 სექტემბერს, კვირადღეს, ქალაქ ისპაანის კარმელიტთა ეკლესიაში წირვის მოსასმენად მოსულა ქართველი დიდებული ბატონი მეჭრაბი („სინიორ მეჭრაბი“), კაცი დარბაისელი და ჭარმაგი, რომელიც სიჭაბუკეში იმყოფებოდა სვიმონ მეფის სამსახურში, შემდეგ კონსტანტინოპოლის ტყვეობაში თან ახლდა პატრონს, მონიფულ ასაკში კი ემსახურებოდა ლუარსაბ მეფეს, სვიმონის შვილიშვილსა და მემკვიდრეს ქართლის ტახტზე.

ეს ცნობა თავის დროზე დაიმონმა მიქელ თამარაშვილმა, ხოლო ანტონ ფურცელაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ დასახელებული პიროვნება უნდა იყოს გიორგი სააკაძე, ვინაიდან უცხოურ წყაროებში სიტყვა „მოურავი“ სხვადასხვა, დამახინჯებული ფორმებით არის წარმოდგენილი.

მართლაც, საამისო მაგალითები არაერთგზის გვხვდება ევროპელ მოგზაურთა თუ ისტორიკოსთა ნაშრომებში. სანიმუშოდ დავიმოწმოთ ზოგიერთი მათგანი: „მორად“ (ინგლისელი ტომას პერბერტი), „მაურო“ (გერმანელი ადამ ოლერიუსი), „მორაო“ (იტალიელი ბართოლომეო ფერი), „მეჭრაბი“ (ფრანგი კლოდ მალენკი), „მეჭრუ“ (ფრანგი ჟან შარდენი)...

ამგვარად, პიეტრო დელა ვალეს მიერ მოხსენიებული „ბატონი მეჭრაბი“ თამამად შეიძლება გაეაიგივოთ „ბატონი მოურავთან“ ანუ გიორგი სააკაძესთან.

მანც რა უამბო სეფიანთა ირანში გადახვენილმა ქართველმა სარდალმა იტალიელ მოგზაურს?

უამბო, თუ როგორ ააოხრეს და გააპარტახეს ყიზილბაშებმა თეიმურაზ მეფის სამეფო და იგი იძულებული გახდა, გაქცეულიყო და თავი შეეფარებინა ოსმალებთან, რომლებმაც სარჩოდ ერთი მცირე სამფლობელო უბოძეს. ისიც უამბო, რომ მანამდე დედა თეიმურაზისა — ქეთევან დედოფალი, თავისი შვილიშვილების თანხლებით, წარგზავნილ იქნა საზავო მოლაპარაკებისათვის საქართველოს საზღვრებს მახლობელულ შაჰ-აბასთან, მაგრამ დაეკავეს და ტყვედ გაისტუმრეს ირანში.

„ბატონმა მეჭრაბმა“ ამცნო პიეტროს ცოტა ხნის წინათ მომხდარი ამბავიც: ქალაქ შირაზში მყოფი შვილები თეიმურაზისა, სეფიანთა ხელმწიფის ბრძანებით, დაუსაჭურისებიათ, რათა მოესპოთ შესაძლებლობა მათი შთამომავლობის გაგრძელებისა.

ქეთევან დედოფალს ჯერ კიდევ არ სცოდნია შვილიშვილთა თავს დატყვისი ტრაგედია, თუმცა იმავე ქალაქში იმყოფებოდა.

მათი ნახვა აკრძალული ჰქონდა, ვინაიდან თვითონ საჯაროდ და მტკიცედ აღიარებდა ქრისტიანულ სარწმუნოებას და ყიზილბაშები შიმობდნენ, რომ გავლენას მოახდენდა შვილიშვილებზე, გაუღვივებდა მამაპაპური რჯულის სიყვარულს.

დელა ვალე წერს: „თეიმურაზს, — მითხრა ბატონმა მეჭრაბმა. — მეორე ცოლისგან, ახლა რომ ჰყავს, ლუარსაბის დისგან, უკვე შეეძინა ქალ-ვაჟი. ასე რომ, არ მოისპობა მისი შთამომავლობა და უფალი არ ინებებს მისი მორწმუნე გვარის გაქრობას“.

გიორგი სააკაძეს კიდევ ერთი ახალი ამბავი უთქვამს იტალიელი მოგზაურისათვის: შაჰ-აბასს თურმე გაუთხოვებია თეიმურაზისა და ლუარსაბის დები, რომლებიც კარგა ხანია თავის შარამხანაში ჰყავდა. პირველი მათგანი ცოლად გაუტანებია განჯის ხანისათვის (იგულისხმება მოჰამედ-ყული-ხანი), რომლის სამფლობელო საქართველოს მეზობლად მდებარეობსო, ხოლო მეორე — ვინმე სულთნისათვის (იგულისხმება ქართული წყაროებიდან კარგად ცნობილი ფეიქარ-ხანი), რომელიც აგრეთვე საქართველოს მახლობელ ტერიტორიას განაგებსო. სეფიანთა ხელმწიფეს სწორედ ამ ორი პიროვნებისათვის უბოძებია მთელი ის მიწა-წყალი, წარსულში თეიმურაზ პირველს რომ ეკუთვნებოდა.

გიორგი სააკაძის სიტყვით, შაჰ-აბასი ფიქრობდა, რომ ქართველები უფრო იოლად შეეგუებოდნენ ვითარებას (ე.ი. ყიზილბაშ ხანებს — ზაგრატიონთა გვარის „დედოფლებით“), ხოლო თეიმურაზისა და ლუარსაბის დები თუკი ფარულად შეინარჩუნებდნენ წინაპართა რჯულს, მათი შვილები მანც მაჰმადიანებად აღიზრდებოდნენ და დედები მაჰმადიან შვილებზე უფრო იზრუნებდნენ, ვიდრე ლტოლვილ თუ დატყვევებულ ქრისტიან ძმებზე.

ამასთან ერთად, დიდი მოურავი მოგვითხრობს ირან-საქართველოს ომის პრელუდიას, როდესაც ლუარსაბმა და თეიმურაზმა ურჩობა გამოიჩინეს და არ ეახლნენ სამხედრო ბანაკში შაჰ-აბასს, რომელსაც სურდა დამტკიცებინა ოსმალთა ელჩისათვის ქართლისა და კახეთის მეფეების პროირანული ორიენტაცია.

პიეტრო დელა ვალეს თხზულების ტექსტში, უმეტესწილად, პირდაპირ არის ხოლმე მითითებული „ბატონ მეჭრაბის“ ნაამბობი, მაგრამ ზოგჯერ ძნელია გაარჩიო, თუ ვის ეკუთვნის რომელიმე პასაჟი — ქართველ სარდალს თუ იტალიელ მოგზაურს.

ასე მაგალითად, ერთ ადგილას ვკითხულობთ, რომ შაჰ-აბასის გულმოდგინება თავისი მიზნების განსახორციელებლად, ერთ მშვენიერ დღეს, დაღუპავს მის დინასტიას, რამეთუ უფალი დაუსჯელად არ დატოვებს ამდენ უსამართლობას; და ვერც უსამართლობის მსხვერპლნი დაივინებენ განცდილს და შურს იძიებენ; ირანში მყოფ ქართველებს ამგვარი შურისძიება ძალუძთ, თუკი უთანხმოება ხელს არ შეუშლით.

ზემოთქმული მსჯელობა, რასაკვირველია, შთაგონებულ უნდა იყოს დიდ მოურავთან საუბრით, მაგრამ არც ის არის გამოირიყული, რომ იმედი ქართველთა მოსალოდნელი შურისძიებისა თვით გიორგი სააკაძეს მივანეროთ ანუ ამ ტექსტში ამოვიკითხოთ სეფიანთა სამეფო კარზე დანიშნურებული ქართველი სარდლის ჭეშმარიტი სულისკვეთება, რასაც ფარდა აეხადა ხუთი წლის შემდეგ მარტყოფში.

კიდევ ერთგან ძნელდება გარკვევა ტექსტის უშუალო ავტორისა. „რაც შეეხება საქართველოს, — წერს პიეტრო დელა ვალე. — მე მხასენდებ, რომ წინათაც ყოფილა ბარბაროსთა მსგავსი შემოსევები, მაგალითად — თემურ-ლენგისა, ჩვენ რომ ტამერლანს ვეძახით, და საქართველოს გადაუტანია არანაკლები ტანჯვა, შესაძლოა უფრო მეტიც, ვიდრე დღეს, მაგრამ გადაუვლია მძინვარე ქაროზხალს, ნაომარ-ნაოხარი ქვეყანა ისევე აღმდგარად და არ დაუკარგავს თავისი რჯული“.

ევროპაში გავრცელებული „ტამერლანის“ გვერდით ჩვენში დამკვიდრებული მისი შესატყვისის („თემურ-ლენგი“) მოხსენიება იმას მეტყველებს, რომ იტალიელი მოგზაური აქაც გიორგი სააკაძის ნაამბობს უნდა მისდევდეს და ოპტიმისტური დასკვნაც მისგან უნდა იყოს ნაკარნახევი.

პიეტრო დელა ვალე თავისი ეპოქის უგანათლებულესი პიროვნება გახლდათ, მაგრამ საქართველოს წარსული, ქართველ მოურავზე უკეთ, ცხადია, არ ეცოდინებოდა.

სადაური ნენია და ახაური ნენიამ

ლი გამოცემა) შეიძინა და თანამშრომლებს კმაყოფილმა ამცნო: აგერ, ჩამოუფასებიათ, ორმოც კაპიკად ვიყიდეთ.

იყო და არა იყო რა, იყო ერთი არაბისტი, ეროვნებით ქართველი, წარმოშობით — რაჭიდან, ოღონდ დაბადებულ-გაზრდილი კახეთში. ანგლობა-ოხუნჯობა ემარჯვებოდა, თუმცა ზოგჯერ დაუკრფავდნენ შუაბოტებად ხოლმე.

ცხოვრებულმა ხრუშჩოვმა ქალაქ სტალინგრადს სახელი რომ გადაარქვა იმ კაცის დაუოკებელი სიძულვილით, ვისაც მთელი სიცოცხლე ჩექმებს უღოკავდა, ამ ჩვენმა არაბისტმა არც აცვივ, არც აცხვლა და ენამოსწრებული რეპლიკა ისროლა: ნინა პეტროვნასი (ნიკიტას მეუღლეს ერქვა) რომ არ ეშინოდეს, ვოლგოგრადს კი არა, გავნოგრადს დაარქმევდით.

აბა თავად განსაჯეთ, რა სჯობდა — ჩვენში ატეხილი შფოთი და გნიასი, მეორე მსოფლიო ომის ყველაზე სახელოვან ქალაქს სახელი რომ წაართვეს, გაუგონარი უტიფრობა არისო; პარიზში სტალინგრადის მოედანი არსებობს და ქალაქი სტალინგრადი კი მსოფლიოს რუკაზე წაიშალაო და ა.შ. ჰოდა, ესა სჯობდა თუ ჩვენი არაბისტის ენამოსწრებული რეპლიკა, რომელიც ავტორის არაპოპულარობის გამო ნაცნობ-მეგობართა წრეს არ გასცილებია (აბა ცნობადი სახე ყოფილიყო! მთელი თბილის-ქალაქი იტაცებდა და დაიზეპირებდა).

ისე კი, კაცმა რომ თქვას, რა ჩვენი თავის ასატყვარია, სტალინგრადი ერქმევა თუ ვოლგოგრადი. ასეც კი ისე უტყვიან... ბრძნული ქართული ანდაზა აკი ბრძანებს, ყველამ თავისი მკვდარი იტროსო, ანდა როგორც ჩვენი არაბისტი იტყოდა, ყველამ თავის ბოზ მამიდას მოუაროსო.

რაც შეეხება ზემოხსენებულ ნინა პეტროვნას, გავნოგრადობას ხომ გადაარჩინა გმირ-ქალაქად შერაცხული სტალინგრადი, ერთხელ ჩვენც გადაგვარჩინა. როგორც აბობენ, სწორედ მან გადაათქვივნია ნიკიტას მთელი ქართველი ერის გადასახლება ყაზახსტანში.

ქართველი არაბისტის იუმორი, ცოტა არ იყოს, უსიამო საწელებლით გახლდათ ხოლმე შეკმაზული. აზიზნი და პინკიები ვაგლახად ცხვირს რომ აიზხევენ, ბარემ ისიც გაიხსენონ — ქვა იმან ესროლოს, ვინც თავად უცოდველი არისო.

პიკანტურ-იკლიკანტურ საწელებელი თავისებური ლაზათითა და, თუ შეიძლება ასე ითქვას, მამაპაპური ეშხით ამკობდა ჩვენი არაბისტის ანეკდოტებს მშობლიური გურჯაანის ცხოვრებიდან.

ასე მაგალითად: ადგილობრივ როკფელერს დიდი ნადიმი გაუმართავს თავისი პირმშოს სამი თუ ოთხი წლის იუბილეს აღსანიშნავად. თურმე ღვინო მდინარესავით მოედინებოდა და თითო სტუმარზე ათი კილო ხორავი მოდიოდა. ისეთი პატივი გვეცეს, სულ რწყევარწყევით მოვდიოდითო.

იმავე გურჯაანს ეხებოდა მეორე ამბავიც. ერთი იქაური ჯველი, მეტსახელად „ბუნგა“, როგორც იტყვიან, შუაფიფთ ვაჟკაცი, შუალამისას მოაბიჯებს ძილში ჩაფლული პროფინციული ქალაქის ცარიელ-ტარიელ ქუჩაზე და ფეხდაფეხ ადევნებულ ნაცნობს აღერსიანად მიმართავს: არა, ძმაო, ხუთ მანეთად ვერ გიზამ, ათს თუ გაიძებნე, ჩემი ხმალი და შენი ქარქამიო (ჩვენი არაბისტი ნესიერ საზოგადოებაში არაბული ეგვემიზებით ცვლიდა ბუნგას წამოყრანტალბულ უწმანურ ტექსტს).

შეიძლება ზოგიერთ თქვენგანს ახსოვდეს, რომ გასული საუკუნის სამოციან წლებში რატომღაც ისეთი ამინდი დადგა, რომ სწავლა-განათლებითა და მნივნობრობით სახელმოსხვეჭილ თბილის-ქალაქში ერთხანს წიგნს გაებუტუნენ და კლასიკოსთა ქმნილებებსაც კი გამაკულატურება ემუქრებოდა. ერთმა კაიკაცმა, მეცნიერებათა დოქტორმა და ფრიად დამსახურებულმა მკვლევარმა, „ქართლის ცხოვრების“ პირველი ტომი (ალბათ გასოსეთ — ლურჯყდიანი, ყაუზჩიშვილისეუ-

ჩვენი არაბისტი ამგვარ „სატოპკეს“ ხელიდან რას გაუშვებდა, ასაკითაც და ჩინითაც უფროს კოლეგას მოურიდებლად მიახალა პირში: კი მარა, სანამ ჩამოაფასებდნენ, ყიდვას ვინ გიშლიდაო?

გულწრფელი და გულუბრყვილო პასუხი მიიღო: ჩემი პერიოდი არ იყოო (როგორც მოგეხსენებათ, პირველი ტომი ლაშა გიორგით თავდებოდა).

ჩვენი არაბისტი, მართალია, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მუშაობდა უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად, მინცდამინც ვერ დაულო გული მეცნიერებას. ჩანს, თარჯიმნად იყო დაბადებული და შემდგომში საუცხოოდაც გამოიჩინა თავი ამ ასპარეზზე, ღვთიკურთხეულ მეცნიერებას კი სიყვარულით ჩქმეტდა: ნამდვილი სამეცნიერო სტატია თუ გინდა, ძირითად ტექსტს ყოველ გვერდზე ერთი-ერთადერთი სტრიქონი უნდა დაუთმო და დანარჩენი ტერიტორია შენიშვნამ ანუ სქოლიომ უნდა დაიჭიროსო (სქოლიო — წერილი შრიფტით!).

ჩვენს დედაქალაქში საცხოვრებელი ბინა არა ჰქონდა და დროდადრო ქამარს შემოიჭერდა ერთი კუთხე-კუნჭულის დასაქირავებლად; ხან თავის დაოჯახებულ დასთან ცხოვრობდა, ხანც ვრცელ ბინიან და უცოლშვილო თანამშრომელს შეეკედლებოდა ხოლმე. როდემდის უნდა გავრძელებულიყო ასეთი ძალღუმაღური არსებობა?!

ერთ მშვენიერ დღეს ერთმა ქართველმა პოეტმაც დაიჩვილა უბინაობა (დავით გურამიშვილივით მოსკოვსა ვარ გადახვეწილიო) და უმაღლეს სილა გაანწესა გაზეთის ფურცლებზე: ბინა-თუ მართლა არა აქვს, შენს მინას მიაბარეო, ცა-ფორუხ, ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო! ჩვენმა უბინაო არაბისტმა რატომღაც თავის თავზე მიიღო ერთობ ამბიციური და გაზულუქებული პოეტის მისამართით წამოსროლილი დიატრიხა და გული ეტკინა. ამ დალოცვილ ჰუმანისტ მწერალს (სილის ავტორს გულისხმობდა), ათასი პრემიის ლაურეატს, ასეთი რა დავუშავებო?!

დღენიადაგ იმეორებდა: არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავების ხეზედაო, არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედაო... მაგრამ მისაბაძ და მოსანონ პატრიოტულ ალტკინებაში, ჩვეულებისამებრ, ხუმრობაც შეეპარებოდა ხოლმე: მე თუკი მიყვარს სამშობლო, ნეტავი გამაგებინა, სამშობლოს რატომ არ ვუყვარავარო?!

სირიაში თარჯიმნად რომ იყო გამწესებული, იქ ერთი რუსის ქალი გაიცნო, ისიც არაბისტი, ქმარგაშორებული, წამოზრდილშვილებიანი და, თქვენ წარმოიდგინეთ, მშვენიერბინიანი მოსკოვ-ქალაქში. წარმოსადგე ქართველ ვაჟკაცს ვინ დაინუნებდა! ჰოდა, მოხდა მოსახდენი, გაბედნიერდა და დასახლდა სულგულგაყინულ საბჭოეთის დედაქალაქში. საკავშირო რადიოში დაინყო მუშაობა არაბული ენის სპეციალისტად. გარჯა დაფუასეს და 60 წლისა რომ შეიქნა, სოციალისტური შრომის გმირობით თუ არა, „ხალხთა მეგობრობის“ ორდენით ხომ დააჯილდოვეს!

მოსკოვში ჩასული ძმაკაცები შინ რომ ენეგოდნენ ხოლმე, ჩვენი არაბისტი, რა თქმა უნდა, გულთბილად ხვდებოდა სტუმრებს, მაგრამ ბინაში შესვლისას ფეხსაცმლის გახდას სთხოვდა, გაკრიალბული იატაკი არ მოგვისვაროთო. რა უნდა ექნა, სადაც ცხოვრობდა, იქაური ქუდი ეხურა. ქართველი სტუმრები ამგვარ მასპინძლობას უკადრისობდნენ და გულმოკლულნი ჩიოდნენ, აბა ეს სადაური ნენისიაო?! სადაური ნესია და აქაური ნესიაო! ასე პასუხობდა ჩვენი არაბისტი, ბედმა სამუდამოდ რომ გადაასახლა მოსკოვ-ქალაქში, სადაც ოდესღაც მზეს ელოდა დავით გურამიშვილი.

**მწერლის სახლმა** უმასპინძლა წარდგინებას **ლევან ბრეგაძის** ნიგნებისა: **„ლიტერატურული გამოძიებანი“**; **„ყოფითი რწმენა-წარმოდგენები“**; **„მოგზაურობა კაუკაზიმე პოსტის ფურცლებზე“** და **„მოგზაურობა ლე კოკაზ ილიუსტრეს ფურცლებზე“**.

„ლიტერატურული გამოძიებანი“ ლიტერატურის თეორიისა და თანამედროვე მწერლობის ნიმუშთა კრიტიკულ ანალიზს შეიცავს, ასევე ყურადღებას გაახვილებული მწერლის ოსტატობის საკითხებსა და მხატვრული ტექსტების მნიშვნელობის საიდუმლოთა კვლევა-ძიებაზე.

ნიგნში „ყოფითი რწმენა – წარმოდგენები“ არამარტო ჩამონათვალა საქართველოში გავრცელებული რწმენა-წარმოდგენებისა, არამედ დართული აქვს კომენტარები, მოყვანილია ციტატები და პარალელური მხატვრული ლიტერატურებიდან.

„მოგზაურობა კაუკაზიმე პოსტის ფურცლებზე“ გერმანულ-ქართულ კულტურულ ურთიერთობებს ასახავს. მასში მონოგრაფიულადაა შესწავლილი თბილისში 1906-14 წლებში გამოშვებული გერმანულენოვანი გაზეთი **„კაუკაზიმე პოსტი“**. ნიგნი თავებადაა დაყოფილი და დასახელებული გამოცემის სხვადასხვა ასპექტებია განხილული. მასალები გერმანულენოვანი გამოცემიდან თვითონვე თარგმნა ავტორმა.

ნიგნში „მოგზაურობა ლე კოკაზ ილიუსტრეს ფურცლებზე“ ასევე მონოგრაფიულადაა შესწავლილი თბილისში, 1889-1902 წლებში გამოშვებული ფრანგულენოვანი ჟურნალი **„ლე კოკაზ ილიუსტრე“** და მისი რედაქტორის **ჟიულ მურიეს** მოღვაწეობა. გარდა ამისა, ავტორი დიდ ყურადღებას უთმობს ქართულ-ფრანგულ ლიტერატურულ-კულტურულ ურთიერთობის საკითხებს.

ნიგნები გამომცემლობა **„არტანუჯში“** დაიბეჭდა. საღამოს უძღვებოდა **მაია ცერცვაძე**, რომელმაც საზოგადოებას საინტერესოდ წარუდგინა ეს ახალი გამოცემები.